

18 XI - XIII (377)

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ურთმეები

საქართველოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი

XI

საქართველოს ბიბლიოთეკა

19/12 40
5
139



სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროზები

Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
ИМЕНИ СТАЛИНА



TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ
STALINE
à TBILISSI (Tiflis)

XI

ნ ა კ ვ მ თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1940

დაიბეჭდა სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
დოც. დ. ყფუშიძის განკარგულებით

ქ. თბილისი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1951

სარედაქციო კოლეგია:

ჭერიტაშვილი ი. (აკადემიკოსი)

კეკელიძე კ. (პროფესორი)

ყიფშიძე დ. (დოც., პ/მგ. რედაქტორი)

ხარაძე ა. (პროფესორი)

ჭაჭაპურიძე გ. (აკადემიის წევრ-კორესპონდენტი)

უ ი ნ ა ა რ ს ი

პოლიტიკური ეკონომია

1. ი. შიქელაძე, საქართველოს მრეწველობის განვითარება მესამე სტალინურ ხუთწლედში [1938 — 1942] 1

ისტორია

2. ა. ფირცხალაიშვილი, თბილისის ამქრების 1865 წლის გამოსვლის ისტორიისათვის 33
3. М. Полиевктов, Делопроизводственный генезис и состав документов дипломатических сношений России с Грузией московского периода (XVI—XVII вв.) 83
4. ი. ბერაძე, ისტორიკოსი იოანეს ბიკლარელი და მისი ცნობები VI ს. საქართველოს შესახებ 105

ქართული ლიტერატურის ისტორია

5. კ. კეკელიძე, საშუალო საუკუნეების დიდი ქართველი პოეტი და ჰუმანისტი 113
6. მ. ზანდუკელი, ვაჟა-ფშაველა ორი ქვეყნის მიჯნაზე 133

СО Д Е Р Ж А Н И Е

ПОЛИТИЧЕСКАЯ ЭКОНОМИЯ

Стр.

1. И. Микеладзе, Развитие промышленности Грузии в III Сталинской пятилетке 1

И С Т О Р И Я

2. А. Пирцхалайшвили, К истории выступления амкаров в 1865 году 33
3. М. Полиевктов, Делопроизводственный генезис и состав документов дипломатических сношений России с Грузией московского периода (XVI—XVII вв.) 83
4. И. Берадзе, Историк Иоанн Бикларенский и его справки о Грузии VI века 105

ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

5. К. Кекелидзе, Великий грузинский поэт и гуманист средних веков 113
 6. М. Зандукели, Важа-Пшавела на грани двух миров . . 133
-

SOMMAIRE

ECONOMIE POLITIQUE

1. J. Mikéladzé, Le développement de l'industrie géorgienne durant la troisième période quinquennale stalinienne (1938—1942) page 1

HISTOIRE

2. A. Pirtskhalaïchvili, Sur l'histoire de la manifestation des corporations de Tbilissi en 1865. 33
3. M. Poliewktow, Genèse des affaires de chancellerie et du composé des documents sur les relations diplomatiques entre la Russie et la Géorgie durant la période moscovite (XVI—XVII siècles) 83
4. J. Béradzé, L'historien Johanès Biklarenzi et ses renseignements sur la Géorgie du VI-e siècle. 105

HISTOIRE DE LA LITTÉRATURE GEORGIENNE

5. C. Kékélidzé, Un grand poète et humaniste géorgien du Moyen Age 113
6. M. Zandoukéli, Vaja-Pchavéla sur le seuil de deux mondes 133
-

საქართველოს მრეწველობის განვითარება მესამე სტალინურ ხუთწლიელში (1938—1942 წწ.)

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მეთვრამეტე ყრილობამ შეაჯამა მეორე ხუთწლიელის შედეგები და დასახა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის შემდგომი ბრძოლის გრანდიოზული პროგრამა.

მეორე სტალინური ხუთწლიანი გეგმის ძირითადი დავალებები გადაჭარბებით იქნა შესრულებული. ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებულია ყველა ექსპლოატატორული კლასი. მოსპობილია ის მიზეზები, რომლებიც წარმოშობდნენ აღამიანის მიერ აღამიანის ექსპლოატაციას. ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ მოისპო კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე და მის ნაცვლად სრული გამარჯვება ჰპოვა სახელმწიფო და კოოპერატიულმა საკუთრებამ.

მეორე ხუთწლიელში სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია წარმატებით იქნა დამთავრებული. მეორე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებამ, ქვეყნის ეკონომიური ძლიერების ზრდასთან ერთად, მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის ახალი აღმავლობა გამოიწვია. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი 1937 წელს, 1932 წელთან შედარებით, ერთიორად უფრო მეტად გაიზარდა.

ეს გამარჯვებები ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა ბრძენი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. ამიტომაც პარტია და მთელი ჩვენი ძლევამოსილი ქვეყნის ხალხი ამ გამარჯვებებს სტალინურ გამარჯვებებს უწოდებს.

მეორე სტალინურ ხუთწლიელში მიღწეულმა წარმატებებმა შესაძლებელი გახადა უფრო რთული ამოცანები დაგვესახა მესამე ხუთწლიელში.

საკ. კ. პ. (ბ) მეთვრამეტე ყრილობამ ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები დასახა მესამე ხუთწლიელში სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში. ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, საქართველოს მრეწველობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი მიზანდასახულობანი.

1. ახალი სამრეწველო მშენებლობის გეოგრაფიული განლაგება

ახალი სამრეწველო მშენებლობის გეოგრაფიული განლაგების საკითხს სოციალისტური სახალხო მეურნეობის სისტემაში უდიდესი ყურადღება ექცევა.

ამხანაგი სტალინი საკ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ „რანაირადაც არ უნდა განვაფითაროთ სახალხო მეურნეობა, შეუძლებელია გვერდი აუქციოთ საკითხს, თუ რანაირად უნდა იქნას სწორად განლაგებული მრეწველობა, როგორც სახალხო მეურნეობის გამძლეოლი დარგი“¹.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი სოციალისტური მშენებლობის გეოგრაფიულად სწორად განლაგების საკითხს.

ყრილობამ მოგვცა მითითება, „რომ მესამე ხუთწლედში სსრ კავშირის რაიონების მიხედვით ახალი მშენებლობის განლაგებაში აუცილებელია ვხელმძღვანელობდეთ იმით, რომ მრეწველობა მიეუახლოვოთ ნედლეულის წყაროებსა და მოხმარების რაიონებს იმ მიზნით, რათა აღმოფხვრილ იქნას არარაციონალური და მეტისმეტად შორი ტვირთზიდვა, აგრეთვე იმ მიზნით, რომ უზრუნველყოთ შემდგომი აღმავლობა სსრ კავშირის იმ რაიონებისა, რომლებიც წარსულში ეკონომიურად ჩამორჩენილი იყვნენ“².

გარდა ამისა, ყრილობამ დაადგინა, რომ „საბჭოთა კავშირის ძირითად ეკონომიურ რაიონებში უზრუნველყოფილ იქნას მეურნეობის კომპლექსური განვითარება და მოეწყოს სათბობის მოპოება და ისეთი სახის პროდუქტების წარმოება, როგორიც არის ცემენტი, ალუბასტრი, ქიმიური სასუქები, მინა, მსუბუქი და კვების მრეწველობის მასობრივი ნაწარმი იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს ამ რაიონების მოთხოვნილებას“³.

ეს ღირებულება მოითხოვს მასობრივი მოხმარების სამრეწველო და კვების პროდუქტების წარმოების განვითარებას თითოეულ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში.

საქართველოს სსრ-ში ამ მიზანდასახულობის რეალიზაციის საფუძველზე მესამე ხუთწლედში ნაგარაუდევია ადგილობრივი სათბობის წარმოების მკვეთრი განვითარება (ახალციხისა და გელათის ნახშირი), მინის წარმოების განვითარება (ქუთაისში, ბორჯომსა და ავჭალაში), საავეჯო წარმოების ახალი ქარხნების აგება (თბილისი, სუხუმი), ცემენტის წარმოების გაფართოება (კასპში მეორე რიგის ქარხნის აგება, დას. საქართველოში საშუალო სიმძლავრის ცემენტის ქარხნის მშენებლობა), კვების მშენებლობის დარგში ლუდის ახალი ქარხნების მშენებლობა—თბილისში, ბათუმში, საშაქარლამო ქარხნების აგება თბილისში, სუხუმი, ქუთაისში, რძის ქარხნის აგება თბილისში და სხვ.


მსუბუქი მრეწველობის დარგში—სამკერვალო ქარხნის მშენებლობის დასრულება თბილისში, ფესხაცმლის წარმოების და სხვა ფართო მოხმარების წარმოებათა გაფართოება.

მრეწველობის თანაბარი ტერიტორიული განლაგების მიზნით, საჭიროა ადგილი არ ექნეს სამრეწველო ქალაქებში მრეწველობის გადაჭარბებულ თავმოყრას, ხოლო განაპირა რაიონების სამრეწველო განვითარების ჩამორჩენილო-

¹ სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, X გამოც., გვ. 474.

² საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციები, ქართული გამოცემა, გვ. 28.

³ იქვე, გვ. 28.



ბას; საქ. კ.პ.(ბ) XVIII ყრილობის დადგენილებაში ხაზგასმულია: „უზრუნველყოფილ იქნას სათანადო კონტროლი იმისა, რომ შესრულდეს საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებანი მოსკოვსა და ლენინგრადში ახალ საწარმოთა მშენებლობის აკრძალვის შესახებ, აგრეთვე გავრცელდეს ეს დადგენილება კიევიზე, ხარკოვიზე, დონის-როსტოვიზე, გორკიზე, სვერდლოვსკზე, რომლებშიც ამიერიდან აიკრძალოს ახალ საწარმოთა მშენებლობა“¹.

საწარმოთა ტერიტორიული განლაგების დროს უაღრესად მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარება. XVIII პარტიული მიერ სახ. მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია: „უზრუნველყოფილ იქნას ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების შემდგომი სამეურნეო და კულტურული აღმავლობა მესამე ხუთწლიურ საწარმოო ძალთა განლაგების ძირითადი ამოცანების შესაბამისად“². ეს ღირებულებები საფუძვლად უნდა დაედეს ჩვენს ყოველდღიურ მუშაობას. ახალი სამრეწველო ობიექტის მშენებლობა ზუსტად უნდა უზარუნებდეს საწარმოო ძალთა განლაგების ძირითად ამოცანებს.

2. ელექტრომეურნეობა

საქართველო თავის ჰიდროენერგეტიკული რესურსებით ერთერთი უმდიდრესი რაიონთაგანია საბჭოთა კავშირში. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ შესწავლილ მდინარეთა პოტენციური საშუალო წლიური სიმძლავრე 9,6 მილ. კვტ. რაოდენობით განისაზღვრება. საქართველოს ტერიტორიის 1 კვ.კმ. მოდის მდინარეთა საშუალო-წლიური სიმძლავრე დაახლოებით 138,8 კვტ. მაშინ, როდესაც საშუალოდ საბჭოთა კავშირისათვის მთლიანად ეს ნორმა 13,2 კვტ-ს არ აღემატება³.

ჰიდროენერგეტიკული რესურსების ასეთი სიუხვის მიუხედავად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არ მოიპოებოდა არცერთი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური. 1913 წ. არსებულ წვრილ ელექტროსადგურების სიმძლავრე 8 ათას კვტ. არ აღემატებოდა, ხოლო ელექტროენერჯის გამოიმუშავება სულ 20 მილ. კვტ. საათს შეადგენდა. მენშევიკების, ამ ხალხის უბოროტესი მტრების, ბატონობის პერიოდში ისედაც სუსტმა და ტექნიკურად დაბალ დონეზე მდგარმა ელექტროენერგეტიკამ სრული დაცემა განიცადა და 1919 წელს ელექტროენერჯის გამოიმუშავება 15 მილ. კვტ. საათამდე დავიდა.

¹ საქ. კ.პ(ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციები, გვ. 29.

² იქვე, გვ. 29.

³ აღსანიშნავია, რომ ჩვენი განგარიშებით საქართველოს პოტენციური ენერგეტიკული რესურსების მთელი მარაგი 90% ჰიდროენერგეტიკულ რესურსებზე მოდის, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირში მთლიანად პოტენციურ ჰიდრორესურსების ხვედრითი წილი საერთო მარაგი 10—11 პროცენტს არ აღემატება.

ჯერ კიდევ 1921 წ. ვ. ი. ლენინი თავის ცნობილ წერილში კავკასიის ბოლშევიკებისადმი გენიალური შორსმჭვრეტელობით სწერდა ელექტრომშენებლობის განვითარებისა და პირველ რიგში ჰიდროსადგურების მშენებლობის შესახებ: უნდა „... განავითაროთ... მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, მორწყვა...“, „ერთბაშად შეეცადოთ გააუმჯობესოთ გლეხების მდგობარეობა და შეუდგეთ ელექტროფიკაციის დიდ სამუშაოებს“¹.

ვ. ი. ლენინის ეს მითითებანი საფუძვლად დაედვა საქართველოში ელექტრომრეწველობის განვითარებას. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ გადადგმულ იქნა ზემო-აჭკალის ჰიდროსადგურის აგებით.

პირველ და მეორე სტალინურ ხუთწლედში ჩატარებული მუშაობის შედეგად საქართველოს ელექტროსადგურების სიმძლავრემ 1937 წელს მიაღწია 109 ათას კვტ., რაც 13,5-ჯერ აღემატება 1913 წ. სიმძლავრეს, ხოლო ელექტროენერჯის გამომუშავებამ მიაღწია 504,0 მილ. კვტ. საათს, ანუ, 1913 წელთან შედარებით, გაიზარდა 25-ჯერ. სიმძლავრისა და გამომუშავებული ელექტროენერჯის ზრდის ასეთი შეფარდება აიხსნება იმით, რომ საბჭოთა საქართველოში ელექტროსადგურების სიმძლავრეთა ზრდა ძირითადად სორციელდება მძლავრი რაიონული ელსადგურების ხაზით (ზაჰესი, რიონჰესი). ამ სადგურებს ახასიათებს დაწესებული სიმძლავრის გამოყენების მაღალი კოეფიციენტი, რის შედეგადაც სიმძლავრის ერთი კილოვატ-საათი აქ ვაცილებით მეტ ენერჯის იძლევა, ვიდრე წვრილ საფაბრიკო-საქარხნო დანადგარებში. თუ წვრილი თბოელექტროსადგურები წლის განმავლობაში მუშაობდა არა უმეტეს 1500—1700 საათისა, ზაჰესი წლის განმავლობაში მუშაობს 5000 საათი, ხოლო რიონჰესი 5000—5200 საათი.

საბჭოთა საქართველოს ელექტროენერგეტიკული მეურნეობის ასეთი ინტენსიური ზრდისა და ხარისხობრივი ცვლილების მიუხედავად, ამჟამად ადგილი აქვს ელექტროენერჯის ნაკლებობას. საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ტემპებმა და ამასთან დაკავშირებით ელექტროდატვირთვის ზრდამ წინ გაუსწრეს ელექტროსადგურების სიმძლავრეთა დინამიკას.

ელექტროენერჯის დეფიციტი იწვევს მთელი რიგი მნიშვნელოვანი დარგების ელმომარაგებიდან გამოთიშვის საპირობებს: ვერ არის სრული სიმძლავრით გამოყენებული ისეთი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობის წარმოება, როგორცაა ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ელექტროღუმელები; ლ. პ. ბერიას სახელობის ა.-კ. რკინიგზის ელექტროფიციტირებული უბნები ვერ მუშაობენ წლის განმავლობაში რეგულარულად, რაც იწვევს ამ უბნებზე ორთქლის გამწვევ ძალაზე ვადასვლის საჭიროებას; მთელი რიგი სამრეწველო და კომუნალური საწარმო გადაყვანილია ელექტროენერჯის მოხმარების იძულებითს გრაფიკზე. განსაკუთრებით მძაფრია ელექტროენერჯის ნაკლოვანება ზამთარ-შემოდგომის პერიოდში, ვინაიდან ჩვენი ჰიდროსადგურები სეზონური ხასიათის სადგურებია და მათი დაწესებული სიმძლავრე წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი არ არის. მცირე წყლობის გამო ელექტროენერჯის გამომუშავება მნიშვნელოვნად

¹ ლენინი, თხზულებები, ტ. XXVI, მე-3 რუს. გამოც., გვ. 192.



მცირდება შემოდგომა-ზამთრის თვეებში, რაც იწვევს წლის ამ პერიოდებში ელექტროენერჯის მოხმარების შეკვეცის საჭიროებას. საქართველოს ელექტროენერჯის ბალანსში ადგილი აქვს მნიშვნელოვან გარღვევას, რის ლიკვიდაცია, სიმძლავრეთა გადიდება და ძირითად მოხმარებელთა მუდმივ გეგმიან მომარაგებაზე გადაყვანა მესამე ხუთწლეულის ერთერთ მთავარ ამოცანას შეადგენს.

ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების გამო საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში მოცემულია ამ მიმართულებით მკაფიოდ ჩამოყალიბებული მითითებები. რეზოლუციაში ნათქვამია:

„ელექტრომეურნეობის დარგში აღმოფხვრილ იქნას მრეწველობის დიდ ზრდასა და ელექტროსადგურების სიმძლავრეთა არასაკმაო გადიდებას შორის არსებული ნაწილობრივი დისპროპორცია იმ ანგარიშით, რომ ელექტროსადგურების ზრდა წინ უსწრებდეს არა მარტო მრეწველობის ზრდას, არამედ უზრუნველყოფდეს კიდევ ელექტროსიმძლავრეთა მნიშვნელოვანი რეზერვების შექმნას; ამის შესაბამისად 2,1-ჯერ გადიდდეს ხუთწლეულის განმავლობაში ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე“¹.

უკვე მშენებლობაში მყოფ საწარმოთა მოთხოვნილების გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება ელექტროენერჯიაში მესამე ხუთწლეულში ინტენსიურად იზრდება. თუ 1937 წ. სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება ელექტროენერჯისა გამოიხატებოდა 541 მილ. კვტ. საათის რაოდენობით, 1942 წ., მესამე ხუთწლეულის დატვირთვითა წინასწარი გაანგარიშების საფუძველზე, შეადგენს 1.660 მილ. კვტ. საათს ანუ ხუთი წლის განმავლობაში 3-ჯერ მეტად გაიზრდება. რომ ელექტროენერჯის მოთხოვნილების ასეთი ზრდა არ არის გადაჭარბებული, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ პირველ ხუთწლეულში საქართველოს სახ. მეურნეობის მოთხოვნილება გაიზარდა 112 მილ. კვტ. საათიდან 1932 წ. 541 მილ. კვტ. საათამდე 1937 წ., ე. ი. თითქმის 5-ჯერ.

მეოთხე ხუთწლეულში განზრახულია მთელ რიგ ენერგოტევად წარმოებათა ორგანიზაცია საქართველოში (აზოტის სასუქების კომბინატი, ძმრის სიმუჯის წარმოება, აბრაზივების წარმოება, ალუმინის ჟანგის, ელექტროცემენტის და სხვა წარმოებანი). ამ წარმოებათა ორგანიზაცია დიდ მოთხოვნილებას აყენებს ელექტრომეურნეობის მიმართ. წინასწარი ვარაუდით ელექტროენერჯის მოთხოვნილება 1947 წლისათვის მიაღწევს 2000 მილ. კვტ. საათს. მესამე ხუთწლეულში ელექტროენერჯის გაზრდილი მოთხოვნილების დაფარვა წარმოადგენს მესამე ხუთწლეულის ერთერთ ცენტრალურ ამოცანას. აუცილებელია მესამე ხუთწლეულში ისე წარიმართოს ჩვენი ელექტრომშენებლობა, რომ „ელექტრომეურნეობის დარგში აღმოფხვრილ იქნას მრეწველობის დიდი ზრდისა და ელექტროსადგურების სიმძლავრეთა არასაკმაო გადიდებას შორის არსებული ნაწილობრივი დისპროპორცია“². მეორეს მხრივ, მესამე ხუთწლეულში დაწყებულ ახალ

¹ საკ. კ.პ.(ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციები. ქართ. გამოცემა, გვ. 18.

² იქვე



ჰიდრომშენებლობით უზრუნველყოფილ უნდა იქნას მეოთხე ხუთწლედში ველ ნახევარში ახალ სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გადაცემა. თუ ახალი ელექტროსადგურების მშენებლობა მესამე ხუთწლედში არ იქნა დაწყებული, ვერ იქნება უზრუნველყოფილი საქართველოში ელექტროტევად დარგთა განვითარება, რომელთა ორგანიზაცია გამოწვეულია სსრ კავშირის მეურნეობის მძაფრი მოთხოვნილებებით და საქართველოში სათანადო სანდღეულო და სათბობი ბაზის არსებობით.

დასახულ ამოცანათა განხორციელება მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, უკვე მშენებლობაში მყოფ ელექტროსადგურების დასრულებას მესამე ხუთწლედის ფარგლებში. ასეთი სადგურია ხრამის ჰიდროსადგური. ამ სადგურის მშენებლობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ელექტრომურნეობისათვის, რადგანაც იგი დაპროექტებულია როგორც მარეგულირებელი ცენტრალი; მას ექნება დიდი მოცულობის წყალსაცავი, რომლის საშუალებითაც შეუძლია დააგროვოს წყალი ვახუშტულ-ზაფხულის პერიოდში და შეუვსოს შემოდგომა-ზამთარში საქარაველოს რაიონული ელექტროსადგურების ჯაგს ის დანაკლისი, რომელიც მას უზინდება ელექტროსადგურების სეზონური ხასიათის გამო.

ტყვარჩელის თბოელექტროცენტრალი უკვე 1939 წ. დასაწყისში გადაცემულია საქსპლოატაციოდ 24 ათას კვ. სიმძლავრით. ეს სადგური გაანგარიშებულია 48 ათას კვტ. სიმძლავრით და ითვალისწინებს მეორე რიგის მშენებლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას სადგურის სრული საპროექტო სიმძლავრის მიღება. ტყვარჩელის თბოელექტროსადგური მუშაობს ტყვარჩელის ნახშირის გამდიდრების ნარჩენებზე.

თბილისის თბოსადგურზე მიმდინარე წელს უკვე გაშვებულია 4 ათასი კვტ, ხოლო სადგური დაპროექტებულია 12 ათას კვტ; მესამე ხუთწლედში ისე უნდა წარიმართოს მშენებლობა, რომ 1942 წ. ამ სადგურის დაწყებული სიმძლავრე აყვანილ იქნას საპროექტო სიმძლავრემდე.

სუხუმის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაჩქარებას მოითხოვს. ამ სადგურის დაწყებული სიმძლავრე შეადგენს 20 ათას კვტ-ს. სადგურის მშენებლობა დაწყებულია 1932 წ.; აუცილებელია ისე წარიმართოს ამ სადგურის მშენებლობა, რომ 1942 წლისათვის იგი დასრულდეს და ჩაირთოს საქართველოს ელექტროსადგურების ქსელში.

მშენებლობაში მყოფ სადგურების დამთავრებასთან ერთად მესამე ხუთწლედში განზრახულია ახალი რაიონული მნიშვნელობის საშუალო სიმძლავრის ჰიდროსადგურების აგება. საკ. კ.პ. (ბ) XVIII ყრილობაზე საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. მ. ბაქრაძე აღნიშნავდა: „ელექტროენერჯის დეფიციტის შემსუბუქებისა და მრეწველობისათვის ცოტად თუ ბევრად ნორმალური პირობების შექმნის მიზნით, ჩვენ საჭიროდ ვთვლით, გარდა მშენებლობის პროცესში მყოფ ხრამისა და სუხუმის ჰიდროელსადგურების დამთავრებისა, დაიდგას მეორე აგრეგატი ტყვარჩელის სახელმწიფო ელექტროსადგურზე, დამთავრდეს თბილისის თბოელექტროსადგურის მშენებლობა სრულ სიმძლავრემდე, აგრეთვე მესამე ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ იქნას დიღმის 40—60 ათა-

სი კილოვატის სიმძლავრის ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე მტკვარზე¹.

ელექტროსადგურების მშენებლობის დაჩქარებასთან ერთად აუცილებელ მოთხოვნილებას წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების და ქვესადგურების მშენებლობა. დაჩქარებას მოითხოვს ისეთი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა, რაგორიცაა: რიონჰეს-ტყიბული, ზაჰეს—ნავთლუდი, ცხაკაია—ფოთი, ხრამჰესის შეერთება ელექტროსადგურების ქსელთან და სხვ.

რაიონული ელექტროსადგურების მშენებლობის დამთავრებასთან ერთად მესამე ხუთწლიურ სავაჭრო წელში უნდა გაიშალოს საშუალო და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობა. ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების გამო საქ. კ.პ. ბ) XVIII ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ელექტროფიკაციის დარგში საამშენებლო პროგრამის უმნიშვნელოვანეს ნაწილად ყრილობას მიაჩნია სიმძლავრეთა მატება ახალ პატარა და საშუალო ელექტროსადგურთა მშენებლობის ხარჯზე, აგრეთვე ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის გაძლიერება“². ამ მიზანდასახულობის რეალიზაცია მოითხოვს, რათა საქართველოს სხვადასხვა რაიონში აგებულ იქნას საშუალო და მცირე სიმძლავრის სადგურები, რომელნიც, საერთო ქსელში ჩართულნი, გაადიდებენ საქართველოს ელსადგურების სისტემის საერთო გამომუშავებას და ხელს შეუწყობენ ელექტრომომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ასეთ სადგურებად, ამ საკითხის წინასწარი შესწავლის საფუძველზე, შემდეგი სადგურები ისახება:

1. მახარაძის რაიონში მდ. ბჟუჟაზე ან ბახვის წყალზე 7—10 ათას-კილოვატიანი ჰიდროსადგურის მშენებლობა. ასეთი სადგური დაკმაყოფილებს ჩაის ფაბრიკებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილებას ელექტროენერგიით და ზედმეტად გახდის არარენტაბელურ, მცირე სიმძლავრის თბოელექტროსადგურებს, რომელთა აგება ჩაის ქარხნებთან მეტად ძვირი ჯდება, დიდი რაოდენობით ხარჯავენ თხევად სათბობს და წლის განმავლობაში სრული დატვირთვით არ მუშაობენ (მაგ., ჰიდროსადგურის აგებით მახარაძის რაიონში ყოველწლიურად მივიღებთ 20 ათას ტონა ძვირფასი თხევადი საწვავი მასალის ეკონომიას). ჩაის რაიონში აგებული ჰიდროსადგური გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში ძირითადად იმუშავებს ჩაის ფაბრიკების დატვირთვაზე, ხოლო ზამთარსა და შემოდგომაზე, როდესაც ჩაის ფაბრიკები არ მუშაობს, ენერჯიას მიაწვდის ელსადგურების ჯაგს.

2. ტყიბულის ქვანახშირის გამდიდრების შედეგად ჩვენ მივიღებთ ნარჩენებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია თბოელექტროსადგურის ასაგებად. ასეთი სადგური, სიმძლავრით 12 ათასი კილოვ., ნაწილობრივ დაკმაყოფილებს ტყიბულის შახტების მოთხოვნილებას და აგრეთვე რკინიგზის ხაზის ელექტროფიციერებისათვის საჭირო ელექტროენერჯიასაც მოგვცემს.

¹ XVIII ს'езд Всесоюзной коммунистической партии (6), стенографический отчет, стр. 455.

² საქ. კ.პ. ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციები, ქართ. გამოცემა, გვ. 30.



3. ელექტროსადგურების სიმძლავრის გადიდების მიზნით მესამე წლებში მეტად ეფექტურ ღონისძიებას წარმოადგენს აბჰესისა და რიცეულჰესის რეკონსტრუქცია. აბჰესის დაწესებული სიმძლავრე ამჟამად 1.100 კილოვატს უდრის (2 აგრევატი), სამანქანო შენობა კი გათვალისწინებულია მესამე აგრევატისთვისაც. გარდა ამისა, წინასწარი ჰიდროენერგეტიკული დაკვირვებით გამოკვეთილია, რომ შესაძლებელია აბაშის წყლის დებეტის გადიდება მდ. წაჩხურის გამოყენების საშუალებით. მდ. წაჩხურის წყლის ნაწილობრივი გადმოსროლით აბაშაში შესაძლებელი ხდება აბჰესის სიმძლავრის გადიდება.

რაც შეეხება რიცეულჰესს, ეს სადგური აშენებულია 1937 წ.; მისი ჰიდროტექნიკური ნაგებობანი გაანგარიშებულია 2.2 ათას კვტ. ძალაზე; რეკონსტრუქციის შედეგად შესაძლებელია მისი სიმძლავრე აყვანილ იქნას 3—4 ათას კვტ.-ამდე. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, საჭირო იქნება რიცეულჰესის გაერთიანება საერთო ქსელში ტყიბულამდე გადამცემი ხაზის გაყვანის საშუალებით. ეს საკითხი დამუშავებას და ტექნიკურ-ეკონომიურ გაანგარიშებათა ჩატარებას მოითხოვს.

ყველა აღნიშნულ ღონისძიების გატარების შედეგად საქართველოს ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენს 1942 წ.—1268 მილიონ კვტ.-საათს, ნაცვლად 504,0 მილ. კვტ.-საათისა, რაც ფაქტიურად გამომუშავებულია 1937 წ., ე. ი. 2,5-ჯერ გაიზარდება.

ელექტროენერგიის გამომუშავების ასეთი ზრდის მიუხედავად, მესამე ხუთწლებში აუცილებელია დაწყებულ იქნას მძლავრი ჰიდროელსადგურის მშენებლობა, რადგანაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მეოთხე ხუთწლებში ელექტროდატვირთვათა დიდი გადიდება არის განზრახული და თუ ექსპლოატაცი-აში არ იქნა გადაცემული ახალი მძლავრი ჰიდროელსადგური, შეუძლებელი იქნება არსებულ ენერგოტევად წარმოებათა გაფართოება (ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში დამატებით 3 ელექტრობრძმედის დადგმა) და ახალი ენერგოტევადი დარგების განვითარება. ასეთი სადგური განზრახულია აიგოს დას. საქართველოში, ჰიდროენერგეტიკული რესურსების მხრივ მდიდარ რაიონში, მდ. რიონზე — ნ ა მ ო ხ ვ ა ნ ჰ ე ს ი. ნამოხვანის ჰიდროსადგური დაპროექტებულია (შედგენილია საპროექტო დავალება), როგორც მარეგულირებელი სადგური. ამ სადგურის პირველი რივის სიმძლავრე განსაზღვრულია 250 ათას კვტ., ხოლო წლიური ელექტროენერგიის გამომუშავება 1.000 მილ. კვტ. საათის რაოდენობით.

3. ქვანახშირი

„თეთრი ნახშირის“ დიდ რესურსებთან ერთად საქართველოში მოიპოვება ქვანახშირი, რომლის არსებობა უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

საბჭოთა საქართველოს მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარებისათვის, განსაკუთრებით თბოტევადი დარგებისათვის, ადგილობრივი სათბობი ბაზა აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.



ქვანახშირის მრეწველობის მნიშვნელობა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის ამომწურავი სიცხადით არის აღნიშნული ვ. ი. ლენინის მიერ, ჯერ კიდევ 1920 წ. სამთამადნო მუშათა I სრულიად-რუსეთის ყრილობაზე:

„...ნახშირის მრეწველობის გარეშე ვერ იარსებებს ვერც ერთი თანამედროვე მრეწველობა, ვერც ერთი ქარხანა და ფაბრიკა. ნახშირი—ეს მრეწველობის ნამდვილი პურია,—ამ პურის გარეშე მრეწველობა უმოქმედობს, ამ პურის გარეშე რკინიგზის ტრანსპორტი ყოვლად უმწყეო მდგომარეობაში ვარდება და მისი აღდგენა შეუძლებელია“¹.

ქვანახშირის მრეწველობის ბაზის შესაქმნელად საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებულია დიდი მუშაობა. წარმოებს მუშაობა ტყიბულის საბადოს რეკონსტრუქციისათვის, შექმნილია ქვანახშირის მრეწველობის მეორე ბაზა — ტყვარჩელის ქვანახშირის სახით. ამ მუშაობათა შედეგად ქვანახშირის მოპოვება შემდეგ ზრდას იძლევა:

1913 წ.—65,5 ათასი ტონა	
1919 „—36,0 „ „	
1932 „—205,1 „ „	
1937 „—397,7 „ „	{ მ. შ. ტყიბულის ნახშირი 240,0 ათასი ტონა. ტყვარჩელის ნახშირი 157,7 „ „
1938 „—428,1 „ „	
	{ მ. შ. ტყიბულის ნახშირი—261,0 ათასი ტონა. ტყვარჩელის ნახშირი—167,1 „ „

მესამე ხუთწლეულის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ქვანახშირის მოპოვების მნიშვნელოვანი გაზრდა. მესამე ხუთწლეულში ქვანახშირის მოთხოვნილება მკვეთრად იზრდება: წინასწარი გაანგარიშებით ამიერკავკასიის მეურნეობის მოთხოვნილება 1942 წ. შეადგენს 1700 ათას ტონას. მოთხოვნილების ზრდა უმთავრესად გამოწვეულია ტყვარჩელის თბოელსადგურის მეორე აგრეგატის ამუშავებით, ლიტოპონის ქარხნის ამოქმედებით, სამშენებლო მასალათა მრეწველობის გადიდებით, ცემენტის ახალი ქარხნების აგებით და სხვ.; ხოლო მეოთხე ხუთწლეულის პირველ ნახევარში, როდესაც დასრულებულ იქნება რიონის აზოტის სასუქების კომბინატის მშენებლობა, დამატებით საჭირო იქნება 540 ათასი ტონა გამდიდრებული ნახშირის კონცენტრატი. ამ მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება აუცილებლად იწვევს საჭიროებას, რათა მესამე ხუთწლეულში ჩატარებულ იქნას ტყიბულის საშახტო მშენებლობის გაშლა. მესამე ხუთწლეულში პირველ რიგში ექსპლოატაციაში უნდა იქნას გადაცემული დასავლეთის შახტი, რომელიც წლიურად მოგვცემს 650 ათას ტონა ქვანახშირს, ხოლო მეორე რიგში აღმოსავლეთის შახტი, 750 ათას ტონის სიმძლავრით. ამ შახტების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისება უზრუნველყოფს ტყიბულში 1400 ათას ტონა ქვანახშირის მოპოვებას.

ტყიბულ-ნახშირში ახალი შახტების მშენებლობა მოითხოვს ქვანახშირის ამოღების ახალი სისტემის განხორციელებას. განხრახულია გატარებულ იქნას

¹ ლენინი, თხზულებანი, ტომი XXV (მე-3 რუს. გამოც.), გვ. 131.

მშრალი ამოვსების მეთოდი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მკვეთრად შევამო-
 ციროთ ნახშირის დანაკარგი და თავიდან ავიცილოთ ხანძრების გაჩენა. შახ-
 ტებში მშრალი ამოვსების მეთოდის განხორციელება მოითხოვს ქვის საკარიე-
 რო-სამტრევი სამუშაოების გაშლას.

ქვანახშირის მოპოვების გაზრდასთან დაკავშირებით აუცილებელია არსე-
 ბული რკინიგზის—ტყიბული—სად. რიონი ნაცვლად ახალი ელექტროფიცირე-
 ბული შტოს გაყვანა ანდა არსებული შტოს ელექტროფიცირება. ეს ღონისძიე-
 ბა გამოწვეულია იმით, რომ არსებულ სარკინიგზო შტოს გამტარუნარიანობა
 დღეღამის განმავლობაში ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას.

მეორე ძირითადი ღონისძიება ქვანახშირის მოპოვების გასაძლიერებლად
 მდგომარეობს ტყიბულ-ნახშირის ელექტრომომარაგების გაძლიერებაში. ამისთვის
 მესამე ხუთწლედში განხორციელებულია: რიონჰესიდან ტყიბულამდე მეორე გა-
 დამცემი ხაზის აგება და არსებული გადამცემი ხაზის 35 კილოვატიდან 110
 კილოვატზე აყვანა. გარდა ამისა, ტყიბულ-ნახშირის გამდიდრების ნარჩენების
 ბაზაზე თბოელექტროსადგურის აგება.

ტყვარჩელ-ნახშირში კაპიტალური მშენებლობა ძირითადად დას-
 რულებულია. პირველ და მეორე ხუთწლედში კაპიტალურ დაბანდებათა მოცუ-
 ლობა ტყვარჩელის საბადოში შეადგენს 85 მილ. მანეთს. წარმოებაში გადაცემუ-
 ლია შახტი, მაღაროები, შტოლნები, ორმაგი საბაგირო გზა, სიმძლავრით 1.500
 ათასი ტონა ნახშირი. საბაგირო გზის საშუალებით ნახშირს აწვდიან გამამდიდ-
 რებელ ქარხანას. გამამდიდრებელი ქარხანა აგებულია კვეზანში, სიმძლავრით
 840 ათას ტონა; აკარმაროში აგებულია მუშა-მოსამსახურეთათვის ბინები და
 კომუნალური საწარმონი. საერთო სიმძლავრე წარმოებისა განსაზღვრულია
 1.200 ათას ტონა რიგითი ნახშირის რაოდენობით; 1938 წ. მოპოებული ნახში-
 რის რაოდენობა განისაზღვრება მხოლოდ 167,1 ათასი ტონით. გადაუდებელ
 ამოცანად დგას სტალინური სახკომის ლ. მ. კავანოვიჩის ბრძანების რეა-
 ლიზაცია და ტყვარჩელ-ნახშირის საპროექტო სიმძლავრის ათვისება. მესამე ხუთ-
 წლედში ისე უნდა იქნას წარმოებული მუშაობა, რომ ტყვარჩელ-ნახშირმა უკვე
 1942 წ. მოგვეცეს 1.200 ათასი ტონა ქვანახშირი. ამისთვის კი აუცილებელია
 მუშაობის სტანანოფური მეთოდების ფართო დანერგვა ტყვარჩელის მაღაროს
 მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს შორის. აუცილებელია მუშაობა აგე-
 ბულ იქნას ციკლობრივი მუშაობის გრაფიკით და შემცირებულ იქნას ყოვე-
 ლი ციკლის ხანგრძლივობა.

ნახშირის რესურსების გაძლიერების მიზნით აუცილებელია მესამე ხუთწლედ-
 ში სამრეწველო ექსპლოატაცია იქნას მოწყობილი ნახშირის ახალ საბადოებში.

საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მოგვცა მითითე-
 ბა ადგილობრივი ქვანახშირის მოპოვების განვითარების შესახებ:

„... მთელი ძალღონით გავშალოთ ადგილობრივი ქვანახშირის ამოღება
 ყველა უკვე ცნობილ რაიონში, მოვაწყოთ ქვანახშირის ამოღების ახალი რაიონ-
 ნები“¹.

ახალი რაიონები, სადაც მესამე ხუთწლედში ნავარაუდევია ნახშირის მოპოვების ორგანიზაცია, არის გელათი და ახალციხის რაიონი. გელათში ამჟამად უკვე დამთავრებულია გეოლოგიური სამუშაოები. აქ მოეწყო მალარო 70—80 ტონის წარმოებით დღელამეში, სადაც წარმოებს ნახშირის მოპოება.

რაც შეეხება ახალციხის საბადოს, აქ ამჟამად წარმოებს ნახშირის მოპოება კუსტარული წესით (4—5 ათას ტონა წელიწადში). აუცილებელია მალაროს გაფართოება, ახალი სამთო სამუშაოების ჩატარება, რათა ნახშირის მოპოება წლიურად აყვანილ იქნას 20 ათას ტონამდე, ახალციხის, ახალქალაქის, ადიგენის, ასპინძის რაიონების მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის.

4. მარგანეცისა და ფეროშენადნობთა მრეწველობა

საქართველოს მარგანეცის მრეწველობამ უკვე 1936 წ. მოგვცა 1524 ათასი ტონა მარგანეცის პროდუქცია, ნაცვლად ხუთწლედით გათვალისწინებული მოცულობისა 1937 წლისათვის 1.300 ათასი ტონის რაოდენობით. მეორე ხუთწლედში ჭიათურის მარგანეცის წარმოებაში¹ ჩატარებულ იქნა დიდი სამუშაოები მადნის მოპოების, ტრანსპორტისა და გამდიდრების მექანიზაციის დარგში. 1933 წელს მექანიზირებული მოპოება შეადგენდა საერთო მოპოების მხოლოდ 9,1 %-ს, ხოლო 1937 წ. იგი სავსებით მექანიზირებულა. დღეს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა წარმოადგენს ტექნიკურად შეიარაღებულ მოწინავე სამთამადნო საწარმოს. საწარმოო პროცესების მექანიზაცია განხორციელებულია საყელავი მანქანების, სანგრევი უროებისა და ელექტრობურღების ფართო დანერგვით.

ტექნიკურმა გადაიარაღებამ და სტახანოგური მოძრაობის გაშლამ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების ამაღლება; მალაროს მუშების ნაყოფიერება გაიზარდა 1,69 ტონიდან დღეში 1933 წ.—2,44 ტონამდე 1936 წ., მათ შორის მნგრეველისა 5,5 ტონიდან 11,7 ტონამდე.

ამუშავებულია ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკა № 25-ბის, რომლის ექსპლოატაციაში გადაცემამ უზრუნველყო გამდიდრების დროს ლითონის დანაკარგის შემცირება 36 %-იდან, რასაც ადგილი ჰქონდა ძველ გამამდიდრებელ ფაბრიკებში, 20 %-მდე.

მესამე ხუთწლედში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის წინაშე დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები დგას: წარმოების მოცულობის გადიდებისა, შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობისა, თვითღირებულების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში.

მესამე ხუთწლედში დასახულია საბჭოთა კავშირში შავი მეტალურგიის განვითარების დიდი ზრდა. ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებაში საქ. კ.პ. (ბ) XVIII ყრილობაზე მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული შავი მეტალურგიის განვი-

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 555, მე-11 ქართული გამოცემა.

თარების გზები მესამე ხუთწლედში. სსრ კავშირის სახ. მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საკ. კ.პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია: „შავი მეტალურგიის დარგში, რომლის განვითარებაც ბევრად განსაზღვრავს მთელი მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის ზრდას და ამიტომ მოითხოვს განსაკუთრებულ მუდმივ მზრუნველობას საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებაზე, მიღწეულ იქნას წარმოების განუზრელი და სერიოზული აღმავლობა“¹.

აღნიშნული მიზანდასახულობა მოითხოვს მესამე ხუთწლედში შავი მეტალურგიის ყველა მომიჯნე დარგის განვითარებას იმ მასშტაბით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ფოლადისა და სპეციალური ფოლადების გამოშვება დაწესებული მოცულობით. ამ დარგთა შორის მარგანეცის მრეწველობას საპატიო ადგილი უკავია. მესამე ხუთწლედში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ უნდა უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირის მეტალურგია მალახარისხოვანი მარგანეცით.

ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს, რათა მესამე ხუთწლედის უკანასკნელ წელს—1942 წ. ჭიათურის მარგანეცის საწარმოო სიმძლავრე 2,500 ათას ტონამდე იქნას აყვანილი.

წარმოების ამ მოცულობის უზრუნველსაყოფად მესამე ხუთწლედში დასახულია ჭიათურაში ახალი მალაროების ექსპლოატაციაში გადაცემა (პერევისა № 1, პერევისა № 2, დარკვეთი და ითხვისი), რომელიც მოწყობილი იქნება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

მესამე ხუთწლედში გაზრდილი და გაფართოებული იქნება გამამდიდრებელი მეურნეობა, დამთავრებული იქნება ამჟამად მშენებლობაში მყოფი პეროქსიდის გამამდიდრებელი ფაბრიკა. ეს ფაბრიკა მთლიანად უზრუნველჰყოფს მეტალურგიული მრეწველობის მოთხოვნილებას პეროქსიდიანი მადნით. გარდა ამისა, მესამე ხუთწლედში ჭიათურაში აიგება ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკები, რომელიც იმუშავებს ლენინისა და სტალინის სახელობის მალაროების ნედლეულზე; ამ ფაბრიკების ექსპლოატაციაში გეშვება გააუქმებს ყველა ძველ ფაბრიკას, რომელიც ლითონის დიდი დანაკარგებით ხასიათდება.

წარმოების გაფართოება, ახალი მალაროებისა და ფაბრიკების ამუშავება აქტიურად სვამს საკითხს წარმოების სათანადო რაოდენობის ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ; ამისთვის კი მესამე ხუთწლედში გათვალისწინებულია ზესტაფონიდან ჭიათურამდე მეორე გადამცემი მაღალი ძაბვის ხაზის გაყვანა.

მესამე ხუთწლედში რეკონსტრუირებული იქნება თვით ქ. ჭიათურა, საბინაო-კომუნალური და საგზაო მშენებლობის დიდი პროგრამის განხორციელების საშუალებით.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის წარმოების მოცულობის ზრდა მესამე ხუთწლედში იწვევს ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის რეკონსტრუქციის აუცილებლობას—მისი ფართოლიანდაგიან გზად გადაკეთებას. არსებული ვიწრო

¹ საკ. კ.პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციები, ქართ. გამოცემა, გვ. 19.

ლიანდაგის ფართოლიანდაგიან გზად გადაკეთება განზრახულია მესამე ხუთწლედში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი უპირატესობანი: ა) გადიდება რკინიგზის შტოს ტვირთის გამტარუნარიანობა; ბ) შემცირდება ვაგონების ბრუნვა; გ) მოიხსნება მარგანეცის ვადმოტვირთვის საჭიროება სად. შორაპანში. ყველა აღნიშნული უპირატესობა ხელს შეუწყობს მარგანეცის მადნის ტრანსპორტის პირობების გაუმჯობესებას.

მესამე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპეციალური ფოლადების წარმოების განვითარებას.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციაში მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ეს გარემოება მკაფიოდ არის ხაზგასმული: „მესამე ხუთწლიანი სპეციალური ფოლადების ხუთწლიანი ყრილობა აღგენს—ერთიორად გადიდდეს ხარისხოვანი ნაგლისის გამოშვება და უზრუნველყოფილი იქნას სპეციალური ფოლადების: მაგარი შენადნობების, ჟანგმოუკიდებელი, მჟავა-გამძლე და სიმხურვალის-გამძლე, ინსტრუმენტალური, პრეცეზიონური, სატრანსფორმატორო აგრეთვე ფეროშენადნობების გამოშვების მკვეთრი გადიდება“¹.

საქართველოში არსებობს ყველა წინაპირობა ფეროშენადნობის წარმოების განვითარებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) პარტიის X ყრილობაზე ლ. პ. ბერია აღნიშნავდა: „ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანა საბჭოთა კავშირში არის ერთი იმ სამი საწარმოთაგანი, რომელნიც ფეროშენადნობთა წარმოებას ეწევიან“².

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ უკვე ათვისა მთელ რიგ მაღალ-ხარისხოვან შენადნობთა გამოშვება, როგორცაა ფერო-სილიციუმი, სილიკო-მარგანეცი, ფერო-მოლიბდენი და ლითონის მარგანეცი. ამჟამად ქარხნის ძირითად პროდუქციას წარმოადგენს ფერო-სილიციუმი, რომელსაც ეს ქარხანა ამზადებს აჯამეთის ხალცედონისაგან. აჯამეთის ხალცედონის კარიერებიდან ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანამდე გაყვანილია რკინიგზის შტო, რაც მკვიდრ ბაზას წარმოადგენს ფეროშენადნობის წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის. ეკონომიური მოსაზრებებით ზესტაფონის ქარხანა თითქმის არ ამზადებს ფერო-მარგანეცს, რადგანაც მას საბჭოთა კავშირში ღირის წარმატებით ამზადებენ დომენის ლუმელებში, ხოლო ელექტრობრძმელების გამოყენება ხდება უფრო მაგარ შენადნობთა დასამზადებლად; მას შემდეგ, რაც ფეროშენადნობების ქარხანა უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს ელექტროსადგურების ქსელიდან საჭირო ელექტროენერგიით, მხოლოდ მაშინ აშენებულ და დამონტირებულ 6 ელექტრობრძმედს შეუძლია უზრუნველჰყოს 1942 წ., შედარებით 1937 წელთან, პროდუქციის 3-ჯერ და მეტად გადიდება.

1939—40 წლებში განხორციელებული იქნება სამუშაოები ელექტრობრძმელების სიმძლავრის გადიდების მიმართულებით. ბრძმელების სიმძლავრე ტრანს-

¹ საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციები, ქართ. გამოცემა, გვ. 19.

² ლ. პ. ბერია, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ანგარიში საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) X ყრილობას, 1937 წ., გვ. 22.



ფორმატორებზე, მაღალ ძაბვაზე გადართვის საშუალებით, 30 პროცენტით აღადგინა.

მესამე ხუთწლიეში ზესტაფონში იწარმოებს მშენებლობა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ქალაქი ზესტაფონი ძირეულად შეიცვლის სახეს. დასრულებული იქნება 18 და 45-ბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა; გარდა ამისა, აიგება კიდევ ორი 45-ბინიანი სახლი, საბავშვო ბაღი, საფაბრიკო სკოლა, საშუალო სკოლა და ბაგა და სხვ.

5. ნავთის მრეწველობა

საქართველოში მოპოება 100-მდე ნავთიანი რაიონი, რომელთა შესწავლა და გეგმიანი გამოკვლევა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ იქნა დაწყებული. პირველ და მეორე სტალინურ ხუთწლიეში საქართველოს ნავთის მრეწველობის დარგში ჩატარებული მუშაობის შედეგად სამრეწველო ექსპლოატაციის გასაწყობებელია მირზაანისა და პატარა-შირაქის საბადოები. ლ. პ. ბერიას ინიციატივით 1938 წ. შემოდგომიდან დაწყებულია ორი ახალი საბადოს სამრეწველო დამუშავება: ერთი სუფსა-ომფარეთისა (გურიაში) და მეორე ნორიო-მარტყოფისა. ორივე საბადო მეტად კარგ წინასწარ მაჩვენებლებს იძლევა როგორც მარაგისა, ისე ნავთის ხარისხის მხრივ.

1937 წელს საქართველოს ნავთის საბადოებში ამოღებულ იქნა 8.940 ტონა ნავთი; 1938 წ.—14.025 ტონა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.500 ტონისა.

ჩატარებული საძიებელი ბურღვის შედეგად დასტურდება საქართველოს ნავთის საბადოთა ფართო სამრეწველო მნიშვნელობა. საქ. კ.პ.(ბ) XI ყრილობაზე ლ. პ. ბერია აღნიშნავდა: „ნავთის ამოღება ისე უნდა გავშალოთ, რომ წელიწადში ვიღებდეთ არა 12.000 ტონას, არამედ ასეულ ათასობით ტონა ნავთს.“

ის დახმარება, რომელსაც საქანეთს ლ. მ. კავანოვიჩი უწევს, საქანეთის მუშაკთა ახალგაზრდა კოლექტივს ავალებს მთელი თავისი ძალდონე მოამაროს იმას, რომ გაამართლოს მისდამი ნდობა და მზრუნველობა¹.

მესამე ხუთწლიელის გეგმა, შედგენილი საქანეთის მიერ, ითვალისწინებს შემდეგ მაჩვენებლებს:

მესამე ხუთწლიეში საქართველოს ყველა საბადოში მოპოებულ უნდა იქნას 1.066 ათასი ტონა ნავთი, 1942 წლისათვის კი ნავთის მოპოება აყვანილი იქნება 571 ათას ტონამდე; ნავთის საშუალო სადღეღამისო ამოღება 1942 წ. მიაღწევს 1565 ტონას.

დიდი პროგრამა ისახება ბურღვის დარგში. საქსპლოატაციო ბურღვა მესამე ხუთწლიეში განისაზღვრება 463.250 მეტრით, ხოლო საძიებელი ბურღვით გავლილ უნდა იქნას 302.180 მეტრი. ბურღვის ასეთი პროგრამა მოი-

¹ ლ. პ. ბერია, საანგარიშო მოხსენება საქ. კ.პ.(ბ) ც. კ-ის მუშაობის შესახებ საქართველოს კ.პ.(ბ) XI ყრილობაზე 1938 წ. 16 ივნისს.

თხოვს დიდი მოცულობის კაპიტალურ სამუშაოებს, როგორც ქაბურღილების მოსაწყობად, ისე დაძმარე წარმოებათა ასაგებად (ენერგეტიკა, ტრანსპორტი, საბინაო-კომუნალური მშენებლობა და სხვ.).

უკვე სამრეწველო მნიშვნელობის საბადოთა გარდა, მესამე ხუთწლეულში ექსპლოატაციაში იქნება გადაცემული ახალი რაიონები: ოვლისთავი, სამღვთო-საკუბრე (მახარაძის რაიონი), ტარიბანი, მლაშის-ხევი.

განსაკუთრებულ შესწავლასა და გამორკვევას მოითხოვს საკითხი, თუ სად უნდა იქნას აგებული მესამე ხუთწლეულში ნავთსახდელი ქარხანა საქართველოს ფარგლებში მოპოვებული ნავთისათვის.

ლაბორატორული და საქარხნო ცდებით დამტკიცებულია, რომ საქართველოს ნავთი მაღალხარისხოვანია. ასე, მაგალითად, ნათელი პროდუქტების რაოდენობა ნორიოს ნავთში უდრის 40 %-ს, მირზაანისა და შირაქის ნავთში—30 %-ს, რაც მას, ხარისხის მხრივ, ბაქოს მაღალხარისხოვანი უბნების ნავთის გვერდით აყენებს.

ნავთსახდელი ქარხნის აგება განზრახულია ნავთლუღის რაიონში, იმ ანგარიშით, რომ ეს ქარხანა გადაამუშავებს ნორიოს, მირზაანისა და პატარა შირაქის ნავთს. ნავთი მიღების საშუალებით იქნება ქარხანაში გადაცემული, ხოლო მზა პროდუქციის ნაწილი განაწილდება საქართველოსა და სომხეთის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, დანარჩენი კი, წინასწარი ვარაუდით, ნავთსადენი მილით გაიგზავნება ბათუმში.

6. ფერადი და იშვიათი ლითონების დამუშავება

მესამე ხუთწლეულში საქართველოში სათანადო პირობები მოიპოვება ფერადი ლითონების სამრეწველო დამუშავებისათვის. სპილენძის, თუთიისა და ტყვიის მადნის შესწავლილ საბადოთა საფუძველზე შესაძლებელია მცირე და საშუალო სიმძლავრის საწარმოთა ორგანიზაცია. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთ-ოსეთის კულდაროს რაიონში თუთიისა და ტყვიის საბადო და აჭარაში, ქედის რაიონში, მერისის სპილენძის საბადო. ამ საბადოებში ჩატარებულ გეოლოგიურ კვლევათა შედეგად გამოვლინებულია ლითონის ისეთი მარაგი, რომელიც საფუძველს იძლევა უკვე მათი შესწავლის დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით დაისვას საკითხი მათი სამრეწველო ექსპლოატაციის შესახებ. ასეთ მცირე საბადოთა გამოყენება სრულ შესატყვისობაში იმყოფება არსებულ სადირექტივო მითითებებთან ამ დარგში. ასე, მაგალითად, კავშირის ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარი ამხანაგი სამოხვალოვი, ეხება რა ფერადი მადნების მცირე საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის საკითხს, წერს:

„ჩვენ მოგვეპოვება ათასი მცირე საბადო, რომელთა ექსპლოატაცია არ წარმოებს. მათი ნაწილი მეტალურგიის წესით მუშავდებოდა რევოლუციამდე და შემდეგ მიტოვებულია, ნაწილი კი განზრახ არის მიტოვებული მავნებლების მიერ. გაძლიერებულად უნდა დავიწყოთ წვრილ საბადოთა დამუშავება, რომელნიც ხშირად მდიდარი არიან ქვეყნისათვის საჭირო ფერადი ლითონებით. ჩვენ ვაწარმოებთ მცირე სიმძლავრის გადასატან გამამდიდრებელ ქარხნების

მშენებლობას და სხვ. ყოველგვარი ინიციატივა ამ საქმეში გამოიწვევს ჩვენს მხურვალე თანაგრძობას და დახმარებას“ (გაზეთი „ინდუსტრია“, № 51, 1939 წლ. 4 მარტი).

სწორედ ასეთ მიტოვებულ საბადოს წარმოადგენს მერისის სპილენძის მადნის საბადო. ამ საბადოს მალაროების დამუშავება წარმოებდა ათი წლის განმავლობაში (1893—1903 წ.წ.) და ამ საბადოდან გამოტანილია სამადნო მასა დაახლოებით 500 კუბ. მეტრის რაოდენობით. ამ საბადოდან, აგრეთვე ხოტის საბადოდან გამოტანილი მადნიდან, სტატისტიკურ მონაცემთა მიხედვით, გამოადნეს 750 ტონა სპილენძი, მათ შორის კანლიკაის საბადოდან 57—80 ტონა სპილენძი.

მერისის საბადოს სპილენძის საერთო მარაგი, ყველა კატეგორიის მიხედვით, საქ. გეოლოგიური ტრესტის მონაცემებით განისაზღვრება 36.190 ტონის რაოდენობით. ამათგან: A_1 —670 ტონა, B —3.480, C_1 —16.920 ტ. და C_2 —15.120 ტონა.

უკვე გამორკვეული მადნის მარაგის საფუძველზე შესაძლებელია ორგანიზებულ იქნას სპილენძის კონცენტრატის წარმოება, შემდეგ შტეინის მიღება და მისგან შედარებით მცირე მოცულობით შაბიამანის დამზადება. საქართველოს სახ. მეურნეობის საჭიროება უკვე 1939 წ.—4,5 ათას ტონა შაბიამანს უდრის. შაბიამანის დიდი მოთხოვნილების თუნდაც ნაწილობრივი დაკმაყოფილება გადაწყვეტს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანას.


1939 წ. უკვე ჩატარებულია მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მიერ მერისის მადნის ტექნიკურ-ეკონომიური გამოკვლევა, რითაც შეიქმნა პირობები ამ საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციისათვის.

ფერადი მეტალურგიის მეორე საბადოს, რომლის ექსპლოატაცია განზრახულია მესამე ხუთწლედში, წარმოადგენს კუდაროს (სამხრეთ-ოსეთში) თუთიისა და ტყვიის საბადო. 1929 წ. დაწყებული გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებით სამხ.-ოსეთში, კუდაროს რაიონში, აღმოჩენილია თუთიისა და ტყვიის საბადო, ა/კავკასიის სარაიონო მარაგთა კომისიის მიერ 1935 წ. დამტკიცებული ლითონის მარაგის (ყველა კატეგორიით $A_2 + B + C$)—29.297 ტონის რაოდენობით (თუთია—18.119 ტ., ტყვია—11.178 ტ.).

მადანში თუთიის ლითონის საშუალო შემადგენლობა შეადგენს 14,32 %-ს, ტყვიის ლითონის—8 %-ს. გამდიდრებაზე ჩატარებული გამოკვლევანი მეტად დადებითს მონაცემებს იძლევიან.

შედარებით არა დიდი კაპიტალური დაბანდების გაღებით, კუდაროში მოწყობილი იქნება სამთო წარმოება (მალარო), საფლოატაციო ქარხანა და ელექტროსადგური. კუდაროს თუთიის კონცენტრატი მოხმარებული იქნება ექსპლოატაციაში გადაცემულ ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის მიერ, რომელიც საჭიროებს თუთიის კონცენტრატს პირველ წლებში 6,6 ათასი ტონის რაოდენობით.

თუ კუდაროს საბადოს ექსპლოატაცია არ განხორციელდა, ქუთაისის ლიტოპონის ქარხნისათვის საჭირო თუთიის კონცენტრატი შემოტანილი უნდა იქნას ალაგირიდან (ხ.დ. კავკასია), რაც არ იქნება ეკონომიურად მიზანშეწონი-



ლი და გამართლებული იმ პირობებში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე მოიპოვება სავსებით საიმედო სანედლეულო ბაზა თუთიის კონცენტრატის წარმოებისათვის.

იშვიათი მინერალებისა და ლითონების გეოლოგიური ძიებისა და სამრეწველო ექსპლოატაციის დარგში საქართველოში მესამე ხუთწლეულში დიდი პროგრამა ისახება.

იშვიათი ლითონების გეოლოგიურ-მადიებელი ტრესტი ფართო მასშტაბით გაშლის გეოლოგიურ-საკვლევო მუშაობას იშვიათი ლითონებისათვის; შერჩეული იქნება ყველაზე პერსპექტიული უბნები, რომელზედაც მოხდება სამუშაოთა კონცენტრაცია. საძიებელი სამუშაოებით გარკვეული იქნება საიმედო პერსპექტიული რაიონები, სადაც განზრახულია ჩატარებულ იქნას დეტალური გამოკვლევა ფართო მასშტაბით. ამ მიზნით მესამე ხუთწლეულში საძიებელი მუშაობის მოწყობა განზრახულია იშვიათი ლითონების მხრივ პერსპექტიულ რაიონებში, როელიც ჯერ კიდევ საკმარისად შესწავლილი არ არის, როგორცაა ხევსურეთი, მთიანი ნაწილი აფხაზეთისა, აჭარა და სამხრეთ-ოსეთი. ამ რაიონებთან ერთად ფართოდ გაიშლება დეტალური საძიებელი სამუშაოები უკვე წინასწარ შესწავლილ ზემო-რაჭისა და ზემო-სვანეთის რაიონებში.

მესამე ხუთწლეულში დასრულებული იქნება საძიებელი სამუშაოები ნოწარის ვოლფრამის საბადოში და იგი გადაიციემა სამრეწველო ექსპლოატაციისათვის. ნოწარის საბადოს ექსპლოატაციას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სპეციალურ ფოლადთა წარმოებისათვის. გადიდებული იქნება კარობის მოლიბდენის საწარმოს სანედლეულო ბაზა, საფუძველი ჩაეყრება ახალ საბადოს ექსპლოატაციას—კირტიშო (კარობის მალაროს რაიონში). მოლიბდენის დიდი მნიშვნელობა აქვს სპეცფოლადების წარმოებისათვის, იგი აღიდებს ფოლადის დროებითს წინააღმდეგობას და დრეკადობის ზღვარს.

მესამე ხუთწლეულში გადაწყვეტილ უნდა იქნას ნიკელის პრობლემა ჩორჩანის საბადოში (სამ.-ოსეთი), კალისა—სვანეთსა და ძირულის მასივში, ოქროსი—ზემო-სვანეთსა და ბაშკიჩეთის რაიონში.

ზემო-სვანეთში ცენის დარიშხანის საბადოს მშენებლობის დასრულებით სსრ კავშირის მრეწველობა მიიღებს დარიშხანის უმძლავრეს საწარმოს, რითაც ძირითადად დაკმაყოფილდება ამ მადნის მზარდი მოთხოვნილება.

7. ქიმიური მრეწველობა

მესამე ხუთწლეულში საბჭოთა კავშირში დასახულია ქიმიური მრეწველობის პროდუქციის გადიდება 2,3-ჯერ, მასთან ამ დარგის განვითარების ტემპები მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის ტემპებზე გაცილებით მაღალია. ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების გამო საქ. კ.პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმულია: „მესამე ხუთწლეული ქიმიის ხუთწლეულია“. საქართველოში ქიმიური მრეწველობა ჯერ მეტად სუსტადაა განვითარებული.

მესამე ხუთწლეულში ექსპლოატაციაში შევიდა ქუთაისის ლიტაბონის ქარხანა. ეს ქარხანა გამოუშვებს მაღალხარისხოვან თეთრ საღებავს, რომელიც გა-

მოიყენება ლაქსალებზე წარმოებაში დეფიციტური თუთიის საღებავების წარმოებაში. ქარხნის მშენებლობა დამთავრდა 1939 წელს; მის ძირითად ნედლეულს წარმოადგენს ქუთაისის მახლობლად (30—35 კილ. დაშორებით) მოპოებული ბარიტი.

მესამე ხუთწლედში ქიმიური მრეწველობის მთავარ ობიექტს საქართველოში წარმოადგენს რიონის აზოტთა სასუქის კომბინატი. ამ კომბინატის მშენებლობა დაწყებულია საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე 1936 წ. მესამე ხუთწლედში ეს მშენებლობა იქნება აღდგენილი იმ ვარაუდით, რომ იგი ექსპლოატაციაში შევიდეს უკვე მეოთხე ხუთწლედის პირველ ნახევარში.

აზოტის წარმოებას საქართველოში უაღრესად დიდი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს. საკმარისი იქნება აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურის მოსავლიანობის დასახული ოდენობით გადიდების უზრუნველსაყოფად 1943 წელს შემოტანილ უნდა იქნას 215 ათასი ტონა აზოტის სასუქი (სასუქი—წმინდა აზოტის 20%-ის შემადგენლობით), ძირითადად დონბასიდან (სად. სტალინო, მაკეევკა, ზაპოროჟიე, მარიუპოლი და სხვ.), რასაც დასჭირდება 13 ათასი ვაგონი, ხოლო მანძილის დაშორებას თუ მივიღებთ 2 ათასი კილომ., რკინიგზის მუშაობის მოცულობა განისაზღვრება 430 მილ. ტონა-კილომეტრის რაოდენობით; მხოლოდ ყოველწლიური ფრახტის ოდენობა შეადგენს დაახლოებით 13 მილ. მანეთს. აზოტის სასუქის კომბინატისაგან, აზოტოვანი სასუქების გარდა, ჩვენ აგრეთვე დიდის რაოდენობით მივიღებთ კოქსს, რომელიც ძირითადად მოხმარებული იქნება ა/კავკასიის მრეწველობის მიერ.


უფრო შორეულ პერსპექტივებში აზოტის ქიმიურ კომბინატთან, კოლპერობის საფუძველზე, დასავლეთ საქართველოში შესაძლებელია ორგანიზებულ იქნას ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი ქიმიური მრეწველობის დარგები, როგორცაა:

ა) სინთეზური ძმრის სიმჟავის წარმოება კარბიდის მეთოდით კვახჭირის მალალხარისისოვანი კირქვების საფუძველზე;

ბ) ლუმინის ჟანგის წარმოება ტყიბულის საწვავი ფიქალების ნაცრის საფუძველზე (სქემა დამუშავებულია მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის ქიმიური ინსტიტუტის მიერ);

გ) აბრაზივების წარმოება (კარბორუნდი და ელექტროკოროუნდი).

აღნიშნულ წარმოებათა ორგანიზაციის საკითხი, ერთის მხრივ, დაკავშირებულია რიონის აზოტქიმიური კომბინატის აშენებასთან, ხოლო, მეორეს მხრივ, რადგანაც ისინი წარმოადგენენ ელექტროტევად წარმოების დარგებს, ეს საკითხი დაკავშირებულია აგრეთვე საქართველოს ელექტროენერგეტიკული მეურნეობის გაფართოების საკითხთან.



8. მანქანათმშენებლობა

საკავშირო მნიშვნელობის ლითონის წარმოების და მანქანათმშენებლობის დარგში საბჭოთა საქართველოში მესამე ხუთწლეულში ძირითადად შემდეგი პერსპექტივები ისახება:

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მესამე ხუთწლეულში გათვალისწინებული ამიერკავკასიაში აგებულ იქნას მცირე სიმძლავრის ნავლინის დამამზადებელი ქარხანა. ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების გამო საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ლითონის ნამტვრევისა და ნარჩენების გამოყენების საფუძველზე გაიზაროს გადამაკეთებელი პატარა ქარხნების მშენებლობა ადგილობრივი საჭიროებისათვის შუა-აზიისა და ამიერკავკასიის რაიონებში“¹.

საქართველოს სახალხო მეურნეობა დიდ მოთხოვნილებას აყენებს ხარისხობრივ ნავლინში მანქანათმშენებლობისათვის და მშენებლობისათვის, სხვადასხვა პროფილის ნავლინი შემოგვაქვს საქართველოში სსრ კავშირის ცენტრალური რაიონებიდან დაახლოებით 75 ათასი ტონის რაოდენობით. ამავე დროს დიდი რაოდენობა ხმარებიდან გამოსული ლითონისა საქართველოს ს.ს. რ.-დან, სომხეთის ს.ს. რ.-დან და აზერბაიჯანის ს.ს. რ.-დან ლითონის ნამტვრევებისა და ნარჩენების სახით ვაგვაქვს კავშირის შორეულ რაიონებში. რკ. ვზის ტრანსპორტის ასეთ არარაციონალურ გადაზიდვისაგან თავისდასაღწევად სავსებით მომწიფებულია საკითხი საქართველოში მცირე სიმძლავრის მეტალურგიული ქარხნის მოწყობის შესახებ; ამ ქარხანაში იწარმოებს დამზადებული ფოლადის ზოდების გაგლანვა იმ პროფილის რკინად, რომელიც ესაჭიროება ძირითადად ჩვენს მშენებლობას და მანქანათმშენებლობას (ხარისხობრივი, ფოთლოვანი და სახურავი პროფილის ნავლინი). ასეთი წარმოების ორგანიზაცია, ერთის მხრივ, განტვირთავს სარკინიგზო ტრანსპორტს ლითონის არარაციონალური გადაზიდვისაგან, ხოლო, მეორეს მხრივ, მკვიდრ ბაზას შეუქმნის მანქანათმშენებლობის განვითარებას საბჭოთა საქართველოში.

ლითონის გადამაკეთებელი ქარხნის ორგანიზაციის ერთერთი შესაძლებელი პუნქტი არის თბილისის მახლობლად სად. ავჭალა. ამჟამად ასრ-ის საგეგმო ორგანოების წინაშე ისმება საკითხი ავჭალის თუჯისა და ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნის საფუძველზე მოწყობილ იქნას მარტენის ლუმელი და საგლინავი დაზგები. ამ შემთხვევაში თუჯის სხმული ამ წარმოებიდან გადატანილ უნდა იქნას სხვა ადგილას; თუჯის სხმულით ავჭალის ცენტრალური ჩამომსხმელი ქარხანა ამარაგებს თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანას, რომელთანაც ის არის კოოპერირებული. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანას თავისი ჩამომსხმელი სამაქროთი სავსებით შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება. თუჯის სხმულით მომარაგების საკითხის ასეთი გადაწყვეტა სავსებით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.

მეორე ვარიანტი საგლინავი წარმოების ორგანიზაციისა საქართველოში ითვალისწინებს მის აგებას დას. საქართველოში სად. რიონის რაიონში. ამ შე-

¹ საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციები, ქართ. გამოცემა, გვ. 32.

მისხვევაში განზრახულია მისი კოლოპერირება მშენებლობით დანიშნულ საკოქსე ბატარებთან, რომელიც მოწყობილი იქნება ტყიბულისა და ტყვარჩელის ნახშირის ბაზაზე.

ამ საკითხის სასწრაფო ტექნიკურ-ეკონომიური შესწავლა და სამრეწველო-საგამოკვლევო მუშაობის ჩატარება ერთერთი გადაუდებელი ამოცანათაგანია.

მანქანათმშენებლობის დარგში მესამე ხუთწლედში ისახება თბილისში ავტომწყობი ქარხნის მშენებლობა. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებაში მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირში მთელი რიგი ახალი ავტომწყობი ქარხნების მშენებლობა.

სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობა მესამე ხუთწლედში სწრაფი ტემპებით გაიზრდება. ავტომანქანათა გამოშვება 1942 წ. დაპროექტებულია 400 ათასი ცალის რაოდენობით.

წარმოების ასეთმა მოცულობამ, ავტომობილის მთელი რიგი აგრეგატების სპეციალიზირებულ ქარხნებში წარმოებამ და სსრ კავშირის დიდმა ტერიტორიულმა განფენილობამ გამოიწვია ეკონომიური აუცილებლობა საბარგო ავტომობილების დიდი მოხმარების რაიონებში ავტომწყობი ქარხნების მშენებლობისა.

თბილისში ავტომწყობი ქარხნის აგება დასაბუთებულია იმით, რომ თბილისი წარმოადგენს არა მარტო ამიერკავკასიის სარკინიგზო და საავტომობილო გზათა ცენტრალურ პუნქტს, არამედ იგი საქართველოს სამხედრო გზით დაკავშირებულია ქ. ორჯონიკიძესთან და უახლოეს დროში დაკავშირებული იქნება გროზნოსთან, მახაჩ-კალასთან და დერბენტთან.

თბილისის ავტომწყობი ქარხანა მიაწვდის აწყობილ ავტომანქანებს არა მარტო ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, არამედ აგრეთვე ჩრდ. კავკასიის სამხრეთ რაიონებს, რადგან მანძილი თბილისიდან საავტომობილო გზით ჩრდილო-კავკასიის მთელ რიგ ქალაქებამდე ვაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე მათი დაშორება რკინიგზით როსტოვიდან, სადაც ამჟამად მთავრდება ავტომწყობი ქარხნის მშენებლობა. ასე, მაგალითად, რკინიგზით როსტოვიდან-ორჯონიკიძემდე—697 კლმ., გროზნომდე—781 კლმ., მახაჩ-კალამდე—941 კლმ., ავტოგზით კი თბილისიდან ორჯონიკიძემდე—204 კლ., გროზნომდე—290 კლმ., მახაჩ-კალამდე—400 კლმ.

ავტომწყობი ქარხნის მშენებლობის ეკონომიურ მიზანშეწონილობის გარკვევის დროს აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული ის გარემოება, რომ აწყობილი ავტომობილის 1 ტონის ჩამოტანა თბილისში ჯდება მოსკოვიდან — 173 მ. 80 კაპ., გორკიდან—183 მ. 7 კ., იაროსლავლიდან 180 მ. 40 კაპ.; გარდა ამისა, დაბატებით გაწეულ უნდა იქნას ხარჯები გამყოლისათვის ერთ მანქანაზე დაახლოებით 100 მან.; დაშლილი ავტომანქანის 1 ტონის ჩამოტანა კი თბილისში ჯდება: მოსკოვიდან—71 მ. 90 კ. გორკიდან—76 მან. 50 კ., იაროსლავლიდან—75 მან. ამ ციფრების დაპირისპირება ნათელჰყოფს თბილისში ავტომწყობი ქარხნის მშენებლობის მიზანშეწონილობას.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციაში სსრ კავშირის სახ. მეურ. განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ აღნიშნულია, რომ მესამე

ხუთწლეულში სსრ კავშირში უნდა აშენდეს 14 ავტომობილის ქარხანა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონში. ერთი ასეთი ქარხნის აგებისათვის თბილისში მოიპოვება ყველა წინაპირობა; ავტომობილის ქარხანა თბილისში კოლპერირებული იქნება ნედლეულის მიწოდების მხრივ ერევნის სინთეზური კაუჩუკის ქარხანასთან, ხოლო, თავის მხრივ, ეს ქარხანა მიაწვდის შინებს ავტომწყობ ქარხანას და ამით განტვირთავს ტრანსპორტს ისეთ არატრანსპორტაბელური სამრეწველო ნაწარმის შემოტანისაგან ამიერკავკასიაში, როგორცაა ავტომობილის შინები.

სათანადო მუშაობა მშენებლობისათვის მოედნის გამოსაყოფად უკვე ჩატარებულია და წინასწარი მონაცემებით შერჩეული მოედანი აკმაყოფილებს ქარხნის მშენებლობისათვის წამოყენებულ პირობებს.


დაზგათმშენებლობის დარგში მესამე ხუთწლეულით დაპროექტებულია თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ქარხნის მშენებლობის დამთავრება და მისი საპროექტო სიმძლავრის სრული ათვისება. ქარხანა მთლიანად იქნება სპეციალიზირებული სახარატო დაზგების გამოშვებაზე. ქარხნის საწარმოო პროგრამა ითვალისწინებს 1942 წ. 1.500 სახარატო დაზგის გამოშვებას, ნაცვლად 1938 წლ. გამოშვებული 3 დაზგისა, ამისთვის კი საჭიროა ქარხნის მშენებლობის დამთავრება, მისი დაზგების პარკის შევსება, საბინაო და კომუნალური მშენებლობის განხორციელება.

აღნიშნულ ობიექტთა გარდა, მესამე ხუთწლეულში საქართველოში ისახება ორი ახალი წარმოების ორგანიზაცია. პირველი მათგანია რენტგენოლოგიური აპარატურის ქარხნის მშენებლობა თბილისში. რენტგენოლოგიური აპარატურის ქარხანა თბილისში გაანგარიშებულ უნდა იქნას ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის სამხრეთი რაიონების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

მეორეა რადიოაპარატურის ქარხანა ქ. გორში. ასეთი ქარხნის აგება გამართლებულია იმით, რომ რადიოაპარატურა არ მოითხოვს ლითონს დიდის რაოდენობით, ე. ი. ეს არ არის ლითონტევადი წარმოება; ამ წარმოების გეოგრაფიული განლაგება ძირითადად უნდა ხდებოდეს მოხმარების ცენტრალურ რაიონებში. ასეთ მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებს ქ. გორი. რადიოაპარატურის ქარხნის აგება ქ. გორში მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს დიდი სტალინის სამშობლო ქალაქის სამრეწველო განვითარებაზე. რადიოაპარატურის ქარხნის ირგვლივ დაირაზმება მაღალკვალიფიციური ინჟინერთექნიკური პერსონალი, ოსტატები და მუშები, რაც წინ წაწევს გორის ინდუსტრიალიზაციის საქმეს.

9. არალითონიანი მადნების დამუშავება

არალითონიანი მადნების ექსპლოატაციის დარგში უკვე ფართო სამრეწველო დამუშავების პირობებში არსებულ დარიშხანის, ბარიტის, გუმბრინის, დიატომიტის წარმოებათა განვითარების გარდა, მესამე ხუთწლეულში ისახება სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყება ასკანიტის თიხის საბადოებისა სოფ.



ასკანაში (მახარაძის რაიონი). მინერალური ნედლეულის თბილისის ტუტის მიერ ჩატარებულ საგამოკვლევო და სამრეწველო გამოცდათა შედეგად სავსებით დამტკიცებულია, რომ ასკანის თიხების საბადოში მოიპოება ორგვარი ტიპის თიხა. პირველი ტიპის თიხა გამოიყენება როგორც სუბ-ბენტონიტი. აქტივიზირებული გამოთვრებული თიხა—ასკანიტი უაღრესად საჭიროა ქიმიურ და ცხიმების მრეწველობის სხვადასხვა დარგში, ხოლო მეორე ტიპის თიხა წარმოადგენს ჰემარიტ ბენტონიტს—ასკანგელს, რომლის გამოყენება ხდება ლითონის ჩამომსხმელ მრეწველობაში (ლითონის ყალიბებში ჩასხმის დროს, ცეცხლგამძლე თიხების ნაცვლად) და ნავთის მრეწველობაში.

სუბ-ბენტონიტების წარმოებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ასე, მაგალითად, 1935 წ. ამერიკის შეერთებულ შტატებში გოჯირდის სიმქავით გადამუშავებულ იქნა 100 ათასი ტონა სუბ-ბენტონიტი. ამჟამად თბილისში მინერალური ნედლეულის ინსტიტუტმა მოაწყო საცდელი დანადგარი 100 ტონის წარმადობით წელიწადში, რომლის პროდუქცია მინიმალურად ვერ აკმაყოფილებს შემოსულ მრავალრიცხოვან განცხადებებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონიდან. აქტივიზირებული ასკანიტი მეტად კარგ მარეწველებს იძლევა მინერალურ, მცენარის და პირუტყვის ცხიმების დასაწმენდად ყოველგვარი ნარევისაგან; წმენდავს ცხიმებს, აძლევს მათ სავსებით თეთრ გამჟღავნებელ ფერს, აცლის ცილას, ლორწოს და ადიდებს ლაქების საცებუნარიანობას (სელის, ნივთის ზეთი და სხვ.); პროდუქტს იგი მალალ სტაბილობას სძენს და სხვ.

საბჭოთა კავშირში მოიპოება ბენტონიტის თიხების ორი საბადო: ოლანლოს (36 კლ. სად. ჯებელისაგან, აზნაბადის რკინის გზა) და ასკანის საბადო საქართველოში.

საბჭოთა კავშირის ჩამომსხმელი მრეწველობის მოთხოვნილება ბენტონიტის თიხებში უკვე ამჟამად შეადგენს 60 ათას ტონას; ოლანლოს საბადო სრულებით ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას და თანაც იგი ძალზე დაშორებულია საბჭოთა კავშირის სამხრეთ სამრეწველო რაიონებს, რის გამო ასკანგელის დამუშავებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ასკანიტის საბადოს შესწავლილი გეოლოგიური მარაგი სავსებით უზრუნველყოფს მის საფუძველზე სამრეწველო წარმოების ორგანიზაციას. საბჭოთა კავშირის მრეწველობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მესამე ხუთწლიელში განზრახულია მოეწყოს ასკანიტის საბადოს სამრეწველო დამუშავება ყოველწლიურად 20—30 ათასი ტონა ასკანიტის მოპოებისათვის.

ქ. მახარაძეში აგებული იქნება ასკანგელის დამამზადებელი მცირე სიმძლავრის ქარხანა 3 ათასი ტონის წარმოებით წელიწადში და ასკანიტის დამამზადებელი დანადგარი იმავე სიმძლავრისა.

ცემენტის მრეწველობის დარგში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მიერ აშენებულია ერთი მძლავრი ქარხანა კასპში. ქარხნის პროდუქცია ვერ დააკმაყოფილებს მესამე ხუთწლიელში საქართველოს მშენებლობის გაზრდილ მოთხოვნილებებს, მით უმეტეს, რომ კასპის ქარხნის პროდუქციის ნაწილი ეძლევა ტომპრანჟის ცემენტის სახით ბაქოს ნავთის მრეწველობას ჰაბურლებისათვის.

იმისათვის, რომ მესამე ხუთწლეულში საჭირო არ გახდეს ცემენტის შემოტანა საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან, აუცილებელია გაფართოებულ იქნას ცემენტის წარმოება. ასეთი საჭიროება მით უფრო ცხადი იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჰიდროსადგურების მშენებლობა, რომელიც დაპროექტებულია საქართველოს სსრ-ში, როგორც დიდი სიმძლავრის, ისე საშუალო და მცირე სიმძლავრის, წარმოადგენს ცემენტის ტევად მშენებლობას.

მესამე ხუთწლეულში ნავარაუდევია კასპის ცემენტის ქარხნის მეორე რიგის მშენებლობა. კირქვისა და მერგელების გეოლოგიური მარაგი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, კასპის ცემენტის ქარხანა დაკავშირებული უნდა იქნას საბაგირო გზით თეძამის ტუფის კარიერებთან, რაც პრაქტიკულად განახორციელებს ცემენტის ბუტოლანიზაციის პრობლემას. თეძამის ტუფის გამოყენება დამატებითი სახით ცემენტში გაზრდის არსებული ქარხნის წარმადობას დამატებითი კაპიტალური დაბანდებების გარეშე 40—50 პროცენტით.

ვინაიდან დას. საქართველოში მესამე და მეოთხე ხუთწლეულში იწარმოებს მნიშვნელოვანი მშენებლობა, უმთავრესად ცემენტტევადი, მესამე ხუთწლეულში მიზანშეწონილია საშუალო სიმძლავრის ქარხნის აგება იქ არსებული სანედლეულო ბაზის საფუძველზე.

ცემენტის ქარხნის შესაძლებელ სანედლეულო ბაზას დასავლეთ საქართველოში წარმოადგენს:

1) ს. თეკლათის კირქვების საბადოები ცხაკაიას რაიონში; ნედლეული საკვებით დამკვამყოფილებელია და მარაგი საკმარისია პორტლანდ-ცემენტის წარმოებისათვის; XIX საუკუნის მეორე ნახევარში ამ ნედლეულის ბაზაზე აქ მუშაობდა მცირე სიმძლავრის ცემენტის ქარხანა. მიღებული ცემენტი გამოყენებულ იქნა ფოთის ნავსადგურის მშენებლობის დროს;

2) ხომულის საბადო (ქუთაისის რაიონში) მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის გამოკვლევით ეს საბადო საკვებით ვარგისია პორტლანდ-ცემენტის წარმოებისათვის;

3) ჯოგნარის საბადო; ახლო მდებარეობს რკინიგზის მაგისტრალურ ხაზთან.

ორივე ეს საბადო მეტად კარგ პირობებს იძლევა ცემენტის წარმოებისათვის, რადგან კირქვების გარდა მათ მახლობლად მოიპოება სათანადო თიხის საბადოები, რომელიც აუცილებელია ცემენტის წარმოებისათვის.

10. კვების მრეწველობა

კვების მრეწველობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მიერ არის შექმნილი. საქართველოს კვების მრეწველობის ზოგიერთი დარგი აკმაყოფილებს არა მარტო საქართველოს მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნილებებს საკვებ პროდუქტებში, არამედ აწვდის მაღალხარისხოვან კვების პროდუქტებს საბჭოთა კავშირის რაიონებსა და ქალაქებს. ასეთი დარგებია ჩაის მრეწველობა, საკონსერვო მრეწველობა და მეღვინეობა.

საქართველოს კვების მრეწველობის საერთო პროდუქცია პირველ ხუთ-



საქართველოს
აკადემიის

წლებში გაიზარდა 2,3-ჯერ. შექმნილია კვების მრეწველობის ახალი დარგები, გაძლიერებულია მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მესამე ხუთწლეულში განზრახულია კვების მრეწველობის პროდუქციის გადიდება 90%-ით.

საქართველოს კვების მრეწველობის დარგთა შორის განსაკუთრებით დიდი ამოცანები ისახება მესამე ხუთწლეულში ჩაის მრეწველობისა და მეღვინეობის წინაშე.

1937 წ. ჩაის ფოთოლი მოკრეფილი იქნა საქართველოში 27.312 ტონა; 1938 წ.—35.358 ტონა, ხოლო 1942 წ. ჩაის ფოთლის დამზადება დაპროექტებულია 70.743 ტონის რაოდენობით, ე. ი. მესამე ხუთწლეულში დაპროექტებულია ჩაის მოსავლის გადიდება 2,7-ჯერ.

მოსავლის ასეთი ინტენსიური ზრდა აიხსნება როგორც არსებულ სრულმოსავლიან პლანტაციებზე მოსავლიანობის გადიდებით ერთ ჰექტარზე, ისე, განსაკუთრებით, მცირე ასაკის ჩაის პლანტაციების სრულმოსავლიან ასაკში გადასვლით.


ჩაის გადიდებული მოსავლის ხარისხობრივად გადამუშავების უზრუნველსაყოფად ჩაის მრეწველობის მესამე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს შემდეგ ძირითად მიზანდასახულობათა განხორციელებას:

ა) ჩაის ფაბრიკების მოწყობილობის გამოყენების ტექნიკური ნორმების გადასინჯვა, სტახანოვური მოძრაობის გაშლასთან დაკავშირებით და ამის საფუძველზე, არსებულ 34 ჩაის ფაბრიკის გამტარუნარიანობის გადიდება; ჩაის ფოთლის ფაბრიკებისათვის მიწოდების დღე-ღამურ უთანაბრობის კოეფიციენტის შეცვლა, ჩაის ფაბრიკის ფოთლით მომარაგების საქმეში სეზონის განმავლობაში მეტი თანაბარი განაწილების უზრუნველყოფა და ამის საფუძველზე მოწყობილობის უკეთესი გამოყენება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

ბ) ჩაის ფაბრიკების სიმძლავრის გადიდება — 70,7 ათასი ტონა მწვანე ფოთლის გადამუშავებამდე — როგორც არსებული ფაბრიკების გაფართოებით, მეორე რიგის სიმძლავრეთა მშენებლობით, ჩაის ფაბრიკების საპროექტო სიმძლავრეთა მიღწევით, ისე ახალი ფაბრიკების მშენებლობით. ჩაის ახალი ფაბრიკების მშენებლობა ნავარაუდევია შემდეგ პუნქტებში; ორპირის ჩაის ფაბრიკა — 2 ათასი ტონის სიმძლავრით, მალაკისა — 4 ათასი ტონის სიმძლავრით, კოდორისა — 2 ათასი ტონის სიმძლავრით, ახალ-ხიზულისა — 2 ათასი ტონის სიმძლავრით, ჩაქვის მე-3 ფაბრიკა — 2 ათასი ტონის სიმძლავრით, გუდაუთისა — 2 ათასი ტონის სიმძლავრით, ლესიკინისა — 2 ათასი ტონის სიმძლავრით, ჯოდლეჯიანისა — 2 ათასი ტონის სიმძლავრით, მარტვილისა — 2 ათასი ტონის სიმძლავრით, ჩოხატაურისა — 2 ათასი ტონის სიმძლავრით და გალისა — 2 ათასი ტონის სიმძლავრით.

ამ ფაბრიკების მშენებლობის საჭიროება გამოწვეულია იმით, რომ დასახელებულ რაიონებში გაშენებული ჩაის პლანტაციები სრულმოსავლიან ასაკში გადადის და იქ ფაბრიკები არ არსებობს ანდა სანედლეულო ბაზის ზრდის გამო არსებული ფაბრიკები ვერ უზრუნველყოფენ ფოთლის სრულ და ხარისხობრივ გადამუშავებას;

გ) ჩაის ფაბრიკები გეოგრაფიულად ისე უნდა იქნას განლაგებული, რომ



ადგილი არ ექნეს ჩაის ფოთლის შორეულ გადაზიდვას, რათა ამან გავლენა არ მოახდინოს ჩაის ხარისხზე;

დ) ჩაის ფაბრიკებში დანერგილ უნდა იქნას საწარმოო პროცესების მექანიზაცია; მექანიზაციის განხორციელება აუცილებელია წარმოების ყველა სტადიაში კომპლექტურად. ეს ღონისძიება ადიდებს ჩაის ფაბრიკების გამტარუნარიანობას, აჩქარებს პროცესს და აუმჯობესებს დამზადებული ჩაის ხარისხს.

ე) დამთავრებული უნდა იქნას დაწყებული მშენებლობის ობიექტები: თბილისის ჩაის დამახარისხებელი და საწონი ფაბრიკა, ჩაის დაპრესვის ფაბრიკა ზუგდიდში, ქობულეთის ტუნგოს ზეთის ქარხანა და სხვა უფრო მცირე ობიექტები.

ვ) ჩაის ფაბრიკების მუშაობისა და მომსახურების საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება სათანადო მშენებლობის განხორციელების საშუალებით.

აღნიშნულ ღონისძიებათა გატარება უზრუნველყოფს ჩაის პროდუქციის ზრდას შემდეგი რაოდენობით (ტონობით):

	ბაიხის ჩაი	მწვანე აგუ- რა-ჩაი
1937 წ. (ფაქტ.) . . .	6.508,0	655,5
1942 წ. (გეგმით) . . .	16.618,0	4.000

მზა პროდუქციის ზრდასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროდუქციის ხარისხის ასორტიმენტის გაუმჯობესებას.

მესამე ხუთწლეულის გეგმით უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის გამოსავალი აყვანილ უნდა იქნას 1942 წ.—22,2 %-მდე მთელი ჩაის პროდუქციაში, ნაცვლად 8,2 %-ისა 1937 წლ.; მათ შორის უმაღლესი ხარისხის („საქართველოს თაიგული“, „ექსტრა“) ხვედრითი წონა აყვანილი იქნება 3,7 %-მდე, ნაცვლად 0,1 %-ისა 1937 წელს.

მესამე ხუთწლეულში დასახულია დიდი მუშაობის ჩატარება მეღვინეობისა და შამპანურის წარმოების დარგში.

„საქართველოს სს რესპუბლიკაში მევენახეობისა და ხარისხობრივი მეღვინეობის განვითარების შესახებ“ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წ. 28 ივლისის დადგენილების საფუძველზე ტარდება მთელი რიგი ღონისძიებებისა. ამჟამად მიმდინარეობს სარდაფების მშენებლობა მეღვინეობის დაძველების უზრუნველსაყოფად.

მესამე ხუთწლეულში განხრახულია ყოველწლიურად ღვინის საერთო მოსავლიდან მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყოფილ იქნას დასაძველებლად, რაც ძირითადად გააუმჯობესებს ღვინის ხარისხს, გაადიდებს ხარისხობრივად ღვინოების ასორტიმენტს.

ვინაიდან წლიდან-წლამდე იზრდება დასაძველებლად გადაცემული ღვინოების რაოდენობა, ხოლო ღვინის სარდაფში გაჩერების ვადა 2—3 წლით განისაზღვრება (დამოკიდებულია ღვინის ტიპსა და მარკაზე), მესამე ხუთწლეულში დაძველებაში არსებული ღვინოების რაოდენობა გაიზრდება შემდეგნაირად: 1938

წელს—523 ათასი დეკალიტრი, 1939 წ.—741,5 ათასი დეკალიტრი, 1940 წ.—796,7 ათასი დეკალიტრი, 1941 წ.—954,8 ათასი დეკალიტრი.

ასეთი რაოდენობით ღვინოების დაძველების უზრუნველყოფა მოითხოვს სარდაფების სათანადო მშენებლობას. უკვე 1937 წ.—დან გურჯაანსა და წინანდალში შენდება სპეციალური სარდაფები, რომელთა პირველი რიგი გადაეცემა ექსპლოატაციისათვის 1939—1940 წ.წ. მესამე ხუთწლეულის გეგმა ითვალისწინებს აგებულ იქნას სარდაფები საერთო ტევადობით 830 ათასი დეკალიტრი, ამათაგან გურჯაანში—400 ათასი დეკალიტრის, წინანდალში—250 ათასი დეკალიტრის, ზესტაფონში—80 ათასი დეკალიტრისა და ხირსაში 100 ათასი დეკალიტრის ტევადობით.

გარდა სარდაფებისა, დაპროექტებულია კაპიტალური ტიპის ღვინის მარნების მშენებლობა ხირსაში, ყვარელში, წინანდალში, აგრეთვე გამარტივებული ტიპის ღვინის მარნების და საქვევრე მეურნეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. კაპიტალური ტიპის მარნები შეიარაღებული იქნება გაუმჯობესებული ტიპის მანქანებით, ყველა პროცესი მექანიზირებული იქნება. გეგმა ითვალისწინებს, რომ 1942 წ. გამოშვებული იქნება 1.620 ათასი დეკალიტრი ღვინო, ნაცვლად 1.155 ათასი დეკალიტრისა 1937 წ., ხოლო მშრალი ღვინო 1.138 ათასი დეკალიტრი, ნაცვლად 567 ათასი დეკალიტრისა 1937 წ. ამ ციფრებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი გაუმჯობესებაა განზრახული მესამე ხუთწლეულში პროდუქციის ასორტიმენტში.

ღიდი მუშაობა ტარდება საქართველოში შამპანურის წარმოების ორგანიზაციის დარგში. თბილისის შამპანურის კომბინატმა, რომლის მშენებლობა 1938 წელს დაიწყო, უკვე 1940 წ. 4 მილ. ლიტრი შამპანური უნდა გამოუშვას. საქ. კ.პ. (ბ) XVIII ყრილობაზე საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავჯდომარემ ამხანაგმა ბაქრაძემ განაცხადა: „ამხანაგ მიქოიანის გამოსვლის საპასუხოდ მე ვაცხადებ, რომ ჩვენ ყველა ზომას მივიღებთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი საბჭოთა შამპანური იყოს ფრანგულ შამპანურზე არა თუ ნაკლები, არამედ ბევრად უფრო უკეთესი“¹.

ხორციის მრეწველობის დარგში მესამე ხუთწლეულში მშენებლობის მთავარ ობიექტს წარმოადგენს თბილისის ხორციის კომბინატის ძირითადი რეკონსტრუქცია. თბილისის კომბინატთან ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული იქნება ძებვის ქარხანა, მოეწყობა გაუმჯობესებული სამაცივრე მეურნეობა, გაფართოვდება ხორციის დამამუხადებელი საამქრო, ყველა პროცესი მექანიზირებული იქნება.

პურისცხოების მრეწველობას, რომელიც წარსულში წარმოდგენილი იყო წვრილი კუსტარული საწარმოებით, უკვე ამჟამად გააჩნია 4 მექანიზირებული პურისსაცხოები ქარხანა. მესამე ხუთწლეულში განზრახულია 2 მექანიზირებული ავტომატური პურის ქარხნის მშენებლობა თბილისში, 60 ტონის სიმძლავ-

¹ XVIII съезд Всесоюзной коммунистической партии (б), стенографический отчет, стр. 454.

ერთ დღე-ღამეში, სუხუმში—40 ტონის სიმძლავრით დღე-ღამეში და მცირე პურის საცხობების მშენებლობა ფოთსა და გორში.

ლუდის მრეწველობის დარგში ნავარაუდევია თბილისის ლუდის ახალი ქარხნის აგება და ბათუმში მშენებლობაში მყოფ ქარხნის დასრულება.

რძის მრეწველობის დარგში მესამე ხუთწლეულში დაპროექტებულია თბილისში ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი ქარხნის მშენებლობა, რომელმაც ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს თბილისის მოსახლეობის რძისა და რძის პროდუქტების მოთხოვნილება.

11. ადგილობრივი მრეწველობა

ადგილობრივი მრეწველობის წინაშე მესამე ხუთწლეულში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანები ისახება ფართო მოხმარების საგანთა წარმოების გაფართოებისა და ადგილობრივ საშენ მასალათა მრეწველობის ზრდის მიმართულებით. ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების გამო საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ყოველნაირად განვითარდეს ადგილობრივი მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია, რომლებიც მშრომელთა მხარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დიდ წყაროს წარმოადგენენ. მათი ზრდის ახლანდელი ტემპის არასაკმარისობის გამო, მიღწეულ იქნას ხუთი წლის განმავლობაში ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციის გამოშვების გადიდება ერთიორად მინც. აგრეთვე ასორტიმენტის (განსაკუთრებით ავეჯის, ჭურჭლისა და სხვა საოჯახო საგნების) გაფართოება და გაუმჯობესება. ფართო მოხმარების საგნების გამოშვების გადიდებასთან ერთად, რაც ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, საჭიროა ყოველმხრივ განვითარდეს ადგილობრივი სახის სათბობი მასალის მოპოება და სამშენებლო მასალის წარმოება“¹.

ფართო მოხმარების საგანთა წარმოების დარგში საქართველოს ადგილობრივი მრეწველობა მესამე ხუთწლეულში გააორკეცებს პროდუქციას და გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხსა და ასორტიმენტს.

1940 წელს ექსპლოატაციაში გადაეცემა თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების კომბინატი. ეს წარმოება გამოუშვებს წელიწადში 3 ათას პიანინოს, რომელიც გაკეთებული იქნება საქართველოში დამზადებულ სარეზონანსო ნაძვიდან.

ლითონის ფართო მოხმარების დარგთა წარმოებაში არსებულ ქარხნებთან ორგანიზებული იქნება მთელი რიგი ფართო მოხმარების საგანთა წარმოება (ჭურჭელი, ლითონის საწოლები და სხვა საოჯახო საგნები).

გარდა ამისა, მესამე ხუთწლეულში წინასწარი ვარაუდით ისახება დას. საქართველოს კაოლინის თიხების საფუძველზე ფაიფური და ქაშანაურის წარმოების მოწყობა. ეს საკითხი მოითხოვს წინასწარ საგამოკვლევო მუშაო-

¹ საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციები, ქართ. გამოცემა, გვ. 21—22.



ბის ჩატარებას, ნედლეულის შესწავლას და კარგ მაჩვენებელთა მრავალს თხევადობაში დაპროექტებული უნდა იქნას მცირე სიმძლავრის ქარხანა.

დიდი მუშაობა უნდა იქნას ჩატარებული საშენ მასალათა მრეწველობაში. მრეწველობის ყოველწლიურად მზარდი მოთხოვნილება საკედლე და სახურავი მასალებისა აუცილებლად მოითხოვს საშენ მასალათა წარმოების რეკონსტრუქციას და ახალი ქარხნების მშენებლობას. უპირველეს ყოვლისა საბოლოოდ უნდა იქნას დაძლეული აგურის მომჭმედ ქარხნებში არსებული დისპროპორცია ღუმელების სიმძლავრისა და საშრობი ფარდულების გამტარუნარიანობას შორის ახალი ფარდულების აგვით.

მეორეს მხრივ, დასრულებული იქნება მშენებლობაში მყოფი ობიექტები, როგორცაა: თბილისის მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის მშენებლობა (საბურთალოში) 14 მილ. ცალი აგურის სიმძლავრით წელიწადში. ამ ქარხნის აგვით აგურის წარმოება აღარ იქნება დამოკიდებული კლიმატური პირობებისაგან, იგი თანაბარი რაოდენობით გამოიმუშავებს აგურს წლის ყველა პერიოდში, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მშენებლობის მომარაგებას საკედლე მასალებით; კახეთის სახურავი ფიქალების წარმოება გაზეგებული იქნება სრული სიმძლავრით, რაც საშუალებას მოგვცემს დეფიციტური სახურავი მასალა დავამზადოთ ყოველწლიურად 400 ათასი კვ. მეტრის რაოდენობით. აღნიშნულ ობიექტებს გარდა, მესამე ხუთწლედის გეგმა ითვალისწინებს შემდეგი ახალი ქარხნების აგებას:

ცეცხლაურისა და ოჩხამურის ცეცხლმძლე თიხების ბაზაზე (აჭარაში) საკანალიზაციო მილების დამამზადებელი ქარხანა. კერამიკული მილების გამომწეებ ქარხნის აგება გამოწვეულია საქართველოს კომუნალური მეურნეობის მძაფრი მოთხოვნილებით. ჩატარებული სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობით სავსებით დამტკიცებულია ცეცხლმძლე თიხის მაღალი თვისება საკანალიზაციო მილების წარმოებისათვის. ამჟამად კერამიკული მილები კანალიზაციისათვის შემოგვაქვს ლენინგრადის რაიონიდან (ბაროვიჩი);

კრამიტის მცირე სიმძლავრის საწარმოები საქართველოს მთელ რიგ რაიონებში;


კრამიტისა და აგურის ქარხნები აჭარასა და აფხაზეთში (სუხუმთან ახლო ლეჩკოპის თიხების ბაზაზე);

მეორე მშრალი წნეხვის აგურის ქარხანა;

სამხრეთ-ოსეთში რომან-ცემენტის მცირე სიმძლავრის ქარხანა;

თბილისში სამშენებლო დეტალებისა და კონსტრუქციების დამამზადებელი ქარხანა ცენტრმსრბოლი ბეტონის მეთოდის საფუძველზე. ცენტრმსრბოლი მეთოდით სამშენებლო დეტალებისა და კონსტრუქციების დამამზადება შესწავლილია როგორც ლაბორატორულ, ისე საქარხნო პირობებში თბილისის ნავებობათა სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტის მიერ.

მანქანათმშენებლობის დარგში მესამე ხუთწლედში სავსებით დასრულებული იქნება 26 კომისრის სახელობის ქარხნის რეკონსტრუქცია. მნიშვნელოვნად შეივსება ქარხნის მექანიკური საამქროს დაზგათა პარკი. ვადიდდება აბრეშუმის და საფეიქრო მრეწველობისთვის საჭირო მანქანების გამოშვება როგორც



მოცულობით, ისე ტიპებისა და კონსტრუქციის სხვადასხვაობის მხრივ. დამთავრდება აგრეთვე ს. ორჯონიკიძის სახ. ქარხნის სპეციალიზაცია მეღვინეობისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობის გამოშვების მიმართულებით.

არალითონიან მადანთა წარმოების დარგში ნავარაუდევია:

ა) ახალციხის (ს. ქისატიბი) დიატომიტის დამუშავების საფუძველზე მოწყობილ იქნას თერმოიზოლატორული მასალების დამამზადებელი წარმოება. თბილისის მინერალური ნედლეულის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტის შრომებით¹ დამტკიცებულია, რომ ქისატიბის დიატომიტიდან მიიღება მაღალხარისხიანი თბოიზოლატორული აგური, რომლის თბოგამტარიანობა შეადგენს 0,108—0,12, რაც უდრის საიმპორტო დიატომიტის აგურის თბოუნარიანობას.

ბ) ბარიტის წარმოების გაფართოება, გეოლოგიურ-საძიებელ სამუშაოთა ჩატარება, რათა არსებული საერთო მარაგი დაზუსტდეს და სამრეწველო მარაგში გადაირიცხოს.

გ) გუმბრინის ქარხნის მეორე რიგის მშენებლობა.

დ) მარმარილოს კარიერების ფართო სამრეწველო ექსპლოატაციის გაშლა, კერძოდ ლოფოთის (კახეთში) თეთრი მარმარილოს კარიერების ორგანიზაცია და სამრეწველო დამუშავება.

12. მსუბუქი მრეწველობა

მსუბუქი მრეწველობის დარგში საქართველოში მესამე ხუთწლედში დამთავრებული იქნება მშენებლობაში მყოფი ორი დიდი ობიექტი: ქუთაისის აბრეშუმისა და თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატები.

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის შემადგენლობაში იქნება აბრეშუმის მრეწველობის ყველა სტადია: აბრეშუმის ძაფსაღები მრეწველობა, ძაფსაგრები წარმოება, საქსოვი და საღებავი სააპრეტურო წარმოება. აქვეა ნავარაუდევი მოეწყოს პენიაჟის დამამზადებელი ფაბრიკა, რომელიც გადაამუშავებს ძაფ-საღებ მრეწველობის ნარჩენებს (ფრიზონი, ბასინეტი და სხვ.), რაც ამჟამად გადასამუშავებლად ცენტრალურ რაიონებში იგზავნება. პენიაჟის ფაბრიკა დაამზადებს მაღალხარისხიან ბურღე-სუას ნართს, რომელიც დიდად საჭიროა საქართველოს აბრეშუმის საქსოვი მრეწველობისათვის. კომბინატი გამოიმუშავებს 4,5 მილიონ მეტრ აბრეშუმის ქსოვილს წელიწადში.

თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატი გამოიმუშავებს სხვადასხვა სახის სატრიკოტაჟო ნაწარმს: ჩულქს, წინდას, ტრიკოტაჟის თეთრეულს და სხვ. კომბინატში 8 ათას მუშამდე იმუშავებს. კომბინატის შემადგენლობაში იქნება ბამბის ნართის დამამზადებელი ფაბრიკა, რომელიც დაამზადებს ბამბეულის ნართს არა მარტო საკუთარი წარმოებისათვის, არამედ საქართველოს შალეულის და აბრეშუმის მრეწველობისათვის და სარეწაო კოოპერაციის საწარმოთათვის, რაც მტკიცე ბაზას შექმნის ფართო მოხმარების საგანთა წარმოების გაფართოებისა-

¹ იხ. Труды отделения Всесоюзного Научно-Исследовательского Института Минерального сырья, выпуск первый, 1938 г.

თვის. სატრიკოტაჟო კომბინატის პროდუქცია 100 მილ. მანეთზე მეტს შეადგენს.

შალეულის მრეწველობის დარგში ნავარაუდევია თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის რეკონსტრუქცია. ამ ფაბრიკის რეკონსტრუქცია ითვალისწინებს რთვის ფრანგული მეთოდის შემოღებას, რაც უზრუნველყოფს მერინოსის ტიპის მატყლის გადამამუშავების შესაძლებლობას. ეს ღონისძიება გამოწვეულია იმით, რომ მესამე ხუთწლედში საქართველოში მეცხვარეობა, მეტიზაციის შედეგად, მოგვცემს უხეში მატყლის ნაცვლად მეტიზირებულ მატყლს, რომლის გადამამუშავება უძნელდება ინგლისური სისტემის მანქანებს. ფრანგული სისტემის მატყლის სართავი მანქანების მოწყობა გაზრდის ფაბრიკის სიმძლავრეს და საშუალებას მოგვცემს დავამზადოთ მაღალხარისხოვანი მატყლის ქსოვილები. ამ ღონისძიების გატარებით შესაძლებელი იქნება ნაცვლად 1.680 ათასი მეტრისა წელიწადში გამოშვებულ იქნას 2.893 ათასი მეტრი შალის ქსოვილი.

მსუბუქი მრეწველობის შემდეგ მნიშვნელოვანი მშენებლობის ობიექტს წარმოადგენს ქუთაისის მინის ქარხანა. ამ ქარხნის მშენებლობა დაწყებული იყო 1935 წ., ხოლო 1938 წ. იგი კონსერვირებულ იქნა. მესამე ხუთწლედში ნავარაუდევია ქარხნის დასრულება და ექსპლოატაციაში გადაცემა. ამ ქარხნის სანედლეულო ბაზას წარმოადგენს სურამის კვარცის სილა, ხოლო სათბობი ბაზაა ტყიბულის ნახშირი. ქარხნის პროფილი განსაზღვრულია ძირითადად ბოთლებისა და საკონსერვო ტარის დამზადებით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, თუ რა დიდი როლენობით შემოგვაქვს აშუაად საქართველოში ბოთლები და საკონსერვო მინის ტარა საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან, ნათელი გახდება, რა დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ქუთაისის ქარხნის მშენებლობას.

13. სატყეო მრეწველობა

სატყეო მრეწველობის დარგში მესამე ხუთწლედში ექსპლოატაციაში გადავიდა (1939 წ.) ენგურის ქალაქის კომბინატი, რომელიც შექმნილია ზემოსვანეთის ტყის მასივების ბაზაზე. კომბინატი წელიწადში გამოიმუშავებს 11 ათას ტონა უმაღლესი ხარისხის ქაღალდს.

ჩატარებულია მუშაობა ახმეტის წიფლის მასივის სამრეწველო ათვისებისათვის; ამ მასივის ბაზაზე მესამე ხუთწლედში აიგება ახმეტის ხე-ტყის ქარხანა, რომელიც მიაწვდის საკავშირო მანქანათმშენებლობას წიფლის მასალას ცალკეული დეტალების დასამუშავებლად (ქარხნის პირველი რიგის სიმძლავრე — ერთი ჩარჩო უკვე 1939 წ. შევიდა ექსპლოატაციაში).

თბილისში დაპროექტებულია საავეჯო ფაბრიკის მშენებლობა; არსებულ საავეჯო წარმოებათა პროდუქცია ვერც რაოდენობის მარც და ვერც თავისი ასორტიმენტით და ხარისხით ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას. ავეჯის წარმოების ასეთი მდგომარეობა იწვევს საქართველოში ავეჯის შემოტანის საჭიროებას სსრ კავშირის ცენტრალური რაიონებიდან. მეორე საავეჯო ფაბრიკის აგება ნავარაუდევია ქ. სუხუმიში. დაპროექტებულია სამშე-

ნებლო დეტალების წარმოება და აგრეთვე საფანერო საამქროები, რომელნიც უზრუნველყოფენ საავეჯო წარმოებას მათთვის საჭირო თანერით.

სამრეწველო მშენებლობასთან ერთად მესამე ხუთწლეულში ნავარაუდევია დიდი მუშაობის ჩატარება ტყეების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (ტყეების გაწმენდა, ზომები მათი ბუნებრივი აღდგენისათვის და სატყეო-კულტურული სამუშაოები); განზრახულია ახალი სატყეო კულტურების გაშენება, განსაკუთრებით ძვირფასი და სწრაფმზარდი ჯიშებისა, როგორცაა: ევკალიპტი, კანადის ალვის ხე, თეთრი აკაცია, კორპის მუხა და სხვ.

* * *

ასეთია მესამე ხუთწლეულში სამრეწველო მშენებლობის მთავარი პერსპექტივები საბჭოთა საქართველოში. ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის პროგრამის შესრულებისათვის არსებობს ყველა პირობა. ის უდიდესი მზრუნველობა, რომელსაც იჩენს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხებისადმი მშრომელთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი, უტყუარი პირობაა გვემის შესრულებისა.

საქართველოს პარტიული და უპარტიო ბოლშევიკები, მკიდროდ დარაზმულნი ბოლშევიკური პარტიის გარშემო, სოციალიზმის მესაჰის, დიდი სტალინის გარშემო, სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში თავისი დაუღალავი შრომითა და თავგამოდებით მაღალხარისხოვნად შესრულებენ მესამე ხუთწლეულის ისტორიულ ამოცანებს.

ა. შირსხალაიშვილი

თბილისის ამქრების 1865 წლის გაშოსვლის
ისტორიისათვის*

ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში და ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოებში, რომელნიც არსებობდნენ აქ რუსეთის მიერ მათი დაპყრობისა და ცარიზმის მიერ ამიერკავკასიის კოლონიების შემდგომი თანხმდევრობითი „ათვისების“ პერიოდში, ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი და გამოკვლეული. კერძოდ, ნაკლებად არის გამოკვლეული საკითხი ხელოსანთა მდგომარეობის შესახებ ამიერკავკასიის ქალაქებში, ეგრეთწოდებულ ამქართა წარმოშობა ხელოსანთა შორის, მათი როლი ქალაქების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და ადგილობრივი მრეწველობის განვითარებაში და სხვ. ნაკლებად არის შესწავლილი ამქრობა თვით ისეთ დიდ საქალაქო ცენტრში, როგორც იყო ამიერკავკასიაში თბილისი, სადაც ამქრებმა მიიღეს განსაკუთრებულად მტკიცედ დამკვიდრებული და მკვეთრად ჩამოყალიბებული სახე. ამ სახის შენარჩუნებას ისინი დაჟინებით ცდილობდნენ XIX საუკუნის სამოციანი წლების რეფორმებამდე, რომლებიც გატარდა ამიერკავკასიის ქალაქების მართველობაში. ამქრული ინსტიტუტის ნაშთებს თბილისის ხელოსანთა ცხოვრებაში ჩვენ ვხვდებით თითქმის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში.

ამასთანავე, თბილისის ამქრების ცხოვრება, ურთიერთობა მათ შორის, მათი დამოკიდებულება ხელისუფლებასთან და ამ უკანასკნელის მიერ თბილისში დაარსებულ ქალაქის გამგეობასთან, ამქრების ბრძოლა თავის ტრადიციულ უფლებათათვის, მათი მონაწილეობა მასობრივ გამოსვლებში ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, ფენებად დაშლის მზარდი პროცესი თვით ამქრების წიაღში და ადგილობრივი ხელოსნური წარმოების თანდათანობითი დაცემა მას შემდეგ, რაც რუსეთის კაპიტალიზმმა ჩაითრია ამიერკავკასია საქონლის მსოფლიო ბრუნვაში და „აშანდაკებდა (нивелировала) მის ადგილობრივ თავისებურობას, — ძველებურ პატრიარქალურ კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა თავის ფაბრიკებისათვის ბაზარს“¹ — ყველა ეს საკითხი მეტად საინტერესოა და საგნებით შესწავლელია.

* წინამდებარე გამოკვლევა, ადგილის სიმცირის გამო, იბეჭდება შემოკლებული სახით.
¹ ლენინი, ტ III, გვ. 575.

არსებული გამოკვლევანი ამქრების შესახებ, ბურჟუაზიული პროფესორის ე. ი. ეგიაზაროვის¹ ვრცელი და ფრიად დაწერილებითი, მაგრამ, სამწუხაროდ, საკმარისად მოძველებული შრომისა და ზ. ჭიჭინაძის² პატარა წიგნაკის გამო- ნაკლისით, კმაყოფილებიან უმეტეს შემთხვევაში ოფიციალური მოსახსენებელი ბარათებით ამქრების შესახებ (ამ ბარათების მთავარი მიზანი იყო ინფორმა- ციის მიწოდება ამქრების ინსტიტუტის შესახებ კავკასიის უმაღლესი ხელისუფ- ლებისათვის იმ ხანაში, როდესაც მთავრობა აყენებდა ამქრების ბედილობის საკითხს)³. არის აგრეთვე საჟურნალო წერილები და ცალკე შენიშვნები ამიერ- კავკასიის პერიოდულ პრესაში, უმთავრესად გაზეთ „Кавказ“-ში და სხვა ადგი- ლობრივ პრესაში. რევოლუციის წინადროინდელ გამოკვლევათა უქვეელი სილა- რიბე და აშკარა ცალმხრივობა ამქრების საკითხში სავსებით გასაგები გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ცარისტული კოლონიების ისტორიის წყა- როების პუბლიკაცია რევოლუციამდე შეზღუდული იყო და აუცილებლობით ემორ- ჩილებოდა რუსეთის თვითმპყრობელობის დაკვეთის მოთხოვნილებებს. როგორც ცნობილია, მეფის მთავრობა ხელს არ უწყობდა კვლევაძიებას კოლონიურ ხალხ- თა ისტორიაში და ითმენდა მხოლოდ ისეთ გამოკვლევას, რომლის მიზანიც იყო რუსეთის ცარიზმის სამხედრო-ფეოდალური ექსპანსიის გამართლება და დასა- ბუთება.

წინამდებარე გამოკვლევა არ ჩემულობს მოგვცეს თბილისის ამქართა ამო- მწურავი ანალიზი. ავტორი ამ ნარკვევში მიზნად ისახავს დეტალურად აღადგი- ნოს და მეცნიერულად გააშუქოს თბილისის ამქართა ცხოვრების თითქმის სრუ- ლიად გამოუკვლეველი და მეტად საინტერესო პერიოდი, რომელიც წარმოად- გენს ამქართა თავისუფლებისათვის მრავალწლიანი ბრძოლის დამავიწვინებელ აკორდს, და რომელიც თავდება მეტად მნიშვნელოვანი გამოსვლით თბილისში 1895 წლის ივნისში.


1865 წ. თბილისში მომხდარი ივნისის ამბები ოფიციალურად შეფასებულ იქნა როგორც „ამქრების ჯანყი“. მაგრამ ამ ჯანყში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო ამქრებში გაერთიანებულმა თბილისის ხელოსნებმა და წვრილმა ვაჭ- რებმა. როგორც ჩვენ შემდეგში დავინახავთ, ამ გამოსვლამ მოიცვა არა მარ- ტო ქალაქ თბილისის ხალხის ფართო მასები. „ჯანყის“ ჩასაქრობად მეფის მთავრობა იძულებული იყო შემოეღო საალყო წესები და მიემართა შეიარაღე- ბული ძალისა და ცეცხლსასროლ იარაღისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა ალა- მინის მსხვერპლი. იყვნენ დაჭრილებიც და დახოცილებიც.

1865 წლის ივნისის ამბების აღდგენისა და გაშუქებისათვის ერთერთ წყა- როდ, უდაოდ, უნდა ჩაითვალოს, თბილისის ქალაქის გამგეობის ის საქმეები,

¹ Городские цехи. Организация и внутреннее управление закавказских ам- карств. Казань. 1891 г. (Кн. XIV, вып. 2. Зап. Кавказского отдела Рус. Геогр. Об- ства).

² ზ. ჭიჭინაძე, „ამქრების ეპოქა“.

³ ასეთი ბარათების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, უპირველეს ყოვლისა, ახვერდოვის გა- მოკვლევა: „Тифлиссские амкарства“. ეს ბარათი შედგენილი იყო 1856 წ. ამიერკავკასიის მეფის ნაცვლის თავ. ბარიატინისათვის, ხოლო 1883 წელს გამოცემულ იქნა ცალკე წიგნად თბილისში.



რომლებიც ამ ამბებს შეეხებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საბუთები დაიწვა 1875 წ. ხანძრის დროს, როდესაც ცეცხლში დაიღუპა თბილისის ქალაქის გამგობის არქივი. ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით დავკმაყოფილებულიყავით საქ. სსრ ცენტრალურ არქივში დაცული გამოუქვეყნებელი მასალებით, თბილისის რუსთაველის მუზეუმის ხელნაწერებით და ყველა დღემდე დაბეჭდილი დოკუმენტით, მოგონებით და სხვა ამგვარი მასალით (რუსულ და ქართულ ენაზე) ¹.

დასახელებული წყაროები შესაძლებლობას გვაძლევს საკმარისი სიცხადით და საჭირო დეტალებით აღვადგინოთ ქ. თბილისში 1865 წლის 26—28 ივნისში მომხდარი ამბები. ხოლო იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ ეს ამბები და საგნებით ობიექტურად გავაშუქოთ იგი, უნდა გავითვალისწინოთ ის თავისებური ისტორიული პირობები, რომლებშიც ეს ამბები მომწიფდა და დატრიალდა ². ამისათვის აუცილებელია წინასწარ მოკლედ გავეცნოთ თბილისის ამქრების ინსტიტუტსა და ამ ამქრების მდგომარეობას 1865 წ. ივნისის დღეების წინახანებში.

I

1799 წელს, იმ მომენტისათვის, როდესაც რუსეთმა განახორციელა საქართველოს სამხედრო ოკუპაცია, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მისი ანექსიაც, ყოფილი სატახტო ქალაქი თბილისი, მიუხედავად 1795 წელს აღამაჰმად-ხანის ურდოებისაგან გადატანილი უსაშინლესი დარბევისა, იყო საკმარისად დიდი სავაჭრო-საბრუნველო ცენტრი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიის მხარეში. ხელოსნური წარმოება თბილისში მეტად იყო გავრცელებული და ხელოსანთა წოდება წარმოადგენდა თბილისის მოსახლეობის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს. გენერალ ლახარევის მიერ საქართველოს მთავარსარდლის გენერალ კნორინგისათვის 1801 წ. 8 მარტს მიწერილ წერილში გვხვდება მითითება, რომ თბილისის „ხელოსნებს ქალაქში თავისუფლად ცხოვრების გარ-

¹ აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს: 1) საქ. ს. ს. რ. ცენტრალური არქივის განსაკუთრებულ საქმეთა ფონდი № 87 ს. ს. 138, 160 და 165; საქ. № 2458 1848 წ. „Отчет начальников Закавказских губерний“; Д. № 2—1865 г. „Департамента судебных дел главн. управл. наместн. Кавказа“; საქ. № 215 „Восстание амкар. в Тифлисе“ в 1865 г.; 2) რუსთაველის მუზეუმის ხელნაწერების ფონდი თბილისში. ს. № 2471, 2503, 2838; 3) თბილისის მუნიციპალური მუზეუმის არქივი, საქ. № 97; 4) სომხეთის არქივი, საქ. № 594—1892 წ. ლიტერატურის სექტორის, ახვერდოვის ფონდი (ხელნაწერი № ^{4937—12} 399):

5) თანამედროვეთა გამოქვეყნებული მოგონებანი და სხვა, ყოველ ცალკე შემთხვევაში ჩვენს მიერ ციტირებული მასალები და წერილები ამქართა „ჯანყის“ შესახებ, მათ შორის: რიონელის (ს. ნიკოლაძის) წერილი დაბეჭდილი 1865 წ. „Колокол“-ში, რომელსაც ლონდონში გერცენი სცემდა. „ჩემი ცნობრება“—პროფ. პ. მელიქიშვილის მოგონებანი („ქართული მწერლობა“, 1927 წ. № 5), ფ. მახარაძე, „Грузия в XIX ст.“ (Заккнига-ს გამოცემა, 1933 წ.) და სხვ.

² შეად. მარქსი და ენგელსი. წყაროები. პარტგამომცემლობა, 1932 წ. გვ. 311 (რუს. ; ლენინი, თხზ., ტ. XVII, გვ. 431—432.

და არავითარი სხვა უფლება არ გააჩნიათ. ეს არის კლასი ყველაზე უფრო დიდი, დაყოფილი ამქრებად და კარგი შეძლების პატრონიც¹.

მაგრამ მით არ ჰქონდათ არავითარი უფლება, დაწესებული და განმტკიცებული დაწერილი კანონებით. ამასთანავე ყოველი წვრილი საქონლის მწარმოებელი, როგორც ლენინი წერს, „გაძნობს, რომ მისი ინტერესები, წინააღმდეგ დანარჩენი საზოგადოების ინტერესებისა, ითხოვენ ამ მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნებას და ამიტომ ეშინია მას კონკურენციის“². ამიტომ თბილისის ხელოსნებიც, როგორც წვრილი საქონლის მწარმოებელი, უკვე იმ დროს მიმართავდნენ ყოველგვარ საშუალებას, როგორც პირადად, ისე კოლექტიურად, რომ შეეჩერებიათ კონკურენცია, რომ „არ შეეშვათ“ მეტოქეები თავის რაიონში, რომ განმტკიცებიათ თავისი, ე. ი. წვრილ მეურნეობათა უზრუნველყოფილი მდგომარეობა, რომელთაც მყიდველთა გარკვეული წრე ჰყავთ³. XIX საუკუნის დასაწყისში თბილისის ხელოსნებს ახასიათებს არა მარტო ამქრული სულისკვეთება, არამედ მტკიცედ ჩამოყალიბებული ამქრული ორგანიზაციაც—დაყოფა ამქრებად. ამქარი კი, როგორც მარქსი განმარტავს, არის გარკვეული სპეციალობის ხელოსნების კავშირი ფეოდალურ ქალაქში⁴.

ჩვენ არა გვაქვს განზრახული ვიკვლიოთ საუკუნეთა სიღრმეში მომხდარი ამბები და სრულიად განზე ვტოვებთ საკითხს ამქართა წარმოშობის დროის შესახებ თბილისსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში. არ ვეხებით აგრეთვე საკითხს—იყო თუ არა ხელოსანთა გაერთიანების ეს ინსტიტუტი წმინდა ადგილობრივი წარმოშობის, თუ ის წარმოიქმნა საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებში არსებული მსგავსი ინსტიტუტების გავლენით (ამქრები არსებობდა, მაგ., ირანში, სადაც ეს ინსტიტუტი შეიძლება გადმოღებულიყო ეგვიპტედან, ოსმალეთში და სხვ.)⁵, მაგრამ ერთი უდაოდ უნდა ვცნათ, სახელდობრ ის, რომ ამქრების წარმოშობი მიზეზები საქართველოში იყო იგივე, როგორც ხელს უწყობდა ამქრების წარმოშობას ყველა სხვა ფეოდალური წყობილების სახელმწიფოში. ამ მიზეზების მოკლე, ნათელ და სრულ კლასიკურ განმარტებას იძლევა მარქსი, როდესაც გამოსთქვამს თავის შეხედულებას საამქრო წყობილების წარმოშობის შესახებ. „შეკავშირების აუცილებლობა გაერთიანებულ ყაზალურ თავადაზნაურობის წინააღმდეგ, საერთო საბაზრო შენობების მოთხოვნილება იმ ეპოქაში, როდესაც მრეწველი ამავე დროს ვაჭარიც იყო, კონკურენციის ზრდა აყვავებულ ქალაქებში ჩამოსულ გამოქცეულ ყმების მხრივ, მთელი ქვეყნის ფეოდალური წყობილება—ყოველივე ამან წარმოშვა ამქრები“⁶.

¹ კავკასიის არქეოგრაფ. კომის. აქტები. ტ. 1, № 419, გვ. 330—331, თბილისი, 1866 წ. რუსულად.

² ლენინი, ტ. III, გვ. 318.

³ იქვე, გვ. 318—319.

⁴ Маркс и Энгельс, „Немецкая идеология“, გვ. 14.

⁵ ამის შესახებ იხ. შესავალი პროფ. ვეიზაროვის გამოკვლევისა: „Городские цехи“, გვ. XXII—XXIV და სხვ.

⁶ მარქსი და ენგელსი, „Немецкая идеология“, გვ. 14—15.

სხვაგვარად არ შეიძლება იქნას განმარტებული თბილისის და საერთოდ ამიერკავკასიის ამქრების წარმოშობა. მათი წარმოშობის ახსნის ის ცდა, რომლის მიხედვითაც ამქრული ინსტიტუტი არის შედეგი მთელი რიგი რთულ სპეციალურ ფაქტორებისა, როგორც, სხვათა შორის, ფიქრობს, პროფ. ეგიაზაროვი¹, მხოლოდ აბუნდოვანებს საკითხს. ეს გარემოება ჯერ კიდევ 1850 წ. შეიგნო ერთმა ანონიმურმა ავტორმა, რომელიც ცდილობდა აეხსნა თბილისის ამქრების წარმოშობის მიზეზები და არკვევდა ამ საკითხს მოავრობის ოფიციალური „Кавказ“-ის ფურცლებზე. ამ ხელმოუწერელ წერილში, „თბილისის ხელოსანთა შესახებ“, ავტორი თბილისის ამქრების გამოკვლევის შედეგად თითქმის იმეორებს მარქსის აზრებს, როდესაც მსჯელობს ამქრების წარმოშობის მიზეზების შესახებ. „ქალაქის მცხოვრებლები, —წერს იგი, —რაკი გრძნობდნენ თავის არარაობას და უძღურებდას ძღვეამოსილ ფეოდალებთან შედარებით, ცდილობდნენ გაერთიანებულიყვნენ ცალკე საზოგადოებებად. ეს საზოგადოებანი დაკავშირებული იყვნენ ერთმანეთთან სხვადასხვა დადგენილებებით, რათა რაიმე გავლენა მიენიჭებიათ თავისი წოდებისათვის და შესაძლებლობა ჰქონოდათ უფოთიერ პირობებში წინააღმდეგობა გაეწიათ არისტოკრატებისათვის“².


მართლაც, თუ ჩვენ ყურადღებით შევისწავლით ამიერკავკასიის ამქრების ორგანიზაციისა და შინაკანი მართველობის დაწვრილებით აღწერას, როგორც ეს არის მოცემული თუნდაც პროფ. ეგიაზაროვის გამოკვლევაში, და გამოვიკვლევთ შემდეგ ცალკე დეტალებს თბილისის ამქრების ცხოვრებიდან, ფიქსირებულს ოფიციალური პირების³ მიერ შედგენილ ამქრების ინსტიტუტის დოკუმენტალურ აღწერებში, აღმოჩნდება, რომ თბილისის ამქრები საერთოდ არ წარმოადგენენ არსებითად განსხვავებულს დასავლეთ-ევროპის ამქრებისაგან.

როგორც დას. ევროპის ქალაქების ამქართა დაწერილი სტატუტები, ისევე თბილისის ამქრების დაუწერილი, მაგრამ მტკიცედ დადგენილი ჩვეულებანი აუცილებლად ისახავდნენ ერთსადაიმევე მიზანს — მოეწყოთ ფეოდალური წარმოება და დაეცვათ წვრილი მწარმოებელი. როგორც ცნობილია, ამქრების სტატუტები წვრილი მწარმოებლის ინტერესების სასარგებლოდ აწესრიგებდნენ სამუშაო დაზგების რაოდენობას და იმ ქარგლებისა და შევირდების რიცხვს, რომელიც შეიძლებოდა ჰყოლოდა ერთ ოსტატს, მის მიერ დასამუშავებელი ნედლეულის შექმნის საშუალებას, ნაკეთობათა რაოდენობას და გაყიდვის ადგილს და ხშირად ფასებსაც; საწარმოო პროცესის დეტალებს და სხვ. დასახული მიზნის მისაღწევად ამქრები მკაცრად იცავდნენ პრინციპს, რომლის მიხედვით ყველა, ვინც კი ეწეოდა ამათუიმ ხელობას, უნდა ყოფილიყო გაერთიანებული

¹ ციტირ. გამოკვლევის შესავალი, გვ. XXI.

² გაზეთი „Кавказ“, 1850 წ. № 95.

³ ვინაიდან თბილისის ამქრებს არ გააჩნდათ არავითარი დაწერილი სტატუტები, ამიტომ დასაშვებია მიემართოთ დასახელებულ ოფიციალურ აღწერებს, როგორც ამქრულ უფლებების თავისებურ ბარათებს ან დაწერილ სტატუტებს, რომლებსაც დას. ევროპაში ჩვეულებრივად ადგენდა ქალაქის ხელისუფლება ან თვით ამქრები, ხოლო შემდეგ ამტკიცებდნენ ქალაქის საბჭოები.



შესატყვის ამქარში, და დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდნენ ამქრის გარეშე დარჩენილ წარმოებასთან. ამქრები აწესრიგებდნენ თავისი წევრების არა მარტო ეკონომიურ საქმიანობას, არამედ მათი ცხოვრების- დანარჩენ მხარეებსაც, უმთავრესად საზოგადოებრივ ურთიერთობას. ამავე დროს ისინი საქირო შემთხვევებში დახმარებას უწევდნენ ამქრის წევრებს. ყოველ ამქარს ჰყავდა თავისი მფარველი (რომელიმე თაყვანცემული საეკლესიო წმინდანი), თავისი ღერბი და დროშა (მასზე ჩვეულებრივად გამოხატული იყო მფარველი), ხოლო საქალაქო ლაშქრის ორგანიზაციის დროს ამქარი ცალკე ადგენდა თავის სამხედრო რაზმს.

ყველა ამ ტიპიურ ნიშანს, მეტად თუ ნაკლებად გამოხატულს, ჩვენ შევხვდებით თბილისის ამქრებთანაც. ყოველი ამქარი 'ერეოდა მასში გაერთიანებული წევრების არა მარტო ეკონომიურ საქმიანობაში, არამედ მათი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში და კერძო ცხოვრების ბევრ საქმეშიც.

ამქრების წევრთა მოქმედების ურთიერთკონტროლისა და ხელოსნების მიერ დამზადებული საქონლის ადვილად გასაღების მიზნით, და აგრეთვე ფისკალურ მოსაზრებითაც, ამქრის წევრებს შორის, როგორც სახელმწიფო, ისე საქალაქო გადასახადისა და ყოველგვარი ბეგარის განაწილების უკეთესად მოწესრიგებისათვის ხელობის ან ვაჭრობის ყოველი დარგი ჩვეულებრივად თავმოყრილი იყო განსაკუთრებული ქარვასლის ზუსტად განსაზღვრულ რიგში, ქალაქის გარკვეულ ბაზარზე, ქუჩაზე ან შუკაში (აქედან წარმოსდგება სავაჭრო რიგების, ქუჩების, შუკებისა და ზოგიერთი მოედნის სახელწოდება თბილისში, როგორც, მაგალითად, მეწაღეთა რიგი, ბამბის რიგი, ღვინის აღმართი, ნახშირის, სამეთუნეო ქუჩა, ოქრომჭედლის შესახვევი, ბზის მოედანი და სხვ.).

კონკურენციის მოსასპობად და ეკონომიური თანასწორობის დასაცავად ამქრების წევრთა შორის ხშირად მიმართავდნენ აუცილებელ ნედლეულისა და სხვა საქონლის შეერთებულ დამზადებას და შეყიდვას თავის წევრთა საქიროებისათვის და შემდეგ ნაყიდს ანაწილებდნენ წილის ყრის წესით¹.

ამქრები თავის ამორჩეულ წარმომადგენლების (უსტაბაშების) მეშვეობით აწესრიგებდნენ თავისი წევრების ნაკეთობათა ხარისხს, სასტიკად სდევნიდნენ უვარგისი პროდუქციის გაყიდვისათვის, თვალყურს ადევნებდნენ ზომისა და წონის სისწორეს, ადგენდნენ არა მარტო თავის ნაკეთობათა გასაყიდ ფასების ნიხრს, არამედ, ბაზრის მამასახლისებთან ერთად, აწესრიგებდნენ ქალაქის ბაზარზე მოტანილ პირველი საქიროების პროდუქტების ფასებსაც.

ამქრებს ჰქონდათ ურთიერთდამხმარე საღაროები, საიდანაც ისინი აღწევდნენ სესხსა და დახმარებას თავის გაჭირვებულ და დაზარალებულ წევრებს. ამქარის წევრის სიკვდილის შემთხვევაში მთელი მისი ოჯახი ამქრის მფარველობის ქვეშ გადადიოდა. უკანასკნელი თავის ხარჯზე ზრდიდა გარდაცვლილის ვაჟიშვილებს, ხოლო ქალიშვილებს გათხოვებისას მზითვს უწყობდა. როდესაც ცარიზმის დროს რაიმე დანაშაულისათვის სასჯელად შემოიღებულ

¹ საქართველოს სახელმწ. მუზეუმი. ხელნაწერების ფონდი, ს. № 2838, გვ. 43—44. Ахвердов, „Тифлисские амкары“, გვ. 22.

იქნა სხვა სასჯელთან ერთად გადასახლება ციმბირში და სხვა შორეულ ადგილებში, გადასახლებული წევრის ოჯახი იღებდა ამქრების სალაროდან, მემკვიდრის სრულწლოვანების შესრულებამდე ან გადასახლებულის დაბრუნებამდე, გარკვეულ დახმარებას¹. თავისი ამხანაგის დაკრძალვის დროს ამქრის ყველა წევრს გლოვის ნიშნად უნდა დაეხურა თავისი სახელოსნო და ღუქანი და მონაწილეობა მიეღო დაკრძალვაში.

ამქრები ემსახურებოდნენ თავისი წევრების მოთხოვნილებებს სარწმუნოებრივი კულტის მხრივაც. ყოველ ამქარს ჰყავდა თავისი „პატრონი ცისათა“ (phiri), რომელიმე თავყვანციემული საეკლესიო წმინდანის სახით. ყოველწლიურად ამ წმინდანის სადღესასწაულო დღეს ამქარი მართავდა თავის კორპორაციულ დღესასწაულს². ამქრებს ჰქონდათ თავისი დროშები, რომლებზეც უმთავრესად გამოხატული იყო ან ამქრის „ცისათა“ მფარველი ან რომელიმე ამბავი დაბადებიდან, დაკავშირებული გადმოცემით ამათუიმ ხელობის წარმოშობასთან აღმინათა შორის. ამ დროშებით ამქრები გამოდიოდნენ ქალაქის ყველა სახეიმო პროცესიაში, მათი პროფესიული დღესასწაულის დღეებში ან თავისი წევრების დაკრძალვისას. ამავე დროშებით გამოდიოდა აგრეთვე ომის დროს ამქრების მიერ მთავრობის მოწოდებით შეზღვენილი სახალხო ლაშქარიც.

ამქრების შიგნით არსებობდა საკუთარი სოციალური იერარქია, ამსახველი ფეოდალური საზოგადოების იერარქიისა, იმავე დასავლეთ-ევროპის ამქრებისათვის ტიპური საფეხურებით: 1) შევირდი, 2) ქარგალი და 3) ოსტატი. ის პატრიარქალური წყობილება და წმინდა ოჯახური დამოკიდებულება, რომელსაც ეყრდნობოდა ოსტატისა და მისი ქარგლების და შევირდების ურთიერთობა, საფუძველს აძლევდა ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს ჩვეულებრივად დაეხატათ ამქრებად გაერთიანებული ხელოსნური წრის იდილიური კეთილდღეობის სურათები. სინამდვილეში კი თბილისის ამქრების წყობილებაც ისე, როგორც ყველგან ამქრული წესი, ქარგლებისა და შევირდების ყველაზე უფრო ფართო და თითქმის უკონტროლო ექსპლოატაციის შესაძლებლობას აძლევდა ოსტატს. ქარგლებს და შევირდებს უნდა ემუშავათ არა მარტო სახელოსნოში, არამედ მათ სრული მომსახურება უნდა გაეწიათ ოსტატის ოჯახისთვისაც. ყოველგვარი ურჩობისათვის ოსტატი მიმართავდა „მამობრივ“ დარიგებას და ხშირად ცემასაც, ზოგჯერ მეტად შეუბრალებელს³. ფორმალურად ყოველი ამქრის ტრადიცია აწესებდა შევირდის მიერ სტაჟის დამთავრების ვადას და იმ აუცილებელ ცოდნასა და ჩვევებს გარკვეული სპეციალობის საგნების დამზადებაში, რომლებსაც უნდა დაუფლებოდა ქარგალი იმისათვის, რომ გადარიცხულიყო ოსტატთა რიგებში. მაგრამ, სინამდვილეში, პატრიარქალური წყობილება და ის გარემოება, რომ თვალყურის დევნება ამქრული ტრადიციების შესრულებისათვის მინდობილი ჰქონდათ ოსტატების მიერ შერჩეულთ, ხოლო ეს უკანასკნელნი კი, რასაკვირველია, ზრუნავ-

¹ იქვე, საქმე № 2503, გვ. 19, ახვერდოვი, გვ. 9.

² ვგიაზაროვი, გვ. 209; ახვერდოვი, „Тифл. амкары“, გვ. 9—11.

³ ვგიაზაროვი, გვ. 74.


დნენ ყველაზე უფრო თავის ამომრჩეველთა ინტერესების დასაცავად, სტოვებ-და შევირდნაც და ქარგალსაც ოსტატის კეთილი სურვილის ანაბარად. ამქრის უფროსნი იყვნენ: უსტაბაში (ამქრის თავი, უფროსი), აგსახკალი (უფროსის თანამემწე, ეს სიტყვა ნიშნავს სიტყვა-სიტყვით „თეთრ წვერს“—„მონხუსცა“), იგიღბაში (შიკრიკი ანუ შემსრულებელი) და ხაზინადარი. ჩამოთვლილ მოვალეობათა შემსრულებლები უნდა აერჩია ამქრის სრულუფლებიანი წევრების საერთო კრებას, ხოლო ასეთებად ითვლებოდნენ მხოლოდ ხელოსნური იერარქიის უმადლეს საფეხურს მიღწეულნი, ე. ი. ოსტატნი. ოსტატების საერთო კრებებზე, იყო ეს კრებები მოწვეული თანამდებობის პირთა არჩევის მიზნით, გადასახადებისა და ბეგარის გასახანწილებლად, ამქრის შინაგანი განწყობის დასადგენად; თუ რაიმე სხვა მიზნით, ქარგლებსა და შევირდებს მონაწილეობის მიღება არ შეეძლოთ. აქედან ცხადია, თუ ვისი ინტერესები უნდა დაეცვათ უპირატესად ამქართა მმართველ ორგანოებს და მათ უმადლეს ორგანოს, ყველა ამქრის საქმეთა ხელმძღვანელს, ყველა უსტაბაშისა და ყველა აგსახკალის საერთო კრებას მუდმივი არჩეული თავმჯდომარით (ზოგიერთ ქალაქში)—უსტაბაშთა უსტაბაშით¹. ამ არჩეულ მმართველ ორგანოების უპირველეს მოვალეობას შეადგენდა შემდეგი მთავარი ამოცანების შესრულება: ამქრის საერთო ინტერესების დაცვა, დაცვა ამქრების ცალკეულ წევრთა (ოსტატების) ინტერესებისა და მხოლოდ უმადლესი მეთვალყურეობა, თუ როგორ „მამობრივ“ მზრუნველობას უწევს ოსტატი მის სრულ მორჩილებაში მყოფ, მატერიალურად მისგან დამოკიდებულ და არსებითად ყოველგვარ უფლებაწართმეულ ქარგლებსა და შევირდებს. დასასრულ, მათი აუცილებელი მოვალეობა იყო აკრეთვე ამ უკანასკნელთა შორის ოსტატისადმი უხმო მორჩილების ჩანერგვა.

ეკლესია, რომელიც ყოველთვის დაკავშირებულია ექსპლოატატორთა კლასებთან სახელმწიფოსთან, კურთხევას ანიჭებდა და იცავდა თბილისის ამქრების პატრიარქალურ წყობილებას. ეკლესიის მსახურნი (უფრო ხშირად სომეხი ტერტერები, რადგან, როგორც შემდეგში დავინახავთ, თბილისის ამქრების წევრები უმეტესად ეროვნებით სომეხები იყვნენ) თავის დარიგებებში სარწმუნოებრივი ცერემონიების დროს საამქრო დღესასწაულებზე, ქარგალის ოსტატად „კურთხევის“ დროს, თუ სხვა ამგვარ ზემოზე, ყოველთვის, რასაკვირველია, ქადაგებდნენ, რომ ქარგლები და შევირდები აუცილებლად უნდა ემორჩილებოდნენ და ასრულებდნენ თავისი მბრძანებელი ოსტატის, როგორც „კეთილის“, ისე „უჯათის“ ყველა სურვილს. ამასთანავე ისინი ანუგეშებდნენ მათ, რომ დაუმსახურებელი წყენისა და შეურაცხყოფისათვის დაზარალებული დაჯილდოებულ „იქნებოდა დასუფეველსა ცათა“.

ასეთია ზოგადად თბილისის ამქრების შინაგანი წყობილება. როგორც ვხედავთ, ის მეტისმეტად უახლოვდება დასავლეთ-ევროპის ამქრების ტიპურ წყობილებას². ამ მსგავსებით არის პირობადებული, სხვათა შორის, ის გარე-

¹ საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 160, საქ. № 231, გვ. 71—72, 48, 153 და სხვ.

² ამქარში მიღების პირობებზე, ამქრების შემადგენლობაზე და ამქრულ წყობილებაზე მეტად დაწვრილებითი ცნობები (დასავლეთ-ევროპის ამქრების წყობილებასთან დაპირისპირებით) მოცემული აქვს პროფ. ვიკატორის მისი გამოკვლევის 27—266 გვ.



მოებაც, რომ ამქრული წრის ფენებად დაშლის შინაგანი პროცესის მიზეზები სასებით ემოხვევა დასავლეთ-ევროპის ამქრების ფენებად დაშლის გამომწვევ მიზეზებს. ამის შედეგი იყო ის, რომ მოვლენები, აღნიშნული თბილისის ამქრების შემდგომ ბედ-იღბალში, მრავალმხრივ წააგავს იმ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დას. ევროპის საამქრო ინსტიტუტის ისტორიაში მისი რღვევისა და დაცემის პერიოდში.

მაგრამ გარდა ყველა ამ ხელონურ გაერთიანებისათვის საერთო თვისებისა, თბილისის (ისე, როგორც ამიერკავკასიის სხვა) ამქრებს იმ ისტორიულ თავისებურობათა შედეგად, რომელშიც მიმდინარეობდა მათი ცხოვრება, უნდა ჰქონოდათ, და ფაქტიურად ჰქონდათ კიდევ, მთელი რიგი წმინდა ადგილობრივი თვისებებისა. აუცილებელია წინასწარ გავითვალისწინოთ ეს თვისებები, რათა უფრო სწორად გავაშუქოთ, თუ როგორ მომხადდა და შემდეგ თანდათანობით განვითარდა 1865 წლის 26-28 ივნისს ქ. თბილისში მომხდარი ამბები, ოფიციალურად წოდებული „ამქრების ჯანყად“.

II

თბილისის ამქრებში გაერთიანებული იყვნენ საქართველოს (უფრო სწორად—ქართლ-კახეთის სამეფოს) ყოფილ სატახტო ქალაქის ხელოსნები და ვაჭრები. ეს სამეფო შეადგენდა საქართველოს ოდესღაც უგრეტელესი და ძღვეამოსილი სახელმწიფოს ნაწილს, ოდესღაც ძღვეამოსილის, მაგრამ თავის არსებობის უკანასკნელ საუკუნეებში საბოლოოდ დაუძღურებულის, ერთის მხრივ, კავკასიის ფლობისათვის ერთმანეთთან მეტოქე ოსმალეთისა და ირანის განუწყვეტელი თავდასხმებით, ხოლო, მეორეს მხრივ, საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების საბოლოო ფეოდალიზაციით. ფეოდალიზაციამ გამოიწვია ერთიანი სახელმწიფოს დაქუცმაცება გამუდმებით ერთმანეთთან მებრძოლ მთელ რიგ სამეფოებსა და სამთავროებად. ქართლისა და კახეთის მეფეები ცდილობდნენ ყოველგვარი საშუალებით აღედგინათ ოსმალეთისა და სპარსეთის ურდოების შემოსევითა და შინაბრძოლით აოხრებულ ქალაქებსა და სოფლებში მოსახლეობის ნივთიერი კეთილდღეობა, მრეწველობა და ვაჭრობა. ამისათვის ისინი, სხვა საშუალებათა შორის, ხშირად მიმართავდნენ ყოფილ სომხეთის სამეფოდან გადმოსახლებულ სომეხთა ჩასახლებას განადგურებულ ქალაქებში. ეს სომეხები რეწვენ განეუფლნი სხვადასხვა ხელობაში და მოხერხებულნი სავაჭრო ოპერაციებში. ამ პოლიტიკის შედეგად XVIII საუკუნეში ქართლ-კახეთის ქალაქების და, პირველ რიგში, თბილისის მოსახლეობის მნიშვნელოვან რაოდენობას შეადგენდნენ სომეხები¹. ვაჭრობა და მრეწველობა საქართველოში უმეტესად სომეხების ხელში იყო. „ფლობდნენ რა ფულად კაპიტალს, სომეხი ვაჭრები და მრეწველები ხშირად აძლევდნენ სესხს მეფეებს, სამეფო ოჯახის წევრებს და ფეოდალ მთავრებს სოფლებისა და საქალაქო მიწების საწინდართ, იძლეოდნენ ისინი აკრეფე გადასახლების შემოსავლით უზრუნველყოფილ სესხს სახელ-

¹ მ. ვლადიკინი, იხ. კრებული: „Братская помощь армянам“, მოსკოვი, 2 გამოცემა, 1898 წ., გვ. 553.

მწიფოს საჭიროებებისათვის¹. იმის გამო, რომ თბილისში ხელოსნები და ვაჭრები ეროვნებით უფრო ხშირად სომხები იყვნენ, ამიტომ თბილისის ამქრების თანამდებობის პირებსაც (უსტაბაშებს, აგსახკალებს და სხვ.), ისევე, როგორც რიგითი წევრებს (ოსტატებს), უმეტესად შეადგენდნენ სომხები. ასეთ ეროვნულ უპირატესობას ამქრული იერარქიის უმაღლეს საფეხურზე ბუნებრივად მოსდევდა ის, რომ მის დაბალ საფეხურებზეც, — ამქრების ქარგლებად და შევირდებად, — ქართველები უფრო იშვიათად მიდიოდნენ და მათი რიგების შევსებაც უმთავრესად სომხების ხარჯზე ხდებოდა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, სხვათა შორის, თბილისის ამქრების ოფიციალური მკვლევარის ახვერდოვის მტკიცება, რომ კულტის მომსახურებას სარწმუნოებრივ და სხვ. ცერემონიებში ყოველთვის და აუცილებლად ასრულებდა სომეხი მღვდელი². ჩვენ პირადად ვფიქრობთ, რომ ეს მტკიცება საკმაოდ გადაჭარბებულია. თბილისის ხელოსანთა და წვრილ ვაჭართა შორის, უდაოდ, ყოველთვის გარკვეულ ნაწილს მკვიდრი ქართველი მოსახლეობა შეადგენდა. ამის შესახებ არსებობს ოფიციალური საბუთები, დამადასტურებელი იმისა, რომ ქართველი მემამულენი და მონასტრები თვითონ აგზავნიდნენ თბილისში თავის გლეხებს ხელობის შესასწავლად. ხოლო უკანასკნელები შემდეგში ეწერებოდნენ ამქრებში და ამით აღწევდნენ თავისი მდგომარეობის განმტკიცებასა და მოქალაქის წოდებასაც³. მაგრამ ამქრების ზედა-ფენა, მათი უსტაბაშები და სხვა არჩეული პირნი, ვიმეორებთ, უპირატესად, სომხები იყვნენ.

ის გარემოება, რომ ამქრებს უფლება ჰქონდათ არა მარტო დაედგინათ ხელოსნური წარმოებისა და ამქრების მიერ დამზადებულ ნაკეთობათა გასაღების წესები, არამედ ჩარეულიყვნენ თავისი წევრების საზოგადოებრივ და ოჯახურ ურთიერთობაში, ექმნათ მათ მიმართ სამართალი და სასჯელი და არ მიეცათ ამის ანგარიში თვით ქალაქის მელიქისთვისაც ანუ საქალაქო ძალაუფლების წარმომადგენლისათვის თბილისში⁴, აშკარად ამტკიცებს, თუ ფაქტიურად როგორი ავტონომიით სარგებლობდნენ საქართველოში ქალაქის ხელოსნები და ვაჭრები ქართველი მეფეების დროს. უფლებათა ასეთ გაფართოებას დიდად უწყობდა ხელს ქვეყნის ცენტრალური მთავრობის ხელისუფლების უკიდურესად შერყეული მდგომარეობა, სახელმწიფო შემოსავალთა წყაროების სრული გადატაკება და ის ფაქტი, რომ თანდათანობით მეფეები და ფეოდალები მატერიალურად სულ უფროდაუფრო დამოკიდებული ხდებოდნენ ქართლ-კახეთის ქალაქებში თავმოყრილ ქალაქის ბურჟუაზიისაგან, რაც ასე და-

¹ პროფ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, „Положение армян в Груз. царстве“, კრებული: „Братская помощь армянам“, გვ. 552. მოსკოვი. 1898 წ. 2 გამოცემა; ს. კაკაბაძე, „Крестьянский вопрос и крестьян. движ. в Вост. Грузии в XVIII ст.“ 1930 г. стр. 183—185.

² ა ხ ვ ე რ დ ვ ი, „Тифлиские амкары“, გვ. 11—12.

³ საქ. ც. არქ. „ძველი საბუთების ასლები“, ს. კაკაბაძის დასახ. გამოკ., გვ. 190—191.

⁴ პროფ. ვეიაზაროვის ციტ. გამოკვ. გვ. 284 შეად. პროფ. გ. ნათაძის: „К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII ст.“, გვ. 148.

მხასიათებელია განსაკუთრებით ცარიზმის მიერ საქართველოს დაპყრობის წინა პერიოდისათვის.

როდესაც XVIII საუკუნის დასასრულს ეს დაპყრობა უკვე გადაწყვეტილ საქმედ იქცა და 1801 წელს დაიწყო ცარიზმის მიერ საქართველოს სამეფოს „ათვისება“ და მისი გადაქცევა რუსეთის იმპერიის გუბერნიად, თბილისის ქალაქის მსხვილმა და წვრილმა ბურჟუაზიამ ძალიან ჩქარა გამოარკვია თავისი ორიენტაცია. საქართველოს შეერთება „ქვეყანაზე უფროცელს და უძლიერეს“ იმპერიასთან ფართო პერსპექტივებს უქადდა თბილისის ბურჟუაზიას. ეს პოლიტიკური აქტი, დარიალის ხეობის გზით რუსეთთან უკვე დაწყებულ ვაჭრობის გარდა, უზრუნველყოფდა სავაჭრო ურთიერთობის უმეზროებას ოსმალეთთან და ირანთან ამიერკავკასიის სავაჭრო გზების საშუალებით. საქართველოს ქალაქებში რუსეთის ჯარისა და მოხელეების მნიშვნელოვანი კონტინგენტის მოსვლა ხელსაყრელი იყო არა მარტო მსხვილი ბურჟუაზიისათვის სახელმწიფო იჯარებისა და სხვ. აღების შესაძლებლობის გამო, არამედ წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნებისათვისაც, ვინაიდან მომხმარებლის რიცხვის გადიდებასთან ერთად ქალაქებში უნდა გაზრდილიყო ადგილობრივ ხელოსნური წარმოების პროდუქტების მოთხოვნაც.

ცარიზმს ძალიან კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ თბილისის ქალაქის მსხვილი და წვრილი ბურჟუაზია მის მხარეზე იქნებოდა. ამიტომ ამ კავშირის განსამტკიცებლად ჯერ კიდევ პავლე პირველმა ჩააგონა მეფის ხელისუფლების წარმომადგენლებს საქართველოში, რომ „დაეცვათ შისი (ბურჟუაზიის) პრივილეგიები და დაეინტერესებიათ ბურჟუაზია მათთან დაახლოებით¹.

ალექსანდრე პირველი მიუთითებდა საქართველოს მთავარსარდალს კნორინგს: „განსაკუთრებულად გავალბეთ მიიზიდოთ ყოველგვარი წყალობით სომეხთა ნაკიაო“².

ამის გამო საქართველოს ოკუპაციის პირველი დღეებიდანვე თბილისში თუმცაღა შემოაქვთ რუსული წესები, მაგრამ ვაჭრებისა და ხელოსნების პრივილეგიებს, შემოღებულს ქართველ მეფეთა დროს, ხელუხლებლად იცავენ. მთელი სახელმწიფო შემოსავალი, გაცემული იჯარით ვაჭრებზე ქართველი მეფეების დროს, დატოვებულია უცვლელად, გადახდევინება ხდება ძველებური წესით და თვით იჯარაც ისევ მათ აქვთ შენარჩუნებული³.

თბილისის მოქალაქეებს შერჩათ ყველა პრივილეგია, გათვალისწინებული ვახტანგის კანონის მიხედვით, მათ რიცხვში მამულებისა და გლეხების ყიდვის უფლებაც. ისინი ისევ ძველებურად თავისუფალი არიან პირადი სამხედრო სამსახურისაგან, მათ დაჰპირდნენ აგრეთვე თავისი წოდებრივი სასამართლოს უფლებასაც⁴. ვაჭრებს ნება დართეს ევაჭრათ კაპიტალის გამოუცხადებლივ და გილდიის მოწმობათა შერჩევის გარეშე, ხოლო ხელოსნებს და წვრილ ვაჭრებს უფლება მისცეს ყოფილიყვნენ თავისი „უსტაბაშების“ განკარგულებაში და ამასთანა-

¹ კავკ. არქ. კომ. აქტები, ტ. I, № 522, გვ. 414.

² იქვე, № 548, გვ. 436.

³ იქვე, № 583, გვ. 482.

⁴ იქვე, № 593, გვ. 497.

ნავე სრულიად არ შეხებიან ძველთაგან დაწესებულ ამქრულ ჩვეულებებსა და წესებს¹.

ამგვარად, ქალაქის ბურჟუაზიის მიმართ ტარდებოდა „წყალობისა და დაყვავების“ პოლიტიკა. გარდა ამისა, საქართველოს ოკუპაციის პირველ ათეულ წლების პერიოდში, როდესაც ცარიზმი აწარმოებდა შეტევის ომებს ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ, რუსეთის მთავრობა იძულებული იყო გამოეყენებია ამ მხარის მცოდნე და ცარიზმისადმი კეთილად განწყობილი თბილისის ბურჟუაზია. ყველაფერი ამის შედეგად მოხდა ის, რომ XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში სომხები, როგორც აღნიშნულია ერთერთ იმდროინდელ ოფიციალურ გამოკვლევაში, „დაეუფლენ თბილისისა და მთელი ამიერკავკასიის ტერიტორიას, ისინი ასრულებენ ყოველგვარ დავალებებს, აღებული აქვთ თითქმის ყველა იჯარა, ასრულებენ იქ საკომისარიატო და სპაროვიანტოკომისიების მოვალეობებს. ისინი მთარგმნელებია, მომხსენებლები, ფაქტორები, ერთის სიტყვით, სადაც შესაძლებელია მოგების მიღება, იქ აუცილებლად იმყოფება სომხები“².

მხოლოდ შემდეგში, როდესაც დასრულდა ამიერკავკასიის დაპყრობის პროცესი და ცარიზმმა მაგრად მოიკიდა აქ ფეხი, როდესაც საქართველო და ამიერკავკასიის სხვა პროვინციები გამოცხადებულ იქნა რუსეთის კოლონიად, ცარიზმის პროგრამაში უკვე აღნიშნული იყო, რომ მას მიზნად აქვს: 1) დაეუფლოს ამიერკავკასიის მოხმარებას რუსეთის მრეწველობის სასარგებლოდ (და არ წააქვოს უცხო მრეწველობა, როგორც ამას აქამდე ჰქონდა ადგილი; 2) უკუავდოს უცხოელების მეტოქეობა ირანში რუსეთის ნაწარმოებთა გასაღების საქმეში, ვინაიდან ეს ქვეყანა უფრო მოხერხებულია რუსეთისათვის, და რუსეთის ფაბრიკებს შეუძლიათ გაუძღონ ყოველგვარ მეტოქეობას³. ამის შემდეგ თანდათანობით შეიცვალა პოლიტიკა ადგილობრივი მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის მიმართ, და ამ უკანასკნელთა ჩვეულებაზე დამყარებულმა პრივილეგიებმა ერთი მეორის მიყოლებით დაჰკარგეს ძალა.

¹ შეად. აქტები ტ. VI, ნაწ. II, № 986, გვ. 619 და აგრეთვე ტ. VI, ნაწ. I, № 12, გვ. 9—12 და № 100 გვ. 63. უკანასკნელი ორი დოკუმენტი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან, გარდა სტატისტიკური ცნობებისა თბილისის მოსახლეობის შესახებ 1817 წ., ისინი თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ, თუ როგორ ფართოდ და ბოროტად იყენებდნენ თავის პრივილეგიურ მდგომარეობას მოქალაქეების მაღალი წრეები, განსაკუთრებით გადასახადებისა და ბევარის თბილისის მოქალაქეთა შორის განაწილების საქმეში.

² „Обозрение рос. владений за Кавказом“, СПб 1836 წ., ნაწ. 1, გვ. 198, 199, 279. შეად. აქტები ტ. X, № 71 გვ. 97. მოგვყავს რა ამონაწერები ამ საბუთებიდან, ამასთანავე უნდა დავუმატოთ, რომ მათი ავტორები აუცილებლად აპარბებენ, როდესაც ამბობენ, რომ თბილისისა და მთელი ამიერკავკასიის ნაჭრობა მხოლოდამხოლოდ სომხების ხელში იყო. ის ფაქტი, რომ ყველაზე უფრო მდიდარ მოიჯარადრეთა და მინწოდებელთა შორის ამ დროს იყვნენ ქართველი მოქალაქეები: ხუბალაშვილი, სარაჯიშვილი, აშვარად გვიჩვენებს, რომ სომხები მხოლოდ ჭარბობდნენ საქართველოს სავაჭრო ბურჟუაზიას შორის, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდამხოლოდ სომხები წარმოადგენდნენ მთელ ბურჟუაზიას.

³ აქტები, ტ. VII, № 97, გვ. 169—174, შეად. აგრეთვე პლატონ ხუბოვის „Картини Кавказского края“, სპბ. 1834 წ., გვ. 8.

კოლონიური რეჟიმის პროგრამა ამიერკავკასიაში განსაკუთრებით მკაფიოდ იქნა დამუშავებული ჯერ კიდევ 1830—31 წწ. სენატორების—კუტაისოვისა და მეჩნიკოვის მიერ, რომლებმაც ჩაატარეს ამ მხარის რევიზია. რაც შეეხება მმართველობის წესს, ამ მხრივ ცარიზმის პროგრამაში შედიოდა: ა) ისეთი მმართველობის შემოღება, როგორც არსებობს რუსეთში (დადგენილება გუბერნიების შესახებ), ბ) ქვეყნის კოლონიზაცია რუსების მიერ... გ) „ახალ დადგენილებათა შემოღებისას ისე იქნას თანდარივი დაჭერილი, რომ ხალხთა ზნეჩვეულებანი შეგუებულ იქნას რუსეთის კანონმდებლობასთან, ხოლო დაწესებულებანი კი მათთან. ყველა ამ წესს აქვს ერთი მიზანი—ქვეყნის გარუსება, ანუ, თუ ალევორიულად ვიტყვი, შერწყმა რუსეთთან, დაკავშირება მასთან მოქალაქობრივი და პოლიტიკური კავშირით ერთ მთლიან სხეულად და ძალდატანება იქაურ მცხოვრებლებზე ილაპარაკონ, იაზროვნონ და იგრძნონ რუსულად“¹.

ამ პროგრამის შესატყვისად დამუშავებული „Учреждение для управления Закавказским краем“ დამტკიცებულ იქნა 1840 წ. 10 აპრილს². ამავე დროს ქ. თბილისისათვის, საზოგადოებრივი მმართველობის მოწყობის საკითხზე, რომელზეც ცარიზმი მანამდე მუშაობდა თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში, გამოცემული იქნა „Положение о городском общественном управлении“³.


ამ მმართველობაში მონაწილეობის მისაღებად მოუწოდებდნენ, როგორც ნათქვამია კანონში, „სამ მთავარ წოდებას: უძრავ ქონებებს მფლობელებს, ვაჭრებს და ხელოსნებს“, ე. ი. არსებითად არა წოდებებს, არამედ ქალაქის ბურჟუაზიის ცალკეულ ჯგუფებს, რომელთაგანაც ერთი ეყრდნობოდა უძრავ ქონების მფლობელობას ქალაქში, ხოლო ორი დანარჩენი პროუესიას ან საქმიანობას. ჩამოთვლილი ჯგუფები ირჩევდნენ თავისი წრიდან ქალაქის თავს და ქალაქის გამგეობის ექვს წევრს ანუ ხმოსანს, ორს თითო ჯგუფზე. ქალაქის გამგეობის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე ერთი წევრი მთავრობიდან, გამოყოფილი მხარის მთავარმართველის სურვილის მიხედვით მთავრობის მოხელეების წრიდან. ეს ერთი წევრი წარმართავდა ფაქტიურად ქალაქის გამგეობის მთელ მუშაობას.

რათა ცარიზმს შესაძლებლობა ჰქონოდა დაუბრკოლებლივ გაეტარებია თავისი პოლიტიკა თბილისის საქალაქო „საზოგადოებრივ“ მმართველობის საშუალებით, მან მიანიჭა თბილისის ქალაქის თავს ბევრად უფრო მეტი უფლებები რუსეთის საგუბერნიო ქალაქების თავების უფლებებთან შედარებით. თბილისის ქალაქის თავი იმ მოვალეობათა გარდა, რომლებიც ეკისრებოდა მას საერთო დებულების მიხედვით ქალაქის თავების შესახებ, განაგებდა „საქმის

¹ სსრკ მეცნიერებათა აკადემია: „Колониальная политика рос. царизма в Азербайджане“. б. 1, 1936 წ. გვ. 232—280.

² Полн. собрн. зак. Рос. Империи, ტ. XV, № 13368, რუსულად.

³ იქვე, № 13, 369.




წარმოების წესსა და კანცელარიას (რუს. ენაზე), უძრავ ქონებათა შეფასებას, პროდუქტებისა და ქირაზე მოსიარულე მეეტლე-მეურნეების ნიხრის დაწესებას და სხვ.“.

თბილისის ქალაქის თავი და ექვსხმონიანი ქალაქის გამგეობა, არსებითად ნამდვილი მთავრობის დაწესებულება, მხოლოდ სახელწოდებული „საზოგადოებრივ მმართველობად“, თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე იქცა მთავრობის თავგამოდებულ მსახურად და ცარიზმის პოლიტიკის გამტარებლად. უქმყოფილებს იწვევდა კიდევ ის გარემოებაც, რომ წლიდან-წლამდე იზრდებოდა საქალაქო გადასახადები და გამოსაღებები, რაც მძიმე ტვირთად აწვეებოდა ქალაქის მშრომელ მოსახლეობას. ამასთანავე თანდათანობით ხელოსანთა და ვაჭართა უსტაბაშები ჩამოშორებულ იქნენ ქალაქის საქმეებს, ხოლო მთავრობამ ფასების მოწესრიგების (ნიხრის შემოღების) მიზნით დააწესა (1847 წ.) სპეციალური სავაჭრო პოლიცია. ყოველივე ამის გამო ძალიან ჩქარა წარმოიშვა კონფლიქტები, ერთის მხრივ, ამ ღონისძიებათა გამტარებელ თბილისის ქალაქის თავსა და თბილისის საზოგადოებრივ მმართველობას და, მეორეს მხრივ, ხელოსანთა და ვაჭრებს შორის. ეს კონფლიქტები ხშირად გადადის აშკრებად გაერთიანებულ ხელოსანთა და წვრილ ვაჭართა აშკარა გამოსვლებში. ქალაქი რიგითი მცხოვრები პასუხისმგებლობას გადასახადების გაზრდისა და ბაზრის ახალ შემაწუხებელ წესებისათვის აკისრებდა ახლად შექმნილ „საზოგადოებრივ“ მმართველობას. მასზე ანთხევდა ის თავის უქმყოფილების გრძობას და ჩივილს, ხოლო თბილისის ქუჩის წვრილი ვაჭრები (კინტოები), განთქმულნი თავისი ენამახვილობით, თხზავდნენ სიმღერებსა და ანეგდოტებს ქალაქის ახალი გავეობის მოღვაწეებზე. ქალაქის ხელისუფლების ეს ზეპირი, იუმორით სავსე კრიტიკა წარმოადგენდა შესანიშნავ აგიტაციას მის წინააღმდეგ ხალხის ფართო მასებში.

ამიერკავკასიისა და ქალაქ თბილისის მმართველობაში ახალი წესების შემოღებასთან ერთად ცარიზმმა ეკონომიური იერიში მიიტანა ამიერკავკასიის კოლონიაზე. „მანუფაქტურისა და სხვა რუსულ ნაწარმოებთა გასაღება ბევრად უფრო ცოცხლად იწარმოებდა—ამბობდა რუსეთის ფინანსთა მინისტრი კანკარინი თავის მოხსენებაში სახელმწიფო საბჭოს წინაშე 1827 წ.—საქართველოსა და ახალ-შეძენილ სახანოთ რომ არ ჰქონდეთ მრავალ შემთხვევაში რუსული ნაწარმოების საზღვარგარეთულით შეცვლის შესაძლებლობა და ამასთანავე სპარსეთის ვაჭრობა რომ ჩვენთვის სასარგებლო მიმართულებით განვითარდებოდეს“...¹ სახელმწიფო საბჭო სავსებით იზიარებდა კანკარინის თვალსაზრისს, და XIX საუკუნის უკვე ოცდაათიან წლებში ჩვენ ვხედავთ ენერგიულ ცდებს მოაწყონ რუსი კაპიტალისტებისაგან შემდგარი მძლავრი ამიერკავკასიის კომპანია, რომელიც თავის ხელში აიღებდა მთელს საბითუმო ვაჭრობას, საქართველოს და ამიერკავკასიის რუსული სამრეწველო საქონლით მომარაგებასა და აქედან ნედლეულის გატანის საქმესაც. ამიერკავკასიაში იწყებენ შემოჭრას ცალკეული რუსი კაპი-

¹ Акты, т. VII, № 102, стр. 122.



ტალისტები, როგორც, მაგალითად, შუის ფაბრიკანტი პასილინი, რომელმაც დაიწყო თავისი ოპერაციების წარმოება არა მარტო ამიერკავკასიის ქალაქებში, არამედ ირანშიც და ოსმალეთშიც¹. ორმოციანი წლების მეორე ნახევარში თბილისში, მოსკოვის მანუფაქტურების გავლენით, მთავრობა ყოველგვარი საშუალებით ხელს უწყობს რუსეთის მანუფაქტურისა და სხვ. საქონლის საბითუმო საწყობების მოწყობას, რუსეთის ვაჭრებს განზრახვა აქვთ დაეუფლონ აქ საცალო ვაჭრობასაც².

დაჟინებული ეკონომიური შეტევის პოლიტიკის გატარების დროს ამიერკავკასიაში ცარიზმს უკვე არ მიაჩნდა საჭიროდ გაეგრძელებია ადგილობრივი ბურჟუაზიის „გულისმოგების“ ტაქტიკა. ბურჟუაზიამ შეასრულა თავისი საქმე და ის უკვე აღარ იყო აუცილებელი, როგორც პირველ წლებში ამიერკავკასიის პროვინციების ოკუპაციის შემდეგ. თვით საქართველოს მთავარმართებელთა შუამდგომლობაც ადგილობრივ ვაჭართა ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობის შესახებ ვერ პოულობდა თანავარძლობას ცენტრალურ მთავრობაში³. 1847 წ. კავკასიის ნაცვალს თავ. ვორონცოვს თბილისის ვაჭრებმა მიართვეს თხოვნა მათი ინტერესების დაცვის შესახებ საქართველოში შემოჭრილი რუსეთის სავაჭრო კაპიტალისაგან, რომელმაც თბილისში რუსეთის მანუფაქტურულ ნაკეთობათა ორი საბითუმო დეპო გახსნა. მეფისნაცვალმა ვორონცოვმა შესაძლებლად ჩასთვალა ასეთი ტონით ელაპარაკნა თბილისის ბურჟუაზიასთან: „არ მესმის, როგორ შეეძლოთ სომეხ ვაჭრების წოდებას და ბევრ პატივცემულ პიროვნებას, თხოვნის მომართვევებს, ეფექტათ, რომ მე მაქვს უფლება მივიღო ასეთი ზომები. აუკრძალოს კერძო პირს ან კომპანიას მოაწყოს მაღაზია და გაყიდოს შიგ, რაც მას სურს, ეს აღემატება ყოველი უფროსის ძალაუფლებას“⁴.

მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო ნაკეთობათა გამოჩენა ასეთი დიდი რაოდენობით თბილისის ბაზარზე და ამ საქონლის გასაღება აქ მოწყობილ საბითუმო დეპოების საშუალებით იწვევდა არა მარტო ადგილობრივი ვაჭრების ინტერესების შეზღუდვას. ის უშუალო გავლენას ახდენდა თბილისის ხელოსნურ წარმოებაზე,—და ზოგიერთ ამქრებს, როგორც, მაგალითად, ფეიქრებისა და შჩითაეებისას, რომლებიც ამზადებდნენ ადგილობრივ ბაზის და სხვ. ქსოვილებს, ან უნდა შეემცივებიათ თავისი წარმოება, ან გაედიდებიათ სამუშაოდღე, და დაეწიათ ფასები თავის ნაკეთობებზე, ოღონდ კი შეენარჩუნებიათ თავისი სახელოსნოები და გადაერჩინათ ისინი აუცილებელი დახურვისაგან.

კიდევ უფრო მეტად ზარალობდნენ თბილისის ძირითადი ხელოსნები ქალაქში უცხო ხელოსნურ ელემენტების მოსვლისა და დასახლების გამო.

უკვე XIX საუკ. ორმოციანი წლებში თბილისში იყო 700-მდე რუსი ჯარისკაცი—ხელოსანი, რომლებიც ამზადებდნენ სხვადასხვა ნაკეთობას და ას-

¹ Акты, т. VIII, № 90, გვ. 152; „Обозрение рос. владений за Кавказом“, т. IV, გვ. 77.

² Акты, т. X, № 189—191, № 200 გვ. 186—195.

³ Акты, т. VIII, № 95, გვ. 165—167 და №№ 97—98, გვ. 169—174.

⁴ Акты, т. X, № 194, გვ. 193.



რულებდნენ თერძის, მეჩექმის, სარაჯის, დურგლის და სხვა სამეფოებს¹. ამ ხელოსანთა არმიას, რასაკვირველია, არავითარ ამქართა ორგანიზაციისათვის არ უნდოდა ანგარიშის გაწევა, და ეს გარემოება, გარდა ნივთიერი ზარალისა, ბევრ ამქარს მორალურადაც ამცირებდა, რადგან უმაღლეს პატრიარქალურ იერარქიის ავტორიტეტს სცემდა შევირდებსა და ქარგლებს შორის. უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ამქარების წარმოება საერთოდ ხშირად აღარ აკმაყოფილებდა იმ დროის მოთხოვნის პირობებს, ვინაიდან ის არ ითვალისწინებდა ქალაქის მოსახლეობაში ჩანერგილ ევროპულ გემოვნებას და იყენებდა პრიმიტიულ იარაღსა და ინსტრუმენტებს. იმისათვის, რომ გამოსავალი ეპოვნათ ამ მდგომარეობიდან და, რაც უმთავრესია, შეექმნათ ამიერკავკასიაში რუსეთის მსგავსი სამსახურებრივი და საყოფაცხოვრებო პირობები აქ დასახლებულ სამხედრო პირებისა და მოხელეების უზარმაზარი არმიისათვის, მთავრობა ცდილობდა მიეზიდა თბილისში და სხვა ქალაქებში ხელოსნები შინაგან გუბერნიებიდან და საზღვარგარეთიდანაც. გადასახლების მსურველებს აძლევდნენ სამგზავრო ფულს (100 მანეთს ოჯახის პატრონებს და 75 მან. უცოლოებს), უზრუნველჰყოფდნენ უუასო საექიმო დახმარებით, ბინით სამი თვის განმავლობაში და აძლევდნენ დახმარებას ფულის სახით სახლის ასაშენებლად².

ყოველი ასეთი ხელოსანის ჩამოსვლას თბილისში დიდი კმაყოფილებით აღნიშნავდნენ ადგილობრივ ოფიციალურ პრესის ფურცლებზე. 1846 წ. მთავრობის გაზეთი „Кавказ“-ი აცხადებდა: „მოკლე ხანში მოველით აქ ოდესიდან ხელოსნების მთელ კოლონიას, რომელიც უნდა გამოემგზავროს პირველი გემით. ამბობენ, რომ მათ რიცხვში იქნება ფრანგი-მკერავიც. ოდესიდან ჩამოსულ მკერავ რუარს კი ეხლა საკმარისად კარგი პრაქტიკა აქვს“³. იმავე გაზეთის შემდგომ ნომერებში თბილისის მოსახლეობას აცნობებდნენ, რომ ქალაქში ჩამოვიდა 60 ოსტატი. ამასთანავე ეს ცნობა შემდეგი მსჯელობით თავდებოდა: „მით უფრო საბედნიეროა თბილისისათვის ასეთ დახელოვნებულ ოსტატების დიდი რაოდენობის ჩამოსვლა, რომ ისანი ბევრად უფრო იაფად ჯდებიან, ვიდრე ისინი, ვისაც ჩვენ მივმართავდით აქამდე უკეთესის უყოლობის გამო.... და უნდა მეტო ფული გადაგვეხადა საშუალო ღირსების სამუშაოში“⁴. როგორც ჩანს, გაზეთი „Кавказ“-ი განსაკუთრებული სიამოვნებით აღნიშნავს თავის ქრონიკაში ასეთ ამბებს: „თბილისში ჩამოვიდა პირველი რუსი გლეხი, რომელმაც გახსნა დუქანი სომხის ბაზარზე“⁵. 1849 წ. მთავრობამ ნება დართო დასახლებულიყვნენ თბილისში და ემუშავათ თავის ხელობაში უცხოელ ოსტატებს, ჩამოსულებს გერმანიიდან, უნგრეთიდან, საფრანგეთიდან და ავსტრიიდან⁶.

¹ იქვე, № 52, გვ. 53—54.


² იქვე, ტ. IX № 514 და 528, გვ. 614, 624—25.

³ „Кавказ“ 1846 წ. № 16.

⁴ იქვე, 1846 წ. № 20.

⁵ იქვე, 1847 წ. № 37.

⁶ საქ. ცნვ. არქ. თბილისის გენერალ-გუბერნატორის საქ. 1849 წ. იხ. აგრეთვე თბილისის სამხედრო გუბერნატ. საქე 1859 წ.



საესებით გასაგებია, რომ ადგილობრივი ხელოსნები გულგრილად შეხედებოდნენ ახალი კონკურენტის ჩამოსვლას ქალაქში, მერე ისიც ისეთის, რომელსაც განსაკუთრებულად მფარველობდა მმართველი ბიუროკრატია. ანტაგონიზმი ამქრებსა და ქალაქში ახლად დასახლებულ ხელოსნებს, „ახალ მოსულებს“ შორის საესებით ბუნებრივი და აუკილებელი იყო. ამქრები, ძლიერნი თავისი შეკავშირებით და უსტაბაშების მიერ დამყარებულ უიღორესად მაკაცრ დისციპლინით, ცდილობდნენ ყოველგვარი საშუალებით ხელი შეეშალათ თბილისში ჩამოსული ხელოსნების მშვიდობიანი მუშაობისათვის, მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამით აიძულებდნენ ახალ მოსულებს შესულიყვნენ ამქრულ გაერთიანებებში და დამორჩილებოდნენ მათ ტრადიციებს. ახალმოსულებს მფარველმა მთავრობამ მათ დასაცავად გაატარა 1852 წ. სპეციალური კანონი „ჩამოსულ ხელოსანთა მმართველობის შესახებ“. ხოლო ადგილობრივ ამქრებზე ეს კანონი არ ვრცელდებოდა. ამ კანონის მიხედვით ჩამოსული ხელოსნები არ უნდა დამორჩილებოდნენ ამქრებს; მათთვის თბილისში აარსებდნენ განსაკუთრებულ სახელოსნო გამგეობას, შემდგარს მათ მიერ თავის წრიდან არჩეულ უფროსისა და რ მამასახლისისაგან¹. მართალია, ეს კანონი მისი ნაადრევობის გამო (თბილისში ჩამოსული ხელოსნები მაშინ არც ისე ბევრნი იყვნენ, რომ საჭირო ყოფილიყო მათთვის განსაკუთრებული გამგეობის შემოღება) არ განხორციელებულა, მაგრამ ის მაინც დიდ დამოუკიდებლობას ანიჭებდა რუსეთიდან და სხვა მხარეებიდან ჩამოსულ ხელოსნებს და არ ავალდებულებდა მათ დამორჩილებოდნენ ამქრებს (ჩამოსულებს შეეძლოთ შესულიყვნენ ამქარში მხოლოდ თავისი სურვილის მიხედვით, რითაც, სხვათა შორის, ყველაზე უფრო ისარგებლეს გერმანელმა ახალმოშენე ხელოსნებმა). ეს კი, რასაკვირველია, ახდენდა დეზორგანიზაციულ ვაგონას ამქრებზე².

თბილისის ძირითადი ხელოსნები უხსოვარი დროიდან თვითონვე იყვნენ თავისი ნაკეთობათა გამყიდველები. ჩვეულებრივად სახელოსნოები ისე ეწყობოდა, რომ მათი ქუჩისაკენ ვაღებულნი დარაბა წარმოადგენდა ამავე დროს დუქანს, სადაც დაწყობილი იყო მზა საქონელი და მიიღებოდა შეკვეთები. მაგრამ თბილისის ამქრების თავისებურობა იყო, როგორც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, ისიც, რომ ამქართა ორგანიზაციებში გაერთიანებული იყვნენ არა მარტო ხელოსნები. ამქრები აერთიანებდნენ თავის წრეში სხვადასხვა საქმიანობის მშრომელებს, რომელთაც ხშირად არაფერი საერთო არ ჰქონდათ ხელოსნურ წარმოებასთან. ამქრებში შეკავშირებული იყვნენ, მაგალითად, წვრილი ვაჭრები (უმთავრესად საკვები პროდუქტებით), ქირით დამტარებელი მეურნე-მეეტლები, თულუხჩები (წყლის დამტარებლები სახლებში), ადგილობრივ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დამკვრელები (მეზურნეები), დამტარებელი — მეწვრილმანები (საწვრილმანო და საგალანტრო საქონლის გამყიდველები) და სხვ. წმინდა ვაჭრული ელემენტი თბილისას ამქრებში ძალიან დიდ პროცენტს შეადგენდა;

¹ Полн. Собр. Зак., т. XVII, № 26238.

² აქტები, ტ. XII, № 153, ვვ. 233—34, კანონთა მეორე სრული კრებ. ტ. XXXIV გან. II, № 35013.



მან ჩაიგდო ხელში გამოუკლებლივ ქალაქის მთელი საცალო ვაჭრობა მარტო ხელოსნური წარმოების პროდუქტებით, არამედ საკვები პროდუქტებითაც (ხორცეულით, ხილით, ბოსტნეულით და სხვ.). ამ ნიადაგზე 1840 წ. დაარსებულ თბილისის საქალაქო საზოგადოებრივ გამგეობასა (რომლის მოვალეობას შეადგენდა საბაზრო ვაჭრობის მოწესრიგება და პირველი საქიროების პროდუქტების ფასების აწვევის თავიდან აცილება) და, მეორეს მხრივ, დასახელებულ სანის ვაჭართა გამაერთიანებელ ამქრებს შორის ბუნებრივად თავიდანვე უნდა წარმოშობილიყო მწვავე კონფლიქტები.

მთავრობის ნების თავგამოდებულ შემსრულებლებს — ახალმოვლენილ „ქალაქის მამებს“ — უნდოდათ განემტკიცებიათ თავისი ავტორიტეტი, მწარედ გაკრიტიკებული, როგორც ჩვენ შემოდ უკვე ვილაპარაკეთ, კინტოების სიმღერებში და ანეგდოტებში. მათ გათვალისწინებული ჰქონდათ, რომ ამქრების ორგანიზაციების ერთსულოვნება და დისციპლინა, უეჭველად, გაგლენას ახდენდა საბაზრო ფასების დაწესების საკითხზე, რომ ამქრებს შესაძლებლობა ჰქონდათ ანგარების მიზნით აეწიათ გასაყიდი ფასები და ამით გაეძვირებიათ ცხოვრება თბილისში, და ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნდათ ამქრების მოსპობა საერთოდ. თბილისის მკვიდრმა მოქალაქემ იზმიროვმა 1850 წ. წარუდგინა კავკასიის მეფისნაცვალს თავ. ვორონცოვს დასაბუთებული ბარათი ამქრების გაუქმების აუცილებლობის შესახებ, როგორც მაგნე ორგანიზაციების, რადგანაც მომხმარებლები მათ მხრიდან განიცდიან შევიწროებას, საქონლის სიძვირეს, ხოლო უსტაბაშები თვითნებურად ექცევიან ჩამოსულ ხელოსნებს და ვაჭრებს, ითვისებენ მთავრობის უფლებებს და აწესებენ სხვადასხვა გადასახადებს. მაგრამ ეს ზომა ნაადრევი იყო. ისეთმა გამოცდილმა ადმინისტრატორმა, როგორც იყო ვორონცოვი, სცნო იზმიროვის შეხედულება ცალმხრივად და ამქრების ხელაღებული მოსპობა საზიანო საქმედ. ის ასე მსჯელობდა: „ძველი ადათებისა და ჩვეულებების ყოველგვარი შერყევა, სხვა შედეგების გარდა, გამოიწვევს ასეთი დაწესებულებებით საუკუნეების განმავლობაში დაინტერესებულ პირების საერთო უკმაყოფილებას“¹. ეს მსჯელობა სწორი იყო და ეყრდნობოდა ფაქტებს წარსულიდან, როდესაც ამქრები აშკარა გამოსვლებით იცავდნენ თავის უფლებებს მთავრობის წინააღმდეგ, და ეს, რასაკვირველია, ძალიან კარგად ესმოდა ვორონცოვს. ყველას ახსოვდა ამქრების გრანდიოზული გამოსვლა თბილისში 1849 წ., როდესაც მთავრობამ, თურქეთთან ომის გამო, გამოაცხადა სავალდებულო გაწვევა საქართველოს ხელოსნებსა და გლეხებს შორის. ახსოვდათ აგრეთვე ამქრების უღიჯის დემონსტრაციები და გაფიცვები 1849 წ., როდესაც მთავრობამ მიიღო მთელი რიგი ზომები ხორცეულის საბაზრო ფასების მოსაწესრიგებლად. ამქრების მასებს აჰყვა კოლონიური ჩაგვრით უკმაყოფი-

¹ არქ. კავ. ნაც. მთავ. სამართ. საბჭ. ჟურნალი 1851 წ. 23 თებერვლის № 5, ვგაზაროვი, გვ. 19 და 352.

ფლო თბილისსა და მახლობელ სოფლების მოსახლეობა. მთავრობა მათ დასაშვიდებლად იძულებული იყო დაემოხებებზე წასულიყო¹.

ასეთი იყო თბილისის ამქრების ცხოვრების ისტორიული პირობები XIX საუკუნის შიგნით ნახევრის დასაწყისში. ამ პარტიარქალური ორგანიზაციების წარმოების ხელოსნური წესი ვეღარ აკმაყოფილებდა დროის მოთხოვნილებას, თვითონ ისინი თავისი არქაული წყობილებით მხოლოდ აფერხებდნენ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას, რადგან აბრკოლებდნენ უფრო მცოდნე ჩამოსული ხელოსნურ ელემენტის თავისუფალ კონკურენციასაც. ამიტომ ამ პარტიარქალური ორგანიზაციების წინააღმდეგ ერთდროულ შეტევას აწარმოებდნენ: მთავრობის მასიავონებელი თბილისის „საზოგადოებრივი“ საქალაქო გამგეობა, რუსეთის „სამამულიშვილო“ სამრეწველო კაპიტალი, რომელიც აგრეცლებდა ადგილობრივ მოსახლეობაში თავისი ფაბრიკა-ქარხნების პროდუქციას, და ჩამოსული ხელოსნებიც, რომელთაც არ სურდათ ამქრების ტრადიციებისათვის დამორჩილება.

ხეიმჩამოთვლილ შეტევებთან ერთად თბილისის ამქრები ამ პერიოდში განიცდიდნენ ფენებად დაშლის შინაგან პროცესსაც. რასაკვირველია, ლაპარაკიც ზედმეტია ბურჟუაზიული მკვლევარების მიერ აღწერილ პარტიარქალურ თანასწორობაზე ამქრებს შორის, ან ხელოსნების იდეალურ კეთილდღეობაზედ იმ დამოკიდულების პირობებში, რომელიც არსებობდა, ერთის მხრივ, ამქრულ იერარქიის მწვერვალებსა (უსტაბაშებს, აგსახკალებს და სხვ.) და რიგითს ოსტატებს შორის და, მეორეს მხრივ, ამ უკანასკნელებსა და მათდამი სრულ მორჩილებაში მყოფ ქარგლებსა და შევირდებს შორის. თბილისის ამქრებს შორის თავისი გავლენის მიხედვით პირველ ადგილზე წამოიწია ყველაზე უფრო მძლავრი ორგანიზაციები, რომელნიც ხშირად ნედლეულის მიმწოდებელი იყვნენ სხვა ამქრებისათვის (ასეთები იყვნენ, მაგალითად, მეტყავეები, რომელნიც ამარაგებდნენ ნედლეულით მეჩქემებს, ხარახებს, მეუნაგირეებს, სარაჯებს; ალაფები და მათგან დამოკიდებული მეფურნეები, მეთონეები და სხვ.). ამასთან ერთად, წარმოების ზრდასთან დაკავშირებით, რაც იწვევდა შრომის ფართო დანაწილებას ერთიანიზავე ხელოსნურ გაერთიანების წევრებს შორის, წარმოებს ამქრების დაქუცმაცება და მათი რიცხვის გადიდება. 1865 წ. ჩატარებულ გამოკვლევის მიხედვით, თბილისში იმ დროს იყო არანაკლებ 100 ამქრისა, ე. ი. 47% -ით მეტი, ვიდრე აღნიშნული იყო XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, როდესაც სულ ირიცხებოდა 68 ამქარი, და ხუთჯერ მეტი, ვიდრე იყო XIX საუკუნის ოციან წლებში².

¹ კავკ. არქ. კომ. აქტები, ტ. VIII № 284—285, 290—292; სომხეთის სახ. მუზეუმი, ლიტერატურის სექტორი, ახვერდოვის ფონდი (ხელნაწერი 4937—12), აგრეთვე ანტ. ფურცელაძის — „Наши общественные дела“. გაზ. „Закавказ. речь“. 1912 წ. № 176.

² აი ამ ამქრების-სია, რომლიდანაც ნათლად ჩანს, როგორ იყო დაყოფილი ამქრები სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით: 1) დაბადები და ტყავეულის წარმოებასთან დაკავშირებული, 2) აზიური მეჩქემენი, 3) ევროპული მექაშეები, 4) ქართული ჩქემების დამქედველები,

ამქრების დანაწილების პროცესსა და მათი რიცხვის ზრდას თან სდევდა ამქრების ზედაფენის შესატყვისი გადიდება (უსტაბაშებისა და სხვა თანამდებობის პირთა), რაც ამძიმებდა რიგითი ოსტატების მდგომარეობას, ამ ზედაფენის შესანახი ხარჯების გაზრდის გამო. ყოველი ამქრის ფენებზე დაშლას ხელს უწყობდა აგრეთვე „ამქრის ჩაკეტვის“ პროცესი, ამქრების მისწრაფება ჩაეხშოთ ყოველგვარი ამქრის გარეშე კონკურენცია, რაც მოითხოვდა ოსტატის სახელის მინიჭების შეზღუდვას არა მარტო უცხოელთათვის, არამედ საკუთარი წრის ქარგლების მიმართაც. აქედან გამომდინარეობდა უკიდურესად დიდი მოთხოვნილება ოსტატის კვალიფიკაციისა და აგრეთვე ოსტატად კურთხევასთან დაკავშირებული ნივთიერი ხარჯების მხრივ (საჩუქრები ოსტატს, თანამდებობის პირებს გამასპინძლება და სხვ.). ამის შედეგად ამქრების წრეებში იზრდებოდნენ უფლებო მუდმივი ქარგლების კადრები, რომლებიც ბევრად არ განიორჩეოდნენ ნამდვილი პროლეტარებისაგან.

იმისათვის, რომ მორჩილებაში ჰყოლოდა რიგითი ოსტატების მასა, და ამავე დროს დახმარებოდა მათ ქარგლებისა და შეგირდების ექსპლოატაციის

5) აზიური მექოშეები, 6) ფესსაცმლის შემკეთებლები (ფინაჩები), 7) მეფუნაგირენი, 8) ცხნის აკაზმულობის ნაწილების ჩამომსხმელნი, 9) აკაზმულობის გამკეთებელნი, 10) სირაჯები 11) ტიკების მფისავები, 12) ხარატები (ქართველი ხარატები, ტიკებისათვის ონკანების დამამზადებელნი), 13) მფუფაზები, 14) მექურქეები, 15) მარკიტანტები, 16) შიკიტნები, 17) ლიკიორის დამამზადებელნი, 18) მებაზები, 19) მექუდები, 20) ეპოლეტების მკეთებელნი, 21) მკაზმავეები, 22) მეძველმანები, 23) ბაყლები და კინტოები, 24) თათრის ბაყლები, 25) მებაღეები, 26) აზიური თერაპი, 27) მზა ტანსაცმლის გამყიდველები, 28) ალაფები, 29) მეთონეები, 30) მეფურნები, 31) მეფუნთუშეები და მეშაქარლამენი, 32) ევროპული ტანსაცმლის მკერავები, 33) ყასბები, 34) მეჯიგარები, 35) ცოცხალი და დაკლული ფრინველის გამყიდველები, 36) საქონლის დალაგები და წუნმდებელნი, 37) მეჭვრილმანები, 38) მინისა და ბროლის ნაკეთობათა გამყიდველები, 39) მესანთლები, 40) შაქრის გამყიდველები, 41) რკინეულანისა და კავეულანის ვაჭრები, 42) საპნის მზარხეები, 43) მეტომრები, 44) ხარაზები, 45) მხვრხავეები, 46) დურგლები, 47) ევროპული ხარატები, 48) კალატოზები, 49) წყალსადენის ოსტატები, 50) ოქრომჭედლები, 51) ბრილიანტის მთელელები, 52) მესაათები, 53) ხარაფები, 54) მეიარაღნი, 55) ხანჯლის ქარქაშებისა და ტაოიკების მკეთებელნი, 56) ოქროს წარწერათა მჭედები, 57) თოფის კონდანის ოსტატები, 58) თამბაქოს გამყიდველები, 59) პაპიროსისა და ჩიბუხების გამყიდველები, 60) მხატვრები, 61) ფოტოგრაფები, 62) საღებავის გამყიდველები, 63) ნაყაშები, 64) მღებავები, 65) დალაქები, 66) პარიკმანერები, 67) კბილის ექიმები, 68) თოქმანები, 69) მკალავები, 70) მეკარტენი, 71) მჭედლები, 72) ზეინკლები, 73) მეტლენები, 74) ქვის მთელელები, 75) ქვის მტენელები, 76) მექოთნეები, 77) თიხის ტურტლის გამყიდველები, 78) ხურები, 79) აგურის მექარხნეები, 80) მეგურენი, 81) გამომწველები, 82) მეურთიქნი, 83) გაჯის გამყიდველები, 84) თევზის მრეწველები, 85) მეთევზენი, 86) თივის ვაჭრები, 87) ბზის ვაჭრები, 88) თულუხჩები, 89) ფალანჩები (ვირის საპალნის სარაჯები), 90) მეწაღეები, 91) ქალის ფესსაცმლის მკერავები, 92) ადგილობრივ ფესსაცმლის დამჭედველები, 93) დამჭედველები, 94) სირმების მკეთებელნი, 95) მეხურნეები, 96) სახანდრები, 97) მანუქატურის ვაჭრები, 98) ბაზაზები, 99) დამტარებელნი, 100) ბაზბის ქსოვილების მღებავები.

საქ. ც. ა. ს. ფ. № 87, 138, გვ. 55—60. კავკასიის მეფისნაცვლის კანც. არქივი 1865 წ. შეკ. მე-4951, საქმე 231 (61), დედანის განლაგება.

საქმეში, ამქრების ზედაფენამ შექმნა სასჯელთა მთელი სისტემა ამქრული დისციპლინის დარღვევისათვის. აქ მიღებული იყო ფულადი ჯარიმაც (20 მანეთამდე), საწარმოო საშუალებათა (იარაღების) წართმევაც, ამქრების წრიდან გარიცხვაც და დამნაშავესთან რაიმე ურთიერთობის აკრძალვაც ყველა ამქრისათვის, რაც ფაქტიურად იწვევდა ამქრის ურჩი წევრის სრულ ნივთიერ გადატაკებას და „მოქალაქეობრივ სიკვდილსაც“.

ყველა დასახელებული შიზენის გამო სულიერი მდგომარეობის დაქიმულობამ-თბილისის ამქრულ წრეში 1865 წ. ივნისის დღეების წინ უკიდურეს საზღვრამდე მიადწია. სასოწარკვეთილებამდე მისული უკმაყოფილება, გამოწვეული საკუთარი ამქრული იერარქიის უღელით, პოლიტიკური ჩაგვრითა და ცარიზმის კოლონიური ბატონობით ისევე იყო გავრცელებული ამქრების მასებში, როგორც წმინდა პრინციპულ ელემენტებს შორის, რომელნიც აუტანლად მიიჩნევიან პირობებში მუშაობდნენ თბილისის ფაბრიკებსა და ქარხნებში; ასეთივე უკმაყოფილება იყო გლახებს შორისაც საქართველოს სოფლებში, სადაც გლახობა, მემამულეებისა და მეფის ხელისუფლების ფეოდალურ-კოლონიური უღელით გაწამებული, არაერთხელ აჯანყებულა თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ; თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშა-ხალხი, გარდა ამისა, გამოქცეული ყმები, რომელნიც ყოველდღიურად სულ უფროდაუფრო მეტი რაოდენობით მობრუნდნენ ქალაქში, ემალებოდნენ თავის ბატონებს და, როგორც უპასპორტონი, ყველაზე უფრო მიიჩნევიან „შავ“ სამუშაოზე დგებოდნენ, და სოფლის კარბი მუშახელი, რომელიც, მიწაწყლის უკიდურეს სიმცირის გამო საქართველოს ზოგიერთ რაიონში, უკვე მაშინ ეძებდა ქალაქში სეზონურ სამუშაოს,—აი ის წრე, რომელიც თავისი სულიერი განწყობილებებით ყველაზე უფრო ახლო იდგა მონათესავე დაჩაგრულ ამქრულ მასასთან, განსაკუთრებით ქარგლებთან და შეგირდებთან.

ქალაქ თბილისის სოციალური სახე ამქრების გამოსვლის წინ, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით¹, შემდეგნაირ სურათს წარმოადგენდა.

თბილისის მკვიდრნი 1863—64 წ. შეადგენდნენ 62.318 სულს, აქედან: 1) მკვიდრი და პირადი თავადაზნაურობა შეადგენდა 3704 (5,8%); 2) სასულიერო წოდება იყო 1398 (2,2%); 3) ვაჭრები—3217 (5,1%); 4) მკვიდრი საპატიო მოქალაქე—466 (0,8%); 5) მოქალაქენი, რომელთა უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ ხელოსნები 14928 (24,2%); 6) სხვადასხვა სახელწოდების გლახები—34744 (56,5%), მათ რიცხვში შინაყმანი—2010, სახაზინო—27498, მემამულისანი—3014, საეკლესიო—3,209, და თავისუფალი მხენელ-მთესველნი—23; 7) ნასალდათარნი და სალდათის შვილები 1140 (2%); 8) გერმანელი კოლონისტები—709 (1,1%); 9) რუსი სექტანტები—ახალმოშენენი—749 (1,2%); 10) სხვა კატეგორიები—1257 (2%).

გარდა ამისა, ქალაქში, პოლიციის ჩვენებით, ირიცხებოდა: 1) სხვა ქალაქებიდან ჩამოსული 2896 ადამიანი, 2) ჯარი—14615, 3) დროებით მცხოვრებნი სხვადასხვა ერის წარმომადგენლნი 11.200 და სეზონურ სამუშაოებზე ჩამოსულნი ამიერკავკასიისა და ირანის სხვადასხვა რაიონიდან 20 ათასამდე. სულ

¹ „Статистическое описание Тифлиса“, Кавказ. календарь, 1865 г.

მკვიდრი და დროებით მცხოვრება მოსახლეობა, მოკვანილი ცნობების მიხედვით, შეადგენდა არანაკლებ ასიათასისა (მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სხვადასხვა ადგილიდან ჩამოსულთა რიცხვი, ისე როგორც საერთოდ პოლიციის ცნობები, საეჭვოა)¹.

თბილისი, როგორც მოსახლეობის შემადგენელი ჯგუფების ჩამოფლვიდან ჩანს, იყო იმ დროს მეტად მნიშვნელოვანი კერა, სადაც თავი მოიყარა მრავალმა სხვადასხვა ჯურის ხალხმა და მათ რიცხვში დეკლასირებულმა ელემენტებმა. ქალაქის მშვიდობიანობის თვალსაზრისით ეს, უეჭველად, მეტად საშიში თავისებურობა იყო. ჯერ კიდევ 1832 წ., როდესაც თბილისში აღმოაჩინეს ქართველ თავადაზნაურობის შეთქმულება, გამომძიებელმა ხელისუფლებამ გამოაშკარავა, რომ „შეთქმულების მონაწილეთ თავი თბილისში შეეკლოთ გადაებირებიათ თავის მხარეზე დროებითი ხელშემწყობნი ქალაქის მაწანწალებსა და ბრბოს შორის. აქ (ქალაქში) ყოველი ჯურის მაწანწალები ბუნებრივი მოვლენა და ჩვეულებრივი ამბავია“²...

თბილისი იმ დროს იყო არა მარტო დიდი სავაჭრო ცენტრი (სავაჭრო აღებ-მიცემა 1864 წ. აქ უდრიდა 11 მილიონ მანეთს), არამედ ამავე დროს ადგილობრივი მრეწველობის მნიშვნელოვანი ცენტრიც. თბილისის სტატისტიკური კომიტეტის ცნობების მიხედვით, ქალაქში მაშინ ითვლებოდა: ერთი სახაზინო ფაბრიკა; 15 კერძო და 119 კერძო ქარხანა³.

მართალია, ეს არ იყო დიდი მასშტაბის წამოწყებები. მთელი მათი წარმოება განისაზღვრებოდა 50 ათასი მანეთით; მუშათა კადრები არ აღემატებოდა 100 კაცს, მაგრამ თვით ფაქტიც ამ წამოწყებათა არსებობისა გვიჩვენებს, რომ თბილისში იმ დროს იყო, მართალია, ჯერ არაორგანიზირებული, მაგრამ ნაწილობრივ უკვე ნამდვილი პროლეტარული ელემენტი, რომელმაც საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი სოფელთან. ამასთანავე ამ პროლეტარული ნაწილის მდგომარეობა, თუ მოვიკონებთ თბილისის ფაბრიკების უფრო მოგვიანო ხანის (1888 წ.) აღწერას, მოცემულს ს. ი. გულიშამბაროვის მიერ, აუტანელი იყო⁴.

III

ოფიციალური და არაოფიციალური ცნობები 1865 წლის ივნისის ამბების შესახებ ქ. თბილისში საერთოდ ღარიბი და უკმარია. ისინი ამ ამბებს უწოდებენ „ამქრების ჯანყს“, და ან სრულიად არაფერს არ ამბობენ მათ შესახებ, ან მიაკუთვნებენ მათ ისეთი ამბების რიცხვს, რომლებიც შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ „უსიამოვნო ინციდენტს თბილისის ქალაქის სამმართველოს ისტორიაში“.

¹ ყოველ შემთხვევაში ასე აფასებს მათ სტატისტიკური კომიტეტის რედაქტორი ნ. დუნკელ-ველინგი.

² Акты, т. VIII, № 275—290 „Дело о грузинском заговоре“.

³ Кавказ. Календарь. 1865 წ. სტატისტიკური განყ. გვ. 59.

⁴ С. Гулишамбаров. „Обзор фабрик и заводов Тифлисск. губ“. Тифлис, 1888 г., აგრეთვე II. Жуков, „О рабочем вопросе в Зак. Крае“, გაზ. Кавказ-ი, 1874 г. № 34—49.

აი როგორ ასწერს ამ ამბებს თბილისის ქალაქის გამგეობის მდივანი ორმოცი წლის განმავლობაში ს. კრელაშვილი თავის გამოკვლევაში: „თბილისი XIX საუკუნეში“¹.

„ქალაქის კეთილმოწყობის მზარდი მოთხოვნების გამო, ქალაქის წარმომადგენლებმა დიდი ყოყმანის შემდეგ გადასწყვიტეს აოქრათ შუამდგომლობა თბილისის ყველა სამიკიტნოზე დამატებითი გადასახადის დაწესების შესახებ არსებული ნორმის 25%-ის რაოდენობით. თბილისის შემდეგ ასეთივე შუამდგომლობა და იმავე მიზნით აღძრა პეტერბურგის გამგეობამაც, მაგრამ უკვე 50%-ის შესახებ ნორმაზე ზევით. მეფის ნაცვალმა კავკასიაში დიდმა თავადმა მიხეილ ნიკოლოზის-ძემ, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა ქალაქის საჭიროებას, გადასცა ეს შუამდგომლობა დასკვნისათვის საგანგებო კომისიას. ამ კომისიას თავმჯდომარეობდა მისი თანაშემწე თავ. გ. დ. ორბელიანი, ხოლო მონაწილეობას იღებდნენ ქ. თბილისის ვაჭართა ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენლები. კომისიამ განსაზღვრა დამატებითი გადასახადის რაოდენობა დაახლოებით 10000-მანეთით წელიწადში, ქალაქის შუამდგომლობა შეწყინარებულ იქნა სათანადო ხელისუფლების მიერ და ეს გადასახადი დაწესდა 1865 წლიდან. მაშინ, როდესაც პეტერბურგში გადასახადის მომატება მშვიდობიანად ჩატარდა, თბილისში ხმებმა დამატებითი გადასახადის შესახებ ააღელვა ვაჭრები და ხელოსნები. მათ ჯერ შეიტანეს კოლექტიური თხოვნა ამ გადასახადის გაუქმების შესახებ, მაგრამ როდესაც მათმა თხოვნამ არ მოახდინა სისურველი გავლენა, მათ აღძრეს შუამდგომლობა მათზე გაწერილი ფულის შეტანის ვადის გაგრძელების შესახებ. ქალაქის თავმა შერმაზან-ვართანოვმა გააკეთა სათანადო განკარგულება ახალი გადასახადის გადახდევინების შესახებ, ხოლო გადასახადების ამქრეფი ბაჟბეუქ-მელიქოვი შეუდგა განკარგულების შესრულებას. ვაჭრები დაძაბული ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს მათ მოქმედებას, და თავის მხრივ ბკობდნენ სხვადასხვა ღონისძიებაზე ქალაქის გამგეობის მზადების შესაჩერებლად.

„1865 წ. 21 ივნისს დანიშნულ იქნა ქალაქის ვაჭართა და ხელოსანთა ამქრების საბოლოო თათბირი. ამ თათბირზე გადაწყდა ყველა სავაჭროს დახურვა 27 ივნისის დილიდან გადასახადის გაუქმებამდე. მეფის ნაცვალმა კავკასიაში ამ დროს პეტერბურგში იყო, მის მოვალეობას ასრულებდა თავ. გ. დ. ორბელიანი. როდესაც მან გაიგო ამ გადაწყვეტილების შესახებ, დაუყოვნებლივ მოიწვია ხელოსანთა მამასახლისები და გამოუცხადა მათ, რომ თუ ეს გადაწყვეტილება მოყვანილი იქნება სისრულეში, მაშინ ის იძულებული იქნება მიმართოს სამხედრო ძალას ჯანყის ჩასახშობად. მამასახლისები უძლურნი აღმოჩნდნენ დაემშვიდებიათ ვაჭრები, და მეორე დღეს, 27 ივნისს, ყველა სავაჭრო დაწესებულება დაიხურა, ხოლო ხელოსნებისა და ვაჭრების ბრბო დადიოდა ქუჩებში და უწყსოებას ახდენდა. მისი სიშმაგე სულ მატულობდა და ძლიერდებოდა და უკიდურეს დაძაბულობამდე მიადგო. უეცრად ვილაყა წამოიძახა: „გცემოთ ქალაქის თავს მისი თანაშემწიანადო“. ხალხი გაემართა

¹ С. Чрелаев: „Тифлис в XIX ст.“, Сборн. „Весь Кавказ“. 1903 г.

ამ წარმომადგენლების სახლებისაკენ და ააწიოკა ისინი. ბაჟბუტუკ-მელიქოვი ჩაუვარდა ხელში ბრბოს, რომელმაც სასიკვდილოდ სცემა მას, ქალაქის თავმა კი მოახერხა თავის დაღწევა. გამოძახებულ იქნა ჯარი, მაგრამ ხალხი მჭიდროდ შეჯგუფდა, განაგრძობდა შფოთვის და არ აპირებდა დაშლას, მიუხედავად გაფრთხილებისა. ხალხის შეუდრეკლობამ იქამდე მიაღწია, რომ ჯარს უშბანეს ესროლათ, რის გამოც მოკლულ იქნა ოთხი კაცი და 9 დაჭრილი მხოლოდ ამის შემდეგ დაიშალა, დაბოლოს, ხალხი. ადმინისტრაციამ გადასწყვიტა დაენიშნა ახალი ქალაქის თავი, ს. აბესალომოვი, რომელმაც მოახერხა ვაჭრების დაშოშმინება. არჩეულ იქნა განსაკუთრებული დებუტაცია, რომელმაც მისცა თავ. გ. დ. ორბელიანს სახეიმო აღთქმა, დაემორჩილონ ხელისუფლების კანონიერ მოთხოვნებს, არ დაარღვიონ შემდეგში საზოგადოებრივი სიმშვიდე და დაიწყონ მშვედობიანი მუშაობა“.

„აი სწორედ ეს უსიამოვნო ინციდენტი, სახსრების უკმარობასთან ერთად,—ამთავრებს ჭრელაშვილი,—გადაიქცა იმის საბაბად, რომ აღიძრა საკითხი ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობის იმ დებულების გარდაქმნის შესახებ, რომელიც ქ. თბილისში ძალაში იყო 1840 წლიდან“.

1865 წლის 26—28 ივნისში ქ. თბილისში მომხდარი ანგების ამ უფერულ და მეტისმეტად მარტივ აღწერიდან ერთი შეიძლება მივიჩნიოთ სინამდვილედ — ის, რომ თბილისის ამქრების გამოსვლის უშუალო საბაბი იყო ქალაქის თავის შერმაზან-ვართანოვის განკარგულება 25⁰/₁₀₀-ით გადიდებულ საქალაქო გამოსაღების აკრეფის შესახებ სამიკიტნოებიდან. უდაოა ის ფაქტიც, რომ შერმაზან-ვართანოვის გადაყენებამ და მის თანამდებობაზე აბესალომოვის დანიშვნამ და ამ უკანასკნელის მიერ ჩატარებულმა განმარტებითი პოლიტიკამ ხელი შეუწყო თბილისის ხელოსნებისა და ვაჭრების დამშვიდებას.

26—28 ივნისის ამბები არ იყო მხოლოდამხოლოდ ამქრების გამოსვლა და „უსიამოვნო ინციდენტი ქალაქში“. რომ ეს ასეა, ამის შესახებ მოწმობს არა მარტო მთავრობის მიერ გამოსვლის ღრკალიზაციის მიზნით მიღებული ზომები, არამედ ამ ამბების ის აღწერანიც, რომლებიც მოთავსებული იყო მაშინ სატახტო ქალაქისა და საზღვარგარეთულ გაზეთებში. ვერცენის მიერ ლონდონში გამოცემულ „Колокола“-ში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ ეს იყო გამოსვლა, რომლის დროსაც „თბილისის მუშათა მოსახლეობამ ხელი მისცა მოქალაქეებს, რათა ერთად გაეწიათ წინააღმდეგობა რუსეთის მთავრობისათვის. რომ ხალხი, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა პარტიების ტაქტიკის შესახებ, და რომელიც ერთმანეთისაგან დაშორებული იყო საზოგადოებრივ და ეკონომიურ მდგომარეობის უფსკრულით, მაშინ ამოუდგა მხარში ერთმანეთს და ერთად გაილაშქრა „საერთო მტრის“ წინააღმდეგ. მათ დაავიწყდათ, რომ გუშინ მოქალაქემ გაყვლიფა თავისი დღევანდელი თანამებრძოლი მუშა, და რომ ხვალაც იგივე ისტორია განმეორდება“... მთავრობას უნდოდა მოეტყუებია რუსეთის საზოგადოება და დაბეჭდა თავის გამოცემებში, რომ ამქრები მოითხოვდნენ მხოლოდ ახლად დაწესებული გადასახადების გაუქმებას ან გადავადებას. სინამდვილეში კი მოქალაქენი და მათთან ერთად მუშები მოითხოვდნენ, რომ, გადასახადის გაუქმებისაგან დამოუკიდებლად, ყველა საქმე-

დაკავშირებული ქალაქთან, ყოფილიყო ქალაქის საზოგადოების არჩეულთა გამგებლობაში, რომ ყველა საქალაქო სამუშაო ეწარმოებიათ ამავე არჩეულლებთან შეთანხმებით და მათი მეზავალყურეობით, ხოლო გადასახადების დაწესება და აკრეფაც მათ ხელში გადასულიყო. ერთი სიტყვით, მოითხოვდნენ სრულ საქალაქო დამოუკიდებლობას¹.

მაგრამ მოყვანილი აღწერა, მთელი მისი სიმკვეთრის მიუხედავად, არ შეიძლება ცნობილ იქნას მეცნიერულ და ობიექტურ აღწერად. ეს რომ ასეა, ამას ამტკიცებს არა მარტო ჩვენს მიერ აღწერილი „ისტორიული თავისებურობა“, რომელშიაც დატრიალდა აღწერილი ამბები. ამას ამტკიცებს აგრეთვე შენახული ნამდვილი დოკუმენტები მომხდარი ამბების შესახებ, რომელთა გამოკვლევასაც ჩვენ ახლა შევუდგებით.

1865 წ. ქალაქ თბილისის შემოსავალი ნავარაუდევო იყო 306823 მან. 73,5 კაპ. რაოდენობით, ხოლო გასავალი კი გამოანგარიშების მიხედვით უდრიდა 638502 მან. 14 კაპ., ე. ი. ორჯერ მეტს შემოსავალზე. ცხადია, რომ ქალაქის ბიუჯეტის ასეთი მდგომარეობა ვერ ჩაითვლებოდა ნორმალურად. თბილისის ბიუჯეტის დეფიციტობა ბევრად უფრო ადრე გამოაშკარავდა. ჯერ კიდევ 1861 წ. ქალაქის სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დაერთოთ ქალაქისათვის ვალებისა და სხვა ხარჯების დასაფარავად შემოეღო ახალი ბევარი სასტუმროებზე, რესტორანებზე, ყავახანებზე, ქარვასლებზე, აბანოებზე, ქუჩებზე და მოედნებზე მოწყობილ სამშენებლო მასალის საწყობებზე, მოსახლეობის აღწერაზე, ქალაქში მოწყობილ ლატარიებზე, ცხენებზე, ეტლებზე და სხვ².

ამ შუამდგომლობის საპასუხოდ მეფისნაცვლის განკარგულებით დაარსებულ იქნა თბილისის გენერალ-გუბერნატორის თავმჯდომარეობით „ქ. თბილისის მმართველობისა და კეთილმოწყობის კომისია“. დასახელებულმა კომისიამ მუშაობა დაიწყო 1865 წ. დასაწყისში, შეისწავლა ქალაქის ფინანსური მდგომარეობა და დასახა მთელი რიგი კონკრეტული ზომები მისი გაჭირვებული ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

ქალაქის ბიუჯეტის ყველაზე უფრო უსამართლო და მოსახლეობისათვის სამძიმო ხარჯს შეადგენდა თბილისში დაბინავებული სამხედრო ნაწილების ბინის ქირის გადახდა. 1862 წ. ამისათვის საჭირო იყო 82.148 მან. 46 კ., ანუ ქალაქის შემოსავლის 26%-ზე მეტი. ამასთანავე ამ თანხის სამი მეოთხედი გამოწვეული იყო არა თბილისის გარნიზონის მოთხოვნილებებით, არამედ კავკასიის არმიის მთავარი შტაბის შენახვის ხარჯებით ქალაქში.

კომისიამ გადასწყვიტა, რომ ის ჯარი, რომელიც არ შეადგენს თბილისის გარნიზონს, უნდა იღებდეს საბინაო ხარჯს ან ამიერკავკასიის მხარის საერთო საერობო თანხებიდან, ანდა სახელმწიფო სამხედრო ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. კომისიის პროექტი იყო—შექანა 1865 წ. გასავალში ჯარის ბინის ხარჯისათვის 82.148 მ. 46 კაპ-ის ნაცვლად 20.000 მანეთი. გარდა ამისა, კომი-

¹ რიონელი (ნ. ნიკოლაძე), „Колокол“ 1865 წ. 15/IX, გვ. 1673—76.

² თბილისის მუნიციპალური არქივი, საქ. № 97.

სიამ გამოსთქვა თავისი შეხედულება, რომ აუცილებელია ქ. თბილისის ვალე-ბის გადახდისათვის საჭირო ხარჯების შემცირება და მათი დაფარვა სამშენებლო დამხმარე კაპიტალიდან. გარდა ამისა, მან დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ქალაქის ბიუჯეტის გასაჯანსაღებლად.

რაც შეეხება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს, იმავე კომისიამ მიზანშეწონილად სცნო დაეწესებია შემდეგი ახალი გამოსაღებები: 1) დამატებითი გადასახადი 25% -ის რაოდენობით მოწმობისათვის, რომელიც ანიჭებდა სასმელებით ვაჭრობის უფლებას ქ. თბილისისა და მისი გარეუბნების სხვადასხვა სამრეწველო სარეწაოს, 2) გამოსაღები საეტლე და საჯდომ ცხენებზე, 3) ქალაქის მიწებზე ამოღებულ თიხაზე, კირზე და გაჯზე, 4) სამშენებლო მასალის საწყობებზე, ქუჩებსა და მოედნებზე და 5) მცხოვრებთა გაწერაზე მოსახლეთა წიგნში.

მეფისნაცვალმა დამატეიკა კომისიის ყველა ჩამოთვლილი ღებულება, გარდა საბინაო ბეგარის შემცირებისა 75% -ით, რაც უფრო მთავარი იყო¹.

თბილისში უნდა შემოღებულიყო შემდეგი ახალი გადასახადები: 1) ქალაქ თბილისისა და მისი გარეუბნების (გერმანელთა კოლონიის, ახალი კუკიის, მალაკანთა სოფლის) სამიკი უნებზე. ამასთანავე ქალაქის 1 და 3 ხარისხის სამიკიტნოები დაბეგრილი იყო გადასახადით 80 მან. რაოდენობით, 2 და 4 ხარისხის კი 40 მანეთით; გარეუბნებში 1 და 3 ხარისხის სამიკიტნოები 40 მანეთით, ხოლო 2 და 4 ხარისხისა 20 მანეთით წელიწადში; 2) საეტლე ცხენები დაბეგრილი იყო ათ-ათი მანეთით, საჯდომი ცხენები კი 5 მან., ბირჟის შეეტლეთა და თულუხჩების ცხენები 3 მანეთით, ტვირთის მზიდავი ცხენები თითო მანეთით წელიწადში; 3) გამოსაღები სამშენებლო მასალის საწყობებზე, ქუჩებსა და მოედნებზე დაწესებული იყო 10 კაპიკის რაოდენობით ყოველ კვადრატულ საყ. თვეში; 4) ქალაქის მიწებზე თიხისა და კირის ამოღების იჯარა მისცემდა წელიწადში ქალაქს 4.000 მანეთზე მეტს და 5) მოსახლეთა წიგნში ჩაწერისათვის გამოსაღები მოხარკე წოდების პირთათვის დაწესებული იყო 50 კაპ., ხოლო სხვა მოქალაქეთათვის 3 მანეთის რაოდენობით.

ამასთან ერთად მეფისნაცვლის სამმართველო 1865 წ. 12 თებერვალს წინადადებას აძლევდა ქალაქის თავს ეცნობებია თბილისისა და მისი გარეუბნებისათვის ახალ გადიდებულ გამოსაღებთა გადასახადის აუცილებლობის შესახებ იმავე წლის 1 ივლისისათვის.

ქ. თბილისის მმართველობისა და კეთილმოწყობის კომისია თავის მუშაობას საიდუმლოდ აწარმოებდა და არ აცნობებდა ამის შესახებ არც არჩეულ პირთ, არც ქალაქის სამმართველოს და არც ქალაქის წოდებათა ხმონებს. მაგრამ ეს მუშაობა არ დარჩა საიდუმლოდ. ხმები ამ გადასახადების და მოქალაქეთა და ამქრების უსტაბაშების ტრადიციულ უფლებათა დარღვევის შესახებ გავრცელდა ქალაქის გადახდელთა მასებში და იწვევდა უსიამოვნებასა და დიდ მითქმამოთქმას².

¹ თბილისის მუნიციპალური არქივი, საქ. № 97.

² ყახარ აგამალოვა შემდეგი ჩვენება მისცა გამოძიებულ კომისიას: „სამი თვის წინათ, ე. ი. დაახლოებით მარტში ან აპრილში 1865 წ. მარკიტანტების საზოგადოებამ გაიგო, რომ

თბილისის ქალაქის ბურჟუაზიამ გადასწყვიტა შებრძოლებოდა მის უფლებათა დარღვევას მთავრობის მიერ. ამქრებმა გამოცდილებით იცოდნენ, რომ მთავრობა უწინაც აწესებდა ახალ გადასახადებს, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც საკმარისი იყო ენერგიული და ერთსულოვანი მოთხოვნა მათ მხრივ, რომ მთავრობას შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება¹.

26—28 ივნისის გამოსვლების გარშემო წარმოებული გამოძიების დროს უსტაბაშო ყაზარ აგამალოვის ჩვენებაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ მოქალაქე გრიგოლ იზმიროვმა უთხრა მათ: „თუ ყველა ამქრები დაკეტავენ თავის სახელოსნოებს და სავაჭროებს, მაშინ გამარჯვება ჩვენი იქნება“. ამას ხაზაზების უსტაბაშმა კაციელამ დაამატა: „ქუთაისშიც დააწესა მთავრობამ ახალი გადასახადები, მაგრამ ვაჭრებმა დახურეს თავისი სავაჭროები და მთავრობამ გააუქმა გადასახადები“. გამოძიებულ კომისიისათვის მიცემულ განცხადებაში თბილისის ყოფილმა ქალაქის თავმა შერმაზან-ვართანოვმა მოიგონა სიტყვები, რომლებიც ვითომც უთქვამს მოქალაქე მნაცაკანოვს ვართანოვისათვის: „რეუტის დროსაც აფჯანყებულვართ, მაგრამ ამისათვის არავის არ დაუსჯივართ“².

ასეთი პრეცედენტები ახსოვდათ არა მარტო თბილისის მოქალაქეებსა და ამქრებს, არამედ ადმინისტრაციასაც. კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის აღმასრულებელმა გ. დ. ორბელიანმა თავის წერილში მეფისნაცვალთან მიხეილ ნიკოლოზის ძესთან ამქრების გამოსვლის შესახებ საჭიროდ სცნო მოეგონებია მისთვის, რომ: „... ამგვარ ამბების დროს თავ. ვორონცოვმა თვითონ თავისი ხელებით დახია კონტრაქტი ხორცის გაყიდვის შესახებ და სრულიადაც არ ფიქრობდა დათმობაზე. თავ. პასკევიჩს სერიოზული ყურადღებაც არ მიექცია მის დროს მომხდარ ასეთივე ამბისათვის 1829 წ.“³.

ამ გარემოებათა შედეგად მოხდა ის, რომ მთავრობას ჯერ არც კი გამოეჩვენებია ახალი გადასახადების დაწესება, როდესაც ის უსტაბაშების ხელმძღვანელობით ფართო მსჯელობის საგნად გადაიქცა ამქრების წრეში. ამ მიზნით ამქრები იკრებიდნენ ქალაქის სხვადასხვა ადგილზე: ავლაბარში, ორთაქალის ბაღებში ქალაქს იქით, ხოჯივანქის სასაფლაოზე, ეკლესიის გალავანში და სხვ. კრებებზე რეზოლუციები ღონისძიებებს, რომლების მიღებაც, უსტაბაშების აზრით, აუცილებელი იყო ქალაქის მოსახლეობის დასაცავად უკანონოდ დაწესებული გადასახადებისაგან. თავის კრებებს ამქრები აშკარად მარ-

დაწესებული ახალი „გადასახადი 25%-ის რაოდენობით ყოველ სამიკიტონზე“ (იხ. საქ. ცენტრ-არქივი. კავკასიის ნაცვლის მთავარი სამმართ. სასამარ. საქ. დეპ.-ის საქმე № 2 ფ. 28).

¹ საქ. ც. არქ. ს. საქმე № 215. ამქრების აფჯანყება 1865 წ. ფ. 170. 2) გრ. ორბელიანის წერილები, საქმე № 174.

² იქვე კავკას. მეფ. ნაცვლის მთავ. სამმართ. სასამარ. საქ. დეპ. საქმე № 2, 1865 წ. ფ. 55 და 123 (რეუტი იყო საქართველოს მთავარმართებელის თანაშემწე).

³ საქ. ც. არქ. ს. გრ. ორბელიანის წერილები, საქმე № 174, ფ. 157. ამ წერილში ნახსენებ თავ. ვორონცოვის საქციელს ადგილი ჰქონდა ანტონ, ფურცელაძის მოწოდებით, 1849 წ. ან 1850 წ. (იხ. გაზ. „Кавказ речы“, 1912 წ., № 136).

თავდნენ, ვინაიდან თავის საკითხებზე მოსალაპარაკებლად მათ უხსოვარ დროიდან ჰქონდათ ადმინისტრაციის საგანგებო ნებართვის გარეშე შეკრების უფლება.

როდესაც ოფიციალურ გაზეთ „KABKAZ“-ის განცხადებების საშუალებით 12, 15, 16, 17 და 19 ივნისს ეუწყა მოსახლეობას ახალ საქალაქო გადასახადების შემოღებისა და მათი შეტანის ვადების შესახებ, ამქრებს უკვე გამოტანილი ჰქონდათ გადაწყვეტილება ამ საკითხის გარშემო. ნავთლულისა და თბილისის მეორე უბნის მარკეტანტებისა და სირაჯების ამქრებმა უარი განაცხადეს ხელი მოეწერათ ამ განცხადებების ჩაბარებაზე, ხოლო დასახელებული ამქრების წევრებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ ქალაქის მე-3 და მე-4 რაიონში, ხელი მოაწერეს, მაგრამ განაცხადეს, რომ ახალი გადასახადის შეტანის თანახმა ისინი არ არიან.

ამქრების მასების წასაქეზებლად ქალაქის ბურჟუაზიის წარმომადგენლები სხვა ზომებსაც მიმართავდნენ. თითქმის ამ განცხადებასთან ერთად, ახალი გადასახადების შესახებ, გაზეთ „KABKAZ“-ში გამოქვეყნებული იყო ქალაქის თავის განკარგულებით ამონაწერები კონტრაქტიდან სასწორის გამოსაღების შესახებ. ეს პუბლიკაცია გამოიწვია საჩივრებმა ქალაქის სასწორთა მოიჯარადრეზე მის მიერ თავისი უფლებების ბოროტად გამოყენების შესახებ. ამ პუბლიკაციაში დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი გამოსაღებები საკვები პროდუქტების სასწორზე. ეს პუბლიკაციაც მაშინვე გამოიყენეს ამქრების უფლებათა დამცველებმა. ამონაწერები აქედან, დაბეჭდილი ენფიანჯინაცის სტამბაში, ცალკე ფურცლებზე ფართოდ ვრცელდებოდა მასებში. თანაც იმასაც დასძენდნენ, თითქოს, ახლად დაწესებული უკანონო გადასახადების გარდა შემოღებული იყო კიდევ ახალი გამოსაღები საკვებ პროდუქტებზე, ტანისამოსზე და სხვ.¹ ამასთან დაკავშირებით ქალაქში გავრცელდა მოსახლეობის ამაღლებელი სხვადასხვაგვარი ხმები. ეს ხმები კიდევ უფრო უწყობდა ხელს შფოთიერი სულიერი განწყობილების შექმნას შავმუშებსა და მოსახლეობის დეკლასირებულ ელემენტებს შორის.

ქალაქის მსხვილი ბურჟუაზიაც ფიქრობდა გამოეყენებია ეს საერთო უკმაყოფილება ცარიზმის პოლიტიკით.

„პირველხარისხოვანი“ მოქალაქეები და თბილისის მკვიდრი ვაჭრები მეტად უკმაყოფილონი იყვნენ ახალმოსულების გავლენის გაძლიერებით ქალაქში და იმ უპარატესობით, რომელსაც მათ ანიჭებდა თავისი მოსახრებების გამო მთავრობა. ამავე დროს, სხვათა შორის, თბილისის მკვიდრ ვაჭრებსა და ახალმოსულთა ჯგუფს შორის წარმოებდა ბრძოლა ქალაქის თავის თანამდებობის გარშემო. 1864 წ., ადმინისტრაციის შემწეობით, ქალაქის თავად არჩეულ იქნა გალუსტა შერმაზან-ვართანოვი, გადმოსახლებული ირანიდან, შედარებით განათლებული და, უდაოდ, ძალიან მოზერხებული ადამიანი. მან შესძლო ახალმოსულებიდან ქალაქის თავად გასულიყო. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქალაქის საქმეებს სათავეში ჩაუდგა არა თბილისის მკვიდრი მოქალაქე. მისი არჩევის ფაქტი მოქალაქეებს მიაჩნდათ მათი ტრადიციების აშკარა დარღ-

¹ იქვე, საქმე № 2, ფ. 27.

ვევად და ისინი ყველაფერს აბრალებდნენ მთავრობას, რომელიც მთარველოვდა ახალ მოსულებს.

მართლაც, შერმაზან-ვართანოვი არაფრით არ იყო დაკავშირებული ქალაქის მკვიდრი მოსახლეობის ინტერესებთან და ამიტომ წარმოდგენდა მთავრობისათვის განსაკუთრებით მისაღებ კანდიდატს ქალაქის თავის თანამდებობაზე კოლონიური პოლიტიკის გასატარებლად. ახალი გადასახადების დაწესების საქმეში მოქალაქეების უკმაყოფილო ჯგუფი აბრალებდა მას, და არც თუ უსაფუძვლოდ, ნამდვილ ყურმიუდებლობას, რომელიც აიხსნებოდა მისი მლიქვნელობით ხელისუფლების წინაშე. გასაკვირი არ არის ამიტომ, რომ, როდესაც გამოცხადდა დადგენილება ახალი გადასახადების დაწესების შესახებ, მოქალაქეებმა ის გამოიყენეს შერმაზან-ვართანოვის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ქალაქში გავრცელდა ხმები, რომ არა მარტო გადასახადები დააწესეს შერმაზან-ვართანოვის დაჟინებით, არამედ მისი ინიციატივით აგრეთვე მთავრობა იღებს ზომებს სამხედრო ბეგარის შემოსაღებად მოქალაქეთა და ვაჭართა შორისო.

შერმაზან-ვართანოვის მოწინააღმდეგეებმა ბრძოლის სხვა საშუალებებიც გამოიყენეს. ამბარკუმ ენფიანჯიანცმა, სტამბის პატრონმა, რომელშიც იბეჭდებოდა სომხური გაზეთი „მელუ აიასტან“ (სომხეთის ფუტკარი), მოათავსა გაზეთში კავკასიის მხარის საეროზო ხარჯთაღრიცხვის ოფიციალური გამოცემის ამონაწერის თარგმანი. ამ ამონაწერში ჩამოთვლილი იყო ახლად დაწესებული გადასახადები ქ. თბილისში. თავის გაზეთს ის ფართოდ ავრცელებდა ამქრების უსტაბაშებს შორის იმის დასამტკიცებლად, რომ „ქალაქის თავი ქალაქის საზარალოდ იქცევა“. „შეხედეთ,—უბნებოდა ენფიანჯიანცი უსტაბაშებს,—შერმაზან-ვართანოვამდე ეს გადასახადები არ ყოფილა, ეხლა კი საიდან გაჩნდა ისინი“¹.

თბილისის მკვიდრი მოქალაქეების მეორე წარმომადგენელი, გრიგოლ იზმიროვი უკავშირდება მარკიტანტებისა და სხვა ამქრების უსტაბაშებს, რომელთაც ყველაზე უფრო უნდა დასწოლოდათ ახალი გადასახადების ტვირთი (სასაბილოებისა და სახაშეების პატრონები და სხვ.). ის ცდილობს აამხედროს ისინი შერმაზან-ვართანოვის წინააღმდეგ და აცხადებს უკანასკნელს ახალი გადასახადების შემოღების მიზეზად. იზმიროვის ბინაზე მარკიტანტები მართავენ თათბირებს, რომლებზეც მსჯელობენ თავისი წევრების ყოფაქცევის გეზის შესახებ.

იმავე მიმართულებით, იზმიროვის გარდა, მოქმედებენ სხვა „პირველხარისხოვანი“ მოქალაქეები, როგორც, მაგალითად, ძმები ივანე და ილარიონ ფორაქაშვილები, რომლებიც სადამოობით თავს უყრიდნენ თავის ბინაზე უსტაბაშებს და ეწეოდნენ მათთან აგიტაციას შერმაზან-ვართანოვის წინააღმდეგ².

¹ ც. ა. ს. მეფის ნაცვლის მთ. სამ. სასამ. საქ. დეპარტ. საქმე № 2, ფ. 116, იქვე საქ. № 215 „Восстание амкарства в Тифлисе в 1865 г.“ л. № 124.

² იქვე, საქ. № 2, ფ. 36 და № 215, ფ. 124.



ყაზარ აღამალოვი, მარკიტანტების უსტაბაში, ასე აღწერს აჯანყებულ და-
საწყისის საგამომძიებლო კომისიის წინაშე: „ჩვენ, როგორც კი გაიკეთა ახალი
გადასახადების დაწესების შესახებ, მაშინვე მივმართეთ ქალაქის თავს თხოვნით
მათი გაუქმების შესახებ. მაგრამ როდესაც მან გვიპასუხა, რომ ეს არ არის
მისგან დამოკიდებული, ჩვენ შესაფერისი თხოვნით მივმართეთ კავკასიის მე-
ფისნაცვალს. ამ თხოვნის საპასუხოდ ჩვენ 5 მანეთით შეგვიმცირეს გადასახა-
დი ყოველ სამიკიტნოზე. მაგრამ ვინაიდან ვერც ეს გააუმჯობესებდა ჩვენს
მდკომარობას, ამიტომ ჩვენ მივმართეთ გენერალ-გუბერნატორის თანამდებო-
ბის აღმასრულებელს და თვით გრ. ოზბელიანსაც. რადგან არც ამათ
დასდეს პატივი ჩვენს თხოვნას, ჩვენ ესტაფეტით გავაგზავნეთ პეტერბურგში
თხოვნა, ხელმოწერილი მარკიტანტებისა და სირაჯების მიერ 60 კაცის რაო-
დენობით“¹.

მთავრობისაგან პასუხის მოლოდინში ამქრები გულხელდაკრფილნი არ
ყოფილან. ისინი განაგრძობდნენ კრებების გამართვას და გამოჰქონდათ ყველა
თათბირზე მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება: თუ მთავრობა არ გააუქმებს
გადასახადებს, დახურონ დუქნები, შეიკრიბონ სასაფლაოზე (მხედველობაში
აქვთ ხოჯივანქის სასაფლაო) და არ დაიშალონ მანამდის, ვიდრე მთავრობა
დათმობაზე არ წავა. ამასთანავე კრებაზე დამსწრეთ ჩამოართვეს ხელწერი-
ლი და დაავალეს ავსახკალებს ხელი მოეწერინებინათ ამ ხელწერილზე ამქრების იმ
წევრებასათვისაც, რომლებიც შემთხვევით ვერ დაესწრენ კრებას². უსტაბაში
ყაზარ აღამალოვის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს ასეთი ხელმოწერილი საბუთი,
რომელიც დათარიღებული იყო 1865 წ. 15 ივნისით. ხელწერილი თავდებოდა
შემდეგი სიტყვებით: „მომავალ ივლისის თვემდე ჩვენ გვაქვს ვადა, ხოლო ამ
ვადის გათაგების შემდეგ ჩვენ არ შეგვიძლია გადავიხადოთ ახალ
დაწესებული გადასახადები, რაზეც ხელს ვაწეროთ და ვეთანხმებით“³.

ამქრებს კარგად ესმოდათ, რომ ძალა ერთობაშია: გრიგოლ იზმი-
როვი აგონებდა მათ, რომ თუ ყველა ამქარი დაკეტავს დუქანს, მაშინ გა-
მარჯვება მათ მხარეს იქნება, პირველად დუქნების დახურვა ურჩია ამქრებს
უსტაბაშია დაკით ჯანაზიზოვმა, რომლის წინადადებაც ყველა მარკიტანტმა
მიიღო.⁴


ყურადღების ღირსია ერთი დეტალი, რომელიც მოწმობს იმ საშუალებ-
ებს, რომლებითაც ამქრები ემზადებოდნენ გამოსვლისათვის. ამ დეტალს გად-
მოგვცემს თავის ჩვენებაში უსტაბაში აღამალოვი: „არ მახსოვს კარგად,—ამ-
ბობს იგი,—სახელდობრ როდის იყო ეს. ერთხელ ჯანაზიზოვმა მიმიწვია მე კი-
რაკოზოვის დუქანში, სადაც იყვნენ: ივანე თოფჩიევი, მენას ქოჩიკოვი (იგივე
ყრუაშვილი), ხეჩო მაკაროვი, ნესო კირაკოზოვი და სხვ. და აი აქ მე მან მით-
ხრა: „ჩვენ გადავწყვიტეთ შევიკრიბოთ ბასთამოვის ბაღში გადასახადებზე მო-

¹ ც. ა. ს. მეფის ნაცვლის მთ. სამ. სასამ. საქ. დეპარტ. საქმე № 2, ფ. 28—29.

² იქვე, საქ. № 2, ფ. 52—53.

³ „ „ „ 58 (ხაზი ჩვენი. ა. ფ.)-

⁴ „ „ „ 55 და 53.



სალაპარაკებლად“. სადილის დროს იმავე დუქანში ქოჩიკოვმა (ყრუაშვილმა) უსაყვედურა სირაჯებს, რომ ისინი მხარს არ უჭერენ მარკიტანტებს, რომ თუ ისინი არ იმოქმედებენ მარკიტანტებთან შეთანხმებულად, ეს უკანასკნელები უარს ეტყვიან მათ თავისი ვალების გადახდაზე (ჩანს, ნაყიდი ღვინის ვალზეა ლაპარაკი.—ა. ფ.) და ყოველგვარ კავშირს გაწყვეტენ მათთან. იქ მყოფი სირაჯები არ დათანხმდნენ თავისი დუქნების დაკეტვაზე და ამ ნიადაგზე ქოჩიკოვსა (ყრუაშვილს) და კირაკოზოვს შორის მოხდა ჩხუბი. ჯანაზიზოვმა სთქვა თოფჩივეთან, რომ მათ განზრახული აქვთ მოიწვიონ ბაღში სხვა ამქრების უსტაბაშები და აგსახკალები, სახელდობრ: ბაყლებს, ალაფების, მეფურნეების, ხაბაზებისა და სალახების. მათ უნდოდათ ეკითხათ რჩევა მათთვის და გავგოთ, დათანხმდებიან თუ არა ისინი თავისი დუქნების დახურვას მათთან ერთად. „და მართლაც,—განაგრძობს ალამალოვი,—მე მოვიწვიე ჩემი აგსახკალები და რამდენიმე გავლენიანი მარკიტანტი; ჯანაზიზოვმა მოიყვანა თავისი ხალხი და აგრეთვე შემოჩამოთვლილ ამქრების უსტაბაშები და აგსახკალები. შევიკრიბეთ ბაღში. ჯანაზიზოვი ლაპარაკობდა ახალი გადასახადების შესახებ, რომ საჭიროა დუქნების დახურვა და მაშინ მთავრობა იძულებული იქნება მოხსნას გადასახადები. მეფურნეები და ჯანაზიზოვის აგსახკალები დაეთანხმნენ ჯანაზიზოვს დუქნების დახურვაზე, მაგრამ სხვებმა უარჰყვეს მისი წინადადება. ამ დროს ბაღში გამოჩნდა ჩვენთვის უკვე ნაცნობი გრიგოლ იზმიროვი თავისი ამხანაგით. ის მიესალმა იქ მყოფთ და ჰკითხა, თუ რატომ შეკრებილან ამქრები. ჯანაზიზოვმა უპასუხა, რომ მარკიტანტებს არ შეუძლიათ ახალი გადასახადების გადახდა და ამიტომ უნდათ თავისი დუქნების დაკეტვა. იზმიროვმა მიიხედ-მოიხედა გარშემო, გაიღიმა და სთქვა: „თუ დუქნებს დაკეტავენ მხოლოდ მარკიტანტები, აქედან არაფერი არ გამოვა. ხოლო თუ ყველა ამქრები დაკეტავენ თავის დუქნებს, მაშინ გამარჯვება თქვენს მხარეზე იქნება“—ო¹.

ქალაქის თავი შერმაზან-გართანოვი ასეთ დეტალებს უმატებს ამ სურათს: „დაახლოებით 20 ივლისს ოცდაათი უსტაბაში მარკიტანტ ყრუაშვილის მეთაურობით შეიკრიბა სომხური ეკლესიის ვალაფანში. აქ მათ დასდგეს ფიცი სომხური ჩვეულების მიხედვით, ე. ი. მიადგენ ეკლესიას მარჯვენა ხელის გული, რომ არავის არ უამბობენ მომხდარი თათბირის შესახებ, ხოლო შემდეგ ორორნი და სამ-სამნი გაემართნენ საბაჟოს ახლო მდებარე ბაღისაკენ. გრიგოლ იზმიროვმა (მის ძმას ჰქონდა ქარხანა ამ ბაღის ახლო) შეამჩნია, რომ უსტაბაშები და აგსახკალები ბაღში არიან და თვითონაც გაემართა იქითკენ. მან მიმართა მათ სიტყვით, არწმუნებდა, რომ დაეკეტათ დუქნები და არ გადაეხადათ გადასახადები. ამავე დროს ის მიუთითებდა, რომ თუ ხალხი მოჰკლავს 100 ან 200 კაცს, ამისთვის ციხეში არავის გააგზავნიან, რადგან ეს საზოგადოებრივი საქმეა და ასეთ შემთხვევებში არავის არ სდებენ ბრალს“—ო².

თუმცა შერმაზან-გართანოვის ჩვენება იზმიროვის წინააღმდეგ არ შეიძლება ჩითვალოს სავსებით ობიექტურად, უნდა ვაღიაროთ, რომ იზმიროვი მოქ-

¹ ც. ა. ს. მეფისნაცვლის მო. სამ. საქ. დეპარტ. საქმე, № 2, ფ. 54—55.
² იქვე, ფ. 34—36.

მედობს მეტად ენერგიულად და მოხერხებულად, აგიტაციას ეწევა ამქრებს შორას და აქეზებს მათ ვაბედულ მოქმედებისაკენ.

ფიცით განმტკიცებული გადაწყვეტილების განხორციელება უზრუნველყოფილი იყო. ეს დაადატურა ამბების შემდგომმა მსვლელობამ, და აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ საქმის გარჩევისას არ აღმოჩნდა არცერთი მოლაპატე, არცერთი გამცემი.

მოახლოვდა პირველი ივლისი—ახალი გადასახადების შეტანის ვადა. პასუხი პეტერბურგში გაგზავნილ შუამდგომლობაზე არ ჩანდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. სიტყვა საქმედ იქცა. 24 ივნისს ამქრების უსტაბაშები უჯანასკნელად ეხვეწებიან გუბერნატორს, ნუ მოჰკითხავს მათ ახალ გადასახადებს, მაგრამ პასუხად უარს იღებენ. ამის შემდეგ ისინი გუბერნატორის კანცელარიიდან მიდიან პირდაპირ ვანქის ეკლესიის გალაფანში. აქ მათ გამოაქეთ გადაწყვეტილება გადაყენონ თანამდებობიდან ოთხი უსტაბაში—იუზბაშევი, არუთინოვი, გალუსტოვი და კანდახსაზოვი—შერმაზან-ვართანოვის მომხრეები, რომლებმაც მასთან ერთად განაცხადეს თანხმობა გადასახადების შეტანაზე. აქვე დაადგინეს: 26 ივნისს შეიკრიბონ ხოჯივანქის სასაფლაოზე და მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება შემდგომი მოქმედების შესახებ¹.

26 ივნისს ამქრები იკრიბებიან ხოჯივანქის სასაფლაოზე. აქ ისინი ერთხმად ადგენენ: ორშაბათიდან, 28 ივნისიდან, დაკეტონ ყველა სახელოსნო და დუქანი და არ გააღონ მანამდის, სანამ არ გააუქმებენ ახლად შემოღებულ გადასახადებს. ეს ღონისძიება გადაწყვეტილი იყო განხორციელებიან იმ შემთხვევაშიც, თუ აღმინისტრაცია დუქნების დახურვისათვის მიიღებდა მათ მიმართ უსასტიკეს ზომებს. შეკრებილმა ამქრებმა ხელაპყრობილებმა მისცეს ფიცი ერთმანეთს, რომ გაანადგურებენ იმათ სახელოსნოებს და დუქნებს, ვინც არ დაეორჩილება ამ გადაწყვეტილებას, და დასწყევლიან იმათ, ვინც უღალატებს საერთო საქმეს.

როდესაც ამქრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიტყო მეფისნაცვლის მოვალეობის აღმასრულებელმა თავ. ორბელიანმა, მან, როგორც ადგილობრივმა მკვიდრმა, შესანიშნავად გაითვალისწინა ასეთი გადაწყვეტილების ძალა. ამიტომ მან გამოიძახა თბილისის პოლიცემისტერი როსლავლევი და უბრძანა მას გამოეცხადებია ამქრებისათვის, რომ თუ უჯანასკნელები გაატარებენ ცხოვრებაში თავის დადგენილებას დუქნებისა და სახელოსნოების დაკეტვის შესახებ, ეს იქნება განხილული, როგორც შთავრობის წინააღმდეგი მოქმედება და ამქრების წინააღმდეგ მიღებული იქნება უსასტიკესი ზომები სამხედრო ძალის გამოყენებამდე.

27 ივნისს (კვირა დღე იყო) დილის 8 საათზე პოლიცემისტერმა მოიწვია მასთან უსტაბაშების ჯგუფი, რათა გამოეცხადებია მათთვის თავ. გრ. ორბელიანის განკარგულება. მაგრამ ამ დროს ერევნის მოედანზე (ამჟამად ბერიას სახელობის მოედანი), პოლიცემისტრის სამმართველოს წინ, მოგროვდა აუარება ხალხი: ვაჭრები, ხელოსნები, შავი მუშები და სხვ. მოქალაქენი.

¹ ც. ა. ს. მეფისნაცვლის მი: სამ. სასამ. საქ. დეპარტ. საქმე № 2, ფ. 28 და 29.

შეკრებილთ შორის საიდანლაც გავრცელდა ხმა, რომ პოლიცემისტრის მიერ გამოძახილი უსტაბაშები დაჭერილი არიან და იგზავნებიან ციმაბრში, - ხოლო მათთან ერთად გადასახლებული იქნება ბევრი სხვებიცო. ამ ხმებს განსაკუთრებული დაქინებით აგრცელებდნენ 24 ივნისს ამქრების მიერ გადაყენებული უსტაბაშები. ეს ხმა ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს და ხელს უწყობდა მღელვარების გაძლიერებას. პოლიცემისტრის სამმართველოსთან ხალხი კიდევ უფრო მატულობდა. ხალხის აღელვება ძლიერდებოდა. ქვისმთლებს უსტაბაშს გეო ერემოვს ხალხმა სცემა, როგორც ჩანს იმის განო, რომ ის არ თანაუგრძობდა ხალხის სულიერ განწყობილებას. და როდესაც ერემოვმა სცადა წასვლა მოედნიდან, ხალხმა მას ქვების სროლა დაუწყო.

ხალხი ახლოს მიადგა პოლიცემისტრის სამმართველოს და მოითხოვდა პოლიციაში გამოძახებულ უსტაბაშების განთავისუფლებას. ბრბო შეეცადა კიდევ შევარდნილიყო სამმართველოს კანცელარიაში.

ამ მუქარის გავლენით პოლიცემისტერი იძულებული იყო გამოსულიყო ხალხთან და გამოეცხადებია, რომ უსტაბაშები არ არიან დატუსაღებული. ამის დასამტკიცებლად პოლიცემისტერმა წინადადება მისცა უსტაბაშებს გამოსულიყვნენ ვარეთ და გაეცხადებიათ ხალხისათვის, რომ ისინი მართლაც თავისუფალი არიან.

მაგრამ უსტაბაშებს, ჩანს, არ ჰქონდათ განზრახვა დაემშვიდებიათ ხალხი. მარკიტანტების ხაზინადარი ქობიკოვი (იგივე ყრუაშვილი), როგორც ნაჩვენებია აგამომძიებლო საქმის წარმოებაში, როდესაც „პოლიცემისტრის ბრძანებით გამოდიოდა პოლიციის შენობიდან, რათა დაეჯერებია ხალხი დაშლილიყვნენ, სინამდვილეში, თემცა სიტყვიერად ამას ამბობდა, მაგრამ ხელებით კი უჩვენებდა ხალხს, რომ შევარდნილიყვნენ პოლიციაში“, როგორც ეს შეამჩნიეს დამსწრეებმა¹.

როდესაც პოლიცემისტერმა გამოუცხადა უსტაბაშებს თავ. ორბელიანის განკარგულების შესახებ და მეორედ მისცა მათ წინადადება გასულიყვნენ ხალხთან და დაემშვიდებიათ ის, უსტაბაშებმა უარი სთქვეს ამის შესრულებაზე. მათ განაცხადეს, რომ შესაძლებელია ხალხმა მათ სცემოს, და ამიტომ იახოვდნენ, რომ არ გაემვათ ისინი ერთად, არაბედ ცალცალკე, რომ შეუმჩნეველად გაპაროდნენ ხალხს.

„როდესაც პოლიცემისტერმა ვერ მოახერხა და ვერ დააჯერა ხალხი დაშლილიყო, და ხალხი კი, პირიქით, სულ მატულობდა, მაშინ ხალხის შესაგონებლად ერევნის მოედანზე მოიჭრა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობის აღმასრულებელი ნიკოლოზ ქავეჯავაძე. მაგრამ არც მისმა დარიგებამ გასჭრა. ათი-ათასზე უფრო მკტი შეგროვილი კაცი განაგრძობდა მუქარასა და ყვირილს. გარდა ლაპარაკისა ახალი გადასახადების შესახებ ხალხში გავრცელდა უაზრო ხმები, რომ დღევანდელ დღიდან მთელი მოსახლეობა მოვალეა ატა-

¹ იქვე, თ. 125.

როს რუსული ჩეკები, და რომ ქალაქის თავი დათანხმდა სამხედრო ბეგარის შემოღებაზე და სხვას“¹.

პოლიციებისტერმა მოახსენა საქმის მდგომარეობა თავ. ორბელიანს, რომელიც დღის 2 საათზე თვითონ მოვიდა ერევნის მოედანზე.

„პოეტ ორბელიანს ეგონა, რომ მისი დამსახურება, წარმოშობა, მაღალი თანამდებობა, საზოგადო პატივისცემა და ტკბილი ენით მართალის სიტყვის თქმა საკმარისი იქნებოდა ამბოხების დასაწყენარებლად.

„შვილებო,—დაიწყო მან თავისი სიტყვა, მიმართული შეგროვილ ხალხისადმი,—გონს მოდიოთ, დამშვიდდით. კანონი ყველასათვის ერთია. კაცი მთავარმმართველი ვარ და მეც ვიხდი ცხენის ხარჯს“. ასეთი სიტყვებით მიმართა პოეტმა-ადმინისტრატორმა ხალხს.

„ეე, დალოცვილო,—უპასუხა პოეტს ერთმა კინტომ,—თქვენი საქმე სულ სხვაა. თქვენ ცხენს ინახავთ, ჩვენ ცხენი გვიანახავს. აი რა განსხვავებაა ჩვენს შორის. საიდან მივცეთ მომეტებული ხარჯი, თუ არ გვაქვს“².

ამ პასუხმა მოთმინებიდან გამოიყვანა მოხუცი ადმინისტრატორი. მან დაუწყო ყვირილი ხალხს, ემუქრებოდა მათ. მაშინ ხალხმაც უპასუხა გინებით, სტვენით, ქვების სროლით. შერცხვენილმა ორბელიანმა დასტოვა მოედანი და წავიდა სახლში.

3 საათზე მოედანზე მივიდნენ ჟანდარმები და ყაზახები მცირე რაოდენობით და ცდილობდნენ გაერეკათ ხალხი. მაგრამ ხალხმა ისინი ქვებით იფრინა და ერთ ყაზახს თავიც კი გაუტეხა. ხალხი ეცადა შევარდნილიყო პოლიციებისტრის სამმართველოში და დაერბია ის, მაგრამ მას წინააღმდეგობა გაუწიეს შეერთებული ძალებით პოლიციამ, ჟანდარმერიამ და ყაზახებმა. მაშინ ხალხი გატრიალდა ველიამინოვის ქუჩისაკენ და იერიში მიიტანა ხოჯაამინასაზოვის სახლზე, რადგან ის ეგონათ ქალაქის თავის სახლი. როდესაც ვილაყამ დაიძახა ხალხიდან: „ეს არ არის შერმაზან-ვართანოვის სახლი“, მაშინ ბრბო გაეშურა იმავე ქუჩით შერმაზან-ვართანოვის სახლისკენ და ცდილობდა მის შენგრევას. ჩამატერიეს ფანჯრის მინები, გამოამტერიეს კარები, ზოგან შეანგრიეს კედლებიც. ხალხიდან გამოსული ცალკე პირები ისვრიდნენ ფანჯრებიდან ძვირფას სპარსულ ხალიჩებს, ხოლო წინასწარ ნაკუწნაკუწად სჭრიდნენ ხანჯლებით. ისვრიდნენ მურაბიან ქილებს, ამტვრევდნენ ძვირფას ფაიფურის ქურტელს. მეორე სართულიდან მეტისმეტი გაბოროტებით როიალი გადმოაგდეს; ნაწილ-ნაწილად დახიეს წიგნები და ფურცლები ჰაერში გაფანტეს, თანაც გაიძახოდნენ: „ალბათ ამ წიგნებიდან ამოიკითხა შერმაზან-ვართანოვმა, თუ როგორ გააწამოს ხალხი“-ო³. მოსპობილ იქნა მდიდარი, ძვირფასი წიგნთსაცავი, ძველებური წიგნები და ხელნაწერები. თვითონ შერმაზან-ვართანოვი ამ დროს სახლში

¹ მეუწნარგია, „ცხოვრება და ღვაწლი თ-დის გრიგოლ ორბელიანისა“. (მოამბე, 1904 წ. წიგ. V).

² მეუწნარგია, იქვე.

³ პროფ. მელიქიშვილი, ჩემი ცხოვრება („ქართული მწერლობა“ 1927 წ., წიგ. 5, გვ. 146).

არ იყო. მან, როდესაც ვაიგო, რომ ხალხი მისი სახლისაკენ მიემართებოდა, მოასწრო დამალვა.

შერმაზან-ვართანოვის სახლის დარბევს შემდეგ ხალხი წავიდა ქვევით სალდათის ბაზრისაკენ. ხალხი სულ უფროდაუფრო მატულობდა და მიემართებოდა მისაილოვის ხილით (ამჟამად კარლ მარქსის) ჩუღურეთის რაიონისაკენ. მრისხანე ხალხში კომიკურ ინციდენტებსაც ჰქონდა ადგილი. პროცესის ერთ-ერთმა მოსაწილემ გრძელ ჯოხზე ჩამოაცვა შერმაზან-ვართანოვის ცოლის ქვედა საცვალი და ისე მიჰყვებოდა ხალხს. ვინმე პოხრუამ თავზე ჩამოიცვა თვით შერმაზან-ვართანოვის ცილინდრი და ასე უყვიროდა სოლოლაკის არისტოკრატებს, გადმომდგარებს-თავის სახლების აივნიდან... „ასე ავაწიოკებთ ყველას, ვინც მოინდომებს ისედაც დაჩაგრულ ხალხის შევიწროებას“¹.

უკანასკნელი დეტალი ოფიციალურ დოკუმენტებში შემდეგნაირი რედაქციით არის გადმოცემული: თედო ნარიძეს (და არა პოხრუას, როგორც მას ზ. ჭიჭინაძე უწოდებს) მიჰქონდა დიდ ჯოხზე შერმაზან-ვართანოვის ქუდი, ხოლო მხარზე გადარტყმული ჰქონდა ლენტისებურად ხალიჩის ნაჭერი. თვითონ ნარიძემ თავისგანამართლებლად უჩვენა გამომძიებელ კომისიას, რომ მექუდე დათიკომ, მეტსახელად ოქუამ, რომელიც სხვებზე უფრო ფუსფუსებდა შერმაზან-ვართანოვის სახლთან, მივიდა მასთან, ჩამოაცვა მხარზე ხალიჩაზე ჩამოჭრილი გრძელი ნაჭერი და უთხრა: „აი შენ ვლადიმერის ლენტი“. გზაში უკუიისაკენ მან ეს „ვლადიმერის ლენტი“ დაჰკარგა. მერე ვილაცამ მას ჩამოაცვა² „რგვალი შლიაბა“, მაგრამ მან ის მოიხადა და ჯოხზე ჩამოცმული წაიღო³.

ჩუღურეთის რაიონში ხალხი შეჩერდა ქალაქის თავის თანამშრომელის, ხარჯთამყრეთის ბაქბუეკ-მელიქოვის სახლთან. უკანასკნელმა გადასწყვიტა იარაღით ხელში წინააღმდეგობა გაეწია ხალხისათვის. ერთერთი შემომტევი (ალექსი თომაშოვი) მან დასჭრა⁴, რამაც კიდევ უფრო აღაშფოთა ხალხი. ის შევარდა ბაქბუეკ-მელიქოვის სახლში და დაუწყო ყველაფერს განადგურება მის ბინაზე. თვითონ ბაქბუეკ-მელიქოვი თავისგადასარჩენად სახლის სახურავზე ავარდა. იქიდან გადმოხტა მეზობელ შენობის ბანზე, მაგრამ აქ ხალხმა ქვები დაუშინა და წააქცია ის. შემდეგ ცალკე პირებმა სასიკვდილოდ სცემეს მას და დასახიჩრებული გვაში გადმოაგდეს ქვაფენილზე⁴.

მხოლოდ ბაქბუეკ-მელიქოვის სახლთან მომხდარ ამბების შემდეგ მოვიდა გონს თბილისის ხელისუფლება და შეეცადა უფრო ენერგიული ზომების მიღებას დამრბეველთა დასამშვიდებლად.

ბაქბუეკ მელიქოვის სახლისკენ გაემართა ცხენოსანთა რაზმი იასაულ ზარიძის მეთაურობით. ბაქბუეკ-მელიქოვი უკვე მკვდარი იყო, ხოლო მისი სახლი კი ერთიანად აკლებული. ხალხი ყვირილითა და სტვენით შეხვდა ზარიძეს და ქვებიც დაუშინა. დაიჭრა ათისთავი და ორი ყაზახი. ზარიძე იძულებული

¹ ზ. ჭიჭინაძე, „თბილისის ამბოხება ანუ დიდი ბუნტი“ 1865 წ. გვ. 28.
² საქ. ც. ა. ს. საქმე № 2, ფ. 137—138.
³ იქვე, № 215, ფ. 86.
⁴ ბაქბუეკ-მელიქოვის მოკვლის ამბავი დაწვრილებით მოცემულია საქ. № 215 ფ. 134.

იყო დაეხია ყაზახებითურთ, მაგრამ მიხაილოვის ხილთან ხალხი წინ გადაელო-
 ბა მას. სეტყვასავით წამოსულმა ქვევმა დასჭრა კიდევ ორი ყაზახი და თვით
 ზარიძე. ამის შემდეგ ყაზახებმა ზარიძის ბრძანებით სროლა აუტეხეს ხალხს.
 ოფიციალური ცნობებით მოკლულ იქნენ: უცნობი, რომელმაც ქვით დასჭრა
 თვით ზარიძე, და აფთიაქის პრევიზორი ვეტცელი. ხელში დაიჭრა აფთიაქის
 პატრონი კერსტენი. ამ დროს ცხენოსანი რაზმის საშველად მოვიდა ყაზახების
 მეორე რაზმი, რომელმაც გარეკა ხალხი.

სალამოხანს ქალაქი თითქოს ცოტაოდენ დაწყნარდა. ღამით თავად ორ-
 ბელიანის განკარგულებით თათრისა და ერევნის მოედნებზე, პოლიცმეისტრის
 სამმართველოსთან დაყენებულ იქნა ჯარის ნაწილები. ყარაულები დააყენეს ხა-
 ზინასთან და „სახოგადობრივი მზრუნველობის პრიკაზთან“ (საპიპოთეკო ბან-
 კთან). მოძრაობა მიხაილოვის ხილზე შეჩერებულ იქნა, კუკიის რაიონში გაგზავ-
 ნეს ჯარისკაცების ორი როტა განკარგულებით—არავინ არ შემოეშვათ ქა-
 ლაქში.

როგორც ჩანს, ხელისუფლებას ეშინოდა, რომ ქალაქის მასებს არ მიმ-
 ხრობდნენ ახლომახლო მდებარე სოფლები. სასწრაფოდ გამოიძახეს რამ-
 დენიმე ბატალიონი ქვეითი ჯარი აღბულაიდან, მესანგრეთა ბატარეა და ბა-
 ტალიონი მუხროვანიდან და ყაზახები ხრამის შტაბის მთავარი ბინიდან¹.

მაგრამ ღამემ მშვიდობიანათ ჩაიარა. მეორე დღეს (28 ივნისს) ამქრებმა
 დახურეს ყველა თავისი სახელოსნო და სევაქრო. ამ დღეს თბილისში
 ვერსად ვერ იყიდლით სანოვავეს, მეეტლეები არ გამოვიდნენ ბირჟაზე, თულუხ-
 ჩებს არ დაჰქონდათ სახლებში წყალი... ქალაქი მიყურდა, შეწყდა სიცოცხლე.
 რაკი მთავარი ქუჩები და მოედნები დაკავებული იყო ჯარით, ამქრები და მათი
 მომხრენი თავს იყრიდნენ ქალაქს გარეთ. ქალაქში არავის არ უშვებდნენ, ქა-
 ლაქიდან კი თავისუფლად შეეძლო გასვლა ყველა მსურველს.

დიდძალი ხალხი შეგროვდა მახათას მთასთან, ხოჯივანქისა და ბებუთოვის
 სასაფლაოებზე და სხვ. თავმოყრილი ხალხი მსჯელობდა შექმნილი მდგომარეო-
 ბის შესახებ. გამოსული ორატორები ურჩევდნენ ხალხს სიმტკიცეს, მოუწოდებ-
 დნენ არ დაეხიათ უკან და არ დაეთმოთ წამოყენებული მოთხოვნილებანი.

ხელისუფლებამ ანგარიში გაუწია ასეთ მოთხოვნილებას და შემდეგნაირ
 ხერხს მიმართა. მან დაიწყო განხორციელება შემდეგი პრინციპისა: „დაქსაქსე და
 იბატონე“. უწინარეს ყოვლისა მას უნდოდა შერიგება მსხვილ ბურჟუაზიასთან,
 რომელიც ასე უკმაყოფილო იყო ქალაქის თავით შერმაზან-ვართანოვით. მე-
 ფისნაცვლის მოვალეობის აღმსრულებლის განკარგულებით შერმაზან-ვართანო-
 ვი გადაყენებულ იქნა და მის ადგილზე დაინიშნა თბილისის მკვიდრი „პირველ-
 ხარისხოვანი“ მოქალაქე სოლომონ აბესალომოვი, რომელიც ამ დრომდე სამ-
 ჯერ იყო არჩეული ქალაქის თავად (1848, 1849 და 1860 წ-ში).

132, 133; პროფ. მელიქიშვილს მის მოგონებებში „ჩემი ცხოვრება“ ეს ამბავი ცოტა სხვა
 რედაქციით აქვს გადმოცემული, მაგრამ საქმის არსს ეს არ სცვლის („ქართული მწერლობა“.
 1927 წ., წ. 5, გვ. 146—147).

¹ საქ. ც. ა. ს. ორბელიანის წერილები. საქმე № 174, ფ. 155.

ასე ამგვარად დაამწვიდეს მსხვილი ბურჟუაზია. მაშინ აბესალომოვმა და რამდენიმე სხვა სპაპით მოქალაქემ მთავრობის დავალებით დაიწყეს მოლაპარაკება ამქრებთან. მათ დააჯერეს ამქრები, მასობრივი გამოსვლებისა და ვაჭრების გაფიცვის გაგრძელების ნაცვლად, გაეგზავნათ დეპუტაცია ორბელიანთან. ამ დეპუტაციას კიდევ ერთხელ უნდა ეთხოვნა შემოდებულ გადასახადების გაუქმება და, თუ ამის შესრულება უკვე აღარ შეიძლებოდა, მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, გადაედოთ ხარკის აკრეფის ვადა მეფისნაცვლის ჩამოსვლამდე პეტერბურგიდან. ორბელიანმა უპასუხა დეპუტაციას, რომ მას უფლება არა აქვს გააუქმოს მეფისნაცვლის განკარგულება და შეაჩეროს გადასახადის აკრეფა. დეპუტაციამ სთხოვა მას, მაინც მიეღო თხოვნა მეფისნაცვლის სახელზე. ამაზე ორბელიანი დასთანხმდა, მაგრამ... ერთი პირობით: თუ ვალებდნენ სავაჭროებსა და სახელოსნოებს.

დეპუტაციის მოლაპარაკების ასეთი შედეგი, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებდა ამქრების მასას და მათი მოძრაობის ყველა მომხრეს. ქალაქის გარეთ კრებებზე ბევრს დაობდნენ, ბკობდნენ, მსჯელობდნენ. ქალაქის თავი აბესალომოვი ამ დღეს ოთხჯერ მივიდა ხოჯივანქის სასაფლაოზე შეკრებილებთან, მაგრამ ვერ დაიყოლია დათანხმებულიყვნენ თავ. ორბელიანის პირობებზე.

პროფ. მელიქიშვილი თავის მოკონებებში წერს:

„ერთ ჩემ ამხანაგთან ერთად მოვანერხე ვასვლა იმ გორაკზე. მაგონდება ერთი ახალგაზრდა ხელოსნის სიტყვა, რომელიც ამბობდა, რომ ჩვენ არ უნდა დავთანხმდეთ ამ დიდ გადასახადების მოთხოვნილებებზეო. აი, როგორც ჩვენ ვდგევართ აქ სასაფლაოზე და უგზავნით საყვედურებს ჩვენ მამა-პაპას, რომ ისინი დასთანხმდნენ რუსის ჯარის აქ შემოყვანას და ამგვარად ჩვენს დაჩაგვრას, ისე ჩვენი შვილები საყვედურებს გვეტყვიან ჩვენ ამავე სასაფლაოზე, თუ ჩვენ დაესთანხმდებით მთავრობის მოთხოვნილებებზეო“.

„მოხუცები, — განავრძობს პროფ. მელიქიშვილი, — ამბობდნენ სულ საწინააღმდეგო შინაარსის სიტყვებს: „რუსთა მეფე ძლიერია, ჩვენ მათ ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ, სჯობია დაგუთმოთ და შევრიგდეთ“¹.

აჯანყებულებმა გაატარეს დრო ცხარე კამათში, რომელიც დროგამოშვებით ნამდვილ პოლიტიკურ ხასიათს იღებდა. დუქნები დახურული იყო და მოსახლეობა შიმშილობდა. ვისაც შინაური საქონელი ჰყავდა, მათ დაჰკლეს ის და ერთმანეთში იყოფდნენ ხორცს². მაგრამ ვინც აჯანყებულებს მიემხრო და ქალაქს გარეთ იყო, იმათ არ აწუხებდა შიმშილი. იმ უბნის ღვინავალები აცხობდნენ პურს და მუქთად ურიგებდნენ მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულებს. ესოდენ დიდი იყო მოსახლეობის ფართო მასების თანაგრძნობა მათდამი³.

¹ პროფ. მელიქიშვილი, „ჩემი მოგონება“, გვ. 147.

² საქ. ც. ა. ს., საქ. № 2 № ფ. 158—159. ზ. ჭიჭინაძე, „თბილისის ამბოხება ანუ დიდი ბუნტი“. 1865 წ. გვ. 29.

³ პროფ. მელიქიშვილი, „ჩემი ცხვრება“, გვ. 147—148.

ჯერ კიდევ 28 ივნისს სალამოს მოხდა ახალი შეტაკება ჯართან შემდეგ-
 ნაირ პირობებში.

ქალაქის გარეთ ჩატარებულ კრების მონაწილეთა ნაწილი შეეცადა და-
 ბრუნებულიყო ქალაქში, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ხიდებთან დაყენე-
 ბული იყო ჯარის ნაწილები, რომლებიც არავის არ უშვებდნენ ქალაქში. ავ-
 ლაბრის ხიდთან (მეტეხის ციხესთან) შეგროვდა ბევრი ხალხი და მან სცადა
 გაერღვია ჯარის ჯაჭვი. ორმა ხელოსანმა (დავით ლუარსამისძემ და სარქის
 ხოჯაევმა) სტაცეს ხელი ხელებში წრეში მდგომ „პოდპორუჩიკ“ მიხელსონს
 და ცდილობდნენ ამით დეზორგანიზაცია შეეტანათ ჯარის ნაწილების მეთაუ-
 რთა განკარგულებებში. ამავე დროს მახლობელ სახლების სახურავებიდან და
 აივნებიდან ჯარს ქვები დაუშინეს. სალდათებმა სროლით უბასუსხეს. მუამზობე-
 ბიდან, ვინც უფრო გამბედავი და მოსაზრებიანი იყო, უმეტესად სირაჯები,
 მოწმეების ჩვენებით, მივარდნენ იარაღს. მყისვე შეადგინეს გეგმა: ცურვით
 გასულიყვნენ მტკვრის მეორე ნაპირს, უკანა მხრიდან შემოევლათ ავლაბრის
 ხიდზე (მეტეხის ციხესთან) გაჩერებული ჯარის რაზმისათვის და გაენადგურებიათ
 ის¹. მაგრამ ჯარის ნაწილებმა წინასწარ ზომებით ხელი შეუშალეს ამ საშიშ
 განზრახვას.

ოფიციალური ცნობებით, ამ დროს მოკლულ იქნა ორი კაცი, ხოლო შვი-
 დი დაიჭრა. სინამდვილეში კი ბევრად უფრო მეტი მოკლული და დაჭრილი
 იყო. პროფ. მელიქიშვილის მოწმობით, მოკლული იყო რამდენიმე ათეული
 კაცი².

სისხლისღვრა რომ კიდევ არ გამოვრებულიყო, ორბელიანმა გააგზავნა
 შეტაკების ადგილზე (ხიდზე მეტეხის ციხესთან), ხოლო იქიდან ხოჯივანქის სა-
 საფლაოზე თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი ნიკო ჭავჭავაძე და ქალაქის
 თავი აბესალომოვი. ახლა კი ორბელიანმა დააბარა მათ გადაეცათ აჯანყებულ-
 თათვის, რომ ამქრების მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული იქნება, რომ გა-
 მოსვლაში მონაწილეობისათვის ზრავის არ დასჯიან, ახალი გადასახადების აკ-
 რეფა შეჩერებული იქნება და ქალაქის საქმეებში მონაწილეობას მიიღებენ ხალ-
 ხის მიერ არჩეული პირები. ამ საზემო განცხადებას დაუჯერა უპირველეს ყო-
 ვლისა მსხვილ ბურჟუაზიასთან და „პირველხარისხოვან“ მოქალაქეებთან ახლო
 მდგომმა ამქრების ორგანიზაციების ზედა ფენამ. ესენი არწმუნებდნენ შეკრე-
 ბილთ შეეწყვიტათ ბრძოლა. მართალია, ამქრებს შორის იყვნენ შეჯრივებელი
 ელემენტები, რომლებიც დაუინებით მოითხოვდნენ ბრძოლის გაგრძელებას,
 მაგრამ ასეთები უმცირესობა იყო. უსტაბაშებმა თავისი გაიტანეს დ³ 29 ივ-
 ნისს ქალაქში ყველა დუქანი და სახლოსწო გაიღო. ამქრების გაფიცვა
 შეწყდა. ამქრების მიერ მიტოვებული ქალაქის მასები, რომლებიც მიემხრენ
 მოძრაობას, დარჩნენ მარტონი, ხელმძღვანელობის გარეშე. მათ ვეღარ შეას-

¹ იქვე, აგრეთვე ა. ფურცელაძე, „Зак. речь“, 1912 წ. № 136.

² ამასვე ადასტურებს ანტ. ფურცელაძეც. იხ. მისი წერილი: „Грузинские дела и участие в них Вахтанга Тугаева“. (Газета; „Зак. речь“, 1912 г. № 136).

რულეს თავისი განზრახვა და ვერ გაუსწორეს ანგარიში თავის მხაგერელებს. თბილისის ყოველდღიური ცხოვრება დროებით ჩაღდა თავის კალაპოტში.

IV

ასეთია თბილისში 1865 წ. 26—28 ივნისს მომხდარი ამბების დეტალები, როგორც ამას გადმოგვცემენ დაცული ოფიციალური დოკუმენტები და თანამედროვეთა გამოქვეყნებული მოგონებანი ამ ამბების შესახებ. იმის მიხედვით, თუ რაც ითქვა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკაზე საქართველოში, ცარიზმის დამოკიდებულებაზე ქალაქის ბურჟუაზიასთან, თბილისის ხელოსნების მდგომარეობაზე ამქრების გამოსვლის წინ, იბროინდელ თბილისის „სოციალურ სახეზე“ და ქალაქის მასების მაშინდელ სულისკვეთებაზე, ძნელი არ არის დავასკვნათ, თუ რა ძალებმა განსაზღვრა ძირითადად მაშინ დატრიალებულ ამბების მსვლელობა და რა მიზეზების გავლენით დამთავრდა „ივნისის დღეები“ სწორედ ისე და არა სხვაგვარად.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ამქრების გამოსვლა, ოფიციალურად „ჯანყად“ წოდებული, არაერთარ შემთხვევაში არ განისაზღვრებოდა მხოლოდ თბილისის ხელოსანთა წოდებით და ამქრული დისციპლინით შემჭიდროებული წვრილი ვაჭრებით. მტკიცე და ძლიერი ორგანიზაცია ჰქონდათ ამქრებს, ძალიან ძნელი იყო უსტაბაშებისა და მთელი ზედაფენისათვის მათი ტრადიციული პრივილეგიების შეზღუდვისა და ქალაქის გამგეობის მიერ დაწესებული ახალი გადასახადებისა და წესების ატანა, მით უმეტეს საგრძნობი იყო ის მატერიალური დანაკლისი, რომელიც მიაყენა ცალკე ამქრებს ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ. ამას ემატება კიდევ ამქრების ქვედა ფენების აშკარა და დაუფარავი უკმაყოფილება შრომის პირობების გაუარესებით და მოურიდებელი ექსპლოატაციით ამქრების სრულუფლებიან წევრების—ოსტატების მხრივ, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ამქრების უსტაბაშებმა გაბედეს აშკარა გამოსვლა და დაიწყეს მზადება ამ გამოსვლისათვის მხოლოდ მაშინ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ამ საქმეში მათ სათანადო მომხრეები ჰყავდათ.

ასეთი მომხრეები იყვნენ, უპირველეს ყოვლისა, თბილისის „პირველხარის-ხოვანი“ მოქალაქეები და თბილისის მკვიდრი მსხვილი ბურჟუაზია. ის მეტად დაზარალებული იყო ამ პერიოდში ცარიზმის მიერ, ჯერ ერთი, მისი ტრადიციული პრივილეგიების დარღვევით ქალაქის მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში, მეორე, იმ გარემოებით, რომ იმ ხანებში მთავრობის სფეროებში მუშავდებოდა რუსეთის დიდი ქალაქების მმართველობის გარდაქმნის პროექტი. ეს გარდაქმნა უნდა მომხდარიყო ყოველწოდებრივობის პრინციპის გაძლიერების საფუძველზე. ამ მმართველობაში უნდა შეყვანილიყვნენ იმპერიის უპირველესი წოდების—თავადაზნაურობის წარმომადგენლები, რაც მეორე ადგილზე აყენებდა წარჩინებული ვაჭრების ჯგუფს. მესამე, რის გამოც შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს მსხვილი ბურჟუაზია, იყო ის პრივილეგიები, რომელსაც ანიჭებდა მეფის მთავრობა „რუსეთის სამამულიშვილო“ კაპიტალს, რომელიც თანდათანობით ვრცელდებოდა საქართველოში და ამცირებდა იქ

ადგილობრივი ვაჭრების მოგებას. განსაკუთრებით უკმაყოფილო იყვნენ მკვიდრი მოქალაქეები იმიტომ, რომ მთავრობა არა თუ ათანაბრებდა მათ „ახალ-მოსულებთან“, — თბილისში ახლად გადმოსახლებულ ვაჭრებთან და მრეწველებთან, — არამედ 1864 წ. არაპირდაპირი გზებით ხელიც შეუწყო ახალმოსულის შერმაზან-ვართანოვის გასვლას ქალაქის თავად.

კაცმა რომ თქვას, ქალაქის მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესები ისე მკვიდროდ იყო გადახლართული ზოგიერთი განსაკუთრებით გავლენიანი უსტაბაშის ინტერესებთან (ცალკე უსტაბაშები თბილისის მკვიდრი მცხოვრებლები იყვნენ), ზოგიერთი ამქარი იმდენად იყო დამოკიდებული მსხვილი ბურჟუაზიისაგან (განსაკუთრებით მეწვირლმანეებისა და მარკიტანტების ამქრები; უკანასკნელები, სხვათა შორის, ერთერთ ყველაზე უფრო აქტიურ როლს თამაშობდნენ 26-28 ივნისის გამოსვლის დროს), რომ ძნელი სათქმელია, თუ რომელ წრეში წარმოიშვა და განვითარდა ამქრების გამოსვლის იდეა. თუ მხედველობაში მივიღებთ გამოძიებულ კომისიისათვის შერმაზან-ვართანოვის მიერ მიცემულ ჩვენებას, გამოსვლის ინიციატორები იყვნენ, უმთავრესად, თბილისის მკვიდრი მოქალაქეები. ის პირდაპირ აბრალებდა გამოსვლის ორგანიზაციას მთელ რიგ „პირველხარისხოვან“ მოქალაქეებს და ამ წოდებებიდან გამოსულ ზოგიერთ მოხელესაც, რომლებსაც გარკვეული თანამდებობა ეჭირათ თბილისის საგუბერნიო დაწესებულებებში¹.

„ახალი გადასახადები მხოლოდ საბაზი იყო ამქრების აჯანყებისათვის ხელისუფლებისა და პირადად მისი — შერმაზან-ვართანოვის — წინააღმდეგ, — აცხადებს ის გამოძიებულ კომისიაში. არსებითად ეს გამოსვლა იყო ორი პარტიის ბრძოლის შედეგი. ერთი არის მკვიდრი, საპატიო მოქალაქეების პარტია, რომელიც ცდილობს ძველებურად შეინარჩუნოს გავლენა საზოგადოებრივ მმართველობაში, რათა იბატონოს დაბალ წოდებაზე და ამგვარად დაიცვას თავისი ინტერესები, და, მეორე კი, ახალიმოსულების პარტია, რომელიც ებრძვის ამ ბატონობას“.

შერმაზან-ვართანოვის ჩვენებით, ივნისის დღეების მთავარი შთამავონებელი და ხელმძღვანელი იყო „ნადვორნი სოვეტნიკი“ გრიგოლ იზმიროვი, თბილისის მკვიდრი მოქალაქე, ხოლო მისი თანამონაწილენი: თბილისის საგუბერნიო სამმართველოს მრჩეველი გაბრიელ სუნდუჯიანცი, ეჭმი როტინიანცი, სოლადოვი (სამივე მოქალაქე) და თბილისის საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობის წევრი ამბარტუმ ენფიანჯიანცი. ამ უკანასკნელს შემოხსენებულ როტინიანცსა და სუნდუჯიანცთან ერთად ჰქონდა თბილისში სტამბა და სცემდა გაზეთს „სომხეთის ფუტკარს“ („მელუ აიასტან“). ამავე ჯგუფში შედიოდნენ საპატიო მოქალაქენი: ივანე და ილარიონ ფორაქაშვილები, დანიელ იზმიროვი, არტემ ბაისალოლოვი და გეო გაზალოვი.

¹ საქ. ც. ა. ს., საქმე № 215, 1865 წ. ფ. 119.

მარკიტანტების ამქართან ახლო მდგომი მოქალაქე გრიგოლ იზმიროვი (მის ძმას დანიელ იზმიროვს ჰქონდა საკუთარი არყის ქარხანა თბილისში), შეამაზან-ვართანოვის განცხადებით, იყო მოძრაობის ფარული ინსპირატორი და მთავარი ხელმძღვანელი. იზმიროვი და სუნდუკიანცი აღდგებდნენ მოსახლეობას შერმაზან-ვართანოვის წინააღმდეგ. იზმიროვი თავს უყურდა თავის ბინაზე ამქრების წევრებს და ავრცელებდა ისეთ ხმებს. შერმაზან-ვართანოვის შესახებ, თითქოს ეს უკანასკნელი მისწრაფობდა გაეერთიანებინა სომეხი-გრიგორიანები მართლმადიდებელ ეკლესიასთან, თითქოს იზმიროვი, როგორც თბილისის ამქრების რწმუნებული, გაზავნილი იყო ეჩმიაძინში ამის გამოსაცხადებლად სომხების სინოდისათვის¹.

ეჩმიაძინში წასვლის წინ იზმიროვმა ყოფ. ქალაქის თავ ფრიდონოვთან ერთად ორჯერ შეჰყარა ამქრები. პირველად ნორაშენის ეკლესიის გალავანში, მეორეჯერ ხოჯივანქის სასაფლაოზე. რათა ამქრების წევრებს შორის აგიტაცია გაეწია შერმაზან-ვართანოვის წინააღმდეგ. შერმაზან-ვართანოვის ჩვენებით, ამ აგიტაციისათვის ენფიანჯიანცმა და სიმონიანცმა შენიშვნა მიიღეს გუბერნატორისაგან, დაახლოებით 30 ივნისს, როდესაც უსტაბაშებმა ქოჩიკოვის (ყრუაშვილის) მეთაურობით ფიცი დასდეს წმ. გიორგის ეკლესიასთან, რომ მტკიცედ დაიცევენ თათბირის საიდუმლოებას, იზმიროვმა ბებუთოვის ბაღში, საბაყოს ახლო, წარმოსთქვა მხურვალე სიტყვა ახალი გადასახადების შემოღების წინააღმდეგ. მან დაუხატა დამსწრეებს ამ ღონისძიების ყველა საზარალო შედეგი და ამტკიცებდა, პროტესტის ნიშნად, სვაქრო დაწესებულებათა დახურვის აუცილებლობას.

შერმაზან-ვართანოვის მოყვანილი ჩვენება თუმცაღა არ იყო მოკლებული სუბიექტურ ელფერს, მაგრამ მაინც იძლეოდა გარკვეულ მითითებებს, თუ საიდან მოდიოდა ამქრების გამოსვლის ინიციატივა და სად მუშავდებოდა ამ გამოსვლის თავდაპირველი გეგმა. სწორედ ამიტომ გამოძიებელმა კომისიამ შეამოწმა ზემოხსენებული ჩვენება სხვების ჩვენებებით და შესაძლებლად სცნო წარედგინა ბრალდება გამოსვლის მოწყობის შესახებ შემდეგი „პირველხარისხოვანი“ მოქალაქეებისათვის: გრიგოლ იზმიროვისათვის და ქალაქის სამმართველოს კომისრის თანაშემწის ამბრცუმ ენფიანჯიანცისათვის; საპატიო მოქალაქეებისათვის: ნაზარ ნაზარბეგოვისათვის, ეგორ ფრიდონოვისათვის, დანიელ იზმიროვისათვის, ივანე და ილარიონ ფორაქაშვილებისათვის, არტემ ბაისილოლოვისათვის, მოქალაქე სტეფანე საგინოვისა (იგივე კოლოტაშვილი) და გეო გაზალოვისათვის. ყველა აქ მოხსენებული დაკითხეს, დაატუსაღეს და გაგზავნეს მეტეხის ციხეში. რაც შეეხება პირველხარისხოვან მოქალაქეებს—ექიმ როტიანიანცს, გაზეთ „მელუ აიასტანი“-ს რედაქტორს პეტრუს სიმონიანცს და საგუბერნიო სამმართველოს მრჩეველს გაბრიელ სუნდუკიანცს, კომისიამ არ სცნო

¹ იმ ხანაში მართლაც გამწვავებული ურთიერთობა იყო რუსეთის მთავრობასა და სომხეთის პატრიარქს შორის სომხური ეკლესიის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით. ამის შესახებ ცნობები მოიპოვება, სხვათა შორის, გრ. ორბელიანის წერილებში (ც. ა. ს. საქმე № 174, ფ. 152).

აუცილებლად მათი დაპატიმრება, საბუთების უკმარობის გამო, და გადაწყვიტა გაეგრძელებია გამოძიება მათ შესახებ.

პირველხარისხოვანი მოქალაქეები და მსხვილი ვაჭრები, რომლებისგანაც დამოკიდებული იყო ზოგიერთი ამქარი, მეტად გავლენიან მოკავშირეს წარმოადგენდნენ და მათ მიერ ზურგგამაგრებული უსტაბაშებიც გულომოდგინედ შეუდგნენ გამოსვლის აგიტაციას თავის წევრებს შორის ამქრების შექმიდროება, ერთსულოვნება და მათ შორის გამეფებული დისციპლინა იძლეოდა პირველხარისხოვანი მოქალაქეებისა და უსტაბაშების მიერ გამოიმუშავებული გეგმის განხორციელების შესაძლებლობას. ამქრების კრებებზე გამოტანდლ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობა წარმოუდგენელი იყო. არჩეულ ღონისძიების—ვაჭრების გაფიცვისა და ღუქნების დახურვის სასარგებლო არგუმენტს წარმოადგენდა ამქრების ასეთივე გამოსვლების პრეცედენტები თბილისის წარსულ ისტორიაში.

ამქრების ზედაფენმა, თბილისის მსხვილ ბურჟუაზიასთან ერთად, გადასწყვიტა მოეწყო ამქრების გამოსვლა, არსებითად მიმართული ცარიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ის კარგად გრძნობდა, რომ ამ გამოსვლას არ ექნებოდა გავლენა, თუ მასში მონაწილეობას მიიღებდნენ მხოლოდ თბილისის ხელოსნები და ვაჭრები. ღუქნების დახურვას და პირველი საჭიროების საგნებით ვაჭრობის შეწყვეტას შეიძლებოდა მოჰყოლოდა სულ სხვა შედეგი. მას შეიძლება გამოეწვია ქალაქის მოსახლეობის გაბოროტება ამქრების ორგანიზაციის წინააღმდეგ. ამით ალბათ თავის მხრივ ისარგებლებდა მეფის პოლიცია. სწორედ ამიტომ ამქრები, როგორც ერთსულოვანი ორგანიზაცია, წინასწარ ცდილობენ მოიპოონ თანაგრძნობა ამ მასებში და მიიზიდონ ისინი თავის მხარეზე ამ მასებთან ახლო მდგომ ამქრების ქვედა ფენების—ქრგლებისა და შევირდების—საშუალებით. ისინი უხატავენ მათ ამ გამოსვლას, როგორც ბრძოლას მთავრობის ჩაგვრის წინააღმდეგ, ბრძოლას, რომლის გამარჯვებას შეუძლია მისცეს მათ იმ აუტანელი მდგომარეობის შემსუბუქება, რომელშიაც იმყოფებოდნენ ქალაქის მშრომელი მასები.

ამ მასების სულისკვეთების შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. აქ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია დაეუმატოთ, რომ თბილისში მომხდარ „1865 წ. ივნისის ამბებამდე“ საქართველოს სოფლებში ადგილი ჰქონდა გლეხების მთელ რიგ გამოსვლებს მენამულებების ფეოდალური ბატონობისა და ცარიზმის კოლონიური უღელის წინააღმდეგ: 1857—1862 წ.წ. სამეგრელოში, ქართლში, იმერეთსა და გურიაში მოხდა გლეხთა მნიშვნელოვანი აჯანყებები, ამათში ყველაზე უფრო ძლიერი და ორგანიზებული იყო აჯანყება სამეგრელოში. ამ გამოსვლებმა, უდაოდ, გამოხმაურება ჰპოვეს თბილისშიც, სადაც, როგორც ჩვენ უკვე ვთქვით, მოდიოდნენ საშოვარზე გლეხების მასები, განსაკუთრებით დასაგლეთ საქართველოდან. უკანასკნელთ შორის ბევრი იყო გამოქცეული ყმა, რომელიც თავის ბატონს ემალებოდა ქალაქში (გლეხების განთავისუფლება იმერეთში მოხდა მხოლოდ 1866 წ.). დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გამოქცეულებს შორის იყვნენ, ალბათ, გლეხთა აჯანყების მონაწილენი და წამქეზებლებიც, რომლებიც ქალაქში გამოქცეოდნენ პოლიციას. მათ, რასაკვირველია,

არ გაჩნდათ პასპორტები, ცხოვრობდნენ ისინი თბილისში გაუწერლად და იმალებოდნენ ქალაქის ბნელ ჯურღმულებში. თავისსარჩენად ისინი ცდილობდნენ დამდგარიყვნენ სამუშაოდ ისეთ მოიჯარადრებთან, რომლებიც ეძებდნენ იაფფასიან მუშახელს და შეუზღუდავი ექსპლოატაციის შესაძლებლობას და ამიტომ პოლიციის მოსყიდვის შემწეობით ხელს აფარებდნენ და მალავდნენ გამოქცეულებსაც.

ასეთ ელემენტებს შორის, თბილისის გლეხებისაგან შემდგარ ქალაქის ღარიბებს შორის (ასეთები კი თბილისის მოსახლეობის 5¹/₆-ს შეადგენდნენ) და ქალაქში იმ დროს მყოფ შავმუშებს შორის, რომლებიც ჩამოსული იყვნენ ყოფ. ერევნის გუბერნიიდან და ირანიდანაც სამშენებლო და სხვა სამუშაოებზე, ამქრების აგიტაციამ მეტად ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა: მშრომელთა ყველა ამ ჩამოთვლილ ჯგუფის მდგომარეობა აუტანლად მიძიე იყო. ამქრების აგიტაციის ამოცანას შეადგენდა ჩაგბათ მასები ბრძოლაში მათი საუკუნეებრივი მჩაგვრელების წინააღმდეგ, რომელთაც მფარველობდა მეფის მთავრობა, აემხედრებათ ისინო ხელისუფლების თვითნებობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ მხოლოდ იმისათვის, რომ ამით მათ ხელი შეეწყოთ ამქრების მოთხრენილებათა განხორციელებისათვის.

იენისის დღეების ზემოთმოყვანილ დოკუმენტალურ აღწერებიდან ჩანს, თუ როგორ ფართოდ გამოცხმაუტრენ უსტაბაშების მოწოდებას არა მარტო ამქრებთან მჭიდროდ დაკავშირებული ელემენტები (ქარგლები და შეგირდები), არამედ თბილისის მშრომელთა მრავალრიცხოვანი მასებიც. ხალხის უდიდესი მასები, რომლებიც ვაჰყვნენ ამქრებს პოლიციმესტრის სამმართველოზე მიტანილ შეტევის დროს და შერმაზან ვართანოვის და ბაჟბუეკ-მელიქოვის სახლების დარბევისას, ხალხის მრავალრიცხოვანი კრებები, ჩატარებული 27—28 იენისის ქალაქის გარეთ და ხოჯივანქის სასაფლაოზე, — ყველაფერი ეს ნათლად მოწმობდა, რომ ამქრების გამოსვლას მხურვალედ თანაუგრძნობდნენ თბილისის დაჩაგრული მშრომელი მასები.

თბილისის გლეხობის ღარიბი ნაწილი რომ მაშინვე გამოცხმაუტრა ამქრების გამოსვლას, ამას, სხვათა შორის, მოწმობს ჩვენება, მიცემული გამოძიებულ კომისიისათვის გლეხის გოგოლა ელიზბარაშვილს შესახებ, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამ გამოსვლაში. პოლიციის ზედმხედველმა ჩხეიძემ და საგუბერნიო სამმართველოს მდივანმა მახარაძემ უჩვენეს: „28 იენისს, როდესაც ხელისუფლება არწმუნებდა ხალხს გაეღოთ დუქნები და აღედგინათ ვაჭრობა, ელიზბარაშვილი გატაცებით ყვიროდა: „არავის არა აქვს უფლება გააღოს დუქანი და დაიწყოს ვაჭრობა და თუ ეინმე გაბედავს ამას, მათი დუქნები გაძარცვული იქნება“. როდესაც მას უპასუხეს, რომ ახალი გადასახადები, მას (ელიზბარაშვილს) არ ენება, მან უპასუხა: „სულ ერთია, მათ თუ გადაახდებიან (სირაჯებს და მარკიტანტებს), მეც წავაგებ“¹.

ამქრებმა ფართოდ გამოიყენეს თავის აგიტაციაში მთავრობის წინააღმდეგ მათი გამოსვლის უახლოესი მიზეზი, სამიკიტნოებისა და სხვა სასმელ და-

¹ საქ. ც. ა. ს. საქ. № 2. ფ. 128.

წესებულებათა გადასახადის გადიდება. ამიტომ ამქრების გამოსვლა 1865 წ. არ იყო ისეთი მოძრაობა, რომელიც მხოლოდ წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნების ინტერესების დაცვას გულისხმობდა, არამედ ბევრად უფრო ფართო და ღრმ. ამას მოწმობს, სხვათა შორის, შემდეგი პატარა დიალოგი რუს ჯარისკაცსა და თბილისის ხელოსანს შორის ამქრების მოძრაობის შესახებ. ეს დიალოგი აღადგინა ივნისის დღეების ერთერთმა თანამედროვემ ნ. ნიკოლაძემ.

ჯარისკაცები ეკითხებოდნენ გამოსვლის მონაწილეთ, თუ რატომ აჯანყდნენ ისინი. ამაზე მათ შემდეგი პასუხი მიიღეს: „Ва, для тебе: они хочет, чтоб мы тебе дорого брала за водка и табак, теперь хочет, чтоб три шаур платил ты за рюмка водки“. ასეთი განმარტების საპასუხოდ რუსი სალდათები შემდეგნაირ რეპლიკას იძლევიან: „Что же, ей богу, они правы, зачем несчастный народ обижать“¹.

რომ ამქრების გამოსვლა ვაცდებოდა ამქრების ვიწრო ჩარჩოებს, რომ ის შეიქრა თბილისის მოსახლეობის ფართო მახეში და შეიძლებოდა გავრცელებულიყო თბილისის გარშემორტყმულ სოფლებზეც, ამის შესახებ მოწმობენ მთავრობის ღონისძიებანიც თბილისში შემოსვლის აკრძალვის შესახებ ივნისის დღეებში. მთავრობას საფუძვლიანად ეშინოდა, რომ ამქრებს არ მიმხრობოდნენ მახლობლად მდებარე სოფლების გლეხები. ხელოსნები და თბილისში მცხოვრები გლეხები უფრო ჩქარა გამონახავდნენ საერთო ენას გლეხებთან, ვიდრე რუს ჯარისკაცებთან, რომლებიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, აგრეთვე თანაუგრძნობდნენ გამოსულებს.

ამქრების გამოსვლის დიდ პოლიტიკურ მოძრაობაში გადაზრდის საშიშროება რომ არსებობდა საქართველოში, ამას მოწმობს აგრეთვე მეფისნაცვლის მოვალეობის აღმასრულებლის თავად ორბელიანის სიტყვებიც: „ერთი დღის დაკარგვა ყოყმანისა და გაუბედვაობის გამო“, —სწერდა ის თავის პატაქში დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის-ძეს, —გამოიწვევდა ბევრად უფრო მეტ მსხვერპლს“².

ყველა ეს გარემოება გათვალისწინა მეფის მთავრობამ და გამოსვლის ლიკვიდაციის მიზნით, გარდა მიღებულ სამხედრო ზომებისა, ძალიან ჩქარა გამოიყენა მის წინააღმდეგ ამხედრებული ძალების დაქსაქსვის ტაქტიკა. როგორც ჩვენ უკვე ვიპოვეთ, მან უწინარეს ყოვლისა გამოიყენა ბრძოლიდან მსხვილი ბურჟუაზია, შემდგარი თბილისის მკვიდრ პირველხარისხოვან მოქალაქეებისაგან. ამ მიზნით მან ავანსად დაუთმო მათ შემდეგი: გადააყენა თანამდებობიდან მათთვის საძულველი ქალაქის თავი შერმზან-ვართანოვი და მის ნაცვლად დააყენა აბესალომოვი, რომელიც ეკუთვნოდა პირველხარისხოვანი მოქალაქეების პარტიას. შემდეგ ამ აბესალომოვისა და სხვა მოქალაქეების საშუალებით მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს ამქრების უსტაბაშებთან და ყოველგვარი დაპირებებით, რომლებიც მას არაფერს არ ავალდებულებდა, არწმუნებს შესწყვიტონ ბრძოლა. ამგვარად, ამქრების რიგითი წევრები გაცემულ იქნენ მათივე ბელადების მიერ. ამქრებმა დაჰყარეს ფარხმალი, გააღეს ღუქნები და დაიწყეს

¹ რიონელი (ნ. ნიკოლაძე), „Колокол“ № 204.

² საქ. ც. ა. ს. საქ. № 174. თავ. ორბელიანის წერილები ფ. 155.

ვაჭრობა. ამის შემდეგ რაღა უნდა ექნათ ამქრებთან ერთად და მათი ხელმძღვანელობით გამოსულ ქალაქის მშრომელ მასებს? მათ ერთადერთი გზა დარჩენოდათ: ჩქარა წასულიყვნენ თავის სახლებში და ყველა საშუალებით ეცადათ გადარჩენოდნენ იმ აუცილებელ სასჯელს, რომელსაც მათ ხელისუფლება უმზადებდა. ამგვარად, წვრილი ბურჟუაზია, რომელიც ნახევრად პროლეტარულმა ქალაქის მასებმა და თბილისის უღარიბესმა გლეხობამ ნაცად ბელადად მიიჩნია თავის გამოსვლებში ფეოდალურ-კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, სინამდვილეში, როგორც მოსალოდნელი იყო, მოღალატე ბელადი აღმოჩნდა. თვით მას უღალატეს და ვასცეს მისმა უსტაპაშებმა და მან თავისი სურვილის წინააღმდეგ უღალატა მშრომელ მასებს, რომლებიც გააყენენ მას, და რომლებსაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არ ჰქონდათ ამქრებთან. ასეთი მასების წინამძღვარი შეიძლება იყოს ყოფილიყო მხოლოდ ბრძოლებში გამობრძმედილი ორგანიზებული პროლეტარიატი, მაგრამ ასეთი თბილისში მაშინ არ არსებობდა.

V

რით დამთავრდა თბილისის ამქრების გამოსვლა 1865 წ.? უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება განზრახ ცდილობდა რაც შეიძლება უფრო უწყინარი ხასიათი მტეცა ამ გამოსვლისათვის და არ აეტეხა აურზაური ამის გამო მთელს რუსეთში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მონათლა ის „ამქრების ჯანყად“. მას უნდოდა დაეხასიათებია ის, როგორც ხელისუფლებისა და წვრილი ვაჭრების მასობრივი უკანონო მოძრაობა დადგენილ წესებისა და მთავრობის განკარგულებათა წინააღმდეგ (ამ შემთხვევაში გადასახადების გადიდების შესახებ გამოსულ საკანონმდებლო აქტის წინააღმდეგ). ამ ამბების ღრმა მიზეზებისა და იმის გამოკვლევა, თუ რა სახე შეეძლო მიეღო გამოსვლას შემდეგში, არ იყო სასურველი ხელისუფლებისათვის. მთავრობას განზრახ არ უნდოდა დაენახა ის გარემოება, რომ გამოსვლაში მონაწილეობას იღებდნენ, ამქრების გარდა, მათი თანამგრძნობი მოსახლეობის მასები, ამიტომ ის აღწერდა ამ მოვლენას, როგორც შემთხვევითს, ხოლო რაც შეეხება იმ ცალკეულ მონაწილეთ, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ ამქრების წრეს, მათ ის უყურებდა როგორც მძარცველებს, რომელთაც უნდოდათ ესარგებლათ გამოსვლით და გაეძარცვათ ვინმე. ამასთან ერთად ხელისუფლებამ ყოველგვარი ზომები მიიღო, რომ დაემშვიდებია უწყინარეს ყოვლისა ამქრების გამოსვლაში მონაწილე თბილისის მოსახლეობის ყველაზე უფრო გავლენიანი ჯგუფი—მსხვილი ბურჟუაზია. მათ ისე წარმართეს სასამართლო გამოძიება, რომ ამქრების გამოსვლაში გარეულ მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებს ბრალად აღარ ედებოდათ მოძრაობის მოწყობა.

მთავრობამ მიიღო გადამწყვეტი ზომები, რომ იენისის ამბები არ გახმაურებულყო ადგილობრივ და კავკასიის პრესაში. ამ ამბების შესახებ აკრძალული იყო რაიმეს დაწერა თბილისის გაზეთებში. მაგრამ ამის შესახებ ალაპარაკდა რუსეთის სატახტო ქალაქის გაზეთები და რევოლუციური სახლგარეთული პრესა. რეაქციული გაზეთი „Московские ведомости“, რომლის

რედაქტორი იყო ცნობილი მ. კატკოვი, ამტყუნებდა ამ ამბებში კავკასიის ადმინისტრაციას. მისი აზრით ამ უკანასკნელმა სისუსტე გამოიჩინა რუსული ნაციონალური პოლიტიკის გატარების დროს ამიერკავკასიაში. ამქრების ვაოსკლას იენისის დღეებში კატკოვმა მისცა გარკვეული პოლიტიკური და სეპარატისტული ხასიათი. საზღვარგარეთულ ჟურნალ „Колокол“ ში მოთავსებული იყო ჩვენს მიერ უკვე ციტირებული წერილები: 1865 წ. 10 სექტემბერს წერილი „თბილისიდან“ („Из Тифлиса“) და 15 ნოემბერს მეორე წერილი შემდეგი სახელწოდებით: „საქართველოდან“ („Из Грузии“). ამ წერილებში მომავლიდნებლად გაკრიტიკებული იყო მეფის მთავრობის პოლიტიკა ამიერკავკასიაში და უკუგდებული იყო მ. კატკოვის დაუსაბუთებული რეაქციონური გამოგონებანი. კატკოვის რეაქციონური სტატიების წინააღმდეგ გამოვიდნენ გაზეთები: „Петербургские ведомости“, სადაც მოთავსებული იყო გ. ე.-ს წერილი და „Голос“, რომელმაც დაბეჭდა შელიქიშვილის წერილი. ამ წერილების ავტორებმა ბევრად უფრო ღრმად შეხედეს გამოსვლას და დაინახეს მასში არა რუსეთის ხელისუფლების სისუსტე საქართველოში, არამედ სრული უყურადღებობა ადგილობრივი მოსახლეობის არსებითი მოთხოვნილებების მიმართ.

ის ყურადღება, რომელიც მიაქცია თბილისში დატრიალებულ იენისის ამბებს სატახტო ქალაქის გაზეთებმა და საზღვარგარეთულმა პრესამ, იყო ერთერთი მიზეზი, რომ საკმე ამქრების გამოსვლების შესახებ არ დამთავრდა ადმინისტრაციული წესით „იდუმალად“, როგორც ეს უნდოდა ადგილობრივ უმაღლეს ადმინისტრაციას, არამედ გაიჩნა საჯაროდ 1866 წ. თბილისის სამოსამართლო პალატაში, ხოლო შემდეგში 1870 წ. კასაციის ძალით გადატანილ იქნა სენატში.

პასუხისმგებაში მიცემული იყო 80 კაცი, რომლებიც ბრალდების ხასიათის მიხედვით დაყოფილ იყვნენ 12 კატეგორიად:

1. მარკიტანტების ამქარის ხაზინადარი: მინას ქოჩაკოვი (ყრუაშვილი) ცნობილ იქნა აჯანყების ერთერთ მოთავედ. ის, როგორც ჩვენ ზემოთ დავინახეთ, იყო თავგამოდებული აგიტატორი, 27—28 იენისის დღეებში მოუწოდებდა მასებს საეპროების დახურვისა და ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ. მისმა პობულარობამ ამქრებს შორის, უტყველმა ნიქმა და აგიტაციის უნარმა წამოსწია ის გამოსვლების დროს ერთერთ თვალსაჩინო ადვილზე. სამოსამართლო პალატამ მიუსაჯა მას კატორა 4 წლით, ხოლო სენატმა ეს სასჯელი გაუდიდა 6 წლამდე.

2. უსტაბაში დავით ჯანაზიზოვი, ბრალდების მიერ ცნობილი აგრეთვე ერთერთ მთავარ ხელმძღვანელად, რომელიც მოუწოდებდა მოსახლეობას მთავრობის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ, იოსებ დამბურაჩივი (ტებელა) და მცირეწლოვანი ალექსი მალრადე აჯანყებაში მონაწილეობისათვის მისჯილ იქნენ: ჯანაზიზოვი პატიმრობას 1½ წლით, დამბურაჩივი (ტებელა) გამასწორებელ საპატიმრო როტაში გაგზავნას 1½ წლით, მალრადე—პატიმრობას 1 წლით და 4 თვით. სენატმა ამ სამიდან პირველს—ჯანაზიზოვს მოუბატა 2 თვე, ე. ი. სასჯელი აიყვანა 1 წ.: 8 თვემდე, მეორეს და მესამეს სასჯელი უკუმცირა: დამბურაჩივს 3 თვით, ხოლო მალრადეს 4 თვით.

3. უსტაბაში ყარაზ აღმალოვი და აგსახალი ასლან მესროფოვი, ამქრის წევრები სიკო ნაზაროვი, სიმონ სიმონოვი, ბეგლარ არუშანოვი, კიტეს აბულაძე, ფირან ჭიჭინაძე, ავეტიკ ანიევი, მარკიტანტი სოლომონ კაჯარდუზოვი და სოლომონ ზაფრევი, უსტაბაშები კაცია ბერიძე და სტეფანე აივანოვა, აგსახკალები სარქის ტერ-მარკოზოვი და სოსია მანთაშევი, უსტაბაში გიგო მირაქოვი, აგსახკალები პეტრუს გრიჭუროვი და გიორგი ოქოევი, ამქრის საპატიო წევრები: გეო ჯაჯამაგოვი და დავით გაბრიელოვი — სულ 19 კაცი, დაწესებულ გამოსაღებისათვის წინააღმდეგობის გაწევისათვის და სხ. ას. სამოსამართლო პალატამ დაადგინა დაპატიმრებულთა 2 თვით. სენატმა ეს დადგენილება პირველი ოთხის მიმართ ღმობიერად სცნო და როგორც მოთავეებს მიუსაჯა განსაკუთრებულ უფლებებისა და უპირატესობების აყრა და დაპატიმრება 1 წლით და 4 თვით; ხოლო სხვების მიმართ ძალაში დასტოვა პალატის დადგენილება.

4. გლეხი გიორგი მესხიევი მიმართ ხარკის ამქრეთის ბაჟბუჯ-მელიქოვის მოკვლაში მონაწილეობისათვის პალატამ დაადგინა წოდებრივ უფლებათა აყრა და კატორღაში გაგზავნა 12 წლით. სენატმა ეს ვადა შეამცირა 10 წლამდე.

5. გლეხ თედო ნარიძეს, მოსე ხითაროვს, გრიჭურ სარქისოვს (პოხროს) და გადამდგარ იუნკერს ნიკოლოზ ხალათოვს ბაჟბუჯ-მელიქოვის სახლის გაძარცვაში მონაწილეობისათვის სასამართლო პალატამ მიუსაჯა წოდებრივ უფლებათა აყრა და დაპატიმრება 8 წლით თითოს, ხოლო. სენატის დადგენილებით ხალათოვს ჩამოერთვა სამხედრო ორდენები, რომლებიც მას ჰქონდა, და გადასახლებულ იქნა შორეულ ციმბირში.

„Статейные списки“ московских послов, возвращавшихся из Грузии, были, конечно, прежде всего, отчетами по данному им наказу. Но в то время, как наказ был актом распорядительного характера, расположенным по определенной схеме, статейный список давал на него ответ, хотя и следуя, в общем, этой схеме, но в более свободной повествовательной форме поденных записей, и был не чужд известного литературного оформления².

Генезис посольского статейного списка, как и генезис наказа послам, до настоящего времени еще не выяснен. Возникновение статейных списков, повидимому, связывается с практикой „распросных речей“, устных докладов или показаний по тому или другому вопросу. Вначале послы, повидимому, „сказывали“ свои отчеты, которые с их слов протоколировались в центральных канцеляриях, что очевидно, обуславливалось малым распространением грамотности, и лишь позднее письменное оформление отчета начало возлагаться на канцелярию посольства³. Для составления послами статейного

¹ Наказ Закхею — Белокуров. Сношения, стр. 105 — 107; наказ Иосифу — Материалы, стр. 214—217.

² Статейные списки не всегда могли следовать рубрикам наказа по чисто техническим условиям. Длительные дипломатические переговоры прерывались банкетами, торжественными богослужениями; начатые в одном городе, они продолжались в другом. Ответственные разговоры происходили иногда мимоходом, за чаркою вина. Все это перебивалось описанием той или другой местности, бытовыми зарисовками. Излишняя рубрификация в данном случае только ослабила бы впечатление. Отчет по выделенной в наказе в особую память, политической и статистико-экономической анкете, однако, и в статейных списках всегда выделялся особо.

³ В записи о возвращении в 1518 г. из Крыма посланника Василия Шадрина читаем: „А се список, что сказывал великому князю Василий Шадрин здесь на Москве. Лета 7026 года февраля 29-го . . .“ и т. д. (Сборник, т. 95, стр. 502) И в более позднее время с послов иногда снимались распросные речи в дополнение и пояснение их статейного списка, как это было, например, с послом кн. Ефимом Мышецким, которому пришлось пояснить о родственниках взаимоотношениях между правителями Кахетии, Карталинии, Имеретии, Мингрелии и Гурии и эриставами арагвинскими; см. Посольство Мышецкого, стр. 179—182. Послы спрашивались „постатейно“, откуда и само название — „статейный список“.



списка могли служить их „отписки“, которые послы, по мере возможности, от времени до времени отправляли в Москву и которые представляли собой отчеты за сравнительно короткий отрезок времени, позднее включавшиеся ими в статейный список¹.

Первые статейные списки относятся ко второй половине XVI в., что, быть может, опять-таки, надо поставить в связь с образованием к этому времени Посольского приказа². Таковы статейные списки посольства: 1567 — 69 гг. Ивана Воронцова, „с товарищи“ в Швецию; 1582 г. — Федора Писемского и подьячего Неудачи Ховралева в Англию; 1600 — 1601 гг. — Григория Микулина и подьячего Ивана Зиновьева в Англию, и 1601 — 1602 гг. — Салтыкова, Плещеева и дьяка Власьева в Польшу³. Непосредственно к этим статейным спискам примыкают с 1587 г. и статейные списки московских посольств в Грузию⁴.

Дошедшие до нас статейные списки московских посольств в Грузию развертывают перед нами картину постепенного развития этого памятника от его наиболее простейших форм до наиболее сложных — уже не только как исторического источника, но и как литературного произведения. Первый из этих статейных списков — посольства 1587 — 1588 гг. Биркина в Кахетию — является, действительно, постатейным отчетом, не выходящим из рамок наказа: без всякого вступления он сообщает о движении посольства по Северному Кавказу и происходивших там по пути переговорах с горским князем Алкасом и „Иристовым князем Сонским“ (эристав аравинский); далее следует главная часть наказа — переговоры с Александром II кахетинским, и, наконец, как добавление, сообщаются политические новости, почерпнутые из разговоров с различными лицами.⁵ Статейный список следующего за этим посольства 1589 — 1590 гг. в Кахетию кн. Звенигородского рисуется нам уже гораздо более усложненным. Дав четкую картину сложных и запутанных феодальных взаимоотношений на Северном Кавказе, в связи с вопросом об установлении прямого пути с Терека в Кахетию, статейный список Звенигородского переходит к сообщению о приеме у

¹ Пример такого включения отписки в статейный список — у М. Татищева (Белокуров. Сношения, стр. 456—464 и 474).

² Срав. выше, стр. 95, прим. 1.

³ Сборник, т. 129, стр. 127 — 170; т. 38, стр. 15 — 64 и 315 — 364 и т. 137, стр. 75 — 169.

⁴ Все вышеперечисленные статейные списки: Воронцова, Писемского, Микулина и Салтыкова, в смысле построения, весьма напоминают статейные списки посольств в Грузию и в этом отношении, безусловно, заслуживали бы углубленного сравнительного изучения.

⁵ Белокуров. Сношения, стр. 33 — 45.

царя Александра и последующих за этим дипломатических переговорах опять-таки в увязке с северо-кавказскими делами. Сообщения об этих переговорах перебиваются сообщениями о политических „разговорах“ с советниками и приближенными царя Александра и бытовыми зарисовками, причем обращается большое внимание на религиозный культ и церковное убранство, в чем можно видеть влияние входившего в состав посольства старца Закхея, собственный статейный список которого до нас целиком не дошел¹. Следующий за этим статейный список посольства 1596 — 1599 гг. в Кахетию Солина — возвращение к более элементарным формам статейного списка Биркина², и за этим — новый подъем в насыщенном дипломатическим и политическим содержанием, но скупом на бытовые подробности статейном списке посольства 1604 — 1605 гг. в Кахетию и Карталинию Татищева, достигающем местами почти художественной экспрессивности³.

Вполне сложившийся в своих основных чертах к началу XVII в. посольский статейный список получает несколько позднее новое литературное оформление. Он получает большую обстоятельность и систематичность, приобретает характер более плавного рассказа (что не лишает его в соответствующих местах большого драматизма). На него наводится известный официальный доск — для „хорошего общества“⁴.

В связи со всем этим статейный список значительно увеличивается в своем объеме, а выработанная к этому времени политическая и статистико-экономическая анкета, о которой было сказано выше, выделяется в особое приложение. Примером такого „нового стиля“ в литературе статейных списков является статейный список

¹ Там же, стр. 128 — 222; незначительный фрагмент статейного списка Закхея (предположительно), там же, стр. СХХII — СХХIII.

² Там же, стр. 293 — 314.

³ Там же, стр. 463 — 516; дополняющие статейный список отски — там же, стр. 448 — 450, 453 и 456 — 471. Видный дипломат и политический деятель Татищев послан в Кахетию для согласования наступательных действий против шамхала Тарку и в Карталинию по „тайному делу“ (см. выше, стр. 86, прим. 2). Дворцовый переворот, убийство Александра II кахетинского его старшим сыном Константином, сторонником иранской ориентации, происшедшее почти на глазах посольства, расстроило дипломатию Татищева; поражение наголову московской армии, двинутой против шамхала, о чем посольство узнало на обратном пути на Тереке, нанесло надолго непоправимый удар политике Москвы на Кавказе.

⁴ Пример такого „вымощивания“ — статейный список 1639 — 1640 гг. Елчина в Мингрелию, который дошел до нас в двух редакциях: черновик, принадлежащий самому Елчину, и беловик, выправленный кем то более искусным в этих делах и дополненный на основании устных сообщений Елчина, см. Белокуров. Посольство в Даднанскую землю, стр. 316 — 339.




посольства 1637—1640 гг. в Грузию кн. Волконского, за которым следует целый ряд других — кн. Мышецкого в Кахетию (1640—1643), Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию (1650—1652), Жидовинова и дьяка Порошина в Имеретию (1655—1656), Мякинина и дьяка Ушакова, посланных к царям Теймуразу I кахетинскому и Александру III имеретинскому, но отозванных из Астрахани обратно ввиду смут и волнений, охвативших всю Грузию (1660—1661). Литература статейных списков посольств к грузинским правителям заканчивается в XVII в. статейным списком кн. Волконского и дьяка Михайлова, посланных в 1683 г. в Астрахань к пребывавшему там в то время имеретинскому царю Арчилу с поручением привезти его детей в Москву¹.

Наряду с посольским статейным списком до нас дошли статейные списки тех представителей московского духовенства, которые посылались вместе с посольствами в Грузию по делам церкви. Эти статейные списки имеют большое значение для изучения не только вопросов христианского культа и церковного обихода, но иногда и вопросов общей политики и дипломатии. Таков статейный список сопровождавшего Елчина в Мингрелию священника Павла Захарьева и, в особенности, статейный список возглавлявшего в посольстве Волконского комиссию „учительных людей“ архимандрита Иосифа².

Посольский статейный список подавался царю от имени обоих послов, и только в тех случаях, когда между послами происходило разногласие, каждый из них подавал свой статейный список отдельно. Интересно в этом отношении происхождение трех статейных списков посольства 1650—1652 гг. Толочанова и Иевлева. Это посольство было отправлено в Имеретию к Александру III имеретинскому — взять с него „крестоцеловальную запись“ и к его тестю Теймуразу I кахетинскому (который в это время, изгнанный из своих владений шахом Аббасом I, жил у своего зятя) — склонить его к отправлению в Москву его внука. Миссия к Александру увенчалась полным успехом. Переговоры с Теймуразом приняли затяжной характер и послы, после резкого обмена мнений с царем и его приближенным кн. Иваном Саакадзе, так и оставили Имеретию, не дождавшись царевича. Теймураз в письме к царю Алексею со стар-

¹ Статьиный список Волконского — Материалы, стр. 126—345, Мышецкого — Посольство Мышецкого, стр. 92—179; Толочанова и Иевлева — Посольство Толочанова, стр. 52—114; Жидовинова и Порошина — ГДС 1655 г. № 2; Мякинина и Ушакова — ГДК № 7; Волконского и Михайлова — ГДС 1683 г. № 2.

² Статьиный список Захарьева — Белокуров. Посольство в Дадзианскую землю, стр. 341—374; архим. Иосифа — Материалы, стр. 355—416.



цем Феофаном жаловался на посольство, обвиняя во всем Толочанова и выгораживая Иевлева: „Дьяк Алексей говорил, что подождет“¹. Отношения между Толочановым и Иевлевым, кроме того, вообще, были обостренные. Из слов того же Феофана мы узнаем о резком столкновении между ними после-одного банкета: „Микифор де Толочанов... ево Алексея за бороду драл и бил топтунами и ослопами. И Алексеевы де люди, прибежав, учили его Алексея отымать. И Микифор де одного человека вселел ухватить и ево бил, и от тех де побоев тот человек, полежав 8 дней, умер“². Все это вместе взятое, определило возникновение 3 списков посольства: так назыв. список В — есть общий статейный список посольства о миссии в Имеретию, список А — справка по вопросу о переговорах с Теймуразом, затребованная от послов после письма Теймураза, привезенного Феофаном; список С — личный статейный список Иевлева³.

Статьейные списки московских посольств в Грузию, особенно те из них, которые были богаты описательным материалом, выходили за пределы Посольского приказа и находили свой круг читателей в московском обществе того времени. Так, статейный список посольства Волконского и Хватова дошел до нас в двух экземплярах; статейный список Иевлева — в трех, из которых один был в свое время в библиотеке патриарха Никона, другой принадлежал известному „верховнику“, князю Дмитрию Голицыну, а третий — повидимому, кому то из грузинской колонии в Москве⁴. Статьейные списки московских посольств в Грузию были наиболее ранними московскими кавказоведными изысканиями.

На этом мы можем закончить наш анализ документов русско-грузинских дипломатических отношений московского периода с точки зрения их делопроизводственного генезиса и состава.

¹ Броссе: Переписка, стр. 69.

² ГДС 1650, № 2, л. 211.

³ Посольство Толочанова, стр. 034 — 039, 27 — 58, 59 — 114; 114 — 192.

⁴ Об экземплярах статейного списка посольства Волконского и Хватова см. Материалы, стр. 226 — 227; статейного списка Иевлева („Список С“ посольства Толочанова и Иевлева) — Посольство Толочанова, стр. 039 — 040.

ი. გვარამია

ისტორიკოსი იოანე ბიკლარელი და მისი ცნობები VI საუკუნის საქართველოს შესახებ

საშუალო საუკუნეების ისტორიკოსი, რომელმაც დააარსა ბიკლარელის მონასტერი და ამავე დროს იქვე აბატიც იყო, ისტორიაში ცნობილია Joannes Biclarensis სახელწოდებით. მის მიერ გადმოცემული ისტორიული ცნობები დიდი მნიშვნელობისა და პრინციპიალური ხასიათისაა ზოგიერთი სადაო საკითხის გამოსარკვევად.

იოანეს ცნობები ეხება ბიზანტიის პირველ პერიოდს. ეს ის პერიოდია, როდესაც ირანსა და ბიზანტიას შორის ბრძოლამ აღმოსავლეთში, და კერძოდ საქართველოზე ზეგავლენის მოსაპოვებლად, მწვავე ხასიათი მიიღო. იოანე ამ ბრძოლის შესახებ თავის ნაწერებში იძლევა მეტად საგულისხმიერო ცნობებს, რომელნიც ნათელს ხდიან ამ მიმართულებით წამოჭრილ ზოგიერთ საკითხს Joannes Biclarensis ცხოვრების შესახებ მეტად ბუნდოვანი ცნობები მოგვეპოვება. ეს ცნობები თავმოყრილია ისტორიკოს მომხენის მიერ მის გამოცემაში „Chronica minora“.

იოანე ცხოვრობდა დაახლოებით 542—622 წწ. ის იყო აბატი ბიკლარიდან და უნდა ვიფიქროთ, რომ მან აქედან მიიღო თავისი სახელწოდება. შემდეგში ის ყოფილა ქალაქ გერუნდის (ესპანეთი) ეპისკოპოსად. იოანე ჩამომავლობით გუთი ყოფილა, საკალაზიიდან. ახალგაზრდა იოანე ყოფილა კონსტანტინოპოლში ლათინურ და ბერძნულ მწერლობათა შესასწავლად და დაახლოებით 576 წ., 17 წლის შემდეგ, დაბრუნებულა კონსტანტინოპოლიდან ესპანეთში. აქ მას მონაწილეობა მიუღია რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებულ დავაში, რის გამოც არიანელების მკაცრ მეფეს ლეოვიგილდს ის დაუტუსაღებია და ბორკინოში ჩაუსვაამს. უეჭველია, იოანეს ამ დროს უკვე ჰქონდა მიღებული სასულიერო ხარისხი.

არიანელებთან 10 წლის ბრძოლის შემდეგ, ის დაბრუნებულა ესპანეთში რეკარდის (Rekard) დროს. დაბრუნებისას მას მეფის დასტურით ბიკლარში აუშენებია მონასტერი და შეუდგენია მონასტრის წესდება. ისიდორეს თქმით, ეს წესდება სანიმუშო ყოფილა. სამწუხაროდ, ეს დიდი ისტორიული საბუთი დაკარგულად ითვლება. ადგილმდებარეობა ბიკლარიუმისა, სადაც იოანეს აუგია მონასტერი, არ არის გამორკვეული, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ის მდებარეობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ესპანეთში. 625 წ. მის მემკვიდრედ გერუნდში

ეპისკოპოსის თანამდებობაზე იყო ნონიუსი. სხვა ოთხ ეპისკოპოსთან ერთად იოანე ხელსაწერს 599 წ. ბორკინიოს საეკლესიო კრებაზე გამოტანილ დადგენილებას.


610 წ. ოქტომბერში ტოლეთანის საკრებულოში მას უჭირავს მიტროპოლიტების შემდეგ პირველი ადგილი. 614 წ. იანვარში ის ევგარიას პროვინცი-ალურ საკრებულოში მეორე კაცად ითვლება.

იოანეს ნაწარმოები „ქრონიკა“ (Chronica) დაწერილია 590—591 წ. ზამთარში, ისტორიული ცნობები კი 600 წლის შემდეგ, რომელსაც მიაწერენ იოანეს, წარმოადგენს ინტერპოლაციას. მისი „ქრონიკა“ დიდი ყურადღების ღირსია, თუმცა იგი არ არის სრულქმნილი. იოანეს დაინტერესების არე შემოფარგლულია ბიზანტიით და ნაწილობრივ ესპანეთით, ე. ი. ეხება მხოლოდ აღნიშნულ ქვეყნებს. იოანე თავის გადმოცემაში სარგებლობს უტყუარი ცნობებით, რომელთაც ღებულობს უშუალო მონაწილეებიდან. იოანეს „ქრონიკის“ საუკეთესო გამოცემა ეკუთვნის მომზენს, აგრეთვე მისი შრომის შეფასება აქვს უორდს (H. Ward), რომელიც მოთავსებულია ე. წ. „ქრისტიანული ბიოგრაფიის ლექსიკონში“, წიგნი III, გამოცემა 1882 წ. (376—379). იოანეს „ქრონიკაში“ მოცემულ ცნობებიდან ამჟამად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ისინი, რომლებიც ეხება VI საუკ. საქართველოს. რამდენადაც ეს ცნობები ჯერჯერობით სრულიად არ არის შეფასებული, ჩვენ ვეცდებით ამოკრიფოთ ისინი და შევადაროთ იმ ცნობებს, რომლებსაც იმავე ხანისათვის იძლევიან ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსები: პროკოპი კესარიელი, აგათია, მენანდრე და სხვები.

Armeniorum gens et Hiberorum qui a predicatione apostolorum christi susceperunt fidem dum a Cosdroe Persarum imperatore ad culturas indolorum compellerentur renuentes tam impiam iussionem Romanis se cum provinciis suis tradiderunt: quae res inter Romanos et Persas pacis foedera rumpit (Mommsen, Chr. Min. II, 1, 211).

„სომხების და იბერთა ტომები, რომლებმაც ქრისტეს სარწმუნოება მოციქულთა ქადაგებით მიიღეს, მაშინ როდესაც ირანის მეფე ხოსრო კერპთაყვანმკემლობას ავრცელებდა, მას გადაუდგნენ და თავის პროვინციებითურთ რომს შეუერთდნენ და ხოსროს ურწმუნეობას არ დაუმორჩილდნენ; ამან გამოიწვია რომაელებსა და ირანელებს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევა“.

მოყვანილი ტექსტიდან ირკვევა, რომ ბიზანტიასა და ირანს შორის ყოფილა დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც დარღვეულა. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ზავი დაიდვა დიდი დავის შემდეგ ბიზანტიის მეფის იუსტინიანეს და ირანის მეფის ხოსროს დროს 562 წ. და ცნობილია ისტორიაში 50 წ. ზავის სახელწოდებით. მართალია, ამ ზავით დროებით შეწყდა სამხრეთ მოქმედება, მაინც ორივე მხარე გამალებით ემზადებოდა მომავალი ომისათვის და ეძებდა ამისათვის ხელსაყრელ დროს. ასეთი დაძაბული მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა, სომხეთისა და იბერიის ირანის წინააღმდეგ აჯანყებამ ხელოვნურად შექმნილი მშვიდობიანობა დაარღვია და, როგორც იოანე ბიკლარელის ცნობებიდან ირკვევა, დაიწყო ომი ბიზანტიასა და ირანს შორის. სომხეთ-იბერიის აჯანყების ხელმძღვანელები (გაბატონებული კლასები) მიზნად ისახავდნენ



პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენას და ის წინააღმდეგობანი, ბიზანტიასა და ირანს შორის არსებობდა, უნდოდათ გამოეყენებიათ თავისი მიზნების განსახორციელებლად. ბიზანტიის გაბატონებული კლასი კი ამ აჯანყებით ცდილობდა თავისი მტაცებლური ზრახვების განხორციელებას ამიერკავკასიაში. სომხეთ-იბერიის აჯანყების მიზეზად იოანე ასახელებს ქრისტიანული სარწმუნოების დევნას ამ ქვეყნებში, რაც სწორი არ არის. ჯერ ერთი, თანახმად 5¹² წლის ხელშეკრულებისა, ირანში მცხოვრებ ქრისტიანებს შეეცათ უფლება მღვდელთ მსახურების შესრულებისა. მეორე — 554 წელს სომხებმა დვინის კრებაზე დაჰკმევს პალკედონის დადგენილება და მონოფიზიტობა აღიარეს და, ბოლოს, როგორც საბუთებიდან ჩანს, ხოსრო (ირანის მეფე) იყო ცნობილი რელიგიური შემწყნარებლობით. ზემოთმოყვანილი საბუთები საკმარისად ამტკიცებენ იოანე ბიკლარელის აზრის არასისწორეს. რათა შეხედულება ამ საკითხის შესახებ ნათელი გახდეს, საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო კარლ მარქსის აზრი. კარლ მარქსს, მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელს, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ წინასიტყვაობაში გამოთქმული აქვს შემდეგი სახელმძღვანელო დებულება: „საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური შედნაშენი აღიმართება და რომელსაც ცნობიერების განსახორციელებელი საზოგადოებრივი ფორმები შეესაბამება. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განსაზღვრავს სოციალური, პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრების პროცესს საზოგადოდ“ (ქართ. თარგმ., გვ. 41). ამას გარდა, ცნობილია, რომ აჯანყებული ქვეყნების, ე. ი. სომხეთისა და იბერიის მიმართ ორივე მოქიშვე მხარეს — ბიზანტიასა და ირანს — უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური პრეტენზიები გააჩნდა და თითოეული მათგანის ამ ქვეყნებისადმი დამოკიდებულება — ურთიერთობა ამ პრეტენზიათა განხორციელების პროცესთან იყო შეფარებული... რელიგიური მომენტი კი მხოლოდ საბაბი იყო და სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან კ. მარქსის მიერ მოცემული დებულების თანახმად, იბერია-სომხეთსა და ირანს შორის უთანხმოების მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ ეკონომიურ ურთიერთობაში, რომელიც შეიქმნა 5⁻წლიანი ზავის შემდეგ იბერია-სომხეთში ირანის გაბატონებით. ამასვე ადასტურებს აგრეთვე იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსის სტ. ასოლიკის ცნობაც. ის მოგვითხრობს შემდეგს: „ირანის მეფე ხოსრომ დანიშნა მარზაპანად თავისი ნათესავი სურენი. იგი მოვიდა და დაიპყრო ჩვენი ქვეყანა და სომეხ ნახარაბებს ყველფდა“. სწორედ ამ ეკონომიურმა და ეროვნულმა ჩაგვრამ გამოიწვია სომხეთ-იბერიის აჯანყება ირანის წინააღმდეგ. სომხეთის აჯანყებას მეთაურობდა ვარდანი, მამიკონელთ გვარადან. როგორც იოანე ბიკლარელის ცნობიდან ჩანს, იმათ გვერდით ამოუდგნენ იბერიელებიც. ეს აჯანყება დაედვა საფუძვლად ბიზანტიასა და ირანს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევას. თარიღად იმ აჯანყებისა იოანე ასახელებს 567 წ., რაც სინამდვილეს არ შეეფერება, ნამდვილად აჯანყება მოხდა 571 წელს. აქედან იწყება ომის განახლება ირანსა და ბიზანტიას შორის. ომის მსვლელობის შესახებ იოანე იძლევა რამდენიმე მნიშვნელოვან ცნობას, სადაც იგი მოგვითხრობს შემდეგს:


a) Justinus imperator Armeniam et Hiberiam repulsis Persis Romanos provincias facit et bellum Persarum imperator per duces parat (Chr. Min. II, 1, გვ. 212).

„იუსტინე იმპერატორმა სომხეთი და იბერია რომის პროვინციებად აქცია მას შემდეგ, რაც ირანელები განდევნა. ირანის მეფემ ომისათვის მზადება დაიწყო სარდლების საშუალებით“.

b) Persi cum Romanis pacis federa rumpunt et congressione facta Daras civitatem fortissimam bello superant et caesa multitudo militum Romanorum memoratum urbem ingressi depopulati sunt (Chr. Min II, 1, გვ. 213).

„ირანელებმა რომაელებთან სამშვიდობო ხელშეკრულება დაარღვიეს და შეტაკების შემდეგ უმტკიცეს ქალაქ დარას ბრძოლით შეუტყვეს: უამრავი რომაელების ჯარი დახოცეს, ხსენებული ქალაქი აიღეს და დაანგრეს“.

ცნობილია, რომ სომხეთმა აჯანყების შემდეგ პატრიარქის ხელმძღვანელობით კონსტანტინოპოლში გაგზავნა დელეგაცია, რომელიც სთხოვდა ბიზანტიის იმპერატორს, რომ მას თავის მფარველობის ქვეშ მიეღო მათი მიწაწყალი. ეს ამბავი ძალიან გაუხარდა იუსტინე იმპერატორს, დიდად დაასაჩუქრა სომხეთის წარმომადგენლები და საჯაროდ მისცა მათ ფიცები, რომ ის, იმპერატორი, სომხეთს არავის დაუთმობდა და ამიტომ ბიზანტიის ნაწილად გამოაცხადა. გარდა ამისა, იმპერატორი დაპირდა აჯანყებულთა წარმომადგენლებს, რომ მათ სამი წლის განმავლობაში არავითარ გადასახადს არ გადაახდებინებდა. ეს დაპირება, რომელიც ასე ნათლად მოსჩანს იმპერატორ იუსტინეს სიტყვაში, ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ აზრს, რომ იბერია-სომხეთის აჯანყება გამოწვეული იყო არა რელიგიური დევნით, არამედ ეკონომიური მდგომარეობით. პირველ ხანებში ომის სასწორი აჯანყებულების სასარგებლოდ გადაიხარა. შეერთებულმა ლაშქარმა ვარდანის ხელმძღვანელობით პირველად შემოსულ მტერზე გაიმარჯვა და ქალაქი დვინიც აიღო. ამ ქალაქის აღების შესახებ ისტორიკ. ასოლიკს უტყუარი ცნობა მოეპოვება. ქ. დვინი აღებულ იქნა 571 წლის 30 მარტს. ამ გამარჯვებით ამოიწურა აჯანყებულთა სიძლიერე. სწორედ ამ პერიოდში დადგა მომენტი, როდესაც ბიზანტიას 562 წ. დაღებულ ხელშეკრულების თანახმად, ირანის სასარგებლოდ უნდა შეეტანა მორიგი გადასახადი. ირანის მეფე ხოსრომ კონსტანტინოპოლში ამ საკითხის მოსაგვარებლად გაგზავნა სემოხტა, დიდად ნიჭიერი ადამიანი, მაგრამ მოლაპარაკებამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. ამ მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ იწყება სამხედრო მოქმედება ირანსა და ბიზანტიას შორის. ხოსრო, ამარცხებს რა აჯანყებულებს, დიდძალი ლაშქარით შეესევა ბიზანტიის ტერიტორიას. აჯანყების მეთაურები დამარცხების შემდეგ თავს შეაფარებენ კონსტანტინოპოლს. ირანის ჯარი მიადგება ბიზანტიის დიდ ციხე-სიმაგრეს, ქ. დარას. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქს გააჩნდა ყოველგვარი შესაძლებლობა თავი დაცევა შემოსეული მტრისაგან, იგი მაინც აღებულ იქნა ირანელების მიერ. როგორც ირანეს მეორე ცნობაშია აღნიშნული, ხოსრომ მაინც აიღო ქალაქი და დაანგრია. ქ. დარას აღების დროს რომაელების დიდძალი ჯარი დაიღუპა. ამ ქალაქის აღების თარიღად იოანე ბიკლარელი ასახე-



ლებს 574 წ. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ირანის მეფის ხოსროს მიერ ქალაქ დარას აღება მოხდა 574 წელს. ბიზანტიამ სასტიკი დამარცხება განიცადა არა მარტო აღმოსავლეთის ფრონტზე, არამედ იტალიაშიც და ბალკანეთის ნახევარკუნძულზედაც. ამან გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია ბიზანტიის იმპერატორ იუსტინე მეორეზე. მან თავის სიცოცხლეში მემკვიდრედ და კეისარად დანიშნა ტიბერი. ეს მოხდა 574 წ. 7 დეკემბერს. კეისარმა ტიბერმა აცნობა თავის წარმომადგენლების შემწევობით ამის შესახებ ირანის მეფეს და ამავე დროს დაავალა დელეგაციას ეწარმოებია მოლაპარაკება 3-წლიანი ზავის დადების შესახებ. ეს უკანასკნელი მოგვარებულ იქნა მხოლოდ სომხეთის გამოკლებით, რადგან ირანი მას თავისად თვლიდა და სამშვიდობო მოლაპარაკების დროს იგი ხელშეკრულებაშიც არ მოუხსენებიათ.

ეს გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ირანსა და იბერია-სომხეთს შორის ამ პერიოდშიაც წარმოებდა ომი. აღმოსავლეთის ჯარის უფროსად ტიბერმა დანიშნა იუსტინიანე, რომლის შესახებაც იოანე ბიკლარელი იძლევა შემდეგ ცნობას:

„Cosdroes Persarum imperator cum nimia multitudine exercitus ad vastandos Romanorum terminos promovet cui Justinianus dux Romanae militiae et magister militum Orientis a Tiberio destinatus bellum parat et in campis qui inter Daras et Nisibios ponuntur forti pugna congressus, habens secum gentes fortissimas quae barbaro sermone Herinam nancupatur memoratum imperatorem, bello superat. Quo cum suo exercitu im fugam verso castra eius pervadit et provinciae Persidae fines victor Justinianus vastat exuviasque eorum pro triumpho Constantinopolim dirigit, XXIII elephantos inter cetera, qui magnum spetaculum Romanis in regia urbe exhibuerunt. Praeda vero de manubiis Romanorum Persarum multitudo ad nimiam utilitatem nummo publico vernundate sunt“ (Chr. Min. II, 1, გვ. 214).

„ხოსრომ, ირანის იმპერატორმა, დიდი ჯარით გაილაშქრა რომაელების საზღვრების გასანადგურებლად. იუსტინიანე, რომაელების ჯარის სარდალი, ჯარის უფროსი და აღმოსავლეთის ჯარის უფროსად ტიბერის მიერ დანიშნული, ომს უმზადებდა მას და მინდორში, რომელიც დარასა და ნიზიბას შორის მდებარეობს თავისი უმამაცესი ხალხით, რომლებსაც ბარბაროსთა ენაზე ჰერინა ეწოდებოდა, სასტიკი ბრძოლა გამართა და აღნიშნული იმპერატორი დამარცხდა, როდესაც ის თავისი ჯარით ოტებულ იქნა, გამარჯვებული იუსტინიანე მის ბანაკს დაეპატრონა და ირანის პროვინციები ააოხრა და მათი ნადავლი ტრიუმფით კონსტანტინოპოლში წაიღო. ამ ნადავლთა შორის იყო 24 სპილო, რომელთა ჩვენებით რომაელებმა სატახტო ქალაქში დიდი სანახაობა მოაწყვეს, ხოლო რომაელების მიერ ნადავლის სახით წამოყვანილი ირანელები საჯაროდ გაყიდულ იქნა დიდ თანხაზე“.

ბიზანტიასა და ირანს შორის დადებული ზავით, რომელშიაც სომხეთი არ იყო მოხსენებული, ისარგებლა ხოსრომ და დიდძალი ლაშქრით შეესია სომხეთს, ააოხრა იგი, შემდეგ გადალახა ბიზანტიის საზღვრები და მიაღწა ქ. თეოდოსო-




პოლს, რომლის აღება ვერ შესძლო და გაემართა ეფრატისაკენ. ამასობაში ბიზანტიის ჯარი იუსტინიანეს ხელმძღვანელობით მოეწია მას და ბრძოლა მოხდა, როგორც იოანე ბიკლარელის აქ მოყვანილი ცნობა გვიჩვენებს, დარასა და ნიზიბას შორის, სადაც სასტიკი დამარცხება განიცადა ირანის ჯარმა. სხვა ნადავლთა შორის, ბიზანტიას ერგო 24 სპილო, სამეფო დროშა. ეს ნადავლი იუსტინიანემ გაგზავნა ბიზანტიის სატახტო ქალაქში, რითაც მან ქალაქის მოსახლეობას მოუწყო დიდი სანახაობა. ამ ბრძოლას ადასტურებს აგრეთვე ისტორიკ. სეპტუსი. მხოლოდ მას მომქმედი ძალების შესახებ ცნობები სხვანაირად აქვს გადმოცემული. მას ჰგონია, რომ ამ ბრძოლაში ირანელებზე გაიმარჯვა მხოლოდ სომხეთის ჯარმა და ერთი სიტყვაც არა აქვს ნათქვამი საიმპერატორო ჯარის და მისი მოქმედების შესახებ. ასეთნაირად საკითხის დაყენება და მისი გაშუქება სეპტუსის მიერ სწორი არ არის. ერთი კი ცხადია, რომ ამ ომში ხოსროს წინააღმდეგ, როგორც ბიზანტიიდან ჩამოყვანილი, ისე სომხეთის ჯარი იღებდა აქტიურ მონაწილეობას და გამარჯვებაში ორივეს მიუძღვის წილი.

ახლა ისმება საკითხი, თუ როდის მოხდა ზემოთაღნიშნული ომი.

იოანე ბიკლარელს ასეთ თარიღად მიაჩნია 575 წ. აქ იბადება ერთგვარი ექვი. პროფ. კულაკოვსკი ირანის მეფე ხოსროს სომხეთზე გალაშქრების თარიღად ასახელებს 576 წ. 576 წ. ადრე შეუძლებელია იუსტინიანეს ჰქონოდა მასთან შეტაკება, რადგანაც იუსტინიანეს კონსტანტინოპოლიდან აღმოსავლეთის ფრონტზე წასვლა სხვადასხვა მიზეზის გამო დააგვიანდა, ამიტომ უფრო დასაჯერებელია, რომ ეს ომი მოხდა 576 წ.

ყველაზე ძვირფასს და საინტერესოს ცნობას იოანე ბიკლარელი იძლევა სვანეთის შესახებ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სვანეთის მდგომარეობის შესახებ 560-იანი წლების შემდეგ არც ბიზანტიელ და არც ქართველ ასტროიკოსებს არავითარი ცნობა არ მოეპოვებათ, მიუხედავად იმისა, რომ სვანეთის საკითხი VI საუკ. მეორე ნახევრიდან აქტუალური იყო და ამ საკითხის გადაწყვეტა ბიზანტიამ მაინც ვერ შესძლო. ჯერ კიდევ 562 წ., როცა სამშვიდობო ხელშეკრულება შეიკრა ირანსა და ბიზანტიას შორის, არცერთ მუხლში არაფერი არ არის ნათქვამი სვანეთის შესახებ, თუმცა სვანეთის საკითხი პრინციპიალური ხასიათის იყო. როგორც საისტორიო ცნობებიდან ჩანს, სვანეთი ამ ზავით ირანელებს დარჩათ, მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიამ ყოველგვარი ზომა იხმარა სვანეთის უკან დასაბრუნებლად. 562 წ. ზავით, სვანეთის საკითხი არ დამთავრებულა, მაგ., როცა იუსტინე კეისარმა თავისი წარმომადგენელი იოანე კომენციოლი ირანში გაგზავნა, მას, სხვა დავალებათა შორის, მისცა მითითება რომ მას ეწარმოებია მოლაპარაკება ირანის მეფესთან სვანეთის თაობაზე და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, შეესყიდა კიდევაც. აქ შეიძლება შევნიშნოთ შემდეგი: ბიზანტიის გაბატონებულ კლასისათვის და მათი ინტერესის დამცველ მეფეებისათვის ასეთი კომბინაციის მოწყობა—ქვეყნის ყიდვა გაყიდვა—შესაძლებელი მანევრი იყო და ხშირადაც მიმართავდნენ ამგვარ ხერხს ქვეყნების ხელში ჩასაგდებად. აღნიშნული მოლაპარაკება ბიზანტიის წარმომადგენელ იოანე კომენციოლსა და ირანის მეფე ხოსროს შორის მოხდა 565 წ. ამ მოლაპარაკებაშიც უშედეგოდ ჩაიარა, მით უმეტეს, რომ სვანები არ იყვნენ ბიზანტიის ორი-



ენტაციის მომხრე, რითაც სარგებლობდა ხოსრო იმპერატორი თავის მხრივ, თუ სვანეთის ისტორიას თვალსადავალეზებთ, დაეინახავთ რომ იგი ბიზანტიის პოლიტიკით უკმაყოფილო, თვით იწვევდა ირანის ჯარს, აშინებდა ბიზანტიელებს და თავისნებით უერთდებოდა ირანს. ეს ყველაფერი ხოსროსათვის საკმაო საბუთი იყო, რომ სვანეთის საკითხი თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა.

იოანე ბიკლარელი თავის „ქრონიკაში“ მოგვითხრობს შემდეგს:

„Romanus filius Anagasti Patricii magister militiae gentis Suanorum regem vivum cepit, quem cum suo thesauro uxore et filiis Constantino-polim adducit et provinciam eius in Romanorum dominium redigit“ (Chr. Min. II, 1, გვ. 214).

„რომანოზმა ანაგასტი პატრიკიოსის შვილმა, ჯარის სარდალმა, სვანეთის მეფე ცოცხლად დაიჭირა და იგი ცოლით, საგანძურით და შვილებით კონსტანტინოპოლში წაიყვანა და მისი პროვინცია რომაელების ბატონობას დაუბრუნა“.

ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, ჯერ ერთი, რომ სვანეთი ბიზანტიას არ ეკუთვნოდა ამ პერიოდში, მეორე ის, რომ ძალით იქნა დაპყრობილი ბიზანტიის ერთერთი სარდალის მიერ და ბოლოს სვანეთი რომაელების ბატონობას ისევ დაუბრუნდა. განსაკუთრებით საინტერესოა ამ წინადადების უკანასკნელი ნაწილი, სადაც ლაპარაკია სვანეთის უკან დაბრუნებაზე და მასზე ბიზანტიის ბატონობის შესახებ. ეს ჩვენ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ სვანეთი ოდესღაც ბიზანტიას ეკუთვნოდა, შემდეგ ჩამოსცლია და ბიზანტიის სარდალს რომანოზს ეს ქვეყანა ისევ ბიზანტიისათვის დაუბრუნებია. აქ ისმება საკითხი, თუ როდის მოხდა სვანეთის დაპყრობა რომანოზის მიერ.

მასალები ამ საკითხის გადასაწყვეტად ჯერჯერობით არაა ცნობილი არც ქართულ და არც უცხოურ ისტორიოგრაფიაში.

ამგვარად, სადაა არა მარტო თარიღი სვანეთის დაპყრობისა, არამედ თვით რომანოზის ვინაობაც. რომანოზს ბიზანტიის ისტორიაში ჯარის უფროსად ჩვენ რამოდენიმეჯერ ვხვდებით: პირველად მაშინ, როდესაც მავრიკი არის „magister militum Orientis“, მეორე შემთხვევა, როდესაც რომანოზი უკვე თვით არის „magister militum Orientis“ და ამ თანამდებობაზე მას ნიშნავს იმპერატორი მავრიკი თავისი მეფობის მერვე წელს (ე. ი. 589—590 წწ.) და ამავე წელს აგზავნის ირანის ჯარის უფროსის ბარამის წინააღმდეგ, შემდეგ იმისა რაც უკანასკნელმა სვანეთი დაიპყრო. ცნობას ამის შესახებ იძლევა თეოფილაქტე სიმაკოტა. თუ ანალიზს გაეუკეთებთ თეოფილაქტეს მოცემულ ცნობას, ჩვენთვის ნათელი იქნება, რომ 589—590 წწ. არ ეკუთვნის რომანოზის მიერ სვანეთის დაპყრობა, რადგან ამ დროს ირანის ჯარის უფროსს ბარამს უხდება ბრძოლა სვანეთის დასაპყრობად, მაშასადამე, სვანეთი ამ დროს ირანს არ ეკუთვნის და ბიკლარელის ცნობაც ეხება უფრო წინა პერიოდს. ამ საკითხის გამოსარკვევად უნდა გამოვიყენოთ ის ცნობები, რომელიც მოიპოება ბიზანტიის ისტორიოგრაფიაში. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ბიზანტიასა და ირანს შორის ზავის დადების დროს 562 წ. სვანეთი უკანასკნელს ეკუთვნის. 565 წ. იუსტინე იმპერატორის წარმომადგენელი იოანე კომენციოლი ცდილობს ირანის მეფე ხოსროსთან მოლაპარაკების დროს სვანეთის საკითხის ბიზანტიის სასარგებლოდ

გადაწყვეტას, რაც მან ვერ მოიყვანა სისრულეში. ბიზანტია და თურქეთის სავაჭრო მოლაპარაკება, რომელიც წარმოებდა 568—569 წწ., სავაჭრო ხელშეკრულების დადებით დამთავრდა. ამ მოლაპარაკების შემდეგ ბიზანტიის ელჩი ზემარქე კონსტანტინოპოლში ბრუნდება, მაგრამ ირანის შიშით მოკლე გზით ვერ უვლია და მას უხდება ურალის გავლით ალანთა ქვეყნებში შესვლა. ზემარქეს სურს სვანეთის გზით იაროს, მაგრამ ალანეთში ის ვებულობს, რომ მას ირანის ჯარი დარაჯობს სვანეთში. ამიტომ შეშინებული ელჩი გზას უხვევს და აფშითა ქვეყანაზე მოვლით კონსტანტინოპოლში მიდის. ამ ცნობას იძლევა მენანდრე. როგორც მენანდრეს ფრაგმენტიდან ჩანს, ამ პერიოდში სვანეთი ისევ ირანს ეკუთვნის. ბოლოს 589—590 წწ. ირანის ჯარის სარდალს ბარამს უხდება ბრძოლა იმისათვის, რომ სვანეთი ირანს დაუქვემდებაროს. მაშასადამე, VI საუკ. ოთხმოციან წლებში იგი უკვე ირანს არ ეკუთვნის. ეს ყველაფერი ჩვენ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ სვანეთის დაპყრობა რომანოზის მიერ უნდა მოხდარიყო 559—589 წწ. შუა. რაც შეეხება იბერია-სომხეთის აჯანყებას, რომელიც მოხდა 571 წ., შეუძლებელია სვანეთის დაპყრობა ამ დროს მიეკუთვნოს, რადგანაც აჯანყებულები მალე დამარცხდნენ და თავი შეათარეს ბიზანტიას. ზემოთმოყვანილი საბუთების შემდეგ ძნელი არ არის სვანეთის დაპყრობის თარიღის დადგენა. ბიკლარელის მიერ დასახელებული თარიღი 576 წ. აუცილებლად სწორად უნდა ჩაითვალოს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობენ შემდეგი ფაქტები: ერთი ის, რომ სწორედ 576 წ. ბიზანტიის და სომხეთის გაერთიანებულმა ლაშქარმა იუსტინიანეს სარდლობით სასტიკად დაამარცხა ირანის ჯარი. არ შეიძლებოდა ამ გამარჯვების დროს ბიზანტიას და მის სარდლობას უყურადღებოდ დაეტოვებია სვანეთი, მით უმეტეს, რომ სვანეთს პრინციპიალური მნიშვნელობა ჰქონდა უკანასკნელისათვის, მეორე—ჯარის უფროსს, სტრატეგს, შეუძლებელია ზურგს უკან მტერი დაეტოვებია, რადგანაც სვანეთს შეეძლო დახმარება გაეწია ირანელებისათვის. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ იუსტინიანემ, ირანის წინააღმდეგ მომქმედი ჯარის უფროსმა, გაკზავნა თავისი ჯარის ნაწილი სვანეთის დასაპყრობად და დაიპყრო კიდევაც 576 წ. მხოლოდ იოანე ბიკლარელის მიერ მოხსენიებული რომანოზი, რომელიც იწოდება magister militiae, არის იუსტინეს მიერ სვანეთის დასაპყრობად გაგზავნილი ჯარის უფროსი და ამ მოსაზრებას ამართლებს მისი თანადებობის სახელწოდებაც. სვანეთის საკითხის ამგვარი გადაჭრა ბუნებრივიცაა, რადგანაც ბიზანტია ისარგებლებდა პირველი შემთხვევით სვანეთის უკან დასაბრუნებლად, მით უმეტეს მისი ლაშქრის ირანზე გამარჯვების შემდეგ და, მართლაც, 576—577 წწ. ბიზანტიასა და ირანს შორის საზავო მოლაპარაკების დროს სვანეთის საკითხი ბიზანტიას სადაოდ არ დაუყენებია, რადგან სვანეთი მას უკვე დაპყრობილი ჰქონდა და ეს საკითხი ფაქტიურად გადაწყვეტილად მიაჩნდა.

ამგვარად, იოანე ბიკლარელის მიერ მოცემული თარიღი—576 წ. სწორად უნდა ჩაითვალოს და სწორედ ამ წლიდან სვანეთი ბიზანტიას ეკუთვნოდა და ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ბარამმა, ირანის ჯარის უფროსმა, 589—590 წწ. აწარმოა ომი სვანეთის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ბიზანტია-ირანის ომი, რომელიც დამთავრდა ბიზანტიის სრული გამარჯვებით.

ქ. კეკელიძე

დიდი ქართველი პოეტი და ჰუმანიستي საშუალო საუკუნეებისა *

1

საშუალო საუკუნეთა ბნელეთში, როდესაც ევროპული აზროვნება დანის-
ლული იყო ცრუმორწმუნოებითა და რელიგიური ფანატიზმით, აღმოსავლური
პოეზიის ჰორიზონტზე ენთება შუქურა, რომელიც ჰუმანიზმის მოახლოებას
გვაუწყებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სახელგანთქმული ქართული რომანტიუ-
ლი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელმაც რამდენიმე საუკუნით უფრო ადრე
ასახა, ვიდრე დასავლეთის რენესანსმა, ჰუმანური იდეები და კეთილშობილი
მისწრაფებანი აღამიანისა. ვეფხისტყაოსანი მიეკუთვნება კაცობრიობის გენიის
ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს, რომელთაც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ,
დღემდე შეუნარჩუნებია ნორმისა და შეუდარებელი ნიშნის მნიშვნელობა.

„Habeant libri fatum suum“, — წიგნებს თავისი ბედი აქვსო, — იტყოდნენ
ძველად რომაელები. ეს სიტყვები ყველაზე მეტად ვეფხისტყაოსანზე ითქმის.
ჯერ იყო და მას აუმხედრდნენ ბნელეთის მოციქულები, კლერიკალურ-კონსერ-
ვატული წრის წარმომადგენლები, რომელნიც ებრძოდნენ მას სარწმუნოებრივ-
მორალური პოზიციებიდან იმიტომ, რომ ის „არ ახსენებს სამებასა ერთარსუ-
ლად“ და, როგორც „სამეძაო“ ვითომცდა წიგნი, ოჯახურ მორალს ბღალავს;
ამის გამო ზოგი თავისი უილაჯო ინტერპოლაციით და ინკრუსტაციით შეუბ-
რალებლად სჯიჯვნიდა და ამახინჯებდა პოემის ნატიფ ანაგობას, ზოგი კი-
დეც უღმობელად სდევნიდა მას და პირდაპირ აუტოდაფეს უმართავდა. მეორე
ბანაკის წარმომადგენელი ასეთი ბრალდების გასაბათილებლად სხვაგ-
ვარ უკიდურესობაში ვარდებოდნენ, როდესაც პოემაში „საღმრთო“ ნა-
წარმოებსა და „საღმრთო მიჯნურობას“ ეძებდნენ და იდეოლოგიურად
რყვნიდნენ მას. XIX საუკუნეში რუსეთის ბიუროკრატიულმა ხელისუფლე-
ბამ პოემას ბრძოლა ნაციონალურ-პოლიტიკური პოზიციებიდან გამოუტ-
ხადა. ცარიზმის ცერბერებიც, რომელთაც დაფალბებული ჰქონდათ საქართველო-
ში ისეთი პოლიტიკა ეწარმოებიათ „чтобы тело оставалось грузинское,


* შემოკლებით დაბეჭდილია ჟურნალ „ბოლშევიკში“ 1937 წ. № 12, გვ. 57—72 სათაუ-
რით: „რუსთაველი და მისი შემოქმედება“; წაკითხულია 1937 წლის 30 დეკემბერს საბერძნეთის
თეატრში შოთა რუსთაველის 750 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ რესპუბლიკურ სახეი-
მო სხდომაზე.



душа-же была русская“, გულდამშვიდებით ვერ შეხვდებოდნენ ვეფხის ტყაოსანს, რომელიც სწორედ „სულს“ აკაჟებდა ძალამინდილ ქართულ სხეულში თავისი აფორიზმებით: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ და „ჭირსა შინა გამავრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“. ამის შედეგი იყო, რომ წიგნი, „კაცათვის საკითხავადა სურვილით მოსანდომები“, თაროებიდან ჩამოიღეს და გადააბარგეს სარდაფებში, სადაც ის იმდენად იქნა დავიწყებული, რომ დღეს ჩვენ წარმოდგენაც კი არა გვაქვს იმისა, თუ როგორ, რა კილოზე კითხულობდნენ სახელოვან პოემას ჩვენი წინაპრები. ზედმეტი იყო ლაპარაკი პოემის მეცნიერულ შესწავლაზე, როდესაც რუსთველოლოგიური შტუდიები არალეგალურ საქმედ ითვლებოდა; შეუძლებელი იყო ოცნება ტექსტის კრიტიკულ გამოცემაზე, როდესაც მისი დაბეჭდვა ხშირად უსინდისო სპეკულაციისა და კომერციის საქმედ ხდებოდა.

უკეთესი არ იყო მდგომარეობა არც მენშევიკების ხანმოკლე ბატონობისას; ეს ვაჟბატონები, რომელთაც არავითარი წარმოდგენა კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე არ ჰქონდათ, რომელთაც ქართველი ერის კულტურულ-ისტორიულ ძეგლთა დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გაიტაცეს, პოემას, როგორც ფეოდალური ეპოქის ნაწარმოებს, ნილილისტურად უდგებოდნენ და ისეთ წიგნად თვლიდნენ, რომელსაც მხოლოდ „უსაქმო“ კაცი თუ მოჰკიდებდა ხელს.

ჩამოჰკრა დიდი ოქტომბრის განმანთავისუფლებელმა ზარმა; სოციალისტური რევოლუციის აზვირთებულმა ტალღამ წალეკა ის სიბინძურე, რაც დაგროვილი იყო ჩვენს სინამდვილეში, და კაშკაშა კენჭებივით გამოამხეურა ძვირფასი მარგალიტები გარდასული კულტურული მემკვიდრეობისა. დაიწყო ახალი ხანა კერძოდ რუსთველისა და ვეფხის ტყაოსნის ისტორიაში; შოთა და მისი გენიალური ნაწარმოები მშრომელთა მასამ თავის საკუთრებად გამოაცხადა. ეს გასაგებია: მხოლოდ პროლეტარიატს და მის ავანგარდს—კომუნისტურ პარტიას შეუძლია ღირსეულად დააფასოს და მოიხმაროს კლასიკური მემკვიდრეობის ყველა ღირსშესანიშნავე მონაპოვარი; პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში გახდა შესაძლებელი რუსთველის გამოვლინება, მისი შეფასება, შესწავლა და კრიტიკული გამოცემა. მხოლოდდამხოლოდ ისტორიაში უდიდესი ადამიანების, უკვდავი ლენინისა და გენიალური სტალინის, ნაციონალურმა პოლიტიკამ მოგვცა ქართველებს შესაძლებლობა ჩვენი ღირსეული შვილის დანახვისა და მისი უზადლო ნაწარმოებით დატკბობისა. სოციალისტური კულტურის მშენებლობის პროცესში ჩვენ გვერდს ვერ ავუხვევთ წარსული კულტურის კლასიკურ ნიმუშებს, რადგანაც „მხოლოდ კულტურის ზუსტი ცოდნით, რომელიც შექმნილია კაცობრიობის მთელი განვითარებით, მხოლოდ მისი გადაშენებით შესაძლოა პროლეტარულ კულტურის მშენებლობა“. ასე გვასწავლის ჩვენ გენიალური ლენინი, ამასვე გვეუბნება საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი დიდი სტალინი, ის, სტალინი, რომელიც ბავშვობიდანვე, დედის ძუძუსთან ერთად, ითვისებდა რუსთველის კეთილშობილ აზრებს და იყნოსდა არომატს ვეფხის ტყაოსნის პოეზიისას. მხოლოდ საბჭოთა პირობებში, სტალინის დიდ ეპოქაშია შესაძლებელი ის მნიშვნელოვანი, ისტორიული დადგენილება,



რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მისი სახელოვანი ხელმძღვანელის, ამხ. ლ. ბერიას, უშუალო ინიციატივით 1934 წლის 20 აგვისტოს გამოიტანა. ამ დადგენილებამ, — რუსთველის 750 წლისთავის შესახებ, — რომელმაც უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს კავშირში და კერძოდ საქართველოში, მკვდრებით აღადგინა გენიალური პოეტი და ყოველნაირად უზრუნველპყო მისი ქმნილების მეცნიერული შესწავლა და გამოყენება ახალი, სოციალისტური კულტურის მშენებლობის საქმეში.

ამრიგად, „კეთილმა სძლია ბოროტსა“, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისტორიული უსამართლობა გამოსწორდა და ხალხს დაუბრუნდა ის, რაც მას ეკუთვნოდა.

2

ვეფხისტყაოსნის სახით ჩვენ მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებთან გვაქვს საქმე. პოემის ინტერესს ჰქმნის, პირველ ყოვლისა, მიმზიდველი ამბავი, რომელიც თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება, იქამდის, რომ ერთერთი მისი მიმბაძველი პოეტი იძულებული იყო ეთქვა: „მისთა ამბავთა უამე კაცს რამცა გავგონება?“. მის ინტერესს ჰქმნის შემდეგ ისიც, რომ ნაწარმოებში სავსეა პოეტური გამოთქმებითა, ღრმა-აზროვანი აფორიზმების, სენტენციების, ფილოსოფიური და მორალურ-დიდაქტური ხასიათის საინტერესო დებულებათა მარგალიტებით; ამ მხრივ მართალი იყვნენ მომდევნო საუკუნეთა პოეტები; როდესაც სწერდნენ: „რუსთველი სიბრძნის ტბა არის“. „შოთა ზის სიბრძნის ეტლზედა“, „სიბრძნით სავსემან რუსთველმან აქო ნესტან და ტარია“. ეს ღრმა აზრები, აფორიზმები და სენტენციები შეადგენენ სიბრძნისა და ყოფაცხოვრებითი გამოცდილების დაუშრეტელ წყაროს, რომელშიაც თითოეული პოულობდა იმას, რაც მისთვის იყო საჭირო; ცხარე კამათში თეიმურაზთან ტყუილად კი არ ამბობს დღევანდელი ჩვენი იუბილარი:

საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს,
ვის ლხინი აქვს მას უბნობენ, ანუ გული ვისაც უწუხს;
მხიარულად წაიკითხვენ, მასზედ თვალნი არვის უწუხს;

რალა ვთქვათ ნაწარმოების გარეგანი, მხატვრული ვაფორმების შესახებ? ამ მხრივ პოემის ავტორი ვახდა არაჩვეულებრივი კრძალულებისა და თავყანისცემის საგნად. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ შემდგომ — საუკუნეთა პოეტები თავიანთ თხზულებათა შესავალში შთაგონებისათვის მიმართავენ არა მუხებს, არამედ „დიდი რუსთველის“ სახელს; რადგანაც, მათი აზრით, რუსთველს „ქართველთა ერთ მეღექსე ვერშედარების“ ვერავინ, არც არავინ უნდა იწუხებდეს თავს მეღექსეობის დარგში, ვინაიდან „მისის ლექსების მკითხველსა სხვა რადმცა მოეწონების?“ მეღექსეობის დარგში ჩვენი პოეტი შეუდარებელი ოსტატია; „მოქმელი და გამომეტყველი მისებრი არსად არია“, ასეთი იყო საერთო რწმენა წარსულშიც. საოცარია არაჩვეულებრივი სიმდიდრე მისა ლექსიკური მარაგისა, რომელიც აღებულება როგორც მწიგნობრული ლიტერატურიდან, ისე ცოცხალი ხალხური მეტყველებიდან. სიტყვათა განსაკუთრებულ წყობას პოეტი მიმართავს მუსიკალობისა და ტონური შთაბეჭდი-

ლების გაძლიერებისათვის. ამ მხრივ მკითხველის სმენას ატკობს სიდიადე ეპიკური სტილისა, რომელიც დინჯია და ნაზი, როგორც საქართველოს ველები, ხან კი ქუხს ლამაზად შეკინძული ფრაზებით, როგორც პოეტის სამშობლოს მთებიდან მოვარდნილი ჩანჩქერი. სიტყვათა ოსტატური შერჩევით და ბგერითი მასალის თავისებური კომბინაციით პოეტი მკაფიოდ გამოხატავს, ერთი მხრით, ფეოდალური არისტოკრატის აღვირაწყვეტილ, დარდიმანდ ყოფას, ხოლო, მეორე მხრით, ცხოვრების ჭირ-ვარამით დამძიმებულ განწყობილებას. ავტორის მიერ ხმარებული მეტაფორების, მოსწრებული შედარებებისა და პარალელიზმების სიუხვე და მრავალსახეობა აკუთვნებს მას შეუღარებელ ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში; ამ მხრივ ის სიტყვის ნამდვილი ჯადოქარია. სავსებით გულწრფელი იყვნენ მისი მემკვიდრენი მხატვრული სიტყვის დარგში, რუდესაც თეიმურაზ II პირით ასკენიდნენ:

ვეფხის ტყაოსნის ლექსები სხვა ლექსთა გამიციხველია,
 საქართველოსა კაცთათვის სატრფო და სასურველია.

დღეს ვეფხის ტყაოსანი „სატრფო და სასურველია“ არა მარტო „საქართველოსა კაცთათვის“, მან უკვე გადალახა საქართველოს საზღვრები, ის მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირის უდიდესი პოეტური ნაწარმოების ოქროს ფონდში შედის, ის, იმ მშვენიერი თარგმნებით, რომელიც საბჭოთა სინამდვილეში შესრულდა, „სატრფო და სასურველი“ ხდება აგრეთვე ევროპისა და მთელი კაცობრიობისათვის.

3

რა პირობებში, რა კულტურულ გარემოში წარმოიშვა ეს თხზულება, რავგარ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნაყოფია ის? მართალია თუ არა ამ რამოდენიმე წლის წინათ გამოთქმული აზრი, ვითომც რუსთველი „не есть достижение предшествующей эволюционно развивавшейся истории феодальной письменной литературы... Он появился точно метеор и не имеет в письменности никаких предпосылок, в равной мере не имеет ничего общего с общественным мнением и общественным мировоззрением Грузии, выявленным в письменных памятниках литературы, ни идеологически, ни формально“ (Акад. Н. Я. Марр, — В тупике ли история материальной культуры? стр. 34, 1933 г.)?

აი საკითხები, რომელთაც გვერდს ვერ აუვლის ვერავინ, ვისაც სურს შეიგნოს და გაითვალისწინოს ვეფხის ტყაოსნის რაობა.

მწერალი, ისე მოწყვეტილი თანამედროვე საზოგადოებრივსა და კულტურულ ნიადაგს, როგორც ეს ნაგულისხმევია მოყვანილ ციტატაში, წარმოუდგენელია; არარაისაგან თვით მშვენიერი ვენერაც არ გაჩენილა, მითოლოგიით, ის აქაფებული ზღვის წიაღიდან გამოვიდა, — მით უმეტეს არარაობისაგან, მეტეოროვით, ვერც ჩვენი მშვენიერი პოემა გაჩნდებოდა. ვეფხის ტყაოსანი ნაწარმოებია. ქართული ფეოდალური ლიტერატურის კლასიკური პერიოდისა, რომელიც მათე საუკუნიდან მეცამეტის ნახევრამდე გრძელდება. რუსთველი პროლუქტია თავისი ეპოქისა, ის ფოკუსია, რომელშიც გარდატყდა კულტურული მიღწევები ფეოდალური საქართველოსი. მისი ხანა ის ხანაა, როდესაც ყო-

ველი მხარე ქართველი ერის ცხოვრებისა,—პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური და კულტურული,—განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს.

მეთავე საუკუნის გასულიდან, არაბთა ბატონობის შესუსტებისა, მოსახლეობის ზრდისა და სამეურნეო ცხოვრების ამოძრავების გამო, იწყება გაერთიანება მანამდე დაქსაქსული ფეოდალური ერთეულებისა საქართველოში. პროცესი გაერთიანებისა სრულდება მეთორმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში, დავით აღმაშენებლის დროს, ძლიერი ფეოდალური მონარქიის შექმნით, რომელიც თამარ მეფის დროს გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, კავკასიის მწვერვალებიდან თითქმის არაქსამდე, დარუბანდიდან არზრუმ-ტრაპიზონამდე. ამ მონარქიას ძალაუფლებურად ანგარიშს უწყევნ წინააზრის საერთაშორისო პოლიტიკის რთულ საკითხებში, ამ საკითხებში ის ხშირად შუამავლისა და მომრიგებლის როლშიც კი გამოდის; მასთან კავშირს ეძებენ დასავლეთ-ევროპის ჯვაროსნები, იერუსალიმის კოროლები, ზერძენთა კომნენები, სელჯუკიანთა სულტანები, ეგვიპტის მამულუკები, აზერბაიჯანის ათაბეგები და ხვარაზმის შაჰები. გაერთიანებული სახელმწიფოს სათავეში დგას მონარქი, „მეფეთა მეფე“, რომლის განკარგულებაშია, სათანადო ვეზირების ხელქვეით, მმართველობის მოქნილი და ელასტიური აპარატი. მონარქის პერსონა, ირანელ შაჰთა და ბიზანტიელ ბაზილევსების სამეფისკარო ეტიკეტით გაბრწყინებული, იმდენად დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ქვეშევრდომებზე, რომ მას „ღვთისა სწორს“ და „მზისა სწორს“ უწოდებდნენ. მონარქის ხელისუფლება, რომელიც, სასტიკად დასული ლეგიტიმიზმის პრინციპისდა მიხედვით, მემკვიდრეობით გადადიოდა ბაგრატიონთა დინასტიაში. ეპოქის შეხედულებით, მესიანური, ღვთაებრივი წარმოშობისა იყო, რის გამო ის სიცოცხლეშივე აპოთეოზის შარავანდვით იმოსებოდა. სახელმწიფოს სადარაჯოზე იდგა: დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაღებისაგან შექმნილი მუღმივი, რეგულარული არმია, რაინდთა ან „მოყმეთა“ რთული კორპორაცია, რომლის დროშაზე სახელმწიფოსა და მეფისათვის „სამსახური“ და თავდადება აღინიშნებოდა, და ბოლოს ფეოდალების მიერ თავიანთ სამფლობელოთაგან გამოყვანილი ლაშქრობა. ყოველივე ამის გამო საქართველოს გარეშე მტრები ახლა ვეღარ ავიწროებენ, როგორც წინათ, პირიქით—ის შტტევაზედაც გადადის: მახვილი აგრესიულად განწყობილი მებრძოლი ფეოდალებისა, რომელნიც ხელისუფალთ შემდეგი სიტყვებით მიმართავდნენ ხოლმე: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა“, ხშირად ირანის შორეულ პროვინციებშიც კი, თითქმის ხვარასნამდე, იჭრებოდა.

ფეოდალური მონარქიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში წამყვანი როლი ეკუთვნოდა ფეოდალურ კლასს—საეროსა და სასულეეროს. იყვნენ ფეოდალები მსხვილნი და წვრილნი, დიდგვარიანნი, დიდებულნი, თავადნი, ციხე-ქალაქის მფლობელნი და მსახურეულნი. მათ შორის წარმოებდა განუწყვეტელი ბრძოლა და კინკლაობა წოდებრივ პრივილეგიათა და უპირატესობათა მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. დიდგვარიანი ფეოდალები ებრძოდნენ არა მარტო ერთიმეორეს, არამედ მათი აღვირახსნილობის შემზღუდველ მონარქიულ ხელისუფლებასაც, იქამდის, რომ, თამარ მეფის დროს, მაგალითად, მათ მოითხოვეს



მონარქის უფლების თავის სასარგებლოდ შეზღუდვა და თავისებური პარლამენტარიზმის შემოღება. ამ ბრძოლიდან გამორიცხული არ იყო ეკლესია და მისი წარმომადგენელი. ძველამოსილი მონარქის შექმნასთან დაკავშირებით, ეკლესია, რომელიც სახელმწიფოებრივი მექანიზმის ერთერთ ორგანოდ გადაიქცა, ჰკარგავს იმ განსაკუთრებულ გავლენასა და მნიშვნელობას, რომელიც მას მეთათე საუკუნემდე ჰქონდა ნოპოვებული. ამ ძალაუფლებას ის უნებლიეთ უთმობს საერო ფეოდალების წარმომადგენელთ, რომელზედაც უმთავრესად ეყრდნობა მონარქის ხელისუფლება და რომელიც პირველ რიგში წინაუბრდებიან. სხვა სოციალურ კატეგორიათა შორის აღინიშნებიან: გლეხები და მონები, რომელიც ფეოდალური კლასის ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენენ, სხვადასხვა პროფესიის ხელოსნები, განსაკუთრებით კი ვაჭრები. აღნიშნულ ეპოქაში კარგადაა შეგნებული როგორც ფულის ღირებულება, ისე ვაჭრობის მნიშვნელობა; ამით აიხსნება ის ყურადღება, რომლითაც სარგებლობენ ვაჭრები საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და რომელიც იქამდე მიდის, რომ დიდი ვაჭარი ზანქან ზორობაბელი იგზავნება ჩრდილო-კავკასიაში თამარის საქმროდ არჩეულის გიორგი რუსის თბილისში ჩამოსაყვანად; ამით აიხსნება ისიც, რომ ვაჭრებს ვეფხის ტყაოსანშიაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი აქვთ დათმობილი.

პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების განვითარებისა და გართულების გამო აღნიშნული პერიოდის ქართული ფეოდალიზმი შედის ახალ ფაზაში, რომელსაც „პატრონ-ყმობა“ ეწოდება. პატრონ-ყმური სისტემა შეადგენდა საფუძველს როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური ცხოვრებისას. იმ დროში იშვიათად მოიპოვებოდა ისეთი ადამიანი, რომელიც ამ ურთიერთობის გარეშე დარჩენილ იყოს. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ერთიდაიგივე პირი ერთსადამიანვე დროს, როგორც ეს ვეფხის ტყაოსანშიაც არის გამოვლინებული, შეიძლება ყოფილიყო პატრონიც (ერთის) და ვასალი ან ყმა (მეორის). პატრონყმური სისტემით ნაგულისხმევ დამოკიდებულებათა ძირითად მოტივს შეადგენდა ვასალის, ყმის „სამსახური“ თავისი პატრონის, სუზერენის წინაშე. ამ „სამსახურის“ საფუძველზე იქმნებოდა რაინდობა ან მოყმეობა თავისი კორპორატიული ეტიკეტითა და წოდებრივი ტრადიციებით. რაინდობამ თავისი კოდექსით ხელი შეუწყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის პიროვნებისა და ღირსება-მნიშვნელობის განდიდებას; ქალისადმი კრძალულებამ, მის წინაშე ქედისა და მუხლის რაინდულმა მოღრეკამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, წარმოშვა ჩვენში „ქალის კულტი“, რომელიც დამახასიათებელია განსაკუთრებით კლასიკური ხანისა; ამ კულტის ყველაზე ძლიერი გამომხატველი სწორედ ვეფხის ტყაოსანია.

ძლიერი მონარქიის ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო ეკონომიური ცხოვრების განვითარებას. შიგნით შედარებით მოწესრიგებული და გარეშე მტვრთა თავდასხმა-მძლავრობისაგან უზრუნველყოფილი და მოსვენებული სახელმწიფო ყოველგვარ პირობებსა ჰქმნის ეკონომიური განვითარებისათვის. ამ ხანაში აღგვილი აქვს ვაჭრობისა და სავაჭრო კაპიტალის არაჩვეულებრივ ზრდას; გავრთიანებულ საქართველოში მძლავრად შეიგრძნობოდა მსოფლიო ბაზრის მაჯისცემა, რაც გამოწვეული იყო საქართველოს მაშინდელი საერთაშორისო მდგო-

მარეობით და მისი სავაჭრო გზების განსაკუთრებული მიმართულებით. სავაჭრო ურთიერთობა ამ დროს საქართველოს აქვს: დასავლეთით—ბიზანტიასთან, მახლობელ აღმოსავლეთში—ბაღდადთან და ალექსანდრიასთან,—მოვიგონოთ ამის გამო ვეფხის ტყაოსანში ბაღდადელ და ეგვიპტელ ვაჭართა ადგილი,— ხოლო შორეულ აღმოსავლეთში—ცენტრალურ აზიასა და ინდოეთთან. შორეულ აღმოსავლეთთან კავშირი სამი გზით ხორციელდებოდა: ერთი—მდინარე მტკვრისა და კასპიის ზღვით, მეორე—დვინანისისა და სპარსეთით, მესამე—ე. წ. ხუმარ-მაჯარის ტრაქტით (ჩრდილო-კავკასიით). აღნიშნული გზებისა და იტალიური ქალაქების აღმოსავლეთისაკენ სავაჭრო ექსპანსიის მეოხებით საქართველო მსოფლიო ვაჭრობის ორომტრიალში ებმება, რაც იწვევს გზების გაყვანას, ხიდებისა და ქარვასლების შენებას. ვაჭრობასთან ერთად შესამჩნევად წინაურდება ხელოვნობა, განსაკუთრებით კი საქალაქო ცხოვრება; ამ მხრივ საკმარისია მოვიგონოთ ვეფხის ტყაოსანის გულანშარო და მისი კომერციული სახე. მაგრამ ფეოდალური სტრუქტურის მასაზრდოებელ მთავარ ძარღვს შეადგენდა მაინც მიწათმოქმედება, რომლის განვითარების მიზნით გაჰყავდათ სხვადასხვა გვარისა და სისტემის სარწყავი არხები, მეზობლებთან ხშირი ომებისა და ლაშქრობის შედეგად სახელმწიფოში შემოდიოდა დიდძალი სამხედრო დოვლათი და ალაფი, აგრეთვე რეგულარული, ყოველწლიური სამხედრო გადასახადი, ხარკი. იმის დასახასიათებლად, თუ რამდენად გაიზარდა, შედარებით წინა ეპოქასთან, ქვეყნის ეკონომიური ძლიერება და მატერიალური კეთილდღეობა, საყურადღებოა ის ფსიქოლოგიური განწყობილება, რომელიც თავს იჩენს თამარის ისტორიკოსის, რასაკვირველია, უზომოდ გაზვიადებულ სიტყვებში: „გააზნაურდეს ქვეყნის მოქმედნი“, ესე იგი—მიწის მუშაენიო, „იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურისა ყმანი მათთან პატრონთა სწორად იმოსებოდესო“.

რუსთველის ეპოქაში ჩვენ ვხედავთ განათლება მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურის, საერთოდ მთელი კულტურული ცხოვრების ისეთ მძაფრ და არაჩვეულებრივ ზრდა-აყვავებას, რომ ამ ეპოქას სამართლიანად „კლასიკური“ ან, მხატვრულად რომ ვთქვათ, „ოქროს ხანა“ ეწოდება. კულტურის ასეთი აყვავება გამოიწვია, პირველ ყოვლისა, ქვეყნის საწარმოო ძალთა და მეურნეობის განვითარებამ, სოციალური ურთიერთობის გართულება-გაღრმავებამ და პოლიტიკური ცხოვრების უჩვეულო, უმაგალითო სიზაღვრე ასვლამ, რის შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი. მეორე მხრით, კულტურის აღორძინებას ხელს უწყობდა მეცენატობა, რომელიც ამ დროის დამახასიათებელია. მეფეები ხშირად თვით იძლევიან მეცნიერისა და განათლებული ადამიანის (დავით აღმაშენებელი) მაგალითს, თავსუყრიან სამეფო კარზე პოეტებსა და მწერლებს, რომელთაც ყოველნაირად უზრუნველყოფენ; აგზავნიან საზღვარგარეთ, (ბიზანტიაში) სწავლის მისაღებად ახალგაზრდებს, იბარებენ იქიდან-განათლებულ ქართველ მოღვაწეებს და ხელს უწყობენ მათ საგანმანათლებლო მეცნიერულსა და ლიტერატურულ მუშაობაში, ჰქმნიან და დახმარებას უწევენ სხვადასხვა კულტურულ საგანმანათლებლო-დაწესებულებებს. ასე, მაგალითად, ახლა ფართოდ იშლება პირველდაწყებითი და საშუალო სასწავლებლების ქსელი, საფუ-

ძველი ეყრება იყალთოს უმაღლეს სკოლას, აკადემიას, აგრეთვე ასეთსავე აკადემიას გელათში, რომელიც, ისტორიკოსის ცნობით, „მეორე ათინად“ იქცა. საზღვარგარეთ, ბიზანტიის სხვადასხვა პუნქტში, საფუძველი ეყრება მწიგნობრულ ცენტრებს, როგორიცაა ათონის, შავიმთის, პალესტინის და პეტრიწონის საკანეები, სადაც ყალიბდება სპეციალური ლიტერატურული სკოლები, რომელნიც თავისებურად უღვებთან ბიზანტიური კულტურის ათვისების საკითხს. ამ მხრივ ხაზი უნდა გაესვას პეტრიწონის საფანეს—ლდევანდელს ბულღარიაში, და აქვე ბიზანტიურ ყაიდაზე ჩამოყალიბებულ სემინარიას, სადაც მეცადინეობა მხოლოდამხოლოდ ქართულ ენაზე წარმოებდა.

კულტურულ აღორძინებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ საქართველო იმყოფებოდა ორი დიდი კულტურული ნაკადის—დასავლეთით ბერძნულის და აღმოსავლეთით ირანულის—გზაჯვარედინზე. როდესაც ბერძნული კულტურის შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ორივე მისი შტო: ძველი კლასიკური, ელინური, და საშუალო-საუკუნეების, ბიზანტიური.

კლასიკურ-ელინური კულტურის ელემენტებს საქართველო ისრუტავდა ჯერ კიდევ არაბეთის გზით, სადაც ეს კულტურა, გარკვეული ისტორიული პირობების გამო, შედარებით ადრე გადაბარგდა; განსაკუთრებით კი ამ მზიური, ლალი, ამქვეყნიური, ჰუმანური და ოპტიმისტური კულტურის შეთვისებისათვის ხელსაყრელი პირობები ჩვენში სწორედ რუსთაველის ხანაში დადგა. საქმე ისაა, რომ სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების აყვავებამ ოპტიმისტური განწყობილება დაბადა, ამიტომ შენელდა გაჭირვება-დაკნინებისაგან გამოწვეულ პესიმიზმთან დაკავშირებული ასკეტიზმი და ასკეტიკური მიმართულება წინაპერიოდის ცხოვრებისა. ფეოდალურმა საზოგადოებამ თვალი და გული ზეციური სამყაროდან ქვეყნად ჩამოუშვა, შეიგნო ამ ქვეყნიური ცხოვრების ღირებულება და მშვენება, იმაში დაინახა იდეალი, რომელიც ადამიანის დანიშნულებას შეშვენის, ერთი სიტყვით—შეიმუშავა ჰუმანური იდეალები და მისწრაფებანი, ის, რის მატარებელი და მქადაგებელი ელინური, კლასიკური კულტურა იყო. მართლაც, საკმარისია თვალი გადაავლოთ ამდროინდელ საისტორიო და მხატვრულ ლიტერატურულ ძეგლებს, და თქვენ დაინახავთ, რომ ისინი აჭრელებულია ელინურ ფილოსოფოსთა ციტატებით, ილიადა და ოდისეას გმირთა სახელებით, პლუტარქის, ფუკიდიდეს და სხვა ისტორიკოსთა ექსცერპტებით, ელინური მითოლოგიის წარმტაცი თქმულებებით; ერთი სიტყვით, ამ ხანაში თქვენ უკვე სუნთქავთ ძველი ვლადით და მისი სულით.

მაგრამ საქართველო ამ დროს მაინც ქრისტიანული ქვეყანა იყო და ამიტომ მას მეტი იდეოლოგიური კავშირი საშუალო საუკუნეების ბიზანტიასთან ჰქონდა. კულტურულ საგანმანათლებლო მოძრაობამ, რომელმაც თავი იჩინა ბიზანტიაში მეთვლე საუკუნიდან, ჩაითრია, სხვათა შორის, საქართველოც. ბერძნები, ცნობილია, თავისთავს, როგორც კულტურის მატარებელს, „ელინებს“ უწოდებდნენ, სხვებს კი, კერძოდ ქართველებსაც, „ბარბაროსებს“; არაჩვეულებრივად განვითარებული ნაციონალური თვითმგნება ამ დროის ქართველებისათვის მოიხზოვს ჩამოიშორონ ეს სათაკილო სახელწოდება და კულტურულად

გვერდში ამოუდგენ ბიზანტიელებს. მათ მიზნად დაისახეს ზუსტად და მთლიანად ამოსწორონ ბიზანტიური მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება, ლიტერატურა, ერთი სიტყვით — კულტურა. ამ მიზნით ითარგმნება ღირსშესანიშნავი თხზულებები თეოლოგიიდან, ფილოსოფიიდან და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, როგორცაა: იურისპრუდენცია, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მედიცინა, გრამატიკა, განსაკუთრებით კი ასტრონომია და ისტორია. მოკლე დროში ბიზანტიური კულტურით გატაცებამ ისეთი ეფექტი მოგვცა, რომ ქართველები სრული შეგნებით ამბობენ: ჩვენმა მწიგნობრებმა და მოღვაწეებმა „ნაკლულევანება ენისა ჩვენისა აღავსეს და რომელნი ესე ბარბაროზად წოდებულ ვიყვნით ელინთა მიერ, უსწავლელობისათვის და უმეცრებისა ჩვენისა, მათთანავე ავგრაცხნეს სიბრძნითა თვისითა“.

ბიზანტიურის გარდა საქართველო რუსთველის ხანაში განიცდის ირანული აღმოსავლეთის კულტურულ გავლენასაც. ახალ-ირანული კულტურა საქართველოში შემოდის მეათე საუკუნიდან; ამ გარემოებას, გეოგრაფიული სიახლოვის გარდა, ხელს უწყობს აგრეთვე ის რთული პოლიტიკური ურთიერთობა, რომელიც იკვანძება, ყოველ შემთხვევაში, XI საუკუნის დასაწყისიდან. ეს გავლენა განსაკუთრებით ძლიერდება XII საუკუნიდან ორი მომიჯნავე პრინციის მეოხებით, რომელნიც წარმოადგენდნენ ირანული კულტურისა და ლიტერატურის ცენტრს. ესენია: არანი (აზერბაიჯანი) და შარვანი, რომელიც მთელი ორი საუკუნე საქართველოსაგან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ირანული პოეზიის გამოჩენილი კლასიკოსების — ფირდოუსის, გურგანის, ხაკანის, ნიზამის, ონსორის და სხვ. — ციტატები უკვე XI—XII საუკუნიდან მოჰყავთ ქართული მხატვრული და ისტორიული ლიტერატურის ძეგლებში, ხოლო ზოგიერთი ამ კლასიკოსთაგან ითარგმნება კიდევ. საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა აგრეთვე სუფიზმის სახელით ცნობილი ფილოსოფიური მიმართულება, რომელსაც ახასიათებს ღვინისა და სიყვარულის კულტი და რომელიც თავს იჩენდა ზოგიერთ სამეფო პირთა ცხოვრებაში (ლაშა გიორგი). ირანთან მჭიდრო კულტურული კავშირის გამო საქართველოში შემოიჭრება იქაური პოეზიის მძლავრი ნაკადი უპირატესად ღაინდულ-საგმირო და რაინდულ-რომანული ჟანრის ნაწარმოებთა სახით. ასე რომ, გარკვეულ სოციალ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ-კულტურულ პირობებში, რომელთაც დაერთო თან ირანის პოეზიის ზეგავლენა, ჩვენში ისახება მხატვრული საერო ლიტერატურა, რომლის მსგავსი არცერთმა სხვა საქრისტიანო ქვეყანამ ამ დროს არ იცის.

ჩვენ მოვხაზეთ ზოგადად და მოკლედ ის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური და კულტურული გარემო, რომელმაც წარმოშვა, აღზარდა და მოამწიფა რუსთველის გენია. ვისაც გულდასმით შეუსწავლია, ერთი მხრით, საქართველოს ისტორია კლასიკური ხანისა, მეორე მხრით — ვფხვის ტყაოსანი, იმას არ შეუძლია არ შენიშნოს, რომ რუსთველი არის ღვიძლი შვილი თავისი დროისა, ის არის „ხორცი ხორცთაგან და ძვალი ძვალთაგან“ თავისი ეპოქისა.

რუსთველის ეპოქის ქართულ კულტურა წარმოადგენს მეტად ორიგინალურ სინთეზს კლასიკურ-ელინურის, საშუალო საუკუნეთა ქრისტიანული დასავლეთის და მუსლიმანური აღმოსავლეთის კულტურის ელემენტებისას. ეს კულტურა ცნობილი და აღიარებულია როგორც დასავლეთში, ბიზანტიაში, ისე აღმოსავლეთში, ირანში. ბიზანტიაში ბერძნები უკვე XI საუკუნეში იძულებული ხდებიან ერთერთ ქართველ მწიგნობარს განუცხადონ: „რაცა-თუ ნათესაეი ხართ ქართველნი, სხვითა ყოვლითა სწავლულეებითა სრულიად ბერძენნი ხართ“, ხოლო აღმოსავლეთში გამოჩენილი ირანელი პოეტი XII საუკუნისა ხაკანი ერთერთ თავის ოდაში ამბობს: „აფხაზეთის (იგულისხ. საქართველო) კარები ღიაა ჩემთვის“, ბერძნული კულტურის გასაცნობად „მე გავემზავრები ნაჭარმაგვესა და მუხრანს, ბაგრატიონთა შორის მე ვპოვებ თავმესაფარს“. დასავლეთის ელინური და აღმოსავლეთის კლასიკური პოეზია საქართველოში ხედებიან ერთმანეთს; დასავლეთში ჰომეროსი, აღმოსავლეთში ფირდოუსი, ხოლო შუაში, მათ მიჯნაზე, საქართველოში—რუსთველი,—აი ის ტრიადა, რომლის შეხმატკბილებული ჩანგი საშუალო საუკუნეთა ბნელეთში ევროპული რენესანსის დასაწყისს ამზადებს. როგორც ჰომეროსი და ფირდოუსი არ არიან დღეს თავისი მნიშვნელობით კუთვნილება მარტო ბერძნებისა და ირანელებისა, ისე არც რუსთველია დღეს კუთვნილება მარტო ქართველებისა; ის ისეთივე საერთაშორისო კულტურული მოვლენაა, როგორც ჰომეროსი და ფირდოუსი, მე ვიტყვი—უფრო მეტი, ვიდრე ჰომეროსი და ფირდოუსი; რუსთველმა უფრო მეტად გადალახა ნაციონალურ-ეროვნული ზღუდეები, ვიდრე ჰომეროსმა და ფირდოუსმა. ვეფხის ტყაოსანში უნებლიეთ იპყრობს ყურადღებას არაჩვეულებრივი საშუალო საუკუნეებისათვის კოსმოპოლიტიზმი და უნივერსალიზმი; ილიადას მთავარი კვანძი არის ეროვნული შუღლით გამოწვეული ხოცვა-ჟლეტა ბერძნებსა და ტროელებს შორის; შაჰ-ნამეს დედა-ძარღვს შეადგენს საუკუნეებრივი მტრობა ირანსა და თურანს შორის და დაუსრულებელი ეროვნული შურისძიება. ასე არაა ვეფხის ტყაოსანში: აქ მთავარი მოტივი არის არა ეროვნული პარტიკულარიზმი, არამედ ინტერნაციონალური სოლიდარობა; აქ მთავარია არა ეროვნული შუღლი და დაუსრულებელი ეროვნული ბრძოლა, არამედ საერთაშორისო თანამშრომლობა. მართლაც, ვინ არიან ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი? ერთია ინდო, მეორე არაბი, მესამე სპარსელი ან თურქი,—სულ სხვადასხვა ნაციონალური ერთეულების წარმომადგენელი; რას ემსახურებიან ისინი? არა ეროვნული შუღლის გაღვივებას, არა ნაციონალურ კარჩაკეტილობას, არამედ გაერთიანებული ძალდონით ერთი მიზნის მიღწევს. ჩვენს პოემაში მკითხველის ყურადღებას იპყრობს უმთავრესად მეგობრობისა და ძმობის მოტივი, რომელიც განუყრელად აკავშირებს ერთმანეთთან სამი სხვადასხვა ეროვნების გმირებს. მეგობრობისა და ძმობის ღრმა გრძნობა, რომელიც არ ექვემდებარება სივრცის კატეგორიას (მოიგონეთ პოემის ფართო გეოგრაფიული ჰორიზონტი), სცილდება პოლიტიკურ და ეროვნულ ვიწრო ჩარჩოებს და მოუწოდებს მეგობრებს ზოგადი საკაცობრიო იდეალების სამსახურს.

რისაკენ, და სწორედ ეს იდეური შინაარსი ამ პოემის შემომქმედს ახასიათებს როგორც ზოგად საკაცობრიო მასშტაბის მოაზროვნეს და პოეტს. ასეთი განწყობილება უსათუოდ სავსებით შეეფარდებოდა რუსთველის ეპოქის ქართული ფეოდალური მონარქიის პოლიტიკურ სახეს, რომელიც აერთიანებდა მთელ კავკასიას მასში შემავალი მრავალტომიანი და მრავალენიანი ერთეულებით, სადაც ქართველებთან ერთად მეგობრულად თანამშრომლობდნენ სომხები, ბერძნები, თურქები, ოსები, ყივჩაღები, ებრაელები (ზანქან ზორობაბელი), სადაც არ გაურბოდნენ დინასტიურ-ნათესაურ კავშირს რუსებთან, ბერძნებთან, ოსებთან, სელჯუკებთან, ხვარაზმელებთან, სომხებთან და სხვ., სადაც, დასასრულ, მაჰმადიან პოეტებს, სუფიებს და მწერლებს თავშესაფარს უშენებდნენ, პენსიას უნიშნავდნენ და ყოველნაირად მფარველობდნენ; აქ, სწორედ ამ გარემოში შეიძლება წარმოშობილიყო ძმობისა და მეგობრობის ქადაგება საკაცობრიო იდეალების სამსახურისათვის, განურჩევლად ეროვნებისა. ასეთივე მაღალი, საკაცობრიო და ჰუმანური ხასიათისაა სხვა შეხედულებანიც ჩვენი პოეტისა: პოლიტიკური, სოციალური და ფილოსოფიურ-რელიგიური.

პოეტი გარკვეული პოლიტიკური იდეოლოგიის მატარებელია; ის ფეოდალური არისტოკრატის იმ ფრთას ეკუთვნის, რომელიც, პატრონ-ყმურ ურთიერთობაზე დამყარებული, მონარქიული პრინციპის, აბსოლუტური სამეფო ხელისუფლების მომხრე და თავყვანისმცემელია. მეფე, პოეტის სიტყვით, „ნებიერია“, იგი უმაღლესი მპყრობელია და პატრონი თავისი ქვეშევრდომებისა; როგორც ღმერთი ცის განუსაზღვრელი მპყრობელია, ისე მეფე—დედამიწისა: „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერთთა“. ამიტომ იგი არა მარტო მნათობთა შორის გამეფებულ მზეს ეთანაბრება, იგი არა მარტო „მზისასწორი“, არამედ „ღვთისასწორიცაა“. აქედან გამომდინარეობს მეფისადმი თავყვანისცემისა და თავგანწირული ერთგულების აუცილებლობა: „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“,— ამბობს პოეტი. მას ვერც კი წარმოუდგენია რაიმე არალოიალური საქციელი უმაღლესი მპყრობელის მიმართ; „ვით მოიხმაროს მონამან პატრონისა ზედა ხრმალია?“— გვეკითხება იგი. თუ მხედველობაში გვეჭნება, რომ იმ ეპოქაში, რომელსაც ეკუთვნის ვეფხის ტყაოსანი, ჩვენში წარმოებდა პროცესი ერის პოლიტიკურად გაერთიანებისა, რომ ამ პროცესში ცენტრალურ ხელისუფლებას გააფრთხილებული ბრძოლა უხდებოდა როგორც უამრავ გარეშე მტრებთან, ისე ფეოდალური თვითნებობისა და ანარქიის წინააღმდეგ, რუსთველის პოლიტიკური იდეები მოწინავედ და პროგრესიულად უნდა ჩაითვალოს. ეს იდეები ამავე დროს ჰუმანურიცაა, რადგანაც ჩვენი პოეტის იდეალია არა აღმოსავლური დესპოტიზმის, გინა თუ დასავლეთის ცეზარეაპაბიზმის წარმომადგენელი, არამედ უხვი, მოწყალე, კაცთმოყვარე, გონიერი და მართლმსაჯული მეფე.

მრავალრიცხოვანი ლაშქრითა და ბრწყინვალე რაინდობით გარშემორტყმული მონარქიული ხელისუფლების მთავარ დასაყრდენს პოემაში შეადგენს ფეოდალური არისტოკრატია სხვადასხვა საფეხურისა და უკვე საკმაოდ განვითარებული სავაჭრო საქალაქო ცხოვრების წარმომადგენელი—ვაჭრები, რომელნიც, მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური არისტოკრატია მინცადამინც მაღალი აზრისა არაა მათი მორალური და სულიერი თვისებების შესახებ, დიდი გავლენით სარგებლობენ სამეფო კარზე. მდიდარი მონარქიული და ფეოდალური ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენენ „ყმანი“, „მსახურნი“, „მონანი“, ერთი სიტყვით—ფეოდალური საზოგადოებრიობის დაბალი საფეხურების წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანი რაზმი. პოეტის აზრით, ფეოდალიზმის ძირითადი საფუძვლები შეურყეველია, სოციალურად განსხვავებული საფეხურების არსებობა საზოგადოებრივი ცხოვრების ურყევი კანონია, ასე რომ ის თავიდანვე აცხადებს:

რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს,
მუშა მიწყვი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს.

და თუ ის ერთს ადგილას ამბობს:

მიეც საჭურჭლე გლახაკთა, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არასმქონები,—

ეს, რასაკვირველია, არ არის პროტესტი, არსებული სოციალური კანონის წინააღმდეგ მიმართული, ეს არის მხოლოდ გამოვლინება ჰუმანიზმისა, მოთხოვნილება ამ კანონის უტიფურესობათა შერბილებისა, მონებისა და ყმებისადმი ადამიანური დამოკიდებულებისა და ქველმოქმედების გზით მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისა. პატრონ-ყმურ ურთიერთობაში პოეტს სურს შეიტანოს მამაშვილური დამოკიდებულების, სიყვარულის ელემენტები: „სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი“,—ამბობს ის. იმ დროისათვის, რასაკვირველია, ესეც დიდი, მნიშვნელოვანი და ჰუმანური ნაბიჯია წინ.

ესევე უნდა ითქვას იმ სოციალური კატეგორიის შესახებაც, რომელსაც ქალები ეკუთვნიან. მე, რასაკვირველია, არ მინდა ბოროტად გამოვიყენო პოეტის ცნობილი აფორიზმი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია“, და ვთქვა, როგორც ამას ჩვენში სჩადიან ზოგიერთები, რომ რუსთველი ქალთა ემანსიპაციის მქადაგებელია, რომ ის მოითხოვს ქალის გათანაწილებას მამაკაცთან უფლებბრივად და მდგომარეობით. არა, ამისთანა რამეს იმ დროს, საშუალო საუკუნეებში, ვერც რუსთველი მოითხოვდა და იქადაგებდა. მაგრამ მისი შეხედულება ქალზე მაინც ძალიან, ფაქიზი, ჰუმანური და საშუალო საუკუნეებისათვის არაჩვეულებრივია. არ გეგონოთ, რომ ვაჭარბებ. აი ფაქტები. მაშინ, როდესაც დასავლეთ-ევროპაში ქალს, როგორც ბოროტების წყაროსა და ეშმაკის კერძს, კუდიანადა თვლიდნენ და არაიშვიათად ცეცხლის კოცონზე სწვავდნენ, რუსთველი თინათინისა და ნესტან-დარეჯანის ღვთაებრივ ტიპებსა ჰქმნის. აღმოსავლეთში, 1120 წელს დაწერილ „ბამიანი“ში, ერთერთი ირანელი ანონიმი ამბობს: „ღიაცი რაზომც კვიანი და ბრძენი იყოს, მისგან ხელმწიფობისა ქმნა როგორ იქმნების ანუ რით ღონითა მოხდების“ (ხელნაწ. საქართ. მუზეუმ. A 999, ფურც. 44 ა).

ამ დროს ჩვენი პოეტი საყოველთაოდ აცხადებს:

თუმცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია,

არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა, დია.

უფროსი თანამედროვე რუსთველისა, გამოჩენილი ირანელი კლასიკოსი ნიზამი განჯელი თავის „ლეილა-მეჟნუნიანში“ აცხადებს:

შეაბი ქალსა მახვილი წელზე—

ქალად დარჩება ის სარეცელზე;

თუნდ ძუ-ლომივით ჰქონდეს მას ძალი,

მაინც ქალადა შობილი ქალი“¹.

ამაზე ჩვენი პოეტი უპასუხებს: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. განა შეიძლება ამაზე შორს წასვლა? ეს ასეც იყო მოსალოდნელი საქართველოში, სადაც ქალში ხედავდნენ არა ბოროტის საწყისს ევას, როგორც დასავლეთ ევროპაში, არამედ ბოროტისაგან გამომხსნელის იესოს დედას, იმ ღვთისმშობელს, რომლის წილხდომილად, რუსთველის ეპოქის დასაწყისში, გამოცხადებულ იქნა საქართველო; ეს მოსალოდნელი იყო საქართველოში, რომლის განმანათლებლად, ნინოს სახით, ქალი იყო აღიარებული, იმ საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ მეთათე საუკუნეში ქალს ეუბნებთან: „ვხედავ ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა ძუვისასა, რომელი იზახის ყოველსავე ზედა ოთხფერსსა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჰაერისა უფროსის მამლისა“ (ნინოს შატბერდული ცხოვრება); ეს მოსალოდნელი იყო საქართველოში, სადაც XII საუკუნეში ცნობილი ნიკოლოზ გულბერიძე ერთერთ თავის შრომაში სპეციალურად ლაპარაკობს: „ღირსებისა და პატივისათვის ქალისა“ (საკითხავი სვეტისა ცხოველისა), იმ საქართველოში, სადაც მეფობს ქალი, თამარი, რომლისაგან განდგომილ დიდებულებს ამშვიდებენ და მორჩილებაში მოიყვანენ, ისტორიკოსის ცნობით, მანდილოსნები ხუაშაქი და კრაავა.

ასეთივე დიდ ჰუმანისტად გვევლინება რუსთველი ფილოსოფიურ-რელიგიური აზროვნების სფეროშიაც. მისი დრო იყო ის დრო, როდესაც დასავლეთ-ევროპაში გაბატონებული იყო სქოლასტიკა ყოველივე მისი უარყოფითი მხარეებით; ეს ის დრო იყო, როდესაც აზროვნების თავისუფლება შეზღუდული იყო საღვთო წერილისა და წმიდა მამების თხზულებათა ავტორიტეტით, როდესაც ფილოსოფია თეოლოგიის სამსახურში იყო; ეს იყო დრო, როდესაც შესაწყნარებელი იყო მხოლოდ ისეთი მოძღვრება, რომელიც დადასტურებას საღვთო წერილში ჰპოულობდა, და ყოველივე გარდახვევად გამოფიტული ქრისტიანული ორთოდოქსიიდან როგორც მწვალებლობა და სექტანტობა იდევნებოდა და ინკვიზიციის კოცონში ეხვევოდა. მოვიგონოთ მანგანის აკადემიის, კონსტანტინოპოლში, გამოჩენილი პროფესორები მიხეილ ფსელოსი და იოანე იტალი, მატარებელნი ელინიზმის საუკეთესო ტრადიციებისა; თავისუფალი აზროვნ-

¹ ჩემი საკუთარი თარგმანი რუსული ტექსტიდან—კ. კ.

ნებისათვის ისინი ჯერ საჯაროდ შეაჩვენეს და მერე კონსტანტინოპოლიდანაც კი გააძევეს. არც სამუსლიმანო აღმოსავლეთში იყო უკეთესი მდგომარეობა; აქ საქმე იქამდის მივიდა, რომ ირანული ლიტერატურის კორიფეები სუფიზმის მისტიკურ ვულში ხევენ რაჰმანტაულა პოეზიის საუკეთესო მარგალიტებს: შეყვარებულ ქალ-ვაჟთა რომანტიული ლტოლვა-მისწრაფებანი მათ აღეგორიულად წარმოუდგენიათ, როგორც ლტოლვა ადამიანის სულსა ღვთაებისადმი, როგორც „ღვთაებრივი მიჯნურობა“ და სურვილი ღვთაებასთან შერწყმისა და გაერთიანებისა. რუსთველი თავისუფალია როგორც დასავლეთის მისტიკური სქოლასტიკისაგან, ისე აღმოსავლეთის მისტიკური სუფიზმისაგან. დღეს ბევრსა წერენ და დაობენ მისი ფილოსოფიური კონცეფციის შესახებ: ზოგი მას წინაპლატონური ფილოსოფიის წარმომადგენელად თვლის, ზოგი პლატონიკად, ზოგი არისტოტელიკად, ზოგი ნეოპლატონიკად, ზოგი სტოეკად, ზოგი სუფისტად. შესაძლებელია მის ნაწარმოებში მოიძებნოს ელემენტები ყველა აქ დასახელებული ფილოსოფიური სისტემისა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის თავყანისმცემელია მშრალი დოქტრინიორობისა და ფილოსოფიური დოღმატიზმისა, რომ ის მიმდევარია უქველად ამათუიმ ზუსტად განსაზღვრული ფილოსოფიური სკოლისა. არა, რუსთველი არ ჩანს ისეთ მოაზროვნედ, რომელიც რომელიმე ფილოსოფიური დოქტრინის ვიწროდ შემოფარგულ ნაქუტში ეტეოდეს, ის იღებს და ისრუტავს თითოეული ფილოსოფიური სისტემიდან იმას, რასაც მასში ხედავს საუკეთესოს, საყოველთაოს, საკაცობრიოს. ის პროდუქტია დასავლეთში XI საუკუნიდან დაწყებული სინთეზური მიმართულებისა ფილოსოფიაში, რომელსაც ჩვენში ისეთი მკვეთრი წარმომადგენლები ჰყავს, როგორც არიან ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი, მთარგმნელი ქართულ ენაზე როგორც არისტოტელიკური შრომებისა, ისე ნეოპლატონურისაც; ის შევირდი და მიმდევარია ქართული ფილოსოფიური აზროვნების და მწერლობის ფუძემდებელის იოანე პეტრიწისა, რომელიც ფილოსოფიას ისმენდა ზემოდასახელებული მიწეილ ფსელოსისა და იოანე იტალისაგან და მათთან ერთად თავისუფალი აზროვნებისათვის საკმაოდ იგემა ჯერ კიდევ ბიზანტიაში. ეს ის იოანე პეტრიწია, რომელმაც „ენაცა ქართული ენისადა ბერძნულისა განაწყუო და ხედვაიცა ფილოსოფოსთა განცდისა აარისტოტელურა“. ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ რუსთველი თავისუფალია სქოლასტიკის ყველა წვრილმანი-საგან, თავისუფალია სქოლასტიკური მისტიკისაგან უფრო მეტად, ვიდრე მის შემდეგ ევროპაში ამღერებული დანტე. მისი გმირები უფრო ამქვეყნიურ ხორციელ არსებებს წარმოადგენენ, ვიდრე „ღვთაებრივი კომედის“ სისხლამოცლილი ფიგურები. აიღეთ, ერთი მხრით, ბეატრიჩე: „ეს არის მაღალი ოცნება, ჭკრეტისა და თავყანისცემის საგანი, კეთილშობილურად დამუშავებული მედალიონი ლამაზი ქალის სახით და მასში მოთავსებული საყვარელი ადამიანის თმებით, მაგრამ ბოლოსდაბოლოს აქ არ არის ნამდვილი ქალი“. (შეადარეთ მას ხორცისა და სისხლისაგან შექმნილი ნესტან-დარეჯანი, რომელიც ხვერდივით რბილი და ნაზია სამიჯნურო აღერსის დროს, ხოლო აღმფოთებისა და მისხანების ჟამს სასტიკი და შეუბრალებელი, როგორც ჯიქი; იგი ესწრაფვის ზეციურ სიმაღლეს სიყვარულის განსაგრძობად და დასავიგინებლად

ამქვეყნიურ, მიწიურ ფორმებში. რუსთველი მგოსანია მზის, სინათლის, ლამაზი, ნატიფი სხეულისა და ამაქვეყნიური ცხოვრების ყველა, მისი სიამოვნება-სიმძიმით. რუსთველი ის პოეტია, რომლის დროშაზე სწერია: „ვისთვის კვდები, ვერ მიხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ“, რომელიც პასივობას კი არ ქადაგებს, არამედ ბრძოლას, გაკაჟებას, „ვით ქვითკირი“. ამიტომ მას არაფერი საერთო აქვს არც აღმოსავლეთის მისტიკურ სუფიზმთან, რომლის კონცეფციას ის ეკამათება კიდევაც პოემის შესავალში, როდესაც ამბობს:

ვთქვა მიჯნურობა: პირველი—ტომი და გვარი ზენათა,
 ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაკები ენათა;
 იგია საქმე საზეო, მომცემი აღმოფრენათა,
 ვინცა ეცდებიწ, თობაცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.
 მას ერთსა მიჯნურობასა ჰკვიანნი ვერ მიხვდებიან,
 ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან.

და რადგანაც ასეთია ის სუფისტური, ზეციური საყვარული, განაგრძობს პოეტი, მე იმას კი არ უგალობ, არამედ „ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვდებიან“-ო.

საშუალო საუკუნეთა ცხოვრების ფონზე რუსთველი უდაოდ გამოირჩევა, ჰუმანური შეხედულებებით რელიგიურ სფეროშიაც. მან გადალახა რელიგიური კარჩაკეტილობა ისე, როგორც ნაციონალური, ის შორსსა ვიწრო და გონება შემზღულდელი დოღმატიკური ორთოდოქსიისაგან, თავის პოემაში ის შეგნებულად გვერდს უვლის ყველაფერს, რაც გამომჟღავნებელია კონფესიური პარტიკულარიზმისა და აღმსარებლობითი გარეგნობისა. რათა გასაგები და მისაღები იყოს საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა რელიგიის მიმდევართათვის, ის ისე ზოგადად და ფრთხილად გამოსთქვამს თავის აზრებს, რომ დღეს თავსამტვრევ საგნად გამხდარა გამორკვევა იმისა, თუ რომელი რელიგიური სისტემის აღებტია ის. მისი ღმერთი არ არის საკუთრება რომელიმე ერისა, მსგავსად ებრაელთა იეგოვასი და მაჰმადიანთა ღვთაებისა, ის „შემწეა ყოველთა მიწიერთა“, ის არ არის მრისხანე ტირანი და შუროსმძიებელი, მსგავსად ალლაჰისა და იეგოვასი, ის არის „ტკბილად მწყალობელი და მხედი“. ასეთი მიდგომა რელიგიისადმი შესაძლებელი იყო ქართველთა შორის, რომელნიც სარწმუნოებრივ სფეროში არ იზიარებდნენ ბიზანტიურ ულტრა-რიტუალურსა და კონსერვატიულ-რიგორისტულ შეხედულებებს. ამის დამამტკიცებელია მათი მონაწილეობა XI საუკუნეში ეკლესიათა გაყოფის შესახებ გამართულ პაექრობაში, როდესაც გიორგი ბთონელი აშკარად მიემხრო მეზობლ პარტიათა პროგრესიულ-სპირიტუალისტურ ფრთას. ქართველებისათვის უცხო იყო რელიგიური შეუწყნარებლობა და ფანატიზმი, აქ თავისუფლად გრძნობდნენ თავს ყოველგვარი რელიგიის მიმდევარნი: დავით აღმაშენებელი, რომელიც ზედმიწევნით მცოდნე იყო ყურანისა, და მაჰმადიანთა მეჩეთში დადიოდა, არანაკლებ სცემდა პატივს მათს რელიგიურ ჩვეულებებს, ვიდრე თვით მაჰმადიანი თავადები. ეს მან იმითაც დაამტკიცა, რომ ეთის კომიანიაში, რომელშიაც ქრისტიანთა დავა ირჩეოდა, მან მოიწვია როგორც მართლმადიდებელთა სამღვდლოეობა, ისე სომეხ-გრიგორიანთა, აგრეთვე მაჰმადიანების შეიხი და ყადი. აზროვნების თავისუფლებით და



რელიგიური ტოლერანტობით აიხსნება ის გარემოება, რომ ე. წ. სინაღოგები და სინაგოგები, რომელიც ლიტურგიკული მიზნებით იყო თარგმნილი XII საუკუნეში, ამოგდებულ იქნა ფილოსოფოსის იოანე იტალის წინააღმდეგ მიმართული კურთხეული დებულებანი ანუ ანაფემეტიზმები.

ასეთია ის მაღალი, მოწინავე, თავისუფალი და ჰუმანური აზრები, რომეთაც რუსთველს მსოფლიო ლიტერატურულ პარნასზე ერთი პირველ ადგილთან მოუპოვეს. ეს აზრები მეტეორივით არ გამოჩენილა ჩვენი ცხოვრების ჰორიზონტზე, ისინი მომზადებულია მთელი წარსული დროის კულტურული ცხოვრებით ისინი განაყოფიერებულია და აღმოცენებული კლასიკური პერიოდის ნიადაგზე, ისინი ქართულმა სინამდვილემ შეამზადა და წარმოშვა.

6

ვეფხის ტყაოსანი, როგორც ვთქვით, დღეს გამარჯვებული ხალხის კუთვნილებადაა ჩვენში აღიარებული. ის შევიდა კლასიკური მემკვიდრეობის იმ ფონდში, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პროლეტარული კულტურის მშენებლობისას. ჩვენი დიდი მასწავლებლები ლენინი და სტალინი კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებისას მოითხოვენ მისდამი კრიტიკულ მიდგომას, მისი ელემენტების დიფერენციაციას, რადგანაც ყველა ელემენტი წარსულისა არაა გამოსადეგი სოციალისტური კულტურის მშენებლობისათვის. როგორ, რა მხრივ შეიძლება დღეს ჩვენში, სოციალიზმის ხანაში, გამოყენება ვეფხის ტყაოსნისა, რა შეუძლია მის ავტორს მოგვეცეს ჩვენ?

ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილებაში ნათქვამია: ვეფხის ტყაოსანი „წარმოადგენს პოეტური შემოქმედების იმ ჯერ კიდევ მიუწვდომელ მწვერვალს, რომელზეც უნდა სწავლობდეს საქართველოს თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურა“. რა შეუძლია ისწავლოს თანამედროვე ლიტერატურამ ვეფხის ტყაოსნის ავტორისაგან?

ვეფხის ტყაოსანი ყურადღებას იპყრობს სინამდვილისადმი განსაკუთრებული ინტერესით, ადამიანის სულის ცოდნით, ადამიანის გულისთქმათა რეალისტური ასახვით, ერთი სიტყვით—მართლის თქმით. მართლის თქმა, ანუ, როგორც დღეს ვამბობთ, „სოციალისტური რეალიზმი“ არის ძირითადი შემოქმედებითი მეთოდი თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურისა.

ეს ერთი. მეორე—რუსთველი იძლევა თავისი ეპოქის ფსიქო-იდეოლოგიის სრულსა და ამომწურავს, ზუსტ სურათს, ამ მხრივ ის უთუოდ შეიძლება გახდეს მისაბამ მაგალითად თანამედროვე მწერლისათვისაც.

მესამე—ხერხი მხატვრული სახეების შექმნისა, ამ სახეების მდგომარეობა და მომენტთან შეხამებისა და გზები მათი ადამიანზე შემოქმედებისა შეუდარებელი ოსტატობით არის მოცემული ჩვენი პოეტის შემოქმედებაში, ამ მხრივ ის მასწავლებლობას გაუწევს ყოველი ეპოქის მწერალს.

დასასრულ, მისი შეუდარებელი, პირდაპირ ვირტუოზული ლექსი, ტექნიკა ლექსის თქმისა, მელექსეობისა, უნარი სალიტერატურო ენის სასაუბროსთან

დაახლოებისა არასდროს, არავისათვის არ დაჰკარგავს ნორმისა და ნიმუშის მნიშვნელობას.

მაგრამ ვეფხის ტყაოსანი ძვირფასია და მიმზიდველი არა მარტო მწერლებისათვის, არა მარტო ლიტერატურულ დარგში, არამედ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სხვა უბნებზედაც.

პოემის მთავარ პერსონაჟებს, როგორც ცნობილია, ახასიათებს არაჩვეულებრივი გმირობა, მამაცობა, გამბედაობა და შეუპოვრობა. ისინი არაჩვეულებრივი გამბედაობით გადალახავენ თვალუწვდენელ ზღვებსა და ხმელეთის უდაბნოებს, ისინი თანაბარი მამაცობით ებრძვიან როგორც ლომ-ვეფხებსა და ავსულებს, — ქაჯებსა და დევებს, — ისე მეკობრეებსა და ყოველგვარ მტრებს; ისინი თავეგამოდებთ ებრძვიან ბოროტებას და ბნელეთს, სანამ არ იტყვიან: „ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია“. სად ჰპოვებს ყველაფერი ეს შესაფერისს რეზონანსს და გამოძახილს, თუ არა ჩვენს დიად სამშობლოში, სადაც წარმოიშვა და დაირაზმა მრავალრიცხოვანი არმია დამკვრელების, სტახანოველებისა და შრომის ავთანდილ-ტარიელებისა ქარხანა-ფაბრიკებში, საკოლმეურნეო მინდვრებში, ტექნიკის, მეცნიერების და ხელოვნების ფრონტზე?! ვის გულში ჰპოვებს ტარიელ-ავთანდილის გმირობა მეტს გამოძახილს, თუ არა ჩვენი საამაყო შეფარდნების, ჩვენი თავდადებული მფრინავებისა, რომელნიც ადამიანისათვის უჩვეულო გამბედაობით სერავენ ოკეანეებს, ყინულოვან უდაბნოებს, ჩრდილოეთის პოლიუსს, არქტიკის ნისლოვან სივრცეებს და ყველგან აფრიალებენ სოციალისტური სამშობლოს აღისფერ დროშას?! ვისთვის იქნება უფრო მეტად საგულისხმო თავდადება ავთანდილისა, თუ არა ჩვენი სამშობლოს საგუშაგოზე მდკომი გმირებისათვის, სადაც ძმა ძმას სცვლის, მამა შვილს და შვილი მამას?! ჭეშმარიტად, ამ მხრივ ვეფხის ტყაოსანი ჩვენი დიადი სამშობლოს კუთვნილებდა!

ვეფხის ტყაოსნის ლეიტმოტივია ძმობა, მეგობრობა, ამხანაგობა, ერთიმეორის დახმარება და მეგობრისათვის თავისდადებისა. ავთანდილი საკუთარ ინტერესებს ივიწყებს, ის ხელს იღებს დროებით მის მიერ დიდი გარჯით მოპოებულ პირად ბედნიერებაზე იმისათვის, რომ დაეხმაროს ვაჭირვებაში მყოფ ძმად-ნათიკს ტარიელს და გააბედნიეროს ის. განა ამგვარი საქციელის პოეზიას და მიმზიდველობას ვინმე გაიგებს და განიცდის ისე, როგორც ეს შესაძლებელია ჩვენში, ჩვენს დიად სამშობლოში, სადაც, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წყალობით, შექმნილია ისტორიაში უმაგალითო და გაუგონარი მტკიცე კავშირი მრავალრიცხოვანი ერებისა, რომელნიც, ერთი სულით და გულისთქმით განმტკიცებულნი, ერთი ინტერესით გამსჭვალულნი, ნამდვილ ძმურ ოჯახს წარმოადგენენ?! ამ ოჯახის ერთი წევრის ბედნიერება მეორის ბედნიერებაა, ერთის მიღწევა მეორის მიღწევაა, ერთის სიხარული მეორის სიხარულია. ამის მკაფიო და მეკეთრ მაგალითს, თუ გნებავთ, დღევანდელი ჩვენი საიუბილეო ზეიმი წარმოადგენს: გადახედეთ ჩვენს საპატიო და ძვირფასს სტუმრებს, ჩვენი კავშირის „ადამიანთა სულის ინჟინერებს“, საიდან არ მოსულან ისინი, რომ ჩვენი სიხარული გაიზიარონ და თავის სიხარულად მიიჩნიონ ის?! ჭეშმარიტად ჩვენზე, ჩვენს სამშობლოში გაბატონებულ ძმობა-

მეგობრობაზეა ზედმიწევნით გამოჭრილი შემდეგი სიტყვები ვეფხისტყაოსანისა:

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად;
კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად,
აჰა, მაქვსმცა ჴმისოსა ლხინი არმად, თავი ფლიდად.

ტარიელს, რომელიც კანონიერი მემკვიდრეა ინდოეთისა, განსაცდელი მიადგა კარს: მას ართმევდნ არა მარტო სატრფოს, არამედ სამშობლოსაც. ის მთელი თავისი ტიტანური ძალით აღმართება თავისი ქვეყნის დასაცავად, მისი სამშობლო რომ სხვას ხელში ჩაუვარდეს, ის ამას არ დაუშვებს არასდროს, ის მზადაა სისხლით დაიცოს ის. „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა“, — ამბობს ის. როგორა ხედება ეს სიტყვები ჩვენს გულსა და შეგნებას? ბედნიერება, სიხარული და მზიური ცხოვრება, რომელიც დამყარდა ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში, მოსვენებას არ აძლევს ფაშისტურ ქვეყნებს კაპიტალისტური სამყაროდან, ისინი მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, რომ მონობის უღელი დაგვადგან კისერზე და ჩვენს სამშობლოს დაეპატრონონ. მაგრამ დიდი, განუზომელია ძალა საბჭოთა კავშირისა, რომელსაც მუდამ ახსოვს სიტყვები თავისი დიდი ბელადისა: „არც ერთი მტკაველი სხვისი მიწა ჩვენ არ გვინდა, მაგრამ არც ჩვენს მიწას, ჩვენი მიწის არც ერთ გოჯს არ დავუთმობთ არავის“. უსაზღვროა ის პატრიოტული გრძნობა, რომლითაც ანთებული არიან საბჭოთა მოქალაქენი; ისინი, უძლეველ წითელ არმიასთან ერთად, საკუთარი მკერდით დაიცავენ თავიანთ წმიდათა-წმიდას, სამშობლოს, და ტარიელსავით შესძახებენ კანდიერ მტერს: შედექით უგუნურნო!

ჩვენია მკვიდრი მამული, არ მოგცემთ არცა ღრამისა,
არ დაგვესხენებით, გაგინდით ქალაქსა, ვითა ტრამასა!

ადამიანის სულისკვეთების ისეთ სფეროში, რომელსაც სიყვარული ეწოდება, ვეფხის ტყაოსანი მაღალსა და ფაქიზ სტიმულს იძლევა. აქ სიყვარულის სარჩულად მოცემულია არა ფუქსავატობა და ავხორციანობა, არამედ ვაჟკაცობისა და გმირობის პრინციპი. თინათინი და ნესტან-დარეჯანი ავთანდილისა და ტარიელისაგან, იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი ღირსი არიან მათი სიყვარულისა, მოითხოვენ მათგან გმირობას და ვაჟკაცობას. „წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად“, და „შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე“, — ეუბნება ავთანდილს თინათინი. „ბედითი ბნედა სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია? სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია!“ — ითხოვს ნესტანი ტარიელისაგან. ეს სიტყვები ვერსად ვერ იპოვის ისეთ გამომხაურებას, როგორც ჩვენს სამშობლოში, სადაც დები, დედები, ცოლები და საცოლები, საერთოდ საუკეთესოა ჩვენი ქალები, წარბეზურულად თანამედროვე გმირებისაგან, თანამედროვე ტარიელ-ავთანდილებისაგან მოითხოვენ პირველ რიგში სამშობლოსათვის გარჯას, მამაცობასა და თავდადებას.

დღეს ვეფხის ტყაოსანი ხელმისაწვდომი გახდა ჩვენს კავშირში შემავალ თითქმის ყველა ეროვნებისათვის; ისინი, გრძნობენ რა მის მშვენებასა და მიმზიდველობას, იმედით აღივისებიან, რომ ჩვენს სამშობლოში, სადაც ლენინ-სტალინის

პარტიის ხელმძღვანელობით შექმნილია ყველა პირობა კულტურული წარმატებისა, დაიწერება არა ერთი და ორი ვეფხის ტყაოსნისებური ნაწარმოები, გამოჩნდება არა ერთი და ორი რუსთველი მხატვრული სიტყვისა და მოელვარე აზრისა, დაიბადება ურიცხვი ავთანდილ-ტარიელი გმირობის, მეგობრობის, სიყვარულის და სამშობლოსადმი თავგანწირვისა. ამისი საწინდარია ის, რომ ჩვენ ისეთი ბელადი და წინამძღოლი გვყავს, როგორცაა გენიალური სტალინი, ჩვენი ქვეყნის უდიდეს მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ჩვენი, ქართველების, წინსვლისა და წარმატების საწინდარია ის გარემოება, რომ ჩვენ უშუალო ხელმძღვანელობას გვიწევს საქართველოს სამაყო შვილი, სტალინის შეუდრეკელი თანამებრძოლი, ამხ. ლავრენტი ბერია, მეგობარი და სულისჩამდგმელი ქართული კულტურისა და მწერლობისა.

მაშ წინ, კულტურის ახალ მწვერვალებისაკენ!

წინ, ახალ გამარჯვებებისაკენ!

ვაჟა-ფშაველა ორი ქვეყნის მიჯნაზე

ვაჟა ფშაველას შემოქმედება მკითხველს ხიბლავდა და ღღესაც ხიბლავს არა მარტო მით, რომ ის არაჩვეულებრივი ნიჭიერებით აღბეჭდავს მთისა და მთიელის, ერთის მხრივ, მრისხანებისა და შურისძიებას, ხოლო, მეორეს მხრივ, მის უშუალობასა და სინაზეს (ეს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა და ნიჭის გამოვლინების ერთი მხარეა—ეთნოგრაფიული—დიდი პოეტური ექსპრესიითა და სიმკვეთრით ასახული), არამედ მწერლის პოეტური ნიჭის სხვა მხარეების გამოვლინებითაც. ვაჟა-ფშაველას გამაცვიფრებელ ნიჭში მეტად თავისებურადაა შეხვედრილი და შედღუღებული დიდი ისტორიული ეპოქის მსოფლიო კულტურის ცვლის პროცესში აღმოცენებული ნაირნაირი მტკივნეული საკითხები და მისწრაფებანი, აზრები და გრძნობანი, სახეები და ცნებანი. პოეტის ნიჭის სწორედ ეს მეორე მხარეა, ასეთ არაჩვეულებრივ სიმაღლეზე რომ აპყავს მგოსანი და აცილებს მას არა მარტო მთის ჩარჩოებს, არამედ „ეროვნულსაც“.

ვაჟა ფშაველას პოეტური მოღვაწეობის ხანა 80—900-იანი წლებია.

ეს პერიოდი საგულისხმიერია არა მარტო ჩვენი მთისა და მთლიანად საქართველოს ცხოვრებაში, არამედ რუსეთის ისტორიულ ცხოვრებაშიც. და აგრეთვე დასავლეთ-ევროპის ხალხთა განვითარებაშიც. ეს მძლავრი სოციალური ძვრებისა და გარდატეხის პერიოდია.

ხსენებულ პერიოდში თუ რუსეთში და საქართველოში ჯერ საბოლოოდ არ არის დამთავრებული გამძაფრებული ბრძოლა ფეოდალურსა და ბურჟუაზიულ კლასთა შორის და დაწყებულია, თუმცა, რა თქმა უნდა, არა მძაფრად კიდელი ახლად მომავრებულ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, — დასავლეთ-ევროპაში ბურჟუაზიას დიდი ხანი იყო მოთავებული ჰქონდა ბრძოლა ფეოდალურ კლასთან და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩაბმული პროლეტარიატთან.

რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ისტორიული ცხოვრება, უდაოდ, დიდ გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიურსა და საზოგადოებრივ განვითარებაზე. საქართველოში აღნიშნულ პერიოდში საგრძნობი სისწრაფითა და თავისებურობით წარინართა სოციალური რღვევა. დაიწყო ფეოდალური ყოფის სწრაფი ნგრევა, თანდათანობით ინტენსივობით განვითარდა კაპიტალიზმი. ბრძოლა ფეოდალურსა და კაპიტალისტურ კულტურათა შორის ჯერ არ არის დამთავრებული. ფეოდალიზმი, მიუხედავად დიდი შევიწროებისა, ძალას ნაწი-

ლობრივ მანც ინარჩუნებს. 80-იან წლებში, როცა საქართველოში ბურჟუაზია, მისი კულტურა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის განვითარებული, დარღვეული სოციალური ცხოვრების წიაღში ჩნდება ახალი კლასი—მუშათა კლასი, რომელიც იწყებს ზრდას.

მეტად თავისებური, ნაკლებად დიფერენცირებული კლასობრივი ურთიერთობა მთისა არ იძლეოდა შესაძლებლობას კაპიტალიზმის, გამწვავებულ კლასობრივ წინააღმდეგობათა გამომქლავებისას. საქართველოს ცხოვრების სინამდვილეში ერთიერთმანეთში აირია და გადაიკვანძა სხვადასხვა საუკუნე, სხვადასხვა კულტურა, სხვადასხვა მსოფლმხედველობა—ფეოდალური, ბურჟუაზიული (განსაკუთრებით წვრილბურჟუაზიული), პროლეტარული.

ასეთ მეტად რთულ ეპოქაში,—როდესაც ხდებოდა ისტორიული მოძრაობა აღმავალი კაპიტალიზმისა, მძლავრი საზოგადოებრივი გადანაცვლება, როდესაც ეს „ღვეი“ კაპიტალიზმი თავისი განვითარების კანონებითა და ზრდით იპყრობდა მთელ სამყაროს, კერძოდ საქართველოსას, არა მარტო ბარს, არამედ მთასაც, თანდათან ანგრევდა მის კლდეგან ვიწროებსაც და ახალი ისტორიის ფერხულში აბამდა,—მოუხდა ვაჟა-ფშაველას სამწერლო ასპარეზე გამოსვლა.

80-იანი წლებისათვის მთაც ფერცვლილია, „აჭრელებულია“. აქ პოულობს ვაჟა-ფშაველა პოეტური შემოქმედების ასპარეზს. ვაჟა-ფშაველა გვეხატება, როგორც ამ შეჯახებულ ქვეყანათა მიჯნაზე წარმტაცი მიმზიდველობითა და სიდიადით მღგარი დიდი ფიგურა.

როგორც იმ დროის საქართველოს ცხოვრება ამ სხვადასხვა ქვეყნის კულტურისა და მისი რთული ჭიდილის გამო გარეგნულად თითქოს ქაოტიური, მაგრამ, რა თქმა უნდა, შინაგანი მტკიცე კანონზომიერების მატარებელია, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაც, ერთი შეხედვით, უცნაური, სტიქიურია, ხოლო როცა მასში გულდასმით ჩავიხედავთ, მეტად ღრმა, პოეტური ხედვის მეტად ფართო რადიუსით ამსახველია სინამდვილის აღნიშნული კანონზომიერებისა.

თავისებურობა ვაჟა-ფშაველასი იმაში იხატება, რომ მან თავისი ეპოქის ათვისება შესძლო მის მძლავრ გამოვლინებაში და მთლიანობაში. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველა თავისი გიგანტური ნიჭის გამო უპირველესად ყოვლისა დიდი მხატვარია. აქა მისი შემოქმედების დომინანტა.

ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და მიღწევების ეპოქაში (80—900 წლ.) ძველი, პატრიარქალური, ისტორიის ტკივილებში რომ ჰბარდებოდა, და ახალი, ძლევამოსილებით რომ მოდიოდა, ერთიმეორეს შეხვდა. თუ ბარი ახალი მოვლენებით დაკოდილ ჭრილობათა ახსნა-გარკვევაში იყო, მივარდნილი შეუპოვარი მთა ცხოვრებას განაგრძობდა ძველი რაინდული იდეებით. ძველი წარმართული სარწმუნოებით, საღვეგმირო კულტით, თანადროულობას გაურბოდა, ეურჩოდა. მაგრამ, მიუხედავად მთის კერპობისა, მისი კარჩაკეტილი განდგომილებისა, ბარის დამმორჩილებელმა სოციალ-ეკონომიურმა ფაქტორმა მთის სალ-კლდეგან უღელტეხილისაქენ გაიწია და მის ცხოვრებაშიაც შეიჭრა.

ვაჟა-ფშაველაც აი ამ ორი ქვეყნის წინააღმდეგობათა თხემზე მოსჩანს მთელი თავისი შინაგანი ტრაგიკული წინააღმდეგობებით. ამ წინააღმდეგობათა

ტრაგედია იკვანძებოდა იმ კონფლიქტში, რომელსაც გარემო ყოველდღიურობისა და მგოსნის დიდი ალლოს შეჯამება ჰქმნიდა. ვაჟა-ფშაველას რყევა, შინაგანი წინააღმდეგობა სრულიად შეეფარდება მწერლის თანამედროვე გლახობის (განსაკუთრებით ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ) და კერძოდ მთიელის დამახასიათებელ მდგომარეობას. ძველი, პატრიარქალური კულტურა მას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. მაგრამ ახალის, უკეთესი მომავლის ძიების ნდომაც მძლავრად შეჭვილია მის შეგნებაში და ანდამატივით მიეზიდება მას ახალი, უცნობ ქვეყნისაკენ, ამაში მდგომარეობს ვაჟა-ფშაველას ბუნების ორმაგობა და სწორედ ასეთ მალასაც ეყრდნობა იგი შემოქმედებითი მუშაობის პროცესში.

ამით აიხსნება, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში თუ, ერთის მხრივ, მკითხველი ჰხედავს მწერლის მიერ იდეალიზირებულ მთის პატრიარქალურ ცხოვრებას თავისი თემური წყობილებით, ზნე-ჩვეულებით, დევგმირული ვაჟკაცობით, მთელი თავისებური ეთიკითა და ესთეტიკითა, — მეორეს მხრივ, ის გრძნობს დიდ, ისტორიული ძვრების, ეპოქის წყობის დასაწყისს, სიცოცხლის ახალი რიტმის პათოსსაც, ახალი ადამიანის მწვავე ტკივილებში განსახიერებულს. ვაჟა-ფშაველა ქართული ლიტერატურის ისტორიაში გოლიათივით დგას, მაგრად სუნთქავს წარსულით და თანამედროვეობით და ჟამთავითარებით, ან როგორც თვითონ მგოსანი იტყოდა, „ცხოვრების უკულმა ტრიალით“ უკმაყოფილო, ხარბად იყურება წინ, სადაც ცხოვრების ახალ გაგებას, ახალ მორალს არკვევს და თავშეუთავებლად იქით მიიწევს („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ მასპინძელი“, „გველის მქამელი“). ეს გარემოებაა რომ ასე ართულებს ჩვენი მგოსნის ისედაც მეტად თავისებურსა და რთულ შემოქმედებას.

ვაჟა-ფშაველას დიდი და მრავალფეროვანი მემკვიდრეობა ამჟამად გვინდა მხოლოდ ერთი კუთხით — წარსულისა, აწმყოსა და მომავლისადმი დამოკიდებულების კუთხით გავსინჯოთ.

ვაჟა-ფშაველას ბარი თავისი ყოველდღიური ცხოვრებით რაღაც უძარღვო, უფერულ ქვეყანად მიაჩნდა. ის გამუდმებით მთისკენ მიიწევდა. მისი „ბუკი და ნალარა“ იქ გაჰკიოდა, ხარბად უხმობდა დევებსა და დევებისურ გმირებს, რომელნიც მატარებელი იყვნენ მთაში საუკუნეთა განმავლობაში გამოძევაზე-ბული და შენახული დევგმირული მორალისა და მოქმედებისა. იშვიათი, მართლაც, უცნაური ინტენსიური შინაგანი ხედვის ნიჭითა და ალღოთი იყო ვაჟა-ფშაველა დაჯილდოებული. ის არა მარტო ფანტაზიით, წარმოსახვით, არამედ ფიზიკურადაც, მთელი თავისი არსებით, თითქოს, უშუალოდ ეხებოდა იმ ზღაპრულ მოვლენებს, სულებს, რომელთაც პოეტი თავის მხატვრულ აღქმაში ასე ჯადოსნურად აქანდაკებს („ეთერი“).

მგოსანი, ამ ძველი ტრადიციული ვაჟკაცობისა და ეთიკა-ესთეტიკის ეშხით დამთვრალი, „მოხუცის ნათქვამში“ მოხუც მთიელს ასე ამეტყველებს:

„ჩემს დროსა ქალი ვაჟკაცსა
 შეიყვარებდა მაშინა,

როცა ჰხედავდა მებრძოლსა
 შეუპოვარად მტრის წინა.
 ჩემს დროს ლამაზი ვაჟკაცი
 არ იყო ქალის პირისა,
 არამედ შავი, მამაცი,
 მუხლ-მგელი, გულით რკინისა“.

პოეტი აშკარად ჰხედავს და მწვავედაც განიცდის, რომ ძველი დრო, თუ ჯერ სამუდამოდ არ წავიდა, ისტორიას არ ჩაჰბარდა, ყოველ შემთხვევაში მიდის და მიდის საშინელ ტკივილებში. ცხოვრება „ჭრელდება“, მთლიანი, აქამდის ურყევი ცხოვრება და პიროვნება, იშვარება. მთიელი მოხუცის პირით ვაჟაფშაველა ასე მოსთქვამს:

„ეს რა დროებას მოვესწარ?
 გამოიცვალა ქვეყანა:
 მამალიც ყივის სხვაგვარად
 კაცსა სძულს მისგლა კაცთანა.
 ქალი და კაციც გაფუჭდა,
 აღარ სძევთ ძველი ფერია,
 მათ გულში ქაჯი დაბუდდა
 კაცის ნამუსის მტერია.
 აფსუსო ძველო დროებავ...
 არ დაბრუნდები ნეტარა?“

მთიელი მოხუცი (მისი პირით, რა თქმა უნდა, თვით პოეტი) აღფრთოვანდება ძველი დროის მოგონებით. მწუხარების გრძნობით გაჟღერებული განცდით მოგვითხრობს ძველი დროის ამბავს, „როცა ტყვიის ხმას დედის ნანას“ ეძახდნენ, როცა „ომი ქორწილი ეგონათ“. მაშინ ისინი მტერს შეუპოვრად ეკვეთებოდნენ ხოლმე, თავდავიწყებით იბრძოდნენ, მტრის წინაშე მაშინ „თითო ოცობის მკვლელი“ იყო.

„როგორც ღრუბელი მოვიდა
 მრისხანედ თათრის ჯარია;
 ისეთი ვსჩანდით იმასთან,
 ვით ზღვასთან წვიმის ცვარია...
 რა ვნახეთ მტერი, მივცვივდით,
 ხმალ მოწვდით, გამალებული
 და დავინთქენით სპარსებში,
 გარს მტრისგან შემორტყმულები.
 ხმალთ სტვენას, ცხენთა ჭიხვინსა
 ბანს აძლევს სისხლის ჩხრიალი
 და თავმომწონე დროშებსა
 ჰაერში გააქვთ ფრიალი“.

აი ნამდვილი ცხოვრება, რომელშიც, მთიელი მოხუცის (და ვაჟა-ფშაველას) შეხედულებით, სიცოცხლე ჩქეფს. მტერთან ბრძოლა, ტრადიციის შენახვა, ვაჟაკობა—აი განცდა, რომელიც მთიელთათვის განუყრელია. ჩვეულებრივ ცხოვრებაში შეეცოდებელი, თავისებური ვაგებით, სიმართლის მკვეთრი გამომხატველი მთიელი, როცა მისი სამშობლოსი და მორალის შელახვას ვინმე მოიწადინებს, მყის მრისხანე, გააფთრებულ ვეფხს დაემსგავსება. მტერთან ბრძოლა ამ ტრადიციებში აღზრდილი მთიელისათვის წმინდა მოვალეობის სიამოვნებითა და ექსტაზით აღსრულებია. მართლაც, იქ „ტყვიის ხმა დედის ნანაა“ და „ომი“—ქორწილი.

ვაჟა-ფშაველაც ამ ტრადიციებში აღზრდილი ხომ თვით ცოცხალი ნაგლეჯია ამ გოლიათი მთისა, ისიც ამ რაინდულ ცხოვრებაში იყო ჩაბმული და ოცნებითაც კი ამ ჩვენამდის ზღაპრად მოსულ ქვეყანაში, ვით დევგმირი, დააბიჯებდა. პოეტი თავის შემოქმედებაშიაც არაერთხელ აღნიშნავს ასეთ თავის დაშოკიდებულებას მთისადმი. ასე უყვარდა მგოსანს მთის ქედებისადმი მიმართვა:

„მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსაც სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა და ღვიანი!
თქვენგანა გულობს ეს გული
შიგ გრძნობა უდღულს ღვთიანი.
თქვენი მიწოვავ მეც ძუშუ,
ღალიან-ბარაქიანი.
მეც მიგემებავ იგი რძე,
რითაც თქვენ დაიხარდენით,
თქვენავე გარგებსთ, დობილნო,
თუ უხვად დაიხარჯენით“¹.

იქ, მთაში ვაჟა-ფშაველას აღგზნებული შემოქმედება შესათერ საზრდოს იღებდა. ეს სამყარო, ჩვენთვის ახლა ზღაპრული, ვაჟა-ფშაველასათვის რეალური და თითქოს მისაღებიც, ისეთი სიძლიერითაა განსჯვრეტილი, ისეთი მძლავრი შინაგანი ხედვით შეგრძნობილი, რომ მისი ხილვით განცვიფრებაში მოყვანილი მკითხველიც აღფრთოვანებით მისდევს ავტორს.

ვაჟა-ფშაველა დიდი პოეტური ალღოთი და გულთამხილავის ოსტატობით რომ ანსახიერებს მთიელის, თუმცა პრიმიტიულ, მაგრამ რკინის მიმზიდველ ბუნებას, ხაზს უსვამს მთისა და მთიელის უპირატესობას ბარსა და ბარის მცხოვრებთან შედარებით. ვაჟა-ფშაველა ვაჟაკს გოგოთურს შორიდებით, მაგრამ მასთან ერთად მთის უპირატესობის შეგნებით, მეფის თხოვნაზე დაარჩეს ის „მეფის კარადა“, შემდეგს ათქმევინებს:

¹ ვაჟა-ფშაველა — ბანტრონი, გვ. 165. ტ. III.

„მეფევე, ვერ გაგსძლებ ბარადა,
 თუ მთის ნიაფი არა მცემს,
 გული ქალებურ ტირისა,
 არ მინდა პური, არც წყალი,
 აღარც ვაღება პირისა,
 მამეხიბლება გუნება,
 ვერა ვარ გამძლე ჭირისა“.

იქ, მთაში, იზრდებიან და მოქმედობენ არა მარტო სამშობლოსათვის თავდადებული რაინდნი, რომელთა (არა მარტო მამაკაცთა, არამედ დედაკაცთაც კი, ბრძოლაში რომ ლომკაცდებიან, გაუტეხელნი რომ ხდებიან) მთელი ცოცხალი გალერეაა მოცემული პოემა „ბახტრიონში“ (ლუხუმი, ზეზვა, კვირია, ლელა, სანათა და სხვანი), არამედ ჩვეულებრივი ადამიანებიც.

გოგოთურ, პოეტის ჩვენებით, ნამდვილი მთიელია. „გოგოთურს რკინის გული აქვს, ჯანი ხომ ვადამეტია, რამდენჯერ მარტომ შაბერტყის მტერი ქვიშაზე მეტია“. ის ომის დროს ომობს, „შინაც უქმად არ არის, მუშაობს, მიწის შვილია“. ის მშრომელია, გლეხია (უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველა გოგოთურის კატეგორიის გმირებში—ალუდა ქეთელაური, ჯოყოლა, მინდია,—რომელთა ტკივილებში თავის პირად წვასა სახავს, ხაზს უსვამს მათ გლეხურ სოციალურ მდგომარეობას). გოგოთურის შეგნება და მორალი ვერ ეგუება ძარცვით ცხოვრებას (აქაც ვაჟას მიხედვით მთა ბართანაა დაპირისპირებული). გოგოთურისათვის არმული ცხოვრება მიუღებელია, ის ამაყად ამობს:

„ნადავლით, ნაყაჩაღარით,
 კაცის დარჩომა ძნელია“.

გოგოთურს არ უნდა „სიცოცხლე; ლუქმასა სჭამდეს სხვისასა“. ის ადამიანის ღირსებასა და მის ყოველ ნიჭს საზოგადოებრივი ცხოვრების სარგებლიანობისა და არა პირადი კეთილდღეობის თვალსაზრისით ზომავს. გოგოთურისათვის გაუგებარია და მწუხარების აღმძვრელი მისი ცოლის ბუზღენი: „მარტო სახელი რას გიზამს, თუ სარჩოც არა ჰხვეტია“...

გოგოთურის ცოლთანა და შემდეგ აფშინასთან დაპირისპირებით პოეტი ამახვილებს გოგოთურის ვაჟკაცურ სახეს. გოგოთურის ადამიანური, რაინდული მოპყრობა აფშინასადმი, უკანასკნელს, კეთილ გზას აცდენილს, აპოვნინებს სიკეთეს, დაანახვებს ნამდვილი ვაჟკაცის სახეს და მოინდომებს გოგოთურთან ძმადგაფიცვას. დიდი ოსტატობითაა ასახული მთიელთა დამეგობრების-ძმადგაფიცვის ჩვეულება. საგულისხმიეროა პოეტური აღმაფრენით აფშინას დალოცვა. მიმზიდველია გოგოთურის—ვაჟკაცის მიმართვა ახლად დაძმობილებულ აფშინასადმი.

„გწყალობდეს, ძმისავ, ხატია,
 შენც ჯანიანი ჰყოფილხარ,
 როგორც წელანა გცადია.
 ღმერთმა გაშოროს ბოროტი.“

ავ საქმე, ავი წადილი...
 ნუ მოგვიშალოს უფალმა
 ძმობა და ერთად ხადილი“..

ამის შემდეგ ძმადგაფიცულნი გოგოთურ და აფშინა ძმანი არიან, „ვით ერთი ღედის შვილები“. ასეთი დამოკიდებულება, სადაც არამც თუ უცხო არ არის მალაზნეობრივი განცდა, საზოგადოებრივი საწყისი, არამედ ის მამოძრავებელია, პოეტის გაგებით, იქმნება მთაში, მთის უშუალო პატრიარქალურ ტრადიციაში და თითქოს ამით მთა უპირისპირდება ბარს. ამ ტრადიციის ბატონობა, მგოსნის ნიჭიერი ჩვენებით, მთიელთა ცხოვრებაში ღებულობს რკინის ძალას, განსაკუთრებით კი თემური წყობილების ბუდეში.

თემი მთიელთათვის, მწერლის ჩვენებით, ის დულაბია, რომელიც ამ ტრადიციის ხელშეუხლებლობას იცავს და მის საშუალებით თემის ცხოვრებას აერთიანებს, რკინის ღობეს ავლებს, იმორჩილებს. დაუძლეველი ოსტატობით და გულთამხილაობითაა მოცემული ალაზას აფორიაქებული სულიერი განცდა თემის ჩვეულების დარღვევით გამოწვეული.

ზვიადაურის ვაჟკაცური სიკვდილით მოხიბლული ალაზა ვედარ იმორჩილებს გულის მოძრაობას, ვერ იშორებს თვალდან იმის მიმზიდველ ლანდს. ალაზამ იტირა გმირი ზვიადაური, რომელსაც სისხლი ემართა თემისა—ჯოყოლა და ალაზა რომ ეკუთვნოდნენ. ამას გარდა, სხვისმა ცოლმა დაიტირა უცხო ვაჟკაცი:

„ამოვლო კრძალვით საფლავთან,
 მკვდარს მუხლმოყრითა დაეყრდნო,
 ქვითინებს გულამოსკენითა,
 ტრემლსა სიპი ქვა დაედნო.
 აიხსნა დანა, მიჰმართა
 ზვიადაურსა იმითა,
 ააჭრა ნიშნად, სახსოვრად
 სამი ბალანი პირითა,
 ჩიქილის ტოტში შეჭხვია
 ბროლის თითებით, თლილითა“...

ამ დიდ გრძნობასთან ერთად, მწერალი მშვენივრად ხატავს იმ დიდ უხერხულობასა და ტკივილს, რომელთაც ალაზა მწვავედ განიცდის. ალაზას ეხატება: „ერთი მხრივ, — გვეუბნება ავტორი, — ხათრი აქვს თემისა, მეორით-ღმერთი აშინებს, ქისტეთის მტრისა მოზარეს თავს რისხვას გადმოადინებს“. მაგრამ ეს ფიქრი გონებისაა. გული ალაზას სხვას ეუბნებოდა. გულმა სძლია. „კაცის კაცური სიკვდილი გულიდან არა ჰქრებოდა“. ალაზამ ვერ გაუძლო გულის ჭიდილს. თემის ტრადიცია დაარღვია.

თემის მორალური კოდექსის დარღვევამ ალაზა მთლად აიტანა, ააფორიაქა. მის ყურებში უცნაური, ადამიანის განმანადგურებელი ჟივილი და დანდგარი ისმის. ალაზას შეგნებაში მის წინააღმდეგ გაერთიანდა მთელი სამყარო—

ხმელეთი, ზესკნელი, ქვესკნელი, ყველა მას ჰკიცხავს. გაირიყა ალაზა, აღარ-სადა აქვს მას ადგილი. პოეტი ასე აგვიწერს ალაზას აშლილ განწყობილებას:

„საერო წყრომის ხმა ისმის,
საერთო გულის ტკივილი:
„რას შვრები უნამუსოვო“,
გამწარებულნი ჩიოდენ,—
მაღალი ღმერთი გრისხავდეს!“.
სამართლად შემოჰკიოდენ.
აჩქარებული ღრუბლები
ცის პირზე გადმოდიოდენ.
„უნამუსოვო“ მისძახდენ
ტანდაწკებილნი დეკანი,
ბალახნი, ქვანი, ქვიშანი,
იმ არე-მარეს მდებარნი.
აგერ საფლავით ამოდგა
მისი მკვდარი ძმა ებარი,
თან მიჰკიოდა თავის დას,
სიტყვა პირს მოსდის მკვებარი:
„ვაჰ, დაო, დარ, რა მიყავ?
რისხვა რად დამეც მედგარი!
მეორე საფლავში ჩამდეგ
ერთს სამარეში მდებარი.
მაგით მიმტკიცებ დობასა,
შენი ქალობა ეგ არის?“.

მართლაც, უცნაური ძლიერებით, როგორც იშვიათად თუ რომელსამე სხვა მწერალს გამოუჩენია, გამოქანდაკებულია თემის ტრადიციის გავლენის ძალა და მისი დარღვევით გამოწვეული სინიდისის ქეჯნა, შინაგანი ბრძოლა.

ტრადიციას თემი წმინდად ინახავს, დაურღვეველ და გადაუვალ რწმენად იხდის. ყველა გაუზზარავი რწმენით მისდევს „ცხოვრების მოთხოვნილებას“, ყველა ცდილობს აუცილებლად „იყოს, როგორც სხვა“, ჰქონდეს ისა და ისე, „როგორც სხვას“. რამდენადაც თემის წევრთა შორის ნაკლებ იქნება განსხვავება, იმდენად უფრო მძლავრად გამოიხატება თემის მოთხოვნილება. საკმარისია ჩვეულებრივი ტრაფარეტული მოქცევისათვის ერთი შეუფერებელი ნაბიჯი და თემი მთლიანად, როგორც ერთი, სასტიკ წინააღმდეგობას უწევს ტრადიციის დამრღვეველს. ყველა უმალ, როგორც ერთი, აღსდგება თემის მორალური კოდექსის დასაცავად. ასეთია ბუნება თემური ყოფისა, განსაკუთრებით, როცა ახალი ცხოვრების მოწოდების გამო, საფრთხეს ჰხედავს და გრძნობს, რომ საუკუნეებით გამომუშავებული ტრადიციის დარღვევას შესაძლებელია მოჰყვეს თემის საერთო შერყევა, დაღუპვა. ამგვარ პერიოდში თემის სურვილი ტრადიციის დაცვისა უფრო მკაცრია.

ასეთია ვაჟა-ფშაველას თემის ცხოვრება.

ჯოყოლამ („სტუმარ-მასპინძელი“) ქისტთა მოსისხლე მტერი ზვიადაური უნებლედ ისტუმრა. თემი ამხედრდა ჯოყოლას წინააღმდეგ. ის მოითხოვს მისგან სტუმარი გასცეს. ჯოყოლა თემის ამ სურვილს წინ აღუდგება. „ვის გაუყიდავ სტუმარი? ქისტეთს სად თქმულა ამბადა?“ ამასთან ერთად ჯოყოლა აღელვებულია, რომ თემი ზვიადაურს დაესხა, როცა ის უიარალო იყო. უიარალოს წვალება კი, ჯოყოლას გაგებით, სირცხვილია. თემი მასობრივად აღშფოთებულია ჯოყოლას ასეთი „უგუნური ქცევით“. თემის მოთხოვნისთვის აუსრულებლობისათვის ჯოყოლა გაირიყება თემიდან. ასეთსავე დამოკიდებულებას იჩენს თემი ალაზას მიმართაც.

ასეთივეა თემის დამოკიდებულება ალუდა ქეთელაურისადმი. თემის უფროსს ბერდიას ალუდა სთხოვს „ძოდან მოკლული“ ქისტის მუკალის სამხევეწრო მიიღოს, „როგორც უნდობლად მოკლულის თავის ლამაზის ძმისთვისა“. ალუდას ასეთი ადამიანური სურვილი ბერდიას წონასწორობას დააკარგვინებს. ბერდია, თითქოს ცა გასკდაო, შეშინებული და განრისხებული მიჰმართავს ალუდას:

„გაურჯულებულს არჯულებ,
შენ ეგ არ შაგინდებისა,
ქისტისად საკლავის დაკლა
კარგად არ მრგინდებისა.
მამით არ მოდის ანდერძი,
პაპის და პაპის-პაპითა.
ეშმაკს ნუ მისდევ... ეგ სიტყვა,
როგორ ამოგცდა ბავითა?...
როგორ ვახვეწო უფალსა
ძალდი, ძალღების ჯიშისა,
მანამ სჯობს ცანი დამექენენ,
ზურგი გამოსკდეს მიწისა.
ან თუ ზღვამ დანთქას უძირომ,
სადილი ვჭამო ქვიშისა“.

ბერდიასაგან შეუწყნარებელი ალუდა ვერ ერევა ახალ გრძობას უნდობლად მოკლული ქისტისადმი და თვითონ შეასრულებს მსხვერპლის შეწირვის რიტუალს. ალუდას ასეთი საქციელით „ჯაგარაშლილი“ ბერდია თავის მოძმეებს მიჰმართავს: „გაგონილა ასე ავდება რჯულისა: საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა მამხსენე ქისტის სულისა“. შეშფოთებული ბერდია მოითხოვს რომ თემი დაჯარდეს, სამართლის დასამყარებლად მოვიდნენ „დიდნი და მცირენი“. შიკრებულ თემს განრისხებული ბერდია სთხოვს არ დაინანონ ალუდა, აუტირონ კოლშვილი, „უმტერიონ სახლისა და ციხის კარები“.

„ცეცხლი მიეცით საძნოვარს, —
ცასა სწვდებოდეს ალები,
სათემოდ გამოირეკეთ.
ცხვარი, ძროხა და ხარები:

რისხამდეს ჩვენი ბატონი,
 არ არის შესაბრალები“.

ყველა უფლებებისა და შესაძლებლობის მობილიზაცია. თემი არაფერს ზოგავს, რომ ურჩი წევრი, თუნდაც რჩეული და საამაყო, გაუგონრად დასაჯოს. „რჯული“ შეინახოს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ეს ერთი ქვეყანა-ძველი, პატრიარქალური.

ცხადია, თემურ ყოფაში პიროვნება არ მოსჩანს. არსებობს თემის თავი, ხევის ბერი და არიან აღმასრულებელნი. ალუდა, ჯოყოლა, აღაზა, მინდია ახალი გრძნობებითა და გაგებით დაისრულნი ჰპედავენ თემის აღათის დარღვევას. იქნება კონფლიქტი თემსა და ცალკეულ, რჩეულ პიროვნებათა შორის, რომელნიც თემის ჩარჩოებში ვეღარ ეტევიან. თემი იმარჯვებს ამ ბრძოლაში. მაგრამ ეს გამარჯვება მას ძვირად უჯდება. თემი გაბზარული, პირგატეხილი რჩება.

თემის ეს მდგომარეობა გამოწვეულია ორი მსოფლმხედველობის—თემისა და ახალი ადამიანის—შეხლისა და ჭიდილის საფუძველზე.

თემსა და პიროვნებას შორის კონფლიქტი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში დიდი სიმწვავეითა და სირთულითაა დასმული. აქა ვაჟა-ფშაველას ნიქის სინტეტიური ბუნების დიადი გამოვლინება.

თემსა და პიროვნებას შორის კონფლიქტს შემდეგი სოციალური საფუძველი აქვს.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ხსენებული სოციალური ძვრების საფუძველზე დაიწყო პროტესტი საზოგადოებრივი ცხოვრების დამჩაგვრელი ხასიათის წინააღმდეგ. დაიწყო უარისყოფა შაბლონისა და ტრაფარეტისა, ინდივიდუალურ ცხოვრებას რომ ასე ბოკავდა. გამოცხადდა ბრძოლა პიროვნების განთავისუფლებისათვის.

ამ ნიადაგზე მთელი XIX საუკუნის მანძილზე საზოგადოების ფსიქიკაში და, როგორც მის გამოვლინებაში, ლიტერატურაში ჩნდება ბრძოლა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის.

პიროვნების განთავისუფლებისათვის ბრძოლა გამომხატველია ძველი ყოფის რღვევისა, მისი წყობილებით დაუკმაყოფილებისა, ახალის ძიებისა. ეს ბრძოლა ლიტერატურაშიაც მკლავნდებოდა და ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობდა.

ამ ბრძოლის ერთი მიმართულება ცნობილია დეკადენტობის სახელწოდებით. დასავლეთ-ევროპაში და რუსეთშიაც ეს მიმართულება შეიქმნა ბურჟუაზიის იმ ნაწილში, რომელსაც არ შეეძლო საზოგადოებრივი ცხოვრება ახალი კალაპოტით წაეშართა, არ შეეძლო ადამიანის განვითარების შემაფერხებელი მეშხანობის წინააღმდეგ ცხოვრების ახალი ფორმები წამოეყენებინა.

დეკადენტობამ გამოხატა გემოვნება და საერთოდ სულიერი განწყობილება მდიდარი ფენებისა, რომელნიც შეძლების გამო განთავისუფლდნენ შრომისაგან, ჰქონდათ თავისუფალი დრო და ცდილობდნენ პირადი სურვილები, თავისი „მე“ ტრაფარეტისა და შაბლონის გარეშე გამოემჟღავნებინათ. ამ მიმართულებამ თვითმიზნად გაიხადა უარყოფა და დანგრევა. მაგრამ დანგრეულის სამაგიერო კი ვერ შესძლო მიეცა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ჯგუფს, რომლის ფსიქოლოგიის გამომხატველი იყო დეკადენტობა, ცხოველმყოფელი ძალა ჰქონდა დაკარგული. დეკადენტობამ ადამიანში დაინახა თავისთავადი დასაბამი. მისი შეხედულებით, ადამიანი არ არის დაკავშირებული საზოგადოებასთან, მის ტრადიციებთან და მისწრაფებებთან. დეკადენტობამ საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტაში უარყო სოციალური დასაბამი, დაუპირისპირა ინდივიდუალობა საზოგადოებას, და ამიტომ ის თანდათან ირიყებოდა ცხოვრებიდან.

ამავე პერიოდში, ამ მიმართულების გვერდით იმავე რღვევისა და სოციალური ძვრების პროცესში ვითარდება ახალი საზოგადოებრივი ფენის—მშრომელი მასის, პროლეტარიატის იდეოლოგია. ეს ფენაც აყენებს პიროვნების განთავისუფლების პრობლემას. მაგრამ, ამ მიმართულების მიხედვით, თავისუფალი პიროვნება,—არსებულს რომ უარყოფს,—აყენებს მომავალი საზოგადოებრივი წყობილების ახალ, უფრო ჰუმანურ საფუძვლებს. ეს ფენა ჰქმნის „ახალ პოეზიას“, სადაც პიროვნების განთავისუფლება განუყრელადაა შეერთებული ახალი საზოგადოებრივი ყოფის შექმნასთან, სადაც უნდა დამყარდეს სამართლიანი ურთიერთობა ადამიანის მოთხოვნილებათა და საზოგადოების ინტერესთა შორის; პიროვნება თავის „მე“-ს გამომჟღავნებით არა მარტო პირად დასაბამს ემსახურება, არამედ ასრულებს საზოგადოებრივ მოთხოვნილებას. აქ პიროვნება შგვნებულად ანგრევს არსებულს, ტრადიციებს, დრომოქმულს ახალი საზოგადოებრივი ყოფის დამყარების დაუძლეველი მისწრაფებითა და მიზნით.

ვაჟა-ფშაველა ამ მიმართულებათა შორის მდგარად გვეხატება. პიროვნებასა და თემს შორის კონფლიქტი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ძირითად მოტივად რომ გასდევს, გამოწვეულია ძველისა და ახლის ჭიდილის საფუძველზე.

მართალია, ვაჟა-ფშაველა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ძალუმადაა მიწებებული მთას, მის ტრადიციას. ის დიდი უშუალობით ეხება ამ კარჩაკეტილ მთაში შემონახულ ფანტასტურ ქვეყანას, რომელშიაც ცოცხლად დაცული წარმართული მსოფლგაგება—დევებით, ავი სულებით, ზღაპრული სამოქმედო ასპარეზით.

ვაჟა-ფშაველა თვითონაც დევსავით დაალაჯებს ამ ფანტასტურ სამყაროში, ადვილად მისდევს თავის გმირებს არა მარტო ხილულ ქვეყანაში, არამედ ქვესქნელსა და ზესქნელშიც (მკითხველსაც თან არაჩვეულებრივი სიძლიერით მიიზიდავს).

მაგრამ ამასთან ერთად ვაჟა-ფშაველას შეგნებაში ახალიც ისაღვურებს—ახალი, ახალ ცხოვრებას რომ მოჰქონდა. ამ ახლის განხორციელების აუცილებ-

ლობას პოეტი დიდი სიმწვავით განიცდის, მაგრამ მისი სახის გამოკვეცვა მას რაღაც დაუძლეველ კვანძად გადაექცა.

აღუდა, ჯოყოლა, აღაზა, მინდია ახალის მაძიებელი პიროვნებები თუ გმირები არიან. ამ მხატვრული სახეების ძირითადი თვისებაა დამოუკიდებლობა, უკმაყოფილება, პრეტენსია, ამბოხება, ძიება. ტრაგიკული კოლიზიის განვითარება ახალი თესლის მატარებელ გმირს, ტიტანსა (აღუდა, ჯოყოლა, მინდია) და დაძაბუნებულ ქვეყანასა და მის ხელმძღვანელთა შორის (თემი—ბერდია, ჩახნია) მტკივნეული და ძირითადია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, როგორც შექსპირის, ბაირონის, ლესინგის, ვოეთესა და სხვა გენიოსთა შემოქმედებაში.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ამ ხაზის გაშლა და განვითარება წარმოადგენს უძლიერეს მხარეს და ჩვენც შევეცდებით მის გაკვლევას.

დავიწყეთ აღუდა ქეთელაურის გაცნობით.

ხეცურეთში განთქმული ვაჟაკი აღუდა შეზხვდება ხეცურთ მანენს, — ქისტ მუცალს. დაიწყება მათ შორის ბრძოლა. ორივე იბრძვის დაუზოგველად, გმირულად, როგორც ეს მთას ესმის. დაიძლია ქისტ მუცალი. მაგრამ დაიძლია, როგორც გმირი, ვაჟაკი:

„ნატყვიარს ბრძამით იფეგდა,
ისე დალია სულია.
სულს არ აცლიდა ამოსვლას,
კიდევ მიხსენა რჯულია“.

ასე აგვიწერს მუცალის გმირობას აღუდა. მუცალმა, მოწინააღმდეგის ვაჟაკობით აღტაცებულმა, დაინახა თუ არა, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარა ექვს, თავისი თოფი აღუდას გადაუგდო: „ეხლა შენ იყოს რჯულ ძაღლო, ხელს არ ჩავარდნს სხვისასა“. ამის შემდეგ მუცალს სიტყვა გაუშრა პირზედა, „დაბლა მიწაზე გავრთხა“. მკითხველი დატყვევებულია მთიელის ამ მეტად პრიმიტიული, მაგრამ ლამაზი პიროვნებით. მუცალი ვაჟაკია, ის სიკვდილის მომენტშია კი არ იბნევა, ურყევი, უცვლელი რჩება, ვაჟაკი მოწინააღმდეგის ღირსებას, რასაკვირველია, თავისი გაგებით, პატივისცემით ებყრობა. არ ჰკარგავს თავის სახეს, თავის პიროვნებასა „განკითხვის წუთშიაც“ კი.

აღუდამაც მუცალში დაინახა ვაჟაკი, რომელსაც მტერთან გმირული დახვედრა შეუძლიან. აღუდა, თვითონ დიდი ვაჟაკი, აღტაცებაში მოდის მუცალის რაინდობით. აღუდას ასეთი ვაჟაკის გაფუჭება, თუნდაც მოწინააღმდეგისა, ებრალება, უმძიმს. ატირდა აღუდა მუცალის სიკვდილით. ასეთი ჭუმანური, ადამიანური დამოკიდებულება და თანაგრძნობა მტრისადმი აღუდას ისეთი სიმძლავრით გაუჯდა, რომ მთისა და თემის საუკუნეთა განმავლობაში შეუღახველ ჩვეებათა დარღვევასაც კი გააბედინებს.

დამარცხებულ მუცალს აღუდა, წინააღმდეგ თემის ჩვეულებისა, არამც თუ იარაღს არ აპყრის, არამედ ისე მოეპყრობა მას, როგორც ეს გმირს შეეფერება:

„თავით დაუდგა ხანჯალი,
 ზედ ეკრა სპილოს ძვალიო,
 გულზედ ძეგლიგი დაუდგა,
 მკლავზედ ფრანგული ხმალიო.
 სიგრძივ გაჭურა ნაბადი
 ზედ გადაადგა ფარიო“.

ამით აღარ კმაყოფილდება ალუდაში ასე მძლავრად ამოვარდნილი ახალი გრძნობა. ალუდა თავს ვეღარ იკავებს და თემის მეორე ადათსაც არღვევს: „მუცალს მარჯვენა არ მოსჭრა“. არ წაუღო თემს ნიშანი მტერზე გამარჯვებისა და მისთვის სამაგიეროს გადახდისა. ეს ჩვეულებაც ოცემისათვის წმინდათა წმინდა იყო. მაგრამ ახალი, ადამიანური განცდა ალუდაში იმდენად დიდია, მკვეთრი, მგრძნობიარე, დაუძლეველი, რომ მთის ამ რკინის ადათსაც გადაალახვინებს, თემის სიტყვასა და დადგენილებას დაარღვევინებს. მუცალის გმირული სიკვდილით გარდაქმნილი ალუდა ასე მიჰმართავს მას:

„ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
 ღმერთმა გაცხოონოს მკვდარიო,
 მკლავზედაც გებას მარჯვენა,
 შენზედ ალალი არიო.
 შენ ხელ შენ გულზედ დამიწდეს
 ნურც ხარობს ქავის კარიო.
 კარკი გყოლია გამდელი,
 ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო“...

ალუდაში ასეთი მტრისადმი გაქრა მტრობა, შურისძიება. აიწა და მასწი ნამდვილი ადამიანური გრძნობა, რომელიც ღირსეულ მტერსაც კი იბრალებს.

ალუდას ეს ახალი გრძნობა მარტო მუცალის მოკვლის მომენტში კი არ არის მომქმედი, არამედ მასში ეს თანდათან იზრდება, თანდათან უფრო მტკივნეულად იპყრობს მის შეგნებას როგორც ცხადლივ, ისე სიზმრად. გული შეეკრა ალუდას. დაიჩრდილა მისი შუბლი. ექვემა შეიპყრო მისი გული და გონება.

ალუდას მუცალისადმი დამოკიდებულება ისეთი უშუალო კილოთი და მასთან ერთად ისეთი ემოციონალიზმითაა აღწერილი, რომ მკითხველს ჰგონია ალუდას აღფრთოვანება და ტკივილი ჩაუქრობელ, უცნაურ ვულკანსავით მოძრაობს. მკითხველი გრძნობს, რომ ტრადიციებით შებორკილი ალუდა თავს იკავებს, ისედაც მუცალის დანახვა-აღბეჭდაში ენა თვალსა და ყურს უსწრებს, გული-ს. მიივს ერთად. ალუდა ქეთელაური, მუცალის ვაჟკაცობით დამთვრალი, თვით არა ნაკლები ასეთივე სილამაზისა და მიმზიდველობის მქონე, თანამომბეებს ასე უმკლავნებს თავის აფორიაქებულსა და გამახვილებულ გრძნობებს:

„ვერ გავიმეტე მუცალი,
 მარჯვენის მოსაჭრელადა,
 გული გამიწყრა, არა ჰქნა,
 რაც საქნელია ძნელადა.“

„დაე, დააკლდეს სახელსა,
 მე გირჩევივარ მრჩეველად“.

აღუდას ახალი გრძნობებით დასერილი სახე დიდი სიცხოვლითა და ბუნებრიობითა გაშლილი. მკითხველს არამც თუ არ ცხამუხება, რომ მთიელში ასეთი მაღალი, ნაზი, ფაქიზი აღამიანური გრძნობები თავსდებდა, არამედ სრულიად ბუნებრივადაც კი მიაჩნია. ამაშია ვაჟა-ფშაველას მხატვრული ნიჭის ერთერთი დამაჩასიათებელი თვისება.

აღუდას განცხადებამ ხევსურნი მეტად შეაშფოთა. რამდენადაც თემის წევრი ვაჟაკია, დიდბუნებოვანია, იმდენად მტკივნეულია თემისათვის ამ წევრის მიერ ტრადიციის, ან როგორც მთაში ამბობენ, „ჯულის დარღვევა“. ხევსურთ ავად შეჰხედეს აღუდას. თემისათვის en masse გაუგებარია აღუდას განცდა. დაჟინებით თხოულობს ის თავისი კოდექსის დაცვას: „მოჰკალ, მარჯვენა არ მასკერ, უკვენ მისდევდი მა რადა?“. აღშფოთებულმა თემმა აღუდას შესძრახა „ქცევანი“.

მაგრამ აღუდა ქეთელაურისათვის თემის ამხედრება არათერია იმ შინაგან ტანჯვასთან, რომელსაც ის მუცალის გმირული სიკვდილის შემდეგ განიცდის, ის ველარც სჭამს, ველარც მშვიდდება, თითქოს ველარც გარემო ცხოვრებაში ერკვევა. ის ცხადლივ თუ სიზმრად ახალი შინაგანი სევდით ცხოვრობს. მუცალთან საბედისწერო „ბრძოლის წამს“ არ დაუკარგავს აღუდაზე დამატყვევებელი გავლენა. სასიკვდილოთ დაქრილი მუცალი გამუღმებით აღუდას წინ დგას, როგორც ბინდ გადაკრული კლდე, გაუტეხელი, რომელსაც „ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა“.

აღუდაში მძლავრადაა არეული ხმა საყვედურისა, უკმაყოფილებისა, ეჭვისა, სინიდისს ქეჯნისა, უსამართლოებისა, ცხოვრების ახალი ფორმების გამოჩნხვის აუცილებლობისა. ამან გააერთიანა აღუდაში სიზმარი და სიცხადე, ოცნება და სინამდვილე, ტკივილი და სიამოვნება, კმაყოფილება და დაუკმაყოფილებლობა, მადლი და ბოროტება. გონება, გრძნობა, ყური, თვალი, გემოვნება, შეხება აღუდაში მტკივნეულად აშლილი ნიჭიერადაა გადმოცემული აღუდას მიერ მოთხრობილ სიზმარში:

„შავხედენ, მუცალი იყო...
 მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,
 მომკალო, მითხრა ხვეწნითა.
 თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი,
 მე კი წავიდე ქვეყნითა,
 დაქებათ, ხევსურთ შვილებო,
 ლაშქრობით, ხმლების ქნევითა“.
 დავჯე, ჯამ ვინამ დამიდგა,
 კაცის ხორც იყო წვნიანი.
 ვსჭამდი, მზარავდა თუმცა-ლა
 კაცის ხელფეხი ძვლიანი.
 რა-სა ვსჩადიო, ვსჯავრობდი,

უმსგავსი, შაჩვენებული.
„ჭამეო, რამამ მიძახა,
ნუ ჰხდები გაშტერებული:
კიდევ მიმირთვით აღუდას
წვენ-ხორცი გაცხელებული.
მიმატეს კაცის უღვაშით
წვენ-ხორცი შენელებული...
სიზმრათ დამტანჯეს, იმით ვარ
გუნება აღელვებული“.

ასეთი შინაგანი კოშმარული სულიერი ტანჯვის მატარებელია ალუდა ქეთელაური. ასე გამარჯვებულია მისი შინაგანი „მე“. ალუდა ველარ ეტევა თემურ ყოფაში შექმნილ ჩარჩოებში. ის სცილდება მას, არღვევს თემს, მის ტრადიციას ურჩობას უწევს.

ხევსურ მინდიას უნდა აღუდასა და თემს შორის კონფლიქტი შეანელოს. წაუა, ნახავს მოკლულ მუცალს, მოსკრის მარჯვენას, მოიტანს, თემის თანადასწრებით გადასცემს აღუდას და კმაყოფილებით ეტყვის: „წაიღ, მიაკარ ქეადა“.

ალუდა ვერ ერევა თავის ამბოხებულ გრძნობას და საყვედურითა და უკმაყოფილებით ასე მიჰმართავს მინდიას:

„თუ ხელის მოჭრა მდომიყო,
გან ვერ მავსჭირიდი თავადა?
ვერ გიქნავ კარგად, მინდიაგ,
საქმე მაგიროვ ავადა;
რაად მინდარის: ვერ მიხმლობს,
არ გამოდგება ფარადა;
მთაში წავიღო, არ მითიბს,
არ მარგებს თოფის კავადა.
რაად სწყრებიან ხევსურნი,
რად ტყვრებიან ჯავრითა?
მტერს მოვკლავ, კიდევ არ მავსჭირი
მარჯიენას მაგათ ჯავრითა.
„წესი არ არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მოსჭრეს დანითა“.
ვაი ეგეთის სამართალს
მონათლულს ცოდვა ბრალითა“.

აშკარაა ალუდა ქეთელაურს ეკვი შესდის საუკუნეებით გამომუშავებულ თემის ურყევი ტრადიციების სიმართლეში. აღუდას შეგნებაში რაკი ერთი გაიზხარა მთისა და თემის ჩვეულებათა სიმართლის მთლიანობა, ეს ეკვი მასში თანდათან გაღრმავდა. ალუდა ამით განცდების ზეგავლენით მორალურად გაიზარდა, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა, ვიდრე თემის ეთიკა და ესთეტიკა.

აღუდას თქმა: „ვამი ეგეთის საშართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა“ არსებულის უარყოფას ღაღადებს. ეს ძველი კერპების აფეთქებაა, ანალის ძიებაა. და ეს ტკივილი, ეს ძიება, რა თქმა უნდა, თვით ავტორისაცაა.

ახალი ქვეყნის, ადამიანის ახალი, უფრო ჰუმანური ურთიერთობის გაგების გამომხატველია აღუდას დაჟინებული მიმართვა ბერდიასადმი, სასწევრპლო მიიღოს მუცალისათვის, როგორც „უნდომლად მოკლულის ლამაზის ძმისთვინა“. ამ სურვილს აღუდა ასაბუთებს ახალი, ჰუმანური მოსაზრებით: „მითამ ერთი ვართ, ბერდიავ, ცხოვრებნი ერთი მთისაო“. ეს თქმაც, რა თქმა უნდა, თემის ჩარჩოების ნვრევითა და პოეტის მიერ ახალი, უფრო სამართლიანი ქვეყნის ხილვითაა გამოწვეული.

თემის სულისკვეთებისა და მისი შეუბღალავობის სასტიკი გამომხატველი ბერდია აღუდასადმი, როგორც ძველი ყოფის დამღრვევისადმი, შეუბრალელობას იჩენს: „ცეცხლი მიეციო საძნოვარს, — ცასა სწვდებოდეს ალები, სათემოდ გამოირეკეთ: ცხვარი, ძროხა და ხარები“.

მაგრამ აღუდაში შინაგანი სიმართლის განსკვრეტა ისეთი მძლავრია, თემის მიერ ადამიანის ღირსებისადმი ასეთი მოპყრობა იმდენად მიუღებელია, ეკვი თემის ზნე-ჩვეულებათა სამართლიანობაში იმდენადაა მასში გამჯდარი, რომ ის აწჯობინებს თემიდან გაიდევნოს, დასტოვოს დელითა და წვრილი ცოლშვილით მამა-პაპით შექმნილი და შენახული კერა. მძიმეა ეს მსხვერპლი აღუდასათვის. ამ სიმძიმეს პოეტიც გრძნობს. გაუტყენელია აღუდა. ვაჟკაცურად ხედება ამ დიდ უბედურებასაც. მასში ბრძოლაა. მიდის ის თემიდან განწირული. ამავრებს თავისიანებს. მაგრამ გულის ჭიდილს აღუდა ვედარ უძლებს, ერთი კიდევ მოიხნედავს დატოვებულ ბუღისაკენ და მძიმედ ამოიკვნესებს:

„მშვიდობით, საჯახვეებო,
 გამახარელნო თვალისა,
 მშვიდობით, ჩემო სახლკარო,
 გულში ამწლელი ბრალისა,
 მშვიდობით, ჩვენო ბატონო,
 ყმათად მომცემო ძალისა“.

ახალი განცდა აღუდაში მაინც დასძლევს. უკან აღარ დაიხვეს.

აქ ნიჭიერადაა ნაჩვენები საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ ტრადიციებს როგორ უპირისპირდება ახალი ძალა, რომელსაც თემურ ყოფაში, მის ზნე-ჩვეულებათა ჭეშმარიტებაში ეკვი შეაქვს. იბზარება თემის მთლიანობა. ეს შედეგი იყო ახალი ცხოვრების შეხლისა ძველთან, მათი მოუფრეგებლობისა. მათი მსოფლმხედველობის სხვადასხვაობისა.

აღუდა ქეთალაურის სახით ვაჟა-ფშაველა ახალი ქვეყნის დამნახველს, მასი უპირატესობის ამლიარებელს გვაძლევს. მართალია, აღუდა ქეთელაურს ახალი ქვეყნის ფორმები ჯერ ნათლად არა აქვს წარმოდგენილი, მაგრამ

ძველი ეთიკის მიუღებლობა მისთვის უკვე ცხადია. ის არღვევს ძველს, ეძებს ახალს, უფრო ადამიანურს.

ძველისა და ახალის კიდილის საფუძველზევე ჩნდება **ჯოყოლას ტიპი** ვილებიც.

ბოჲმა „სტუმარ-მასპინძელი“ თემის ორი ტრადიციის დაპირისპირებაზე გაშლილი.

ერთია, შურისძიება, სისხლის აღება, თუ ვინცობაა თემის როჲელიმე წევრი შემოაკვდა სხვა თემის წევრს, მაშან თემი მთლიანად ვალდებულია იძიოს შური, სისხლი აიღოს, სამაგიერო გადაუხადოს.

მეორეა, სტუმარ-მასპინძლობა: რაკი სტუმარი მასპინძელის ზღუერბს გადასცდება, მასპინძელი ვალდებულია სტუმარისათვის იზრუნოს, როგორც თავის ღვიძლ ძმასა და მოძმისათვის. თუ შემთხვევით მასპინძლის ჭერ ქვეშ მისი პირადი მტერიც კი მოხვდა, იმაზედაც ისევე ვრცელდება მასპინძლის ვალდებულება.

ასეთ მდგომარეობაშია **ჯოყოლა ალხასტაიძე**. ის გრძნობს, რომ უხერხულ და ყალბ მდგომარეობაში ჩავარდა ზვიადაურის სტუერობით. იწყება **ჯოყოლაში ბრძოლა**. თემის ჩვეულება, მტრის სისხლის აღება, თუ სტუმარ-მასპინძლობის ადათი. **ჯოყოლას** ესმის, რომ თემიც მართალია, მაგრამ, მეორეს მხრივ, სტუმარ-მასპინძლობის ეთიკა, გაძლიერებულია **ჯოყოლას ზვიადაურისადმი კეთილი ურთიერთდამოკიდებულებით** და თემის მხმართ აღშფოთებით, უიარაღო ზვიადაურზე თავდასხმით გამოიწვეული. **ჯოყოლაში სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია**, როგორც უფრო ჭემანური, იმარჯვებს. ის მთელი არსებით თემის წინააღმდეგაა აშხედრებული და ასე მიჰმართავს თემს:

„რაც უნდა მითხრათ ბავითა,
მითც ვერ მიაბამთ ჩემს გულსა
თქვენ გულისთქმასთან ძალითა“.

აღშფოთებულ **ჯოყოლას** კანდიერად მიაჩნია თემის უფროსის მუსას მუქარაც: თუ **ჯოყოლა** ურჩობას დაიწყებს, თემის პირის გატეხისათვის მისი საქმეც დღეიდან „ცერად წავა“. **ჯოყოლა** ვეღარ ითმენს თემის ამდენ ძალმომრეობას. მასში მეამბოხე ძალა იმარჯვებს და მრისხანეთ შესძახებს თემს: „გრისხავდეთ ცა-ქვეყნის მადლი, უსამართლობას შერებითა“ და ხმალ-ხანჯლით თავისიანებს დაერევა.

ეს თემის ყოფის, მისი მორალური და იურიდიული კოდექსის რღვევის შემდეგი ეტაპია, უფრო მძლავრი, უფრო გარკვეული. **ვაჟა-ფშაველაც** რომ ასე სჭკრეტს **ჯოყოლას** სახეს, ჩანს იქიდან, რომ პოემაში დიდი ოსტატობითა და ემოციონალობითაა **ჯოყოლას** პოზიცია განვითარებული.

ხელშეკონილი ზვიადაური ქისტების გროვას მიჰყავს სასაფლაოზე, იქ თავიანთ მკედრებს უნდათ შესწირონ. მაგრამ ზვიადაური ლომკაცია. მან არ იცის შიში, თვით სიკვდილსაც კი უშიშრად ჰხედება, ამაყად ექცევა მტრებს. შემოხვეულ ქისტებს შეუპოვრად მისძახებს: „ჩამიგდეთ ხელში, ძაღლებო, კარგი დაგიდგათ ღარია“. დანას ყელზე აჭერენ, ის კი თვალს არ ახამხამებს. „გული

ვერ მოჰკლა მტრის ხელმა, გული გულადვე რჩებოდა“, — აღტაცებით სწვევებს მგოსანი აღწერას.

მტრებიც კი მოჰხიბლა ზვიადაურის ვაჟკაცობამ. ზვიადაურის მოკვლის შემდეგ ქისტებს, კმაყოფილების მაგიერ, რაღაც ეჭვი ეპარებათ თავიანთ მოქმედებაში: „კარგი ვაჟკაცი ყოფილა... იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა, თავის მიწა-წყალს იცავდა“. მტერიც კი რაღაც ტკივილით ფიქრობს ზვიადაურის შესახებ. „ცოდვაა“!...

ზვიადაურისადმი თვით ბუნებაც კი იმსვენალება სიყვარულითა და თანაგრძნობით: ესეც ხომ ვაჟა-ფშაველას პოეტური სტილის დამახასიათებელი ნიშანია მკითხველში თანაგრძნობის გაძლიერების მიზნით:

„ზვიადაურსა გლოვობდა
 შფოთვა და გლოვა წყლისაო,
 ნიადად ჩამონადენი
 ოხვრა მაღალი მთისაო,
 ცრემლი ნისლების ჯარისა
 ნაბრძანებია ღვთისა“ ო.

მაგრამ ყველაზე გამარჯვებულად ზვიადაურისადმი თანაგრძნობა და გლოვა ჯოჯოხეთს ცოლის აღაზასია. მთიელი ქალი, თემის ტრადიციათა ეთიკაში აღზრდილი, მტრულად უნდა ექცეოდეს თემის მტერს. ამას გარდა, მასთან ქმრიანის, უცხო მამაკაცისადმი ტრფიალი, თანაგრძნობა და გლოვა დამამცირებელია როგორც ქალის ქმრისათვის, ისე თემისათვის. თემი სასტიკად სთხოვს ქალს ამ მიმართულებით თავის დაჭერას. მაგრამ ზვიადაურის ვაჟკაცობის მნახველი აღაზა „ბნდებოდა, ცრემლებს მაღავდა, ხალხზე უკანა დგებოდა“. აღაზას განცდას ამ მომენტში პოეტი დიდი უშუალოებით, ქალის ხასიათის ბუნებრიობის დაცვით ასე გადაგვიშლის:

„მიშველებასა ლამობდა:
 „ნუ ჰკლავთ“ — ეძახის გულიო.
 ფიქრობდა ბრაზმორეული:
 ნეტავი მომცა ცულიო,
 ნეტავი ნებას მაძლევდეს
 დედაკაცობის რჯულიო,
 რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას
 გაეპყროთხობინო სულიო“.

მძიმეა, მწვავე და მასთან ლამაზი თავისი სიღრმით, სიძლიერითა და ქალური სინაზით აღაზას გლოვა. მკითხველი მკვეთრად გრძნობს, რომ აღაზას გულში აშლილი გრძნობა დაძრულ ვულკანსავით მოიწვევს; მკითხველი გრძნობს, რომ, როგორც მთა ვერ დაიჭერს ვულკანის მოძრაობას, ისე აღაზაც ვერ გაუმაგრდება მოწოლილ გრძნობას და საშინელ კატასტროფამდე მიიყვანს. ასეც მოხდა. ამოვარდნილმა ახალმა გრძნობამ აღაზას დაარღვევინა თემის მთელი რიგი ჩვეულებანი. აღაზამ იცის, მას სწამს, რომ ეს გრძნობა მისთვის აკრძა-

ლულია, საბედისწერობა, რომ ამით ის ჩირქს სცხებს თავის თავსაც, ოჯახსაც, თემსაც, მაგრამ ყველაფერი ეს გადალახა... გმირს ცრემლნი დაადინა!

მაგრამ ყველაზე აღსანიშნავი ისაა, რომ თემის ამ ჩვეულებათა დარღვევას ჯოყოლაც არაჩვეულებრივად ხვდება.

მთელი დღის განმავლობაში მძიმე სანახაობითა და განცდებით გატანჯული ალაზა, ბინძვისას შინ რომ დაბრუნდება, გულშეწუხებული დაეცემა. შეშფოთდება ჯოყოლა. მიზეზის გაგება უნდა. ცოლი ეკრძაღვის. ნამდვილი მიზეზი ქმარს უნდა დაუმალოს. მაგრამ ჯოყოლაში უშუალობა დიდია, სიცრუეს მიუხვდება. ალაზა მიხვდა, რომ ჯოყოლას სიმართლეს ვერ დაუმაღლავს და ასე გაუშხელს ის ქმარს თავის შეშფოთების მიზეზს:

„რა დაგიმალო ჯოყოლავე,
ან რად შემრისხავ თქმისადა?
ცრემლები შემიწირია
იმ შენის მეგობრისადა“.

ალაზამ იცის, რომ ეს „შეწირული ცრემლები“ მთის ჩვეულებით აკრძალულია. ამიტომ ჩქარობს ახსნას, რამ გამოიწვია ეს ცრემლი და შემდეგ გაუმჟღავნებს თავის ქმარს. ბეჩავს ზვიდაურს, უკხოეთში რომ კვდებოდა, არა ჰკავდა „არც ნათესავი, არც მოძმე, რომ ვისმეს შეჰბრალებოდა“. მაგრამ, როცა ჰკლავდნენ ხანჯლითა, ოდნავადაც არა ფრთხებოდა. „იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა, მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო“.

არამც თუ კარჩაკეტილი მთის შვილი, არამედ „კულტურული“ ბარის მცხოვრებიც კი ცოლის ასეთი საქციელით მეტად გარისხდებოდა. ქალი ხომ სრულუფლებიანი არ იყო, არამც თუ თემური ცხოვრების პირობებში, არამედ „განათლებულ“ ევროპაშიც. მკითხველი მოელოდება ჯოყოლას სასტიკ მსჯავრს ცოლის მიმართ. მაგრამ ჯოყოლამ ცოლის ეს განცდა კანონიერად მიიჩნია. სრულიად შეგნებულად ასე დაამშვიდებს ის ალაზას:

„მაგისთვის როგორ შეგრისხავ,
ტყუილს სჯობს სიმართლის თქმაო,
იტირე? მადლი გიქნია,
მე რა გამგე ვარ მაგისა?
ლიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟაკის კარგისა“.

აქაც ჯოყოლა არამც თუ თემის ტრადიციებში ვეღარ ეტევა, არამედ მისი გაგება ბურჟუაზიული ყოფის იქითაც მიდის. ჯოყოლას უფლების, ეთიკისა და ესთეტიკის კოდექსი ახალია — უფრო ფართოა, ვიდრე თემური და ბურჟუაზიული ყოფისა. ამაშია ვაჟა-ფშაველას პროტესტანტობის სიდიადე და მიმზიდველობა.

თემის ზნე-ჩვეულებათა რღვევა, ასე მკვეთრად ასახული რჩეულ პიროვნებებში, შეუმჩნევლად იზრდავს თემის მასას, გადადის მის შეგნებაშიც. გაიზარა თემის ჩვეულებათა შეუვალი ქერქი და მცხოვრებთა შეგნებაში, მათდა

უნებლიედ, მაგრად ჩაიჭედა განწირულთადმი განცვიფრება და პატივისცემა. თემის მასის გაგებით, ის დიდი ზნეობრივი ძალა, რომელიც გამოიჩინეს ჯო-
ყოლამ, ზვიადაურმა და ალაზამ, შეუძლებელია უშედეგოდ განქრეს. ამგვარი საქცეული თემის მასის გაგებითაც მარადიულია, მათი ძალა მოსპობი-
ლია. ამ ქვეყნით არ დამთავრდება. იქმნება მათ შესახებ ლეგენდა ბალანის
ფორმით, რომელიც ფართოდ ვრცელდება თემში, ლეგენდა, რომლითაც თავ-
დება „სტუმარ-მასპინძელი“, გადმოგვცემს: როს დაბინდდება, ჯოყოლა კლდის
ნაპრალიდან აღდება, გასძახებს ძმობილ ზვიადაურს თავისი სახე აჩვენოს მას.
ამ ძახილზე სასაფლაოდან ზვიადაურის აჩრდილი ფარხელიანი „მივა და მიესალ-
მება თავის ძმობილსა მდღუმარედ“. „იქვე ალაზაც ამოდის სახე მოწყენით, მწუ-
ხარედ“.

„ენთება ცეცხლი მათ გვერდით,
მკრთალადა ბუფტავს მთაზედა;
იმით მასპინძლობს ალაზა,
ჯიხვის მწვადს უწვამს აღზედა.
ვაჟკაცობისას ამბობენ,
ერთურთის დანდობისასა,
სტუმარ მასპინძლის წესზედა
ცნობის და და-ძმობისასა“.

მიუხედავად იმისა, რომ თემი იმარჯვებს ამ ურჩებზე, ურჩინი იღუპებიან
თემთან წინააღმდეგობაში, მაინც ამ დღღუპულთა საქციელის მიმზიდველობა
მძღავრად იბეჭდება თემის მასის შეგნებაში. მაღალი ზნეობრივი, სა-
მართლიანი, არა კარჩაკეტილი, არამედ ფართო ურთიერ-
ობა მოძმეთა — აი საითკენ გვეძახიან — აღუდა, ჯოყოლა, მინდია.

ამათვის ვიწროა არამც თუ თემური ცხოვრების ჩარჩოები, არამედ
მწერლის თანამედროვე არსებული „კულტურული“ ყოფის საზღვრებიც.

განა ასეთივე ვიწრო, დამოუკიდებელი არ იყო არსებული ცხოვრება
თვით ვაჟა ფშაველასთვის? ამიტომ იყო, რომ პოეტი ვერც ბარში და ვერც
მთაში ვერ ისვენებდა, გამუდმებით ბორგავდა, ეძებდა. ადამიანთა არსებული
ცხოვრების მოუწყვსრიგებლობით უკმაყოფილო, გადადის ბუნების წიაღში,
უკვირდება მას, ლამობს მის ტრიალში გამონახოს ადამიანთა ცხოვრების ნამდ-
ვილი არსი („მთათ ერთობა“ და სხვ.).

წარმართი, ქრისტიანი, ათეისტი ვაჟა-ფშაველაში მეტად ორიგინალურად
გადაიკანაძა ერთმანეთში და მთელი სამყარო დაანახვა, როგორც უნივერსალუ-
რი მთლიანობა აურიცხავი მრავალფეროვნობით, მუდმივი განუწყვეტელი კავ-
შირით, მოძრაობით, ბრძოლითა და ჭიდილითა. თვით ადამიანთა ცხოვრების
ტრადიცია ტანჯვა-სიხარულით, სიცოცხლე-სიკვდილით ამ მთლიანი უნივერ-
სალური სიცოცხლის გარემოქცევის მომენტია. პოეტის წარმოდგენით ეს უნი-
ვერსალური სამყარო სიყვარულითა და გონივრულობითაა აღსავსე. ამ მთლიანი
ცხოვრების განცდა პოეტს დიდ ესთეტიურ დაკმაყოფილებას აძლევს. აქ პო-
ულობს ის სიმშვიდეს, დაუწყებებს ამ ტკივილებისაგან. მგოსანსა და მის გმირებს

იზიდავს ამ უნივერსალური ცხოვრების ძირითადი ბუნება: სიცოცხლე, მოძრაობა, დაუსრულებლობა, მთლიანობა:

„აქაც, იქ, იმის იქითაც,
 საცა ფერცხალი გორია,
 ლამაზის მთების ასულთა
 ხმა-ხმისთვის შაუწონია.
 მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,
 უფალო, დაუმონია,
 ამაზე ტურფა და კარგი
 მე სხვა აღარა მგონია“.

ბუნებაში უნივერსალური ბრძოლისა, მოძრაობისა და განვითარების მთლიანი პროცესია, სადაც მარადიული კანონზომიერება არსებობს მოქმედ ძალთა შორის, ისინი ურთიერთისაგან დამოკიდებულნი არიან, ურთიერთობით ჰქმნიან მარადიულ სილამაზეს—სიცოცხლეს:

„ხევი მას მონებს, მთა-ხევსა,
 წყალნი ტყეს, ტყენი-მდინარეთ,
 ყველანი მიწას და მიწა—
 თავს აღზრდ-ლთა მცენარეთ.
 და მე ხომ ყველას მონა ვარ,
 პირზე ოფლ-გადამდინარედ“.

აქ ვაჟა-ფშაველა მოსწანს არა მარტო როგორც, მართლაც, უცნაურდ ისტატი სიტყვისა, სახეებისა, არამედ როგორც მოაზროვნე-ფილოსოფოსიც. რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიური შეხედულებანი სისტემაში არა აქვს მოყვანილი, მაგრამ ურყევი კანონი სიცოცხლის დიალექტიკური განვითარებისა, შეიძლება პრიმიტიულად, მაგრამ არაჩვეულებრივი უშუალობითაა განცდილი და გაგებული.

იშვიათია არა მარტო ქართულს, არამედ მსოფლიოს მხატვრულ ლიტერატურაში მეორე, რომელსაც ისე ღრმად, ისე თავისებურად ჰქონდეს განცდილი და ასახული ბუნება, როგორც ვაჟა-ფშაველას.

ვაჟა-ფშაველა ბუმბერაზი პანთეისტი-პილოზოისტია, რომლის მხატვრული ინტუიცია, რაციონალური გეგმა და უშუალო ცოდნა შეერთებულია ერთ ორგანულ მთლიანობაში.

მწერალი ბუნების ცხოვრებას, მის კავშირს ადამიანთან იმიტომ აკვირდებდა, რომ მის მარადიულ ყოფაში გამონახოს ჟამთა ტრიალის დასაყრდენი. ვაჟა-ფშაველას კარგად ესმის, რომ სიცოცხლისაგან შემდგარ ბუნებაში უცვლელი არაფერია. ყოველივე ცვალებადობაშია—იზრდება, იზრდება, დაძაბუნდება და გარდაიცვლება. მწერლის განცდითა და გაგებით, მოვლენათა ცვლას ბუნებაში საფუძვლად აქვს მათი ურთიერთ შორის ბრძოლა საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნებისა და გაფართოების მიზნით, რასაც თან ახლავს ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის.

პოეტის ინტუიცია ლამობს მთელ სამყაროს შემოკვების თავისი გაგების სალტე, გააერთიანოს და იპოვოს ადამიანის ბუნების ნამდვილი სახე და მისი ცხოვრების ნამდვილი არსი. ვაჟა-ფშაველას, როგორც ჩანს, ამ პრობლემის გადაწყვეტა მთელი ცხოვრების მანძილზე აწვალბდა. ეს ტკივილი მგოსანს ყველაზე გამახვილებულად აქვს მოცემული პოემა „გველის მჭამელში“ მინდიას სახით.

ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი“ ფილოსოფიური პოემაა, რომელშიც მგოსანმა დიდი უშუალოდით გამოხატა სხვადასხვა მსოფლმხედველობის შეჯახებისა და ბრძოლის პათოსი. „გველის მჭამელში“ ავტორმა გაშალა ტრაგედია, ერთის მხრივ, შემეცნებისა და სიყვარულისა და, მეორეს მხრივ, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი ხერხი კონტრასტებით აზროვნებაა. „გველის მჭამელშიც“ მინდიას მრავალმხრივი ტრაგედია დაპირისპირებით იშლება¹.

მინდია თავისი ძიებით, ტკივილებით, სიყვარულითა და შემეცნებით თვით ავტორია. მინდიამ თავი მხოლოდ მაშინ იგრძნო ლაღად, მხოლოდ მაშინ იპოვა თავისი. ნამდვილი სახე, როდესაც მთელი თავისი განცდებით შეუერთდა, შეეხარდა ბუნების უნივერსალურ ცხოვრებას.

ქაჯეთში ტყვეობამ—უაზრო, უმოქმედო ცხოვრებამ მინდიას თავისმოკვლა გადააწყვეტინა. მინდიამ თავისმოკვლის მიზნით შექაშა გველის ნაჭერი, ქაჯეთის რომ იხარშებოდა. სიკვდილის მაგიერ მინდია გარდაიქმნა. მის სხეულს, თვალსა და ყურს ბადე აეხსნა. დააღწია თავი ცხოვრების გაგების ეფროს განსაზღვრელ ჩარჩოებს:

„ახალად სული ჩაედვა,
 ახალი ხორცი აისხა,
 გულის ხედვა და თვალების,
 როგორც ბრმა და ყრუეს გაეხსნა.
 ესმის დღეიდან ყოველი,
 რასაც ფრინველნი გალობენ,
 ან მცენარენი, ცხოველნი,
 როდის ილხენენ, წვალობენ“.

მინდიაში ახალი მსოფლგაგება გამომუშავდა. ის რწმუნდება, რომ „რაც კი რამ დაუბადია უფალს სულიერ-უსულო, ყველასაც თურმე ენა აქვს, არა ყოფილა უსჯულო“. ამიერიდან მინდიას მუსიკი დაუწყო ცამ, დედაშიწამ, ტყემ. მინდიამ გაიგო მათი ცხოვრება, შეივსო მისი ცოდნა. ისწავლა მან ქაჯური ყველა ხერხი, „მხოლოდ ბოროტმა მის გულში,—ამბობს მგოსანი,—ვერ მოიკიდა ფეხია.“ როცა მინდია შეუერთდა, გადაეჯაჭვა სამყაროს, გაიგო მისი უნივერსალური ცხოვრების დენა, აქედან დაიწყო მისი გონებრივი და მორალური ზრდა, აქედან იწყებს

¹ ეს საკითხი, რომლის შესახებ მსჯელობა შემდგომისთვის გვაქვს განზრახული, სპეციალურ განხილვას მოითხოვს.

მისი ბუნება გაღრმავებას, გაფართოებას, გამრავალწახნაგოვანებას. მინდიათ გააღრმავებდა შემოფარგლული ცხოვრების გარსი, გადასცილდა ჩვეულებრივი ადამიანის საზღვარს, ჩასწვდა მთლიანი ცხოვრების არსს, მის საიდუმლოებას. მინდიათ მთლიანი ცხოვრების ფაქიზი დასაბამი დაინახა, რამაც ის თავდავიწყებით გაიტაცა:

„თურმე ზნედა სჭირთ ყვავილთა:
ოღონდ ეწამლონ სნეულთა
სიცოცხლით გაფუფუნებულს
არად აგდებენ სხეულთა“.

ყველას უყვარს სიცოცხლე, ყველა იცავს თავს: ბალახიც, ხეც, მდინარეც, იაც, კურდღელიც და სხვ. მაგრამ ყოველი მათგანი თუ ხედავს, რომ ის სხვისთვის სასარგებლოა, არ ზოგავს თავს. როცა მინდია ვაჟა მინდორ-ველად მცენარეთა მოსაქრეთად სამკურნალოდ, მის წინაშე, „ათი ათასი ყოველმხრივ დაიქუჩებს ერთადა“:

„არა მე მამჭერ, მინდიავე,
ნუ მტოვებ, შენი კვნესა მე,
„არა მე“—სხვა გაიძახის:—
უფრო მაშინებს ზეცა მე“.

მინდიასთვის მალალი, ვითური ცნება „არა ჰკლა“ სავალდებულოა, არა მარტო ადამიანთა საზოგადოებისათვისაც, არამედ მსოფლიო სხვა მოვლენებისათვისაც. როცა მინდია დაპირებს ხის მოჭრას, უმალ მოესმის ხის სამღურავი: „ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავე, ნუ დამიბნელებ მზესაო, უიარალო რომა ვარ, მიტომ მიბრეყებ ხესაო?“. ამის გამგონს მინდიას „დაუდუნდება ხელები, შტეტრად გაჰხედნებს ზეცასა“. მინდიას, ესმის ხეთ კვნესა. ხელცარიელი ბრუნდება. ცეცხლის ასანთებად მიიშველებს ჩალას, გამხპარ ჯოყრებს და წვიასა.

მინდია ამითაც კმაყოფილდება. სხვებსაც ურჩევს: „კაცებო, მოდი ნუ შვრებით ცოდვასა, ნუ მოსჭრით ხესა, დავჯერდეთ ჯოყრებს, ხმელს წიწვრებს ცოტასა“. მინდიას ასეთი რჩევა თემს ბოდვად მიაჩნია. თანდათან ღრმავდება კონფლიქტი მინდიასა და თემს შორის. თემს არ შეუძლიან მინდიასა ახალ სიბრძნეს ჩასწვდეს. თემი ვერ დაიტევს მინდიას ახალ მალალ მორალს. თემი აზროვნებს და განიცდის განსაზღვრებაში, განზომილებაში, კონკრეტულობაში. ამიტომ ჩაღხია, თემის მსოფლგაგების ტიპიური გამომხატველი, თემს ადვილად დაარწმუნებს, რომ მინდია „ცრუობს სწორედა“. მინდიას ახალი აზროვნებით აღშფოთებული თემი თავის უკმაყოფილებას ჩაღხიას პირით ასე აცხადებს:

„მაგ ფიქრს რომ მივყვეთ, შენს მტერსა,
როგორღა გვეცხოვრებისა?
ის რად ვიცოდით, უფლისგან
რაიც არ გვეცოდებისა?...
თემთ რომ გვარიგებს, მაგაზე
ძალიან ცუდად შვრებისა“.

თემი ასე აღვილად ვერ გაარღვევს დადებულ და მიღებულ კალაპოტს, ტრადიციებით რომაა ჩაკირული. ამიტომ მინდიას სიტყვა და ქცევა ასე აღელვებს და აჩოჩოლებს მას. ვაჟა-ფშაველა მეტად მოხერხებულად ურთავს მინდიასა და თემს შორის ურთიერთობის განმარტებას. მინდიას „ნაგრძნობსა გულისა“, მოძმენი „გონებით ვერა სწვდებიან“. ამიტომ თემი ძველებურად განაგრძნობს ცხოვრებას. „ბალახსაც სთიბენ, ნადირს კვლენ, შეშით ანთებენ კერასა. ქათმის ხორცს რა შეაძულეზს, თქვენვე მიიხარით, მელასა?.. ამ განმარტებითაც აშკარავდება ავტორის დამოკიდებულება მინდიასადმი.

მინდიას ტრაგედიის გამახვილების მიზნით ავტორი მინდიას კონფლიქტს ოჯახურ პირობებშიაც ხატავს.

მინდია მჭიდროდ გადაეჯაჭვა მთელ სამყაროს, გაიგო მისი ბუნების ძირითადი დასაბამი: „სხვას არ გოს“. „ქაცთ სარგოდ თავსა ჰზოგავენ თავთაენი ოქროს ფერანი“, — „არ სწადით ოხრად ლებოდენ, ჰკენედენ ყვავნი და ყორანნი. მიტომ ჩქარობენ მომკასა, ერთად ჟივიან ყველანი: ჰსურთ პურად იქცნენ, ხაჭმელად, რომ მათი გაძღნენ მშვიერი...“

ამის შემდეგ მინდიასათვის ოჯახის ფარგლები ვიწრო შეიქნა, ოჯახის ყოველდღიური ინტერესებით გამოწვეული ფუსფუსი მას ვეღარ აკმაყოფილებს. პირიქით, მინდიასავან ოჯახი მოითხოვს კომპრომისს, რწმენის წინააღმდეგ წასვლას, რადგანაც მინდიას ცოლი მზია, რომელიც თავის თავსაცა და მინდიასაც ჩვეულებრივი ცხოვრების საზომით უდგება, გამუდმებით, როგორც მინდია უსაყვედურებს მას, წუწუნებდა, ჩიოდა:

„შვილ მომკვდარივით ჰკიოდა“
 სიცივე ბალღებს მიღვესო...
 ბერდიას რამდენ შეშა აქვს...
 როგორ ცეცხლს ანთებს, ნახოვდი.
 ყმაწვილნ უხორცოდ დაზრდილნი,
 რა ვაჟაკობას იზამენ?
 არსად არ გამიგონია
 ასერე გაზრდილი სხვისა მენ“.

ამგვარი ჩვეულებრივი მოთხოვნისგან გაწვალებული მინდია, ასე ამქვანებს ცოლისადმი თავის უკმაყოფილებასა და სულიერ ტრაგედიას:

„ცხოვრების მაგალითადა
 ბრიყვები დამისახოდი...
 გეწადა კაი ცხოვრება,
 მოწამლულს ქადას აცხოვდი.
 და მეც დღეს ხვალეობითა,
 ცოტ-ცოტად ნელაობითა
 დავიწყე თავის რწმენასთან
 მოქცევა მელაობითა:
 დღეს მავქერ ერთი ქანდარი,
 თუმც მემუდარა ბევრია...“

ხეალ ორი მავჭერ, და ასე
გული ჩავიდე ქვისაო...
მეც მივყევ—ვხოცე ნადირი,
გასუქ-გალადეთ ლეშითა,
თავის ბაღღებით ხარობდი,
მე დავრჩი თავის ტეხითა“...

ასე მოიქცა მინდია ცოლის ყვედრებისა და „ბუზღუნის ზეგავლენით“ კი არა მარტო (ასეთ დაბრკოლებას მინდია ადვილად გადალახავდა), არამედ იმიტომ, რომ მინდიას ცოლს მზიას გვერდში უდგა და ზურგს უმაგრებს თემი— აღამიანთა განზომილებისა და განსაზღვრულობის ცხოვრება, რომელიც მჭიდრო რკინის საღტესავით გარს შემორტყმევია მინდიას მისწრაფებათ და უხეშად ახრჩობს. აქაა მინდიას ტრაგედია.

მინდიასათვის არსებული ცხოვრების ჩარჩოები ვიწროა, არსებულ ველარ აკმაყოფილებს მინდიას ახალ მოთხოვნილებებს, რომელიც ფართო სიყვარულისა და სამართლიანობის საფუძველზე იშლება. მინდიას უნდა ცხოვრების ძირითადი გარდაქმნა, ახალი ურთიერთობის დამყარება ახალი მსოფლგაგების საფუძველზე.

მინდიამ ვერ შესძლო არსებული ცხოვრების პირობებით დაწული ჯგბირი გაერღვია. ვერ შესძლო ცხოვრება ახალი გაგების მიხედვით—თანაგრძობის, სიკეთის, ღმობიერების და ა. შ. მიხედვით. კომპრომის დაადგა, რამაც გაანი- აგა და გაანადგურა მისი ნიჭი და პიროვნება.

შინაგანი მტკივნეული ბრძოლით გატანჯული, ნებისყოფა მოღუნებული მინდია ლამობს თავის ცოლს გააგებინოს მძიმე ტრაგედია, რომელსაც ის ატარებს და ასე გადაუხსნის თავის გაწამებულ გულს „წუთისოფლის თავის სასი- ამოვნოდ მცნობიარე“ მზიას:

„არ უღირსს მკვდარმა იცოდეს
თავის სიკვდილი—მკვდარია,
ივლოვოს თავისი თავი
თვის ყოფნა შესაზარია?
სხვა ყოფნა ამაზე მწარე
მიპოვნე შესადარია?
ამგვარი მკვდარი დღეს მე ვარ,
სხვა მკვდრებს რა უჭირთ მკვდრობითა.
არიან მოსვენებულნი,
არაფერს გრძნობენ გრძნობითა.
რითი და ვარგო ქყეყანას
დავცარიელდი ცოდნითა.
მიტომ რომ წინანდებულ
ცნება არა მაქვს თავშია.
ან მე რად მინდა სიციცხლი?
ან თქვენ გაცოცხლოთ რაღადა,

თუ მთელი ჩემი არსება
 აღარ იქნება საღადა?..“

ასეთმა ტანჯვამ მინდიას თავისი დადი დაასვა. მინდია გამოიცვალა, მოიღრუბლა, უფრო გულდახურული შეიქმნა. სულ მოკლე ხანში, როგორც მზია შესჩივის სანდუას, წვერი და თმა სულ გაუჭალარავდა. ვერავინ ვერ მიუხვდა მინდიას გამოცვლის მიზეზს. ვერც მზია მიუხვდა, გარდა იმისა, რომ მინდია „თავსა და ხალხს სტიროდა“. მზიას მრავალჯერ გაუგონია მინდიას გულიდან დათარულად მწარე ამონაკვნისი: „ველარას ვარგებ ქვეყანას“...

მინდია კომპრომისის გამო თანდათან ჰკარგავს თავის ნიქს და საშინელ დაუქმყოფილებელ ტკივილებში თავს იკლავს.

მინდიას ტრაგედია ნიჭიერი გამოხატულებაა იმ კოლიზიისა, რომელიც ძლევამოსილად იშლება კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ორ მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობას შორის. ერთი მათგანი გამუდმებულად ივის ცდაშია, როგორმე შეინარჩუნოს არსებული, არ გადასცდეს ცხოვრების მიღებულ განსაზღვრულ ხაზს, ხოლო მეორე ამჟღავნებს შეუკავებელ, დაუშრეტელ ნდომას ახალი გზების გამონახვისა, ფართო ურთიერთობის გზით წინმსვლელობისას.

აღუდას, ჯოჯოხასა და მინდიას ტკივილი კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი ტკივილია, რომელიც გამოწვეულია ახალის, უკეთესის უფრო სამართლიანის შპობიარობით. მათი მსოფლგაგება ძველისა და ახალის მიჯნაზე დგას. მათ ტკივილებში იგრძნობა ჭიდილი ძველსა და ახალ ქვეყანათა შორის. ამ გმირების ტკივილებში თვით ვაჟა-ფშაველას ტკივილების დაყუჩებული ტეხა ისმის.

ვაჟა-ფშაველა, მართალია, ძალუმადაა მიჯატული მთას, მისი პატრიარქალურ ტრადიციებს, მართალია, ძველის რღვევა მასში მძიმე ტკივილებსაც იწვევს, „აჭრელებული“ ცხოვრება ნისლით ჰბურავს მის ფიქრს, ის იცავს თემის ტრადიციას, თქმს გამუდმებულად ამარჯვებს მემამბოხეზე, მაგრამ ამასთან ერთად მასში აშკარადაა აღძრული ახალი ძალაც; ახალი ქვეყნის გაგება, რომელიც ძველი, თემური წყობილების კოდექსს არღვევს და ლამობს შექმნას უფრო მაღალი ადამიანური, სამართლიანი ურთიერთობის საწყისები.

მეტად საგულისხმიეროა ვაჟა-ფშაველას პასუხი ივ. ვართაგავასად მი. „როგორ გგონიათ? არ მაქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩემის ქვეყნისა ბრწყინვალე? ნუ თუ ეს არა სჩანს ჩემი ნაწერებიდან? რომ ეს არ მწამდეს, თქვენ გგონიათ მე კალამს ავიღებდი ხელში?... ურწმუნოთა შრომა ამოა, შეუძლებელიც. გგონია, იმ ხიდს, რომლის გაღებაც მუშამ შეუძლებლად იცნო, თავის დღეში გასადებლად არ შეუდგება. ნუ თუ ჩემი ნაწერები ამ მომავალს ყოფა-ცხოვრებაზე, ჩვენს ბედზე არას აზბობენ? ვერაფერი ჰოეტი ვყოფილვარ, თუ ეს მომავალი არა სჩანს იქ, ანა სჩანს ის, რაც „დროთა სვლამ“ უნდა განახორციელოს... თუ მე ნიჭი მაქვს ჰემარტი შემოქმედებისა, შექველად წარსულის, თუ აწმყოს აღწერით უნდა რამეს ვამბობდე მომავალზე, თუ არა და ჩემი ნიჭიერება ცარიელი მცნება, უშინარაო სიტყვებია“. და ეს თქმა მგოსნისა უდაოდ გულწრფელია და სწორია. ვაჟა-ფშაველა, უდაოდ, წინ, მომავლისაკენაც, ბრწყინვალე მომავლისკენ იყურება.

ვაჟა-ფშაველას ასეთი განწყობილება ეპოქის სოციალური ძვრებით, სოციალური რთული გადაჯგუფებით, ახალი ცხოვრების მიწოდებით იყო გამოწვეული. ახალი ცხოვრების მოახლოების აუცილებლობა იგრძნო გენიოსმა მწერალმა, მაგრამ მან, წვრილბურთუხაზიული იდეოლოგიის მატარებელმა, ძველი ცხოვრების ჯებირის გარღვევა ვერ მოახერხა. ვაჟა-ფშაველაც თავის გამირებასავით გულდასერილი, დაუკმაყოფილებელი ტრიალებდა ძველსა და ახალს, მთასა და ბარს შორის. რაღაც მითითურ დევსავით ვაჟა-ფშაველა ერთის თვალთა მძლავრად იყურება ძველი, დრომოქმული პატრიარქალური მთისკენ, თავისი უცნაური მხატვრული შემოქმედებით ძველს ამაგრებს, ძველისადმი სიმპათიას იწვევს; ხოლო, მეორეს მხრივ, ახალი, სამართლიანი მომავალი ქვეყნისაკენ გაშმაგებით იყურება, მკითხველსაც იქითკენ ძალუმაღ მიიზიდავს, ანთებს მასში ცხოველ გაგებას ბუნებრიობისას, სილამაზისას, ადამიანისადმი სიყვარულისას, ცხოვრების განაზღვრებისა და გაჯანსაღებისას. ამითაა ის ჩვენთან ახლო. ამაშია ვაჟა-ფშაველას დიდი ისტორიული მნიშვნელობა.

ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ძალა იმითაც ეუფლება მკითხველს გრძნობასა და გონებას, რომ მისი შემოქმედების მდიდარი შინაარსი განსახიერებულა არაჩვეულებრივ შესაბამ მდიდარ პოეტურ ფორმებში.

ვაჟა-ფშაველა მეტად დიდი, უცნაური ოსტატია პოეტური სახეების გამოჩინადებაში. მისი პოეტური სახეები მეტად ლაღი, თავისუფალი, მძლავრი და სტიქიურია — იქნება ეს მოცემელი თემის ცხოვრების პირობებში, ბრძოლის ველზე, თუ ავსულებისა და დევთა ფანტასტიურ სამყაროში.

ვაჟა-ფშაველას პოეტური ნიჭი დაუბრკოლებლივ ჩქევს მთის ნაპრალებიდან გადმოვარდნილ ნაკადსავით და მრავალფეროვნაიანად სხივოსნობს.

მთის ცხოვრების (აბსოლუტურად) ზედმიწევნით ცოდნა, მთის კოლორიტის ბუნებრიობის აბსოლუტურად შემონახვა, მთის თავისებური ძარღვიანი ენისა და კილოს ზედმიწევნით დაცვა; ადამიანის განცდათა მკვეთრი და ღრმა ანალიზი, პოეტური ექსპრესიის არაჩვეულებრივი ძალუმა გაშლა; მაღალი დამატყვევებელი პოეტური ილუზია; აშლილი, მაგრამ მასთან ერთად კანონზომიერი ფანტაზია — ი რაც ჯადოსნურ ხასიათს აძლევს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, რაც ასეთი გატაცებით იზიდავს ყოველ მკითხველს და მეტად საპატრო ადვილს ანიჭებს მას მწერლების დიდ ოსტატთა შორის.

ამაშია ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედების ძალა. ორიგინალურ შინაარსისა და პოეტურ ხერხთა ვირტუოზულ მთლიანობაშია ვაჟა-ფშაველას „უკვდავების“ დ.საბამი.

რექტორი ვ. ბოლქვაძე
კორექტორი ი. ანდრონიკაშვილი
გადაეცა წარმ. 24/I 40
გამომც. შეკვ. № 12
სტამბის შეკვეთა № 54

ტირაჟი 500
ანაწყ. ზომა 7×11
ქალალ. ზომა 72×105
მთავლ. რწმუნებულის № ა—1844
ხელმ. დასაბეჭ. 11/IV 40

ს ტ ა ლ ი ნ ი ს ს ა ნ . თ ბ ი ლ ი ს ს ს ა ნ . უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს გ ა მ ო მ ც . ს ტ ა მ ბ ა , მ ა რ ი ს ქ . , № 1



დ ე გ უ ლ ე ბ ა

ქსტალინის სახალხოების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გრომების" შესახებ

1. „გრომები“ წარმოადგენს სტალინის სახელმწიფო თბილისის უნივერსიტეტის აგრო-
დულ სამეცნიერო ბეჭდურის ორგანოს, რომელშიც იბეჭდება უნივერსიტეტის მეცნიერი მუშა-
კებისა და ცალკეულ შემთხვევებში, სხვა მეცნიერთა სამეცნიერო შრომები.

2. შრომები იბეჭდება ქართულ ან რუსულ ენაზე, სილი ცალკეულ შემთხვევებში სიბ-
ჭოთა კავშირის ხალხთა სხვა ენებზე და აგრეთვე გერმანულ, ფრანგულ ან ინგლისურ ენებ-
ზე, ქართულ შრომებს აუცილებლად უნდა დაერთოს რეზუმე რუსულ ენაზე; ამას გარდა,
ქართულ და რუსულ შრომებს შესაძლებელია დაერთოს რეზუმე ერთერთ შემოდასახელებულ
უცხო ენაზე, ხოლო საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა და გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ
ენებზე დაბეჭდულ სამეცნიერო შრომებს აუცილებლად უნდა დაერთოს რეზუმე ქართულ ან
რუსულ ენაზე.

შენიშნა. შინაარსი, ნაშრომთა ავტორების და სათაურების დასახელებით, დაერთვის
ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

3. თითოეული დასაბეჭდი ნაშრომის მიღწეობა, რეზუმეს ჩათვლით, როგორც წესი,
არ უნდა აღემატებოდეს 1.5—2.0 სააგტორო თაბანს.

4. „გრომები“ ქვეყნდება ყოველთვიურად (გარდა ზაფხულის ორი თვისა) ცალკე ნაქ-
ვეთებად, თითოეული ნაკვეთი 10 სააგტორო თაბანის მოცულობით; ორი ნაკვეთი (20 თაბანი)
შეადგენს ერთ ტომს, წლეურად, ამრიგად, გამოდის 5 ტომი, სულ 10 ნაკვეთის (100 სააგტო-
რო თაბანის) შემცველი.

5. დასაბეჭდად წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომი, რეზუმესთან ერთად, უკეთეს იგი
ნაშრომს ერთობს, უნდა იყოს საფუძვით განხადებული დასაბეჭდად: ა) საბეჭდ მანქანაზე გადა-
ბეჭდილი და შესწორებული, ანდა სუფთად ხელით გადაწერილი, აუცილებლად ცალ გვერდზე;
ბ) ფორმულები და საკუთარ სახელთან ან სხვა უცხოური დასახელებანი მკაფიოდ უნდა იყოს
ხელით მარჯობილი ტექსტში; გ) ციტირებული ლიტერატურის დასახელება უნდა იყოს სრული:
ავტორის, წიგნის ან პერიოდული გამოცემის სრული სახელწოდების, წერილის სრული სათაუ-
რის, პერიოდული გამოცემის ტომის, ნაკვეთის, გამოცემის ადგილისა და დროის აღნიშვნით.

6. დასაბეჭდ ნაშრომზე აღინიშნება კაოდრა, ლაბორატორია და სხვ. საიდანაც იგი
წარმოსდება.

7. დასაბეჭდი დასაბეჭდად მიღების შემდეგ ტექსტი არაერთი შესწორებისა და და-
მატების შეტანა არ შეიძლება. უკეთეს დასაბეჭდად მიღების შემდეგ ან აწყობა-ბეჭდვის პრო-
ცესში გამოირკვა, რომ მასში შესწორება-დამატებათა შეტანა აუცილებელი, ნაშრომი ბეჭ-
დვიდან ამოიღება.

8. დასაბეჭდი ნაშრომი უნდა გადაეცეს „გრომების“ პასუხისმგებელ მდივანს; რომელიც,
წინასწარი გაცნობის შემდეგ, პასუხისმგებელ რედაქტორთან შეთანხმებით, უზახვის მას სათა-
ნადო განყოფილების რედაქტორს სარედაქციოდ და დასკვნისათვის.

9. რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი რედაქტორთან მიერ შემოწმებულ და დასკვნა-
მიცემულ ნაშრომებს, „გრომების“ მორიგი ნაკვეთის შინაარსის პროექტთან ერთად, წარუდ-
გენს სარედაქციო კოლეჯისა.

10. სარედაქციო კოლეჯი განიხილავს წარმოდგენილ ნაშრომებს, რედაქტორთა შენი-
შვნებისა და დასკვნების საფუძველზე, და დამატკიცებს „გრომების“ მორიგი ნაკვეთის ში-
ნაარსს, რომელშიც ცვლილებების შეტანა, კოლეჯის დადგინილების გარეშე, არ დაიშვება.

11. „გრომების“ მორიგი ნაკვეთში შესულ ნაშრომთა საბოლოო რედაქციას, როგორც
სტილისტურს, ისე შინაარსის მხრივ, აწარმოებს რედაქტორი, რომელიც მასალას სასტანდოდ
ამზადებს.

12. რედაქტორივე ამოწმებს აწყობილ და გვერდებზე შეკრული ანაბეჭდის ბოლო კო-
რექტურას, რომელიც საბოლოოდ შესამოწმებლად და ხელმოსაწერად გადაეცემა პასუხის-
მგებელ რედაქტორს.

13. პასუხისმგებელი რედაქტორის ხელმოწერის შემდეგ აწყობილი თაბანი იბეჭდება.

14. ავტორს ეძლევა ერთერთი საკორექტურო ანაბეჭდი ერთი დღის ვადით მარტო-
დენ საკორექტურო შესწორებათა შესატანად.

15. ავტორს უფასოდ ეძლევა მისი ნაშრომის 50 ამონაბეჭდი და ერთი ცალი „გრომე-
ბის“ იმ ნაკვეთისა, რომელშიც მისი ნაშრომია მოთავსებული.

ფანკი 5 826000

10-189
ეროვნული
ბიბლიოთეკა

